

ISSN 0132-599 X/

საქართველო  
ზოგადი განათლება

# გენთოლოგი



11

---

1986



# ენათმეცნიერება

საქართველოს  
მწერეთა კავშირი

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წილი № 62-0

№ 11

ნოემბერი, 1986 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### პროზა, პოეზია

რეზა მარშიანი — ლექსები	3
მორიხ ფოსტოვნილი — ლექსები	5
ეთარ თაღიაშვილი — ანტრადტი. მოთხრობა	10
ტარიელ ზანტური — ლექსები	20
ჯარაგ საგაბაშვილი — „ღუბლინიღობი“. მოთხრობა	27
ლია სტურუა — ლექსები	48
ოთარ წურჭუჭია — შაღრივანი მრბვალ ბაღში. მოთხრობა	58
არტურ რეზო — მთვრალი ხომალდი. ლექსი. ფრანგულიდან თარგმნა ოთარ კელაძემ	89
აკაკი ბიჭია — ბიჭვის ხიდი (ნაწევრები მოგონებების წიგნიდან)	92
მიორგი გუბლია — ლექსები. აფხაზურიდან თარგმნა მურმან ზურცილაძემ	117

### 150 ილია ჭავჭავაძე 150

მეხვალა გაჩეჩილაძე -- იუბილი, რომელიც არ შედგა	119
--	-----

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ლალო სულაბერიძე — მწვერთვარი დღეობის ღირება	133
მიორგი გაჩეჩილაძე — დასაღვრელი სისხლი	138
ამთაფლი ნიკოლეიშვილი — ვერსიონაცეული ძიებათა თანამედროვე გაერთულ კოეზიანი	141
როსტომ ჩხიტი — „ასმილომ ჩიკაშელის“ გამო	151

(მ. მერაბ გვარდი)



**მეცნიერება**

ანდრო ლეკიუშვილი — კვირიაშვიტობა	159
გაბაშვილი მამულაშვილი — გორგასალის რეფორმის შესახებ	165
დარეჯანი გომილაძე — საქართველოს ისტორიის ლეგენდარული მკვლევარი	169

**წიგნების მიმოხილვა**

მირაბეგ კალანდარიძე — მაკიაველის „მთავარის“ ირგვლივ	173
---	-----

შთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაძე

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამილახვანი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომილავაძე, ბ. დონაშვილი, ა. კალაძე, მ. ლასური, მ. ლეგენიძე, ე. მალაქაძე, ლ. მრავალაშვილი, ბ. ნატროშვილი, რ. პატარაძე, ჯ. ჩაკვიანი, ნ. წულუკიანი, თ. ზილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი) რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.



რედაქცია

### ორერაშა, რერა

გაწიგლიებული მონადირის ნამბობი

სანადიროდ გავემზადე,  
ორერაშა, რერა  
გადვიარე ცხრამთა,  
ცხრამთა მრავალფერა.  
ორერაშა, რერა.  
ცეცხლი აკიაფდა  
ჩემდა ბედისწერად.

ორერაშა, რერა,  
გზაზე დამილამდა,  
ბნელმა გადამთქერა.  
ორერაშა, რერა.  
ვარსკვლავების თვალთა  
მზერამ შემაჩერა  
ორერაშა, რერა.

ორერაშა, რერა  
საიდანღაც გაჩნდა,  
მომიფრინდა დარდად  
ულმობელი ძერა  
ჩემდა ბედისწერად,  
ორერაშა, რერა.

ორერაშა, რერა  
სულ პატარა წყალი  
იქცა მღვრიე ჩქერად  
ცისკენ მიმავალი  
გზაზე შემაჩერა.  
ორერაშა, რერა.

ფიქრი გამიფრინდა  
თვალწინ, აღმაცერად  
მთათა დერეფნიდან  
გამიქვავდა მზერა.  
ორერაშა, რერა.

უცბათ ნისლის ფთილა  
შუბლზე მომეფერა,  
ლოყა დამითრთვილა  
ორერაშა, რერა.  
სუნთქვა შემიჩერა,  
ჩემმა გულისძვერამ  
გადამასხვავერა  
ორერაშა, რერა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

აღმოვჩნდი, მაღლა, ხელახლა ვიშვი,  
კლდეზე დაკიდულ ყინვარებს შორის,  
მაგრამ ეს შიში, წყეული შიში,  
ყრმობიდან მომდევნ ნაადრევ თქორ.

დილიდან მხარზე შევისვი ლილე,  
და დაბლა ხევში დავტოვე დარდი.  
ისე ვით პებლებს — ამ თოვლის  
ფთილებს  
ვამწყვდევი მუქში და ვინახავდი.  
ლილეოს სიცხით დამეწევა მხარი

და მაღლა, მაღლა ვიდოდი ცისკვ.  
მზე ამირანის ბეჭებზე მდგარი  
აბრიალებდა დიდ თვალებს ისევ.  
ესუნთქავდი მზისგან გაწმენდილ ჰაერს,  
ისე ძალუმად და ისე ხარბად,  
რომ ტუჩზე მომდგარ დიდების შაირს  
ჩემი სუნთქვისგან შესცივდა ალბათ.  
თუმც ალარაფრის არ მქონდა შიში.  
თუმცა შთაგონებს შევეხმატებილე  
და ჰაბუკ მგოსნად ხელახლა ვიშვი,  
რადგანაც მხარზე შევისვი ლილე.

1976

## ჩემი ბოლო ლექსის ერთერთი ვარიანტისათვის

წუთისოფლის სტუმრად მთელიან,  
შევეგუე ამ ფიქრს, ამ აზრს.  
საქართველოს ვტოვებ მთლიანს,  
ულამაზეს ციხე-დარბაზს.

წუთისოფლის სტუმრად მთელიან,  
შევეგუე ამ აზრს, ამ ფიქრს.  
და ჩემი გზა ნაქსოვია  
უკვდავების გამძლე ძაფით.

წუთისოფლის სტუმრად მთელიან,  
და ქვეყანას ისე ვტოვებ —  
საქართველოს ვტოვებ მთლიანს  
და ვბარდები სიმარტოვეს...  
...წუთისოფლის სტუმრად მთელიან.

1984

### კვლავაც უკვდავყოს, კვლავაც...

შენებრ შლეგმა და ბრძენმა  
მიწიერებამ შენმა,  
ცისიერებამ შენმა,  
ლეთისნიერებამ შენმა,  
ხატოვანებამ შენმა,  
სახოვანებამ შენმა!

კვლავაც სანთელმა შენმა,  
და საკმეველმა შენმა,  
ჭირისუფლობამ შენმა,  
და მოწყალებამ შენმა,  
და მოთმინებამ შენმა!

ზამთარ-ზაფხულმა შენმა,  
აღმართ-დაღმართმა შენმა,  
შეება-სახმილმა შენმა,  
ჭირმა და ლხინმა შენმა.

სიყრმე-სიბერემ შენმა  
ერთ ბედისწერამ შენმა,  
ერთ სიხარულმა შენმა,  
ერთ სილატაკემ შენმა,  
ერთ სათნოებამ შენმა  
და სიყვარულმა შენმა!

სიბრძნე-სიცრუემ შენმა,  
გვემამ და ნგრევამ შენმა,  
მკედრეთით აღდგომამ შენმა,

აღმშენებლობამ შენმა,  
ხუროთმოძღვრებამ შენმა,  
სრულყოფილებამ შენმა,  
თავისუფლებამ შენმა!

უმცირესობამ შენმა,  
უმრავლესობამ შენმა,  
უნაზესობამ შენმა,  
უმკაცრესობამ შენმა,  
კენესა-გოდებამ შენმა,  
და ამღერებამ შენმა!

უბედურებამ შენმა,  
ბედნიერებამ შენმა,  
სასოწარკვეთამ შენმა,  
იმედლოვნებამ შენმა!

ცრემლმორეულმა ღიმილმა,  
ისრის წივილმა მწველმა,  
შეუცნობელმა ტკივილმა,  
მოურჩენელმა სენმა, —  
სიცოცხლემ, როგორც სიკვდილმა  
და უკვდავებამ შენმა!

შენებრ შლეგმა და ბრძენმა  
მიწიერებამ შენმა,  
ცისიერებამ შენმა!

## სალამი სიკვდილს



ეროვნული

ბიბლიოთეკა

სალამი სიკვდილს,  
 ღვთაებრივ სიკვდილს,  
 შეუცნობელის შეცნობას პირველს,  
 სალამი მგზავრებს,  
 ხილულის ხილვით  
 რომლებიც მისნურ მიზნამდე მივლენ.

სალამი თვალებს,  
 ცრემლიან თვალებს,  
 თვალებს, რომლებსაც  
 სიზმრებში ვხედავთ, —  
 სევდას, რომელსაც  
 ლექსებში ვავლენთ  
 და ჩიტს, რომელსაც უკლავენ დედას.

სალამი სურვილს,  
 სალამი წყურვილს,  
 სალამი შიმშილს—სულიერს, სათნოს,

იმ ცეცხლს, რომელშიც  
 იწრთობა სული,  
 იმ თოვლს, რომელიც საფეთქელს  
 ათოვს!

სალამი ისარს,  
 რომელიც შენს გულს  
 მარადიული ტკივილით ათრობს,  
 სალამი წყევდიადს, სინათლით  
 შეძრულს,  
 და ვალს, რომელსაც  
 არავინ არ გთხოვს!

სალამი ტიტინს,  
 სალამი ჩიფჩიფს  
 და ნეკნებს შორის გაჩხერილ ტყვიას,  
 ყველაფერს, რასაც განგება გვისჩის,  
 ყველაფერს, რასაც  
 სიცოცხლე ჰქვია!

## სიცოცხლის მეტასტაზები

აბაობაბდა ფიქრი,  
 ამოითესა სევდა.  
 ჩემს სასთუმალთან თითქმის  
 ანგელოსები სხედან.

ვემწვიდობები მცხეთას,  
 ვემწვიდობები თბილისს,—  
 ჩემს სამკურნალოდ ჩემთან  
 ეხლა ქვეყანა ივლის.

ვიღაც მისინჯავს მაჯას,  
 ვიკლავ სულელურ სურვილს, —  
 არავეითარი ტანჯვა,  
 არავეითარი შური.

არც აღარავინ მჩაგრავს,  
 ბოლოც არ უჩანს ლოდინს,  
 მოდის სიკვდილი, მაგრამ  
 ძალიან დიდხანს მოდის.

ორპირი იქვი მძიძგნის,  
 ორპირი ქარი მლახვრავს, —  
 წამლის დასაღვევ ჭიჭით  
 შხამსაც დავლევდი ახლა.

ვებრძვი პალატის ელდას,  
 ჭარბი სინათლის ღაღადას,  
 ჩემთან არ არის დედა,  
 დედა შორს არის საღდაც.

სანთელ-საკმეველს ვეძებ,  
 ძრავად ქცეულა ბირთვი,—  
 ვით ყავარჯენზე — ფრთებზე  
 ედგები და წამებს ვითვლი.

ვიცი, მოვდივარ შენთან,  
 ვიცი შენამდე ვივლი, —  
 ვემწვიდობები მცხეთას,  
 ვემწვიდობები თბილისს.



### დიდი ბედნიერება

რა უნდა ჰქნა მარტოკაცმა,  
ცხრა საწუთრო თავში თუ გემს,  
ვერ მოასწრებ ჰიქის დაძლას  
და წასვლის დრო დგება უცებ.

ცხრა საცერმა ერთად გაგცრა,  
გზა გცდის და გზა გატუტუცებს,—  
ის აღარ ხარ ახლა რაც ხარ,  
რაც არ იყავ, ის ხარ უცებ.

სად დაიწყო შენი ჯვარცმა,  
ვინ შეგოვსებს კმუნვის ფურცლებს—  
უცებ იწყებ მაღლა ასვლას  
და ძირს ჩამოდიხარ უცებ.

ყაჩაღივით უამი გძარცვავს,  
თუ გრძნობ შეუბღში ტყვია გტყუცეს,—  
დიდი ბედნიერებაა,  
დიღხანს ცოცხლობ, კვლები უცებ.

### ეს ისე უცებ მოხდა

ეს ისე უცებ მოხდება,  
აღბათ მოხდება სწრაფად,  
ხის ტოტს ფოთოლი მოსწყდება,  
პეპლად დაიწყებს ფარფატს.

ასე სიცოცხლის მარცვლი  
თესლივით წეება ხნულში.

არავითარი გოდება,  
გზა და... დუმილი მყისვე...  
ეს ისე უცებ მოხდება,  
პირს ვერ იბრუნებ მზისკენ.

რის ფიქრი, რა ამბოხება,  
როცა გკითხავენ „რა გსურს?“  
ეს ისე სწრაფად მოხდება,  
კითხვას ვერ გასცემ პასუხს.

ეს ისე უცებ მოხდება,  
როგორც გუშინწინ, გუშინ,—

ტყვიღმა იცის შეჩვევა,  
დრო ტვინში ტორებს გირტყამს...  
პირზე ღიმილი შეგჩეება,  
როგორც უთქმელი სიტყვა.

### ჩემი დროც დადგა

ჩემი დროც დადგა.  
მე თითქმის ვღელავ,—  
ღმერთო, დამმართე  
ჩანჩქერების ყვიანა-ხველა!

ჩემი დროც დადგა.  
დავღამღე ლამის,—  
ღმერთო, თუ მომკლავ,  
რა თქმა უნდა, მომკალი ღამით!

არ მინდა ეტლი.  
იკოდე ერთმა, —  
ო, თუ მიახლებ, ჩემი ფეხით  
წამოვალ შენთან.



## ჩიხი



გავლილია გვირაბი,  
 ცას ქუდივით ვიხდი,—  
 დგება სხვა განთიადი,  
 ჩნდება სულ სხვა ჩიხი.

ნულარაეინ მიცოდებს,  
 ნურც პანაშვიდს მიხდის, —  
 „გაუმარჯოს სიცოცხლეს,  
 ისე, როგორც სიკვდილს!“

მიწა, როგორც პაიკებს,  
 გულში გვიკრავს რიხით,—  
 ყველაფერი გავიგე,  
 თუმც ვერაფერს მივხვდი.

ერაკლიტული გაილო,  
 ქრება ფიჭრის კვარი,—  
 იყო, როცა არ იყო,  
 იყო, რადგან არის!

## ქვეყნიდან ქვეყანაში და პირიქით...

იყო ოცნება, თრთოლა, თამაში —  
 ცხოვრება ჩემი ამ ქვეყანაში.

ის წვა,  
 ის ბრძოლა,  
 ის ცა,  
 ის სარკე —  
 თურმე გზა იყო იმ ქვეყნისაკენ.

ვამ, სასწაულს, ვამ ამბობენ  
 კვლავ მობრუნებას ამ ქვეყანაზე!

• • •

მარტო ხარ, მარტო პერმესობ,  
 მარტო ასკდები ნადირს,—  
 დრო ისე უინტერესოდ  
 და უგერგილოდ გადის.

ჭერ გულს ასკდები,  
 მერე ფრთებს,  
 კარს აჭივლინებს ქარი,—  
 სხვას არვის აინტერესებს,  
 ცოცხალი ხარ თუ მკვდარი.

წევხარ. ილოკავ იარებს.  
 პერს აშტერდები შეტად, —  
 ის წარცხნა რად იგვიანებს,  
 რა მოუვიდა ნეტა?!

## ჩემი სტუმარი



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ვენ წემოალო პალატის კარი,  
რად არ სთავაზობთ  
ჩემს სტუმარს სკამს,—  
მოისვენებდა ცოტახნით ქარი.  
ხომ ხედავთ, ქარი  
ფეხზე რომ დგას,..  
რად არ სთავაზობთ  
ჩემს სტუმარს სკამს?!

სულს რომ ძლივს ითქვამს,  
თქვენ ვერ გრძნობთ ალბათ;  
საერთოდ ალბათ არაფერს გრძნობთ,—

ჩემთან კამათი ისურვა  
ხელს ნუ შეუშლით,  
ძალიან გთხოვთ!  
ო, ლაპარაკი აცალეთ ქარს!

თვალეში უდგას ჩემს ეჭიმს სევდა,  
მისმენს. არ სჭერა. მდარაჯობს, მცდის...  
ის იყო ჩემთან.  
ის იყო ჩემთან.  
ის იყო ჩემთან...  
ის იყო, ის...

## გადისწარა

„ერთი არ იტყვის,  
მეორე იტყვის.  
ერთი არ გაგცემს,  
მეორე გაგცემს,—  
მერე ნაწამებს,  
ნაგვეს და ნაცემს,  
ერთი ალგადგენს,  
მეორე დაგცემს...“

მერე ის მოვა  
იისფერ თოვლად,  
ყოვლად ციერი,  
ძლიერი ყოვლად,

თვით გაეცნობა  
შენს წილ განაჩენს,  
შუქს გამოგიწვდის,  
როგორც ყვარაჩენს,  
წინ გაგიძღვება,  
როგორც სიმღერა,  
წინ გაგიძღვება  
და გადაგარჩენს...“

აი, აქ წყდება  
ჩემი ზღაპარი,  
ის მოგიყვება  
ალბათ დანარჩენს.

## ცვლილება

ისე გაველურდა ქარი,  
კვლავ შინ მომივარდა ქარად,—  
კარი არ ჩააგდო კარად,  
ისე შემომიიღო კარი.

ისე გატუტუტდა წვიმა,  
ჩანგზე ჩამეკიდა სიმად.

ისე შემეჩვია სევდა,  
სახლში მეტავს, როგორც ხედავთ.

ისე აჭიხინდა კვიცი,  
სად წავიდე აღარ ვიცი, —  
ეს ქვეყანა აღარ მომწონს,  
კი არ ვკვდები, ადგილს ვიცვლი.

## ანტრაქტი

მოთხრობა

— რამდენჯერ უნდა გითხრათ, მეგობრებო, ფულივით ითვალეთ პაუზები და გარწმუნებთ, არასოდეს შეცდებით, — ვინ იცის მერამდენედ გვეუბნება მანქანით. ჩვენ კი გვიჩვენებია, ფული ვითვალთ პაუზებივით, მაგრამ რას იზამ, ჯერ პაუზებია და მერე ფული.

კარი ფრთხილად გაიღო, ქალიშვილმა თავი შემოყუბო და შემოსვლის ნებათა თვალი ითხოვა.

ღირიყორმა ანტრაქტი გამოაცხადა და სტუმარს შეეგება.

— მეგობრებო, გაიცანით ჩვენი ახალი თანამშრომელი, ჩელა. ჩელამ მზერა მოგვავლო და უკბილოდ გაგვიღიმა.

ყველამ თავისთვის რაღაც გაიფიქრა. მე: „აი, თურმე როგორი ყოფილა ჩვენი ახალი ვიოლონჩელისტი, მე მამრობით სქესს ველოდი, ეს კი... თუმცა შარვალი აცვია და ცოტა უხეში სხეცა აქვს, მაგრამ რაღაცა აქვს ქალური“.

პირველი ვიოლინო: „რა უსიამაოთი ვინმეა, არც მე ვარ ლამაზი, მაგრამ მაგას მაინც ვჯობივარ“.

მეორე ვიოლინო: „ნეტა როგორ უკრავს? მარტო ხეში რომ წამოუღლია, რა აზრი ჰქონდა, არ მესმის, ეგონა, ჩელო დახვდებოდა?“

ალტი: „ვიცოდე მაინც, რა მოარ-

ბენინებდა ამ სიშორეზე, ფული? — შეიძლება; სად არ გაგაქცუნებს კაცს ეს ოხერი ფული“...

კონტრაბასი: „ოხ, ოხ, ოხ, რა სერიოზულია, თან თითქოს ირონიითაც გვიყურებს. არა უშავს, მალე მოგიყვანთ ჩვენს ქუეზე, ქალბატონო“.

მამაკაცები სიგარეტს ვეწევი. ყველა ჩუმ-ჩუმად ათვალეირებს სტუმარს.

მეორე ანტრაქტის დროს სიგარეტი მოთხოვა. მე სასტიკად არ მესიამოვნა, მაგრამ არ შევიმჩინე. საერთოდ არ მიყვარს, ქალი რომ სიგარეტს ეწევა, თუმცა მაშინვე ვაპატიე, ალბათ იმიტომ, რომ მის ცოლად შერთვას არ ვაპირებ. ჩელა მეორე ვიოლინოსთან მივიდა და რაღაც უთხრა. არ გამოვიგონია, მაგრამ მივხვდი, რომ ტულეტში გაცილებს სთხოვა.

მეორე ვიოლინო დაიბნა და შეწუხებული თვალებით გადმოგვხედა.

ჩვენ ხომ ძველ შენობაში ვმუშაობთ, ამ შენობას კი ტულეტები არა აქვს და არც ჰქონია. რამდენჯერ იჩივლეს, მაგრამ რად გინდა; ისე, ამის ამშენებელს თავი თუ არ ჰქონდა, სხვა რამ მაინც არ ჰქონდა?

იკითხავთ — აბა რას შერებთ, როცა გიჭირთო.

რას ვშერებთ და ქვეშ ვიფსაბთ.

მთავარია ხელეები გვეონდეს სუფთა, რომ დავეუკრათ.

ჩელა და მეორე ვიოლინო გარეთ ვავიდნენ. ფანჯარასთან მივედი და ფიქრებს მივეცი თავი. მაესტრომ გამოაცხადა, ანტრაქტი დამთავრებულია და ადგილებზე ვთხოვთო.

ფიქრებმა თავი არ დამიბრუნეს და უთავოდ მივედი პულტთან.

მაესტრომ მალე შეამჩნია ჩემი უთავობა და მრისხანედ გადმოშხედა.

ეჰ, მარტო ხელეები ვერაფერს გიშველის, თუ თავიც არ გაბია.

დღეს განსაკუთრებული ცოდნა და ენერჯია გამოამჟღავნა ჩვენმა მაესტრომ (ეტყობა სტუმარს აწონებდა თავს, თუმცა, ცოტა არ იყოს, ჩემს თვალშიც გაიზარდა) და მოცარტი რომ ჩავაბუღებულეთ, გაცვათავისუფლა.

მაესტრო და ჩელა ერთად წავიდნენ. ყველანი გაიკრიფნენ. მე, როგორც უკანასკნელი ვიოლინო, ბოლოს გამოვედი.

ჩვენი შენობა მოთავსებულია ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკის ბოლოში. პარკი საკმაოდ დიდია და ქალაქის ხმაური ნაკლებად აღწევს. ყოველთვის ვცდილობ, რომ ჩამოვრჩე ჩემს კოლეგებს, მარტო დავრჩე და ხარბად ვისუნთქო პარკის სუფთა ჰაერი.

პარკიდან რომ გამოვდივარ, მარჯვნივ ხიდს ავუყვები ხოლმე. მარცხნივ სპორტული მაღაზიაა. რაღაც მინდოდა და ვერ ვიხსენებ. ჰო, გორგოლაჭები. შევედი და ვიკითხე, მაგრამ არ აღმოაჩნდათ. შემპირდნენ, მეორე კვირას გამოიარე და გვექნებაო.

მოხუცი მამიდა მყავს, პარალიზებული. არაფერი აწუხებს გარდა იმისა, რომ ვერ დადის. თავის დროზე ბევრი ურბენია ლუკმაპურისათვის. გვიან გათხოვდა პეტროვიჩზე. ერთად მუშაობდნენ ქალაქის საბჭოში და ბინებს ანაწილებდნენ. თვითონ კი სარდაფში ცხოვრობდნენ.

სასაცილოდ პატიოსნები იყვნენ.

მერე პეტროვიჩი გალოთდა და მა-

მიდაჩემიც, როგორც გოგოს, ისე უფხანდა ხოლმე ზურგსა და მუცელს მამიდამ არ მიატოვა პეტროვიჩი, თუმცა ყველა უჩიჩინებდა — მაგ ლოთს რაზე აკლავ თავსო. მაინც მიაკლა თავი.

პეტროვიჩმა მიაბარა სული უფალს, და დარჩა მამიდაჩემი ღვთის ანაბარა.

ბოლოს ღმერთმა პატივი სცა, მიუგზავნა მაჭანკლები და გაათხოვა „პარალიზზე“ — გეყოფა სირბილი და მუშაობა, ახლა დაჯექი და დაისვენე, დღეიდან „პარალიჩი“ მოგივლისო.

„პარალიჩმა“ ერთი თვის თავზე მიატოვა მამიდაჩემი. მაგრამ ვავიდა ერთი წელი და ხელმეორედ მოვევლინა. ამჯერად ბატონი „პარალიჩი“ ძალიან ექვიანი გამოდგა. უმისოდ ნაბიჯს არსად ადგმევინებს.

ახლა მამიდა ჩვენთან ცხოვრობს და „პარალიჩიც“ თან ახლავს.

მინდა, როგორმე, ცოტა ხნით მაინც გამოვსტაცო მამიდა საზიზღარ „პარალიჩს“ და ბავშვივით გავანავარდო ჩვენს გრძელ აივანზე გორგოლაჭების დახმარებით.

გორგოლაჭები არ აღმოაჩნდათ, სამაგიეროდ დამპირდნენ — მეორე კვირას გამოიარე და გვექნებაო.

ეზოს კარებში მეზობლის ძალი „ბელკა“ შემომეგება. კუპრივით შავია, მაგრამ რატომღაც „ბელკა“ ჰქვია. ეტყობა, პატრონის ღრმა ჩანაფიქრია. „ბელკას“ უცნაური ჩვევა აქვს: ტუალეტი რომ მოუნდება, ჩვენთან გამობის, წაგვიბღწავს ეზოს, კატებს და აფრთხობს და გაბრუნდება.

მოდი და ძალღს ელაპარაკე.

სადილად თევზი ვჭამე და, ისედაც სიტყვაძუნწი, მთლად დავმუნჯდი. უაზრო შეკითხვებს ვერ ვიტან.

— სად იყავი? — შეკითხება მამიდა.

ძალიან კარგად იცის, სადაც ვიყავი, მაგრამ მაინც შეკითხება. უნდა, რომ ლაპარაკში გამომიწვიოს.

შუბლშეკრული ვპასუხობ. საუბრის დაწყებას ვერ ბედავს. იცის, არ აყვები. საცოდავი, მთელი დღე კაჭკაჭს

ელაპარაკება და ხანდახან ადამიანური სიტყვაც ენატრება. ვიცი, რომ ცუდად ვიქცევი, მაგრამ რა ვქნა, ჩემი საფიქრალი მაქვს. მაინც რა ჰქუაზე ვიყავი გუშინ, ის ტუტუცი გოგო რომ სახლში მომყავდა, ცოლად უნდა შევიერთო-შეთქი, ნიკო რომ არა, ნამდვილად დავილუბებოდი. მაინც, რას არ ჩაიდენს მთვრალი კაცი? არა, საბოლოოდ უნდა შევეშვა სასმელს, ჩემი თავი კი არა, დედაჩემი მეცოდება. დაილია საწყალი ჩემი დარდით. ერთადერთ ხსნას ჩემს დაოჯახებაში ხედავს (დედაჩემს სახეზე მინორული გამა აწერია. რაც თავი მახსოვს, ორი ბემოლი უზის თვალეში: სი ბემოლი და მი ბემოლი).

„შვილო, პატარა ხომ აღარა ხარ, უკვე 28 წლისა გახდი, გენაცვალოს დედა. შენს ცოლშვილსაც მომასწრე და მერე თუნდაც მოგვედე“, — თითქმის ყოველ დღე საგზალივით მატანს.

ცოლ-შვილში ცისფერთვალა ქალსა და მის მსგავს პატარა იებს წარმოვიდგენ ხოლმე; მსიამოვნებს და უაზროდ ვიღიმები. ბავშვობაში მეგონა, ვისაც ცისფერი თვალები ჰქონდა, ყველაფერს ცისფრად ხედავდა და ვნატრობდი — ნეტავი თვალის თხოვება შეიძლებოდა, რომ ერთხელ მაინც სამყარო ცისფრად დამანახა-მეთქი.

ჩემი ოცნება იმ ცხენისკუდიან გოგოს კი არ ჰგავს, ყოველ დღით ხიდთან რომ მხვდება. ჭერ შშვიდად გავლილი არ მინახავს. ან სულ აგვიანდება, ან ნელი სიარული არ ეხერხება.

მეც თითქმის ყოველდღე ვაგვიანებ სასახურში, მაგრამ ნაბიჯს მაინც არ აფუჩქარებ.

დღეს კი, სპორტულ მაღაზიას რომ გავუსწორდი, შემთხვევით ფეხი გადამიბრუნდა, სიმწრის ოფლმა დამასხა; ვიგრძენი როგორ დავკარგე ფერი. ერთი ხუთი წუთი ქათამივით ცალ ფეხზე ვიდექი და სული რომ მოვითქვი ხიდზე გავედი.

შუბერტს უკრავდნენ. მაესტრო მოტრიალდა და მშვიდად შემომხედა. ჩემი მორიგი დავგიანებისას პირველად მიი-

ლო ასეთი მშვიდი სახე ეტყობა. საბოლოოდ გადაწყვიტა, პირველ ნაკვეთს წორებელი ვარ და წამსწისს შექმნა და ჩემთან შესახვედრი ნიღაბი.

შუბერტის მარში შევეუბრეთ. შუა ნაწილში გაგვაჩერა და საკმაოდ დელიკატურად მთხოვა, რომ მეტი ენერჯია დამეხარჯა შუბერტზე.

ხელახლა შევეუბრეთ. მოვიხმე ჩემი ცხენის ძალები და ბღღვრი ავადინე ვიოლინოს. მაესტრო კმაყოფილია.

„ტრიოში“ პირველი ვიოლინო სოლისტობს. დანარჩენები, პიკიკატოს დახმარებით, ცხენების ჭირითის მსგავს აკომპანემენტს ეუყეებთ. აიწყვიტა პირველმა ვიოლინომ და თავის ნებაზე გაინვაარდა. ვერც კი შენიშნა, ტაქტიდან როგორ ამოვარდა, მაესტროს დახმარებით, როგორც იქნა, რამდენიმე ტაქტს ერთბაშად გადაახტა, ბოლოდან მესამე ტაქტში დაგვეწვია და ადგილზე ყველა ერთდროულად მივედით.

პირველმა ვიოლინომ შუბლიდან ოფელი ჩამოიწმინდა და ღრმად ამოისუნთქა. მეტისმეტი ჭირითი მოუვიდა.

მაესტრომ ანტრაქტი გამოაცხადა.

ფანჯარასთან მივედი და სიგარეტს მოვუკიდე. ამ ფანჯრიდან ყოველთვის მამაჩემს ველაპარაკები ხოლმე. ფანჯარა მარცხნივ სტადიონს გადააყურებს, პირდაპირ მთები მოჩანს, მთაზე სასაფლაოა, სასაფლაოზე მამაჩემი... „როგორ მომენატრე, სახლში შესვლა აღარ მინდა, გავლოთდი, გამოუსწორებელი ლოთი ვარ. შენი იმედი, გვარის ერთადერთი გამგრძელებელი, ცოლსაც ვერ ვირთავ. ვინ გამომყვება ლოთს. მკაცრად რომ მზრდიდი, გულქვა ადამიანი მეგონე და ვბრაზობდი. ახლა ვიცი, მძინარეს მკოცნიდი — დედამ მითხრა. ბოლო დროს კი სულ ველარ დამალე შენი გრძნობები, მთლად ბავშვად იქეცი. ბავშვივით ტიროდი და იცინოდი, ზღაპრებს ყვებოდი. გახსოვს, ხუთკუნჭულას ზღაპარი? ერთ კუნჭულში მიჭაჭვული ხუთკუნჭულას ყვებოდი.

შენი ხითხითი მომენატრა, შენი

პროთუზის კაქუნი მომენტრა, შენი სიმძიმე მომენტრა ჩემს მხრებზე“...

მაესტრომ მხარზე ხელი დამადო და გამომარკვია. ყველანი ისხდნენ და დიმილით შემომცქეროდნენ. უხმოდ დავკავე ჩემი ადგილი. ერთხელ კიდევ გაეჯიჩრითეთ და მერე ჰინდემიტზე გადავედი.

მეორე ანტრაქტზე ისევ ფანჯარასთან მივედი, სტადიონს გადავხედე. „ვინ მოთვლის, რამდენჯერ გითამაშია ამ სტადიონზე ფეხბურთი. მერე ოში დაიწყო და ფრონტზე წახვედი, რამდენი რამ გადაგხდა თავს. ცალფეხა დაბრუნდი, ფეხბურთის მხოლოდ ყურებალა შეგეძლო...“

სახლში სიჩუმეა. მარტო კაქვაჭი გაჰყვირის შენს სახელს ხმაილა, თვითელი ჩვენგანი კი ჩუმად გელაპარაკებით.

ნეტა თუ გესმის ჩემი“...

პარკიდან გამოვედი, მარჯვნივ აეუხვიე და შევედქე; მიცვალეზულს მოასვენებდნენ. სპორტულ მალაზიას რომ მიტეხალოვდი, გამყიდველმა დამინახა, ვიტრინაზე მოაკაუნა და რალაყა მანიშნა. გაკვირებული შევედი მალაზიაში. თურმე გორგოლაჭები მიუღიათ და სიხარულით გადმომილაგა. ვიყიდე და სახლში წამოვედი. მოსელისთანავე ამოვაღავე, მივეარდი მამიდას, აზრზე მოსვლა არ დავაცადე და ფეხებზე ამოვაყვი. ძალით წამოვაყენე და აივანზე გავატარე. შიშისაგან უფრო ცუდად ვახდა, გულის ფრიალი დაეწყო. დავსვი თავის ადგილზე და ახლა მე მოვიზომე გორგოლაჭები. გავიქროლე და გამოვიქროლე აივანზე, მერე ოთახებს შემოვექროლე. ისე გამიტაცა ქროლვამ, რომ კონალამ აქროლად ნივთიერებად გადავიქცევი. უცებ, თავში ერთმა აზრმა გამივლვა: „რა იქნება, რომ ყოველ დღით გორგოლაჭებით გავიქროლო სამსახურში? ვისიამოვნებ კიდევ და აღარც დავაგვიანებ. ეგ არის, რომ გიყი ვეგონები ხალხს“. და წარმოვიდგინე ჩემი თავი გორგოლაჭებზე შემდგარი,

ხელში ვიოლინო მიჭირავს და ხიდზე მივექანები. უცებ ამიტყდა ოსტერული სიცილი. დედა და შამიდა სერიოზულად შეწუხდნენ — რამდენი ხანია გაიცინებული არ დავუნახივარ.

გადავწყვიტე, დღეს არსად წავსულიყავი და არ დამელია.

სალამოხანს ჩემმა ამფსონებმა დამირეკეს, მაგრამ არ გავედი.

დღეს ძალიან მომწონს ჩემი თავი. დედა და შამიდაც კარგ გუნებაზე არიან. ამ კარგი დღის აღსანიშნავად ერთად ვივახშმეთ (რაც მამა გარდაცვალა, სუფრასთან ერთად არ ვმსხდარვართ).

ცხენისკუდიანი კვლავ დაოთხილი მირბის. ისევ დამაგვიანდა. რა ვქნა, უკვე ჩვეულებად მექცა. არა, ნამდვილად უნდა გამოვიყენო გორგოლაჭები.

მაესტრომ ბრაზის ნიღაბი აიფარა, საათზე დაიხედა და მკაცრად მითხრა:

— ოცი წუთი დაგვიანე; სჯობდა, საერთოდ არ მოსულყავი. იქაც რომ ასეთი უდისციპლინობა გამოიჩინო, იცოდე, შენი ხელით დაგაწერინებ განცხადებას!

(მაესტროს ბავშვობიდან ვიცნობ. ერთად ვსწავლობდით მუსიკალურ სკოლაში და სოლფეჯიოს მასწავლებელს აბუჩად ვიგდებდით. სწორედ სოლფეჯიოს გაკვეთილზე გამოძერწა თორმეტი ჩიტი და მერე გააფრინა).

— სად იქაც? — გავშტერდი მე.

— აბა, არც კი იცის, რომ გასტროლებზე მივდივართ.

— რა გასტროლებზე, მაესტრო, სად, როდის?

დამაწყნარებელი ძესტი გააკეთა:

— ამის შესახებ მე უკვე ველაპარაკე და ეხლა ხელს ნუ მიშლი. რეპეტიციის შემდეგ გეარკვევ ყველაფერს. აბა, ვივალდის მესამე ნაწილი დადეთ!

საგასტროლო ქალაქის სასტუმროში მოგვათავსეს. მე და ალტი ნომერში ერთად მოვხვდით. დავასწარი ალტს აბაზანაში შესვლა. გრილი მზაბი მივიღე და დავწეკი. მაშინვე ჩამეძინა.

დილით კაქუნმა გამომაღვიძა.

უცებ ვერ მოვეფე გონს, სად ვიმყოფებოდი და რისთვის. კარებში ჩვენი მენეჯერი დგას და საქმიანი იერით მეუბნება:

— მაესტრო ყველას თავის ნომერში გიბარებთ.

მაესტრომ გაგვაცნო დღის განრიგი, კონცერტების რაოდენობა და მშვიდად გვაუწყა, რომ დღეს კოლმეურნეები სათვის რაიონში გასვლითი კონცერტი გვაქვს. არ გვესიამოვნა. ჩასუნთქვით კი ჩავისუნთქეთ ჩრდილოეთის ჰაერი, მაგრამ ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევენ.

ზუსტად ორსაათნახევარი მოვუნდით მგზავრობას. აღმოვჩნდით ტრიალ მინდორში. მინდორის შუაგულში ერთი მოგროშე შენობა იყო, ეგრეთ წოდებული „კანტორა“. შენობის უკან რამოდენიმე კომბაინი უმოქმედოდ იდგა. კანტორას მარცხენა მხრიდან ყრუ კედელი ჩამოუდრიოდა, მიანცადამაინც იმ კედელთან მოგვიწყეს სცენა. მართალია, არ ჩანდა, კედლის იქით რა ხდებოდა, მაგრამ ძროხების ბღავილი ფარდას ხდიდა ამ საიდუმლოს.

კანტორაში ერთი ოთახი გამოგვიყვებს ტანსაცმლის გამოსაცვლელად.

საშინელი სიციხე იდგა. კარგა ნასუქი ბუზები დაფრინავდნენ მთელ არემარეზე. ეტყობოდა, საქონელი რა დღეშიც იქნებოდა.

ორი დიდი სატივრთო მანქანა მოგრიალდა, კოლმეურნეებით სავსე. მაყურებელი ყოყინით შეგვეგება. იმათ კი უხარიათ, — კარგად მოიკალათეს მინდორზე, ზოგი მხარეთქოზე წამოწყვა. ახლა ჩვენა გვითხონ, ფეხზე დგომელა ერთსაათიანი კონცერტი რომ უნდა ჩავეუტაროთ.

როგორც იქნა, ორი სკამი ძლივს იშოვეს ჩელოებისათვის. სიმართლე გითხრათ, ცხოვრებაში პირველად შემშურდა მათი. მაესტრომ მარცხენა ხელით პეპელა გაისწორა, მარჯვენათი ფრაკის ბოლო, შემდეგ ორივე ხელი აღმართა და პირველი აკორდი და ძროხების ბღავილი ერთად გაისმა.

ცინცაძის მინიატურებმა დიდი სენსაციას მოახდინა. შიგადაშინებულ ტანსა და პენდელსაც ვაპარემდით. მართალია, მაყურებელი გულგრილობას იჩენდა მათ მიმართ (ამ დროს ჩვენს ჩაცმულობაზე ხმაშიაღლა მსჯელობდნენ), სამაგიეროდ, კედლის მეორე მხრიდან, ჩამი-ჩუმში არ ისმოდა.

საშინლად დაცხა, სახეზე ოფლი ჩამოგვდის. ბუზები მოსვენებას არ გვაძლევენ. დირიჟორს რა უშავს, ხელებს გამეტებით იჭნევს და ბუზებს იგერიებს.

იმ ღამეს ორკესტრის მთელი შემადგენლობით სასტუმროს ბარში ჩავედით და გვიანობამდე გავერთეთ.

რესტორანს გეგმა შევეუსრულეთ, ორი დღის შემდეგ კი ჯიბეგაფხეკილები ქალაქში დავეხეტებოდით, რომ სადმე მადულარა გვემოვა და საღამოობით სასტუმროს ნომერში ჩაი მიინც დაგველია (გაურკვეველი მიზეზების გამო, კვება ჩვენს ხარჯზე იყო). ჩვენდა ჭირად რესტორანი სასტუმროს შემოსავლეულთან იყო და ისეთი გემრიელი სუნი გამოდიოდა, რომ ცხვირზე ხელმოჭერილები იმ ადგილს სწრაფად ვშორდებოდით. სასტუმროს მეორე მხრიდან საზოგადოებრივი ტუალეტი იდგა და იმ მხარეზეც ცხვირზე ხელმოჭერილები დავდიოდით...

ბოლოს, მე და ალტმა საათი დაეაგირავეთ, ვიყიდეთ კონსერვი, ნახევარი მეტრი ძეხვი და ერთი ბოთლი არაყი. იმ დღეს კონცერტი ბავშვთა კოლონიის იყო დანიშნული.

დირიჟორმა აეტობუსშივე შემატყო, რომ ნასვამი ვიყავი, მაგრამ ვერაფერი ჭამიბედა (იმიტომ, რომ მეც ვეხმარებოდი მაშინ ჩიტების გაფრენაში).

კოლონიის ჭიშკარს ასამდე თმაგადაბოტრილი ბავშვი მოაწყდა. ეზოში რომ შევედით, ჩვენს აეტობუსს ორი ახალგაზრდა ზედახედველი მოუახლოვდა და მცველებად დადგნენ ორივე მხრიდან.

ბავშვები ინტერესით შემოგვაცქეროდნენ. ყველას რუხი ფერის ხალათი

ეცვა და საოცრად დიდი თვალბრქონდათ.

საკმაოდ მოზრდილი დარბაზი ბავშვებით გაივსო. ყოველ ოცეულს თავისი ზედამხედველი ჰყავდა.

როგორც კი დაკვრა დაიწყო, დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

რალაც ცვლილებები ხდება ჩემში. ძალია მემატება, საოცარი ელერადობა ჩამდის ყურში. ერთდროულად მივლის და პირველად ვგრძნობ, რომ ნამდვილად, მთელი არსებით ვუყრავ (ისე არასოდეს უმოქმედია ჰინდემიტს ჩემზე, როგორც იმ დღეს).

ჩემს სხეულში მოთავსებული სითხე რალაცამ გაივსო, ააორთქლა და სადაცაა თვალებიდან წვიმად წამოვა, მაგრამ სასწაულით ვიკავებ თავს, ვცდილობ, არ გავიხედო დარბაზისაკენ, რომ ასობით გაფართოებულ თვალს არ შევხვეთო.

სასმელს ვერ დავებრალებ, პირველად ხომ არ გავდივარ წასვამი კონცერტზე. ჩემს კოლეგებს შევხედე, შევატყვე, ისინიც ჩემს დღეში იყვნენ.

კონცერტი დამთავრდა. დიდხანს ვიდგეით ტაშის გრაილში.

სცენაზე მთავარი ზედამხედველი ამოვიდა. მადლობა გვითხრა კონცერტისათვის და დარბაზს რალაც ანიშნა.

ორივე მხრიდან სცენაზე ამოვიდნენ თმუადაბოტრილი რუხხალათიანი ბავშვები გვირგვინების დიდი თაიგულებით. სათითაოდ მოვიდნენ ჩვენთან და გაუბედავად გამოგვიწოდეს. ერთმა ბიჭმა იმ გვირგვინებით მეჩხერი კბილებით გამიღიმა და ძლივს გასაგონი ხმით მითხრა: მამაჩემიც ვიოლინოზე უყრავდა...

...ეზოს კარებში მეზობლის ძალი „ბელკა“ შემომეგება, კუპრით შავია, მაგრამ მაინც „ბელკა“ ჰქვია...

სახლში ქალბატონი უმანკო დამხვდა.

იშვითად თუ გვესტუმრება ხოლმე ავადმყოფი მამილის სანახავად. არასოდეს ხელცარიელი არ მოდის. ყო-

ველთვის ერთი და იგივე ძღვენი/მოაქვს — ხილი და შამპანური/თავზე ჩალმა აღევს, მაგრამ წმელს/წმელბილი ქალბატონი მაინც მოუჩანს. ეხიანი ცხვირით და სახის მკაცრი ნაკვთებით დანტე ალიგიერს ჰგავს. ფერმკრთალ სახეზე წლოვანებას ვერ ამოიცივ. სიტყვებს სწრაფად, მაგრამ დიდი პაუზებით გამოსთქვამს. თავისივე მოტიანილ შამპანურს ნელ-ნელა წრუპავს და დიდი გატაცებით ყვება თავის ქათმებზე. დრო და დრო მამიდას აძალეებს, გინდა თუ არა, დალიე, მოგიხდებო.

— აი, შამპანური ხომ კაი ღვინოა, მარა შენ ეს მითხარი, პალმის ღვინო თუ დაგიღვია. არა ხომ? ეგრეც ვიცოდო. ოხ, ოცნებადა მაქვს გადამტეული პალმის ღვინისა და კაქტუსის ლუდის დაღვია. იცი შენა, მარტო აფრიკაში რომ მოდის? ერთი აფრიკული წიგნი წავიკითხე და იქ ეწერა, აბა, ამის გულისთვისა აფრიკაში როგორ წავიდე? ოლია, მარტო ღვინო კი არა, შენა აერობიკაც მოგიხდება. ისე გამოკეთდები, ისე რომ...

— რას ამბობ, ჩემო უმანკო, მე მაგდენი სად შემიძლია, ტუალეტში ჩემით ვერ გასულვარ...

— აი, მე ყოველ დღით რო არ ვეარჯიშობდე, აქამდე მოგვკვდებოდი. ეს ჩემი ქათმები კი უპატრონოდ დამჩრჩებოდა.

— ნეტა რად გინდა ეგ ქათმები, იმ ერთ ოთახში როგორ ეტყვი, ან ვის აველევინებ?

— ეგ რა თქვი ოლი, დავკლა როგორ შეიძლება?!

— მაშ რად გინდა? — გაუკვირდა მამიდას.

— ეგ რა თქვი ოლი, — აღშფოთებას ვერ მალავდა უმანკო. — როგორ დაგკლავ შეილივით ნაზარდ ქათმებსა!

— აბა, როდემდე უნდა გყავდეს?

— როდემდე და სანამ თავისი სიყვდილით არ მოკვდებიან. როგორა რა, ცოცხალი არსება მოვკლა, მარტო იმისთვისა, რომ კუჭი ამოვივსო?



— რამდენი ქათამი გყავს?

— ათი ქათამი მყავს სულა; მართალია ცოტა ვიწროთა ვართ, მაგრამ რას ვიზამ, ვერ შეველევი. ამას წინათ განცხადება შევიტანე საბინაო საბჭოში გაფართოებაზე, მაგრამ უარო მითხრეს, არ გეკუთვნისო. როგორა, თერთმეტი სული ერთ ოთახში ვცხოვრობთ და რატო არ მეკუთვნის-მეთქი. ეგ ათი ქათამი იქიდან მოაშორე და შენა ის ერთი ოთახიც კარგად გეყოფათ. მე, გენაცვალე, ქათამს ვერ შეველევი. იმისთანა დედლები მყავს, რომ სულ მიჩვენებია მეზობლის ჭორიკანა დედაკაცებსა. ერთი მამალი მყავს — გლაზო დავარქვი. იმისთანა ამაყია, იმ ესე — აღმატრად რომ გადმოხედავს ხოლმე! უი ქალო, ამას წინათ კინაღამ დამპებლა, ძლივს გადავურჩი. — უმანკომ გულწრფელად გადაიკისკისა. მამიდაჩემმა ისარგებლა ამ სასაცილო მომენტით და პირზე მომდგარი სიცილი სულ გადმოარაკრავა.

უმანკოს წასვლის შემდეგ მამიდა სინანულით იგონებდა მის ახალგაზრდობას, ნიჭსა და სილამაზეს.

ბევრი ვეცადე, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგინე ახალგაზრდა, ნიჭიერი და ლამაზი უმანკო.

1942 წელს, კომპაემირელი უმანკო მოხალისედ წასულა ფრონტზე. გვერდით მოუკლეს ბავშვობის ამხანაგი, ისიც მოხალისე — ლიზიკო. ამ ამბავზე ისტერიკა დაეშართა და ჭკუაზე შეშლილი უმანკო სასწრაფოდ დაბრუნეს შინ.

მილიონჯერ მოსმენილი უმანკოს თავგადასავალი კიდევ ერთხელ მოვისმინე და გასასულელად წამოვდექი იმის შიშით, ვაი თუ ახლა მამიდამ თავისი ახალგაზრდობაც გაიხსენოს-მეთქი.

— აბა ერთი ნახე, გაზეთები ხომ არ მოუტანიათ? — მომამახა მამიდამ. გაზეთებიდან ყველაზე მეტად „თბილისი“ აინტერესებს, განსაკუთრებით გარდაცვლილთა განცხადებები. ყველა განცხადებას ხმამაღლა მაკითხებს და

თუ ვინმე ნაცნობს წააწყდა, ამ დღეს ცუდად არის.

რა ხერხს არ მიეშართეთ მე და დედამ, რომ გაზეთი არ მოეთხოვა. ხან ფოსტალიონს დავაბრალეთ, არ მოიტანაო, ხან სპეციალურად არ გამოვიწერეთ, მაგრამ მამიდამ მაინც თავისი გაიტანა.

ამ განცხადებებით ბავშვობაში უბნის ბიჭები ვერთობოდით ხოლმე. უცნაურ გვარებსა და სახელებს რომ წავაწყდებოდით, სიცილისაგან ერთმანეთს ვეხეთქებოდით. ომობანასაც ვთამაშობდი: ერთმანეთს „გკლავდით“. იმ თამაშისა და უცნაურ გვარებზე მაშინდელი სიცილის გამო უმანკოს და მამიდაჩემის ერთად დანახვისას შემრცხვება ხოლმე.

უკვე ორ თვეზე მეტი გავიდა და ხელფასი ჯერ კიდევ არ მოუციათ. ორკესტრის საქმე ცუდადაა. ქალაქში მყურებელი არა გყავს. გეგმას ვერ ვასრულებთ. არავის სჭირდება ჩვენი კამერული ორკესტრი. ყველას თავისი გასაჭირი ყოფნის.

რაიმე უნდა ვილონო და ცოტა უფრო „სერიოზულ“ საქმეს მოვკიდო ხელი.

ჩემს მეზობელ აწიას ვთხოვე, შეგირდოდ და ავეყვანე. აწიას ჯერ ხუმრობა ეგონა, მაგრამ რომ დარწმუნდა ჩემი გადაწყვეტილების სერიოზულობაში, დილისათვის დამიბარა.

— ეგრე არა ბიჭო, მარჯვენა ხელში ქაფჩა მაგრად ჩაბლუჯე, მაჯა მოადუნე, მერე მთელი ძალით შეაახი და მაშინათვე მარცხენა ხელით მაღა შეაშველე. დაძაბული ნუ ხარ!..

გამახსენდა ვიოლინოს პირველი გაკვეთილები:

— ხემი თითებში კარგად დაიჭირე, მაჯა მოადუნე, მარჯვენა ხელს ყურადღება მიაქციე, ხემი თავისუფლად გაატარე სიმებზე, დაძაბული ნუ ხარ, არ ვარგა!

— არ ვარგა! წინ იყურე, მარცხენა ხელი მზად უნდა გქონდეს, ბიჭო, დრო-

ზე მიაშველე, რო რასტვორი არ ჩამოგეშალოს.

— ორივე ხელს მიაქციე ყურადღება, მარჯვენას რომ ბოლომდე გაშლი, მარცხენაში თითი უკვე უნდა გამოცვალო. ითვალე ზუსტად, წინ — ნოტებს უყურე. რას შერები, ბიჭო, მანდ ხომ პაუზაა, დაიხსომე ერთხელ და სამუდამოდ, რომ პაუზის დროს ვისვენებთ, არ ვუკრავთ — გაიგე?..

— აქსენტ ივანიჩი! თქვენთან პაუზები არ არის?

— რა პაუზები, ბიჭო! — გაშტერებულმა შემომხედა აწიამ.

მე გაშეცინა და ვუთხარი, რომ დავილაღე და დასვენება მინდა.

— ორი ვედრო რასტვორი კიდევ მოიტანე და მერე დავისვენოთ.

ერთ კვირაში ავითვისე მღვსავ-მებათქაშის პროდესია. ისე მარჯვედ ვხმარობდი მარჯვენა და მარცხენა ხელს, რომ ამ საქმეში კიამოჭრილ აწიასაც კი ვკობნიდი.

— ეგრე რა, შე კაი კაცო, ძლივს კაცს არ დაემგვანე? აფსუსს, შენი ჭანის პატრონი რაზე ცდებოდი? მეუბნება აწია.

ორკესტრის არსებობა დავივიწყე. მანსტროს თურმე ჩემი საკავშირო ძეგნა გამოუცხადებია. სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ქალაქში კონცერტი დაუნიშნავს.

მინც მიპოვნეს. მეც ვერ ვუღალატე კოლექტივს და რემონტების პარალელურად ისევ დავიწყე რეპეტიციებზე სიარული.

უკვე ზეპირად ვიცი, ვინ მოვა ჩვენს კონცერტზე და სად დეჟდება. ვიცი, ვინ და როდის დაიძახებს „ბრაეო“-ს.

სეზონის გახსნის დღეც დადგა. შუა რიგში „ელიტის“ წარმომადგენელნი სხედან.

კონცერტი გახსნა და სიტყვით გამოვიდა მუსიკის, ლიტერატურის, ხელოვნების, ერთი სიტყვით, ყველაფრისმცოდნე ქალბატონი.

განსაკუთრებით ბევრი ილაპარაკა ჩვენს სავასტროლო მოგზაურობაზე

და მის ბრწყინვალე შედეგებზე. ორკესტრის დამაარსებელ ზეპირმოცხადებულ ხელმძღვანელსა და მისი ბოლოს ჩვენს რეპერტუარზე.

ერთი სიტყვით, იმდენი ილაპარაკა, რომ ყელში მობჭენილი ჩვენი შავი პეპლები სიცილით იბოღდნენ.

ბოლოს „რევერანსი“ გააკეთა და ფრთებგაშლილ პეპელასავით გაფარფატდა კულისებში.

პირველ ნომრად გამოაცხადეს ყველაფრისმცოდნე ქალის მუსიკალური ნაწარმოები: „სადღესასწაულო უვერტიურა“.

მანსტრომ ხელი აიქნია... და მაშინვე გაისმა ალტაცებული „ბრაეო“, ცალი თვალით გავიბედე დარბაზში. შუა რიგში მყურებელი არ ცხრებოდა.

ჩემმა მეგობარმა ალტმა ველარ გაუძღო „სადღესასწაულო უვერტიურა“-დან სამწუხარო დისონანსების შემოტევის და გულსაკლავი ხმით ჩამჩურჩულა: „— აი, ამას ჰქვია, „დანაშაული და სასჯელი“. მოკლე პაუზა მქონდა და ჩახიხითება ვერ მოვასწარი.

კონცერტის დამთავრებისთანავე, ბატონი „ბრაეო“ მოსაცდელ ოთახში შემოვიარადა:

— შესანიშნავია, შესანიშნავი! ჩვენ გადავწყვიტეთ...

— ვინ თქვენ? — შეაწყვეტინა მანსტრომ.

—...ჩვენ... შუა რიგონებმა გადავწყვიტეთ, ქალაქის გადმოსახედეზე დაგაყენოთ, რათა იქიდან ხალხს უდირიგოროთ.

— კი მაგრამ, რატომ?

— იმიტომ, რომ დისციპლინა თავის სიმალღეზე არ დგას და თქვენ უნდა დაგვეხმაროთ.

— ჰმ... მე რა შუაში ვარ? — დინტერესდა მანსტრომ.

— როგორ თუ რა შუაში ხართ! ერთი ხელის აქნევით თუ მთელ ორკესტრს იმორჩილებთ, ორივე ხელი რომ აიქნით, ნახევარი ქალაქი მინც არ დაგემორჩილებათ?

მეისტროს სახე გაებადრა, მაგრამ ჯიუტად კუმავდა ტუჩებს. მარცხენა წარბს, რაც შეეძლო მალა სწევდა, რომ მისი განცდები არავის შეემჩნია.

კონცერტის შემდეგ, დებიუტის წარმატებისგან სიხარულით გაბრუნებულმა ყველაფერს მცოდნე ქალმა დირიჟორთან ხელშეკრულება დადო და საჩაროდ გვაუწყა:

— მე თქვენი ორკესტრისათვის დავწერ ოთხნაწილიან სიმფონიას, ორიგინალური გადაწყვეტით! ჩონჩხი უკვე მზადა მაქვს.

ამაყ გამომეტყველებას მოაზროვნის იერიც მიუმატა და თავისსავე ჩონჩხში გაიბლანდა.

განდიდების მანიით შეპყრობილმა დირიჟორმა ორკესტრი დაივიწყა. დილიდან საღამომდე ქალაქის გადმოსახედ დაღმართზე იღვა და ქალაქს დირიჟორობდა. თუმცა, დაღმართს რომ იტყოდა, სწყინდა, — დაღმართი კი არა, აღმართია.

ამ დაღმართზე ყოველ შაბათ-კვირას ნახირი ჩამოჰყავდათ მთიდან ბაზარში გასაყიდად. დირიჟორს არ ებიტნაგებოდა ნახირის ფონზე მუშაობა, მაგრამ რას იზამდა, შუა რიგოსნების რჩეული იყო.

ერთ მშვენიერ დღეს მთიდან მოშავალ ნახირს შავი ბულა გამოეყო და ქალაქის გადმოსახედზე მდგარ დირიჟორს შეუტია. მეისტრომ მშვიდად დირიჟორობდა და ვერ ხედავდა, თუ რა ხდებოდა მის ზურგს უკან.

გონებაზე მხოლოდ საავადმყოფოში მოვიდა. „გამოჯანმრთელებულმა“ დირიჟორმა ხელი ჩაიქნია, პეპელა მოიხსნა, ფრაკი გაიხადა, სახლში ჩაიკეტა და ქალარის თვლას შეუდგა.

აკი ვამბობდი, დაღმართია მეთქი.

თბილისიდან მოწვეული მუსიკოსები შინ დაბრუნდნენ.

აღტმა მუსიკალურ სკოლაში პიანინოების ამწყობად დაიწყო მუშაობა. სამუშაო არ ელეოდა. ერთი ინსტრუმენტის ასწყობ ნაწილებს მეორე ინსტრუმენტიდან სესხულობდა. მალე

სახელი გაითქვა როგორც საუკეთესო ამწყობმა და კერძო შეკრებებს ვეღარ აუდიოდა. დღეში ხუთთუთმნიანი გახდა.

მეორე ვიოლინო თეატრის ორკესტრში წავიდა, მაგრამ მალე თეატრის ორკესტრიც დახურეს: „თქვენზე უკეთ მაგნიტოფონი, ან ელექტროფონი დაუკრავსო“ და ყურებჩამოყრილი მეორე ვიოლინო ქალაქის აქტიური „ბირჟავიკი“ გახდა.

კონტრბასმაც იპოვა თავის ადგილი საესტრადო ანსამბლში — ბას გიტარაზე დამკვრელად.

პირველმა ვიოლინომ კვალიფიკაციის კურსები გაიარა, სოლო გიტარაზე დაკრა ისწავლა და მექორწილე მუსიკოსებს შეუერთდა. ისიც ხუთთუთმნიანი გახდა.

მეც სიამოვნებით გავყვებოდი პირველ ვიოლინოს, მაგრამ დაკვრას ვეღარ ვახერხებდი. რემონტების დროს სამუდამოდ დავისახიჩრე მარჯვენა ხელი.

მომწყინდა მღვსაე-მებათქაშის პროფესია. მართალია, წელი ცოტა მოვიმაგრე, მაგრამ მივხვდი, რომ დიდხანს ვერ გავუძლებდი.

ვიოლინოზე დაკვრა მომენატრა. ასეთი მოზღვავებული სურვილი დაკვრისა არასოდეს მქონია. დაშახინებული ხელით თითოეულ ბგერაზე საათობით ვმუშაობდი. ყველანაირი შტრიხი დავამუშავე და შედეგით აღტაცებულმა იმ თვეში უკვე ოცდამეათედ არ დავლიე.

ცხენისკუდიანი ხილთან შემხვდა. ძლივს ვიცანი, თმა გაეშალა და ფეხმძიმედ მოდიოდა.

რატომღაც გული დამიმძინდა, — ამანაც კი მოახერხა რალაციის შეცვლა.

ხილის მოაჯირს გადავეყუდე. დიდხანს ვიდექი ასე. ლიახვს თვალი გავაყოლე და თბილისამდე ჩავყევი. ვიბორიალე თბილისის ქუჩებში. ბოლოს უკან დავბრუნდი.

უკვებ მეისტრო გამომეტყვობდა, ცხვირწინ დამიჯდა, ჩანთიდან ნიღბების დასტა ამოიღო და ყველა ერთბა-

შად მიიფარა სახეზე. მერე დიდი სისწრაფით დაიწყო სახილნ მათი სათითაოდ მოშორება. ბოლოს გაბრაზების ნიღაბი დაიტოვა, მაჯის საათზე დაიხედა და თითით კაქუნი დაუწყო. წუთებს მითვლის.

ორკესტრი ლოკატელიდან მძიმე როკში გადავარდა.

პირველი ვიოლინო გიტარაზე გამწარებული უკრავს, მთავარი თემა დაითრია და ახუტუტუებს. არავინ ეხვეწება, მაგრამ მაინც სოლისტობს.

მესტრო აცაქუნებს, სახეს იკმუნხის და მეუბნება: — „სჯობდა საერთოდ არ მოსულიყავი“ — მეც კი ვიცი, რომ სჯობდა საერთოდ არ მოვსულიყავი. სისხლი ამიდუღდა, თავში ჩაქუჩებს მირტყამენ. ძარღვები დამებერა, საცაა დასკდება და სისხლი გზას იბოვის. ვგრძნობ, როგორ ვიცილები სისხლისაგან. მენანება ასე უდიერად რომ ვეჭყევი მამა-პაპათა სისხლს, რომელიც დიდი გრძნობით გადმომილოცეს გვარის ერთადერთ გამგრძელებელს.

არ გარდავცვილივარ, მე მოვკვდი. აქვე ძღერს ყველაფრისმცოდნე კომპოზიტორი ქალის ოთხნაწილიანი სიმფონია ორიგინალური გადაწყვეტით.

ღმერთო ჩემო, რას ველირსე? ხელში აყვანილი გამატარეს ჩემს საყვარელ ხილზე.

ცხენისკუდიანს შვილი გაუჩენია, ფეხმსუბუქად და ხელმძიმედ არის, მაგრამ კვლავ დაოთხილი მირბის, ოღნა-

ვადაც არ შეუწელებია ნაბიჯი. ვერც გამტყუნებ. ამ ხილზე თითქმის ყოველ დღე მიცვალებულს შიასწვენებენ და ყველას პატივსაცემად თუ გაჩერდა, ცხოვრების რიტმიდან ამოვარდება.

მესტრო სიტყვით გამოვიდა და იმდენი მაქო, რომ ისედაც გაშეშებული, გაოცებოსაგან უარესად გავშეშდი. თურმე ისეთი კარგი ვყოფილვარ, დროზე რომ მცოდნოდა, თავს ნამდვილად არ მოვიცლავდი.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიქნებოდი ასე გახევებული, მოაჯირზე გადაყუდებულს მარჯვენა თეძოზე მსუბუქი დარტყმა რომ არ მეგრძნო. ცხენისკუდიანმა ბოდნიში მომჩხადა და გავისქნევით ჩამიქროლა.

ქეშმარიტად სჭირდება ჩემს ქალაქს დირიჟორი და ორკესტრი. ოღონდ ქეშმარიტი დირიჟორი და ქეშმარიტი ორკესტრი. ცოცხლებსაც სჭირდებათ, მკვდრებსაც. ამ აღმართზე მიცვალებულები აპყავთ. დაღმართზე კი ჭირისუფლები ჩამოდიან. მე ორივე ვარ — აღმართიც და დაღმართიც. ახლა შუა ხილზე ვარ გაჩერებული და ლიხვს ჩავეურებ, რადგან ანტრავტი მაქვს. ლიხვი კი მიედინება უსასრულოდ, გამუდმებით, უანტრავტოდ.

საკუთარი სიკვდილის ერთადერთმა მოწმემ აცახცახებულ ხელებს თითქოს პირველად შევხედე და ქალაქის გადმოსახედეზე ასასველელ აღმართს შევუდექი.

## ბარიელ ჯანბურია

# წიგნიდან: ბალიში—უბატომო ზონა

• • •

ასჯერ ჯარით შეესევვი,  
ასჯერ მიუხტებდი,  
რად მარცხდებოდა,  
რად იმარჯვებდა —  
ვერას მიუხვდებდი!

ტიუტჩევი? — რა თქმა უნდა! —  
მართალია ცამდე:  
საქართველოს — ვერ გაუგებ,  
იგი — უნდა გვამდეს!

## სტოპ-სიგნალი

ძმა ძმას აღარ ძმობს და  
და დას აღარ დობს!  
ხელი ეძებს დანას!  
ხელი ეძებს თოფს!  
ხელი ეძებს დანას!  
ხელი ეძებს თოფს!  
სტოპ! საწყალო ჰომო!  
სდექ! შეჩერდი! სტოპ!

ათასნაირ დანას,  
ათასნაირ თოფს  
აგროვებს და ამას  
ეძახიან: ჰომოს!  
ყველაზე კარგ დანას,  
ყველაზე კარგ თოფს  
სუყველაზე ცუდი  
ის კონა ჯობს!

სურთ, პარიზი ერთ დღეს  
დაემგვანოს სტებს!  
სურთ, თბილისიც ერთ დღეს  
დაემგვანოს სტებს!

ემუქრება წარღვნა  
მთლად ადამის ტომს!  
სტოპ! საწყალო ჰომო!  
სდექ! შეჩერდი! სტოპ!

რომ ლონდონიც ერთ დღეს  
დაემგვანოს სტებს,  
აფეთქებენ რწმენას —  
ატარებენ ცდებს...  
შე სწავლულო მკვლელი,  
ბოროტო მასტო,  
შვილს რას ერჩი საკუთარს! —  
სტოპ! შეჩერდი! სტოპ!

ვითომ ახალგაზრდა ხარ —  
ვერ ახალგაზრდობ,  
არც არავინ გენდობა,  
ვერც ვერავის ნდობ!  
ხალხისთვისო — ნუ სტყუი,  
ნუ აფერისტობ!  
სანამ დროა, გონს მოდი!  
სდექ, რეგვენო! სტოპ!



დილა — უმოცარტოდ?  
 ღამე — ულისტოდ...  
 ემუქრება ხანძარი  
 რუსთაველის ტაემს!

ემუქრება სიკვდილი  
 სერვანტესის ტაემს!  
 უგუნურო, შეჩერდი!  
 სტოპ!  
 სტოპ!

3.000 000

ბაგე — სამი მილიონი!  
 სიტყვა — მხოლოდ ერთი! —  
 მეც ასეთი საქართველო  
 მენატრება, ქეთი!

ტვინი — სამი მილიონი!  
 აზრი — მხოლოდ ერთი! —  
 მეც ასეთი საქართველო  
 მელანდება, ქეთი!

ფიქრი — სამი მილიონი!  
 ოცნება კი — ერთი! —

არაფერი საქართველოს  
 არ სჭირდება მეტი!

თუნდ თავები ვაკანტუროთ!  
 ოლონდ — ყველამ ერთად!  
 საქართველო გავიხადოთ  
 ჩვენს მეორე ღმერთად!

ერთ კაცად და ერთ სურვილად  
 ქცევის უამი დადგა!  
 ჩვენც — მოვძებნოთ საქართველო:  
 ის აქვეა სადღაც!

• • •

თუ მართლა ფიქრობს ვინმე,  
 თითქო ის ცელი ცვლება,  
 ამ იმედთან ფიქრში  
 ის ამხანაგი ცდება!

რასაც სიცოცხლე ამღვრევს,  
 მხოლოდ სიკვდილით წდება!

არ დაწდებაო ჩემი —  
 თუ ვინმე ფიქრობს — ცდება!

სითბოც, და სუსხიც მისი —  
 ყველას თანაბრად გვწვდება!  
 ...მაგრამ ათასში ერთხელ  
 იქნებ თვით ღმერთიც ცდება...

• • •

მიყვარს ქართულად.  
 მძულს ქართულად.  
 ეწუხვარ ქართულად.  
 ვმღერი ქართულად! — მადლობა ღმერთს —  
 ნებადართულად  
 შენსი მქონია, არ მომირთხამს  
 ფეხი თათრულად! —  
 ვზივარ და ფეხი ფეხზე მიდევს —  
 ესეც — ქართულად!

თარგმნეთ რუსულად! კი ბატონო!—თარგმნეთ ფრანგულად!  
 მაგრამ მე მიყვარს,  
 მე მძულს,  
 მე მწამს,  
 მე ვწერ — ქართულად!  
 ქართულად, დიახ! მას მერე კი, როგორც მამბრალეზთ:  
 პაროდულად!  
 ირონიით!  
 ავანგარდულად...

• • •

ვეშერ გაცეხული შენს ღვთაებრივ აქციებს:  
 წყალი — ღვინოდ,  
 ქვა -- პურად,  
 დარდი — ლხინად აქციე...

ვეშერ ალტაცებული შენს ღვთაებრივ აქციებს:  
 ცელი უდაბნოს წალკოტით — ახარებ აქაც იებს...

ვეშერ გაკვირვებული შენს ღვთაებრივ აქციებს:  
 გადარჩენილ ძელქვებს და გაფოთლილ აკაციებს...

რაკი ყოვლისშემძლე ხარ, თუ ამდენი შეძელი,  
 ბარემ ღღონტის ობოლსაც მიე ერთი ღვეძელი...

ალარც მამა დაბრუნდა. ალარც ყური მოურჩა.  
 დახეული ჩუსტიდან თითი ისევ მოუჩანს...

...ვეშერ დაღონებული შენს ღვთაებრივ აქციებს:  
 ღვინო — ცრემლად,  
 გული — ქვად,  
 ფიქრი — შხამად აქციე...

## გაჯაგა, როგორც ასეთი

გ. ს.

მსუბუქ ცხოვრებას ეწვევი:  
 არშიყოზ, სვამ და ეწვევი;  
 მეუღლის უღელს, ცხადია,  
 შენც უხალისოდ ეწვევი:

ვინც უკან დარჩა, ნაღვლობ-და  
 ვინც წინ გაგისწრო, ეწვევი;  
 თუ საქმე ასე გაგრძელდა,  
 ბედს უსათუოდ ეწვევი!



საქართველოს  
წერის-ბეჭდვის  
კავშირთა კავშირი

## სტიქარდენას სიმღერა

ჩვენ ვართ ცის კუნწეროზე  
გარჩენილი ვაშლები!  
ცაზე დაორთქილები —  
ცას შინაზე ვაშრებით!  
თვითონ ღმერთმა მაღალმა  
დაგვაკისრა ეს როლი:  
კაცს თუ კაცის მოკვლა სურს,  
ჯერ ცისფერ ქალს ესროლის...  
ასე ვკვდებით პეპლები  
და სტიქარდესები!  
ჩვენი კავალერები —  
უშიშარი ასები!  
ასსამოცი ვაჟკაცი —  
დაბმულები ქაშრებით!  
თვითონ ჩვენ — დაბმულები  
აშეებული ქმრებით!  
დაფლეთილი ღრუბელი  
სისხლისაგან იცლება!

...მაგრამ რა ვქნათ, მოწვევებზე  
თუკი არ შეიძლება!  
წელზე შემოხვეული  
ღრუბლის თეთრი შალებით —  
ჩვენ ვართ ულამაზესი  
და უმწეო ქალები!  
ბორტს გადაღმა — ყინვა,  
გულში — ცეცხლი ბრიალებს!  
თქვენ რას ეტყვით კომპლიმენტს  
ცისფერთავსაფრიანებს!  
ვეგულებით ზოგზოგებს  
უსათუოდ ბარდელში...  
ასეთია, რას იზამ —  
ბედი სტიქარდესის...  
ჩვენ კი სხვა ვართ — კუნწეროს  
გარჩენილი ვაშლები!  
ცაზე დაორთქილები —  
მინას ცისფრად ვაშრებით...

## ტირად კიპარნატიკის თამაზე

— გარდაიცვალა ჭკვიანი მანქანა „აპოლონი“ —  
გამოაცხადებს ერთ მშვენიერ დღეს  
ჭკვიანი მანქანა „ჰეფესტო“,  
მაგრამ მის ხმაში არ იქნება სევდა:  
სევდა — ადამიანის პრივილეგია!

ჭკვიანია ჭკვიანი მანქანა!  
ლონიერია ჭკვიანი მანქანა!  
მარჯვეა ჭკვიანი მანქანა!  
მაგრამ ჭკვიანი მანქანა  
ვერასდროს შეიყვარებს ჭკვიან მანქანას:  
სიყვარული — ადამიანის პრივილეგია!

ჭკვიანი მანქანა შეიძლება შეესწროს  
ჭკვიანი მანქანის აღსასრულს,  
მაგრამ ჭკვიან მანქანას  
ჭკვიანი მანქანის სიკვდილზე  
არ მოერევა ცრემლი:  
ცრემლი — ადამიანის პრივილეგია!

რომ გაიხსენოს კიდევ ბავშვობა,  
საცობის ხე და ანწლის ჭალები,





არაფერი დაენანება:

სინანული — ადამიანის პრივილეგიაა!

ჭკვიან მანქანას ეყოფა ჭკუა,  
პაპიროსი მოსწიოს ერთ დღეს,  
მაგრამ კიბო არ გაუჩნდება:

კიბოც და ჭლექიც — ადამიანის პრივილეგიაა!

ჭკვიან მანქანას შეუძლია,  
ჭკვიან მანქანას  
ანეკდოტი უამბოს კარგი,  
მაგრამ მსმენელი განა ჩვენსავეთ  
სიცილისაგან ჩაბეირდება:

სიცილი — ადამიანის პრივილეგიაა!

— გარდაიცვალა ჭკვიანი მანქანა „აპოლონი!“ —  
იტყვის ერთ მშვენიერ დღეს ადამიანი,  
და არც მის ხმაში იქნება სევდა! —  
ჭკუაც, ბოლოს და ბოლოს,  
ადამიანის პრივილეგიაა!

• • •

ბანდა ვაჟკაცს ქალი ფეხს.  
ეცვა ვაჟკაცს გალიფე.  
ამ დროს, უცებ, სტუმარი:  
— აქეთ, აქეთ, ზალისკენ!

ის ვაჟკაცი ხმაურზე  
წაეტანა მაუზერს...  
(გაეღვიძა აკვანში  
ჩვილს ამ აურზაურზე).

ნელა-ნელა კარგავდა  
ის საწყალი ქალი ფერს!

ზე წამოდგა ვაჟკაცი,  
დაიბერტყა გალიფე...

ფანჯარასთან, ზალაში,  
თხილს ამტვრევდა სტუმარი...  
კიბეს ჩაჰყვა ჩურჩულით  
ვაჟკაცი იღუმალი...

...თითქოს ახლაც ვხედავდე  
ლიმილს ოჭროს კბილიანს  
და თითოს, ტუჩთან მიტანილს...  
ყრმობის ხსოვნა ტკბილია...

## ტავბი

უფროსი დაი გქვია შენ ჩემი —  
სულ ერთი წლით ხარ უფროსი, და მინც —  
უფროსი დაი ხარ შენ ჩემი.  
ათასი წელი გავიდეს,  
შენ სულ უფროსი დაი იქნები ჩემი.



ათასი წელი გავიდა თითქოს მას მერე,  
თითქოს კი არა, ათასი წელი გავიდა  
მას მერე!

ჩვენ სტუდენტები ვართ:

შენ — აღმოსავლეთმცოდნე,

მე — ეურნალისტი.

მიკვირს, უკუღმა რომ წერ,

უკუღმა რომ კითხულობ.

სიცილით მაშვნიღებ დამწყებ პოეტს:

ბოლოს და ბოლოს, შენც უკუღმა წერ და კითხულობ,

პოეტები, ყველანი, უკუღმა წერთ და კითხულობთო!

ნათესაეის ოჯახს ვართ შეკედლებულები —

კეთილმა ხალხმა შეიბიზნა ორი სტუდენტი,

დედის ხელსა და მამის თვალს მოკლებული და-ძმა:

ერთი — აღმოსავლეთმცოდნე (არაბი),

მეორე — ეურნალისტი (პოეტი).

ცივა თბილისში.

გაყინულა სოლოლაკის წყნარი ქუჩები.

ბიჭები ციგით უშვებიან ფერდობებიდან,

და მათს ყიფინზე უფრო მძაფრად ვგრძნობთ,

როგორ ცივა ჩვენს ერთი ბეწო ოთახში —

არ თბება ნათესაეების სახლი,

არ თბება ჩვენი სორო.

გაზქურა მარტო კვამლსა და მჭვარტლს უმატებს ოთახს.

სტიპენდიით ერთი მალალი, განიერი ტაშტი იყიდვ.

წყალს აადუღებ ჩაიდნით.

მერე, ძილის წინ, ტაშტს მიუსხდება და-ძმა.

ცხელ წყალში ჩაყვრით ფეხებს.

ვიხსენებთ სოფელს.

დედ-მამას.

უმცროს დას.

მეზობლებს.

ლელვებს.

საივანობო მსხალს.

ჭიბლაძის ქალაბს.

ჩვენი სოფლის საამაყო სიძეს—

ანდრია ბალანჩივაძეს.

მის ამერიკელ ძმას —

ჯორჯ ბალანჩინს.

ამიკოს — ჩვენს ძმაკაცს.

მეგობრებს.

თამაშობებს.

გასვენებებს.

ფეხები ცხელ წყალში გვიწყვია და

არ არსებობს ამაზე დიდი ნეტარება —

ეთბებით და იმედით ვივსებით.

შენ ჩაიდანნი გვერდით გიდგას —

ტაშტში დროდადრო მდულარეს უმატებ.

ფეხები გვიწითლდება,  
ტერფები გვესუსხება.  
დროდადრო, როცა ცხელ წყალს დაუმატებ,  
წამით ფეხებს ვიღებთ ტაშტიდან,  
და ნელნელა ვეჩვევით ტაშტის ქვეყანას —  
თბილს,  
ფიქრიანს,  
წარსულით სავსეს...

მთავრდება ფეხის ბანა —  
ბიბლიურ ფეხის ბანასავით უნეტარესი.  
პოეტი უფრო ადრე წვება.  
აღმოსავლეთმცოდნეს კი კიდევ აქვს საქმე:  
ტაშტიდან წყალი უნდა გადაღვაროს,  
ტაშტი გარეცხოს და შეინახოს —  
ხვალ კიდევ უფრო ეციება!  
და ხვალაც შესრულდება ძილის წინ ეს რიტუალი:  
ტაშტში ფეხებს ჩავერით, ერთმანეთის პირისპირ მსხდარნი.  
შენ ჩაიღანი გედგმება გვერდით,  
თანდათან, ნელნელა დაუმატებ ტაშტში მღულარეს!  
და ჩვენ ვფიქრობთ:  
წარსულზე,  
უფრო კი მომავალზე,  
იმაზე, რომ გავა წლები და ჩვენ დავბრუნდებით...

გიყურებ, და ვფიქრობ გოგოზე,  
შენს მაგიერ რომ შეიძლება იჯდეს აქ,  
ჩემს წინ...  
მიყურებ, და შენც აღბათ ფიქრობ ბიჭზე,  
ჩემს მაგიერ რომ შეიძლება იჯდეს აქ,  
შენს წინ...  
ლამაზი გოგო ხარ შენ, ჩემი უფროსი დაი.  
ნეტა, რა აზრისაა ის ბიჭი,  
ჩემს მაგიერ რომ შეიძლება იჯდეს აქ, შენს წინ...  
ლამაზი გეჩვენები შენ მეც, საყვარელი ძმა!  
ნეტა, რა აზრისაა ის გოგო,  
შენს მაგიერ რომ შეიძლება იჯდეს აქ, ჩემს წინ...  
არა, ვერა ვართ ჩვენ ამაში გულახდილები...  
შენ ისევ უმატებ ტაშტში მღულარეს...

...იმ ტაშტის სითბო ეყოფოდა გათოშილ ციმბირს!

## „დუბლინელები“

მოთხრობა

— დუბლინს ავთვისებიანი სიმსივნე სჭირს, — თქვა მამაო ფლინმა და სევდიანად გახედა საავდრო ღრუბელს. — მცირე ერი, როგორი თავდაცვისუნარიანობითაც არ უნდა გამოირჩეოდეს, თუ შეწყვეტს დაპყრობით ომებს, ვერ ჩაითვლება შემოარ ერად, ვერ გაძლიერდება, ვერ გამრავლდება და, უფრო მეტიც, შეიძლება სრული გადაგვარებითა და სამუდამო ვასალობით დაამთავროს არსებობა...

— თქვენგან მიკვირს, მამაო ფლინ, — შეეპასუხა მერი ჯეინი, — თქვენისთანა წმინდა გვამისაგან ყოვლად მიუღებელია ამგვარი თეზისები. პირდაპირ, გაოცებული ვარ; გარდა მაგისა, ჩვენ ყველას გვშია, მშვიერი კაცი კი ჩხუბის გუნებაზეა.

— და როცა სწყურია, მაშინაც ჩხუბის გუნებაზეა, — ჩაურთო მისტერ პაუერმა, — პოლემიკისთვის არ მოვსულვართ, გვათქმევინეთ აღსარება და გაგვიშვით, უკვე სადილობის დროა.

— ასეთ დროს აჩქარება...

— მამაო ფლინ, — ფარაონის ბიჭმა შეკმუხნული შუბლი ხელით მოისრისა და მკაცრად გააგრძელა, — არ დაგავიწყდეთ, რომ მხოლოდ ჩვენს გონებაში არსებობთ... ჩვენს მახსოვრობაში... შეხედეთ იმ ქვას და ხმამაღლა წაიკითხეთ, რაც მასზე წერია, — ეკლესიის ეზოსკენ მიანიშნა და თვითონ-

ვე წაიკითხა: — „წმინდა მამა ჯეიმს ფლინი, გარდაიცვალა 1895 წლის პირველ ივლისს“, გასაგებია? თუ აღსარებას ყველას ერთად გვათქმევინებთ, იძულებული ვიქნებით...

— სირცხვილია, არ ეწყინოს, — საყვედურით შეაწყვეტინა მერი ჯეინმა, — ჩვენ ოთხნი ვართ, ის — ერთი, არ მოეწონება...

მისტერ კერნანს სახე შეეფაკლა.

— თუ არ მოეწონება, — თქვა უკმეხად, — შეუძლია, სხვა რამე გააკეთოს! მე მხოლოდ ჩემს ამბავს მოვეუყვები... არც ისე წყალწალღებული გაბლაჟარ!

\*\*\*

ნანამ ცერად გახედა მამაო ფლინთან მოკამათე დუბლინელებს, ფრთხილად შემოუარა სანაგვეში თავით ჩამხობილ ჩასუქებულ სენბერნარს და ცხრასართულიანის სადარბაზოში შევიდა.

ისე სიგარეტით აქოთებულ ოთახში, დივანზე მიგდებულყო.

— გაზაფხულდა, — უთხრა მისაღმების შემდეგ, — ზოგჯერ ძალიან გვიჭირს, მაგრამ სანოვაგეს კანადიდან გვიგზავნიან.

— უაზროდ ვიბოდიალე, — ნანამ მის გვერდით მოიკალათა, — ისეთ ცუდ ხასიათზე ვარ..

— რაღა გაცინებს?

— ფილმი გამახსენდა... ფელინის კანონოვა...

— დიძას მესამე ბიჭი შეეძინა, წარმოგიდგენია?!

— ჰოო?! მაგისი ყოფილი საყვარელი შემხვდა, მერი ჭეინი, ფარაონის ბიჭიც იქ იყო... და კიდევ ის კაცი, გვაზრის გადაკეთების შემდეგ რომ დააწინაურეს...

— ტოტლებენი?

— ჰო, მისტერ კერანანი... ხომ იცი, არაფერი დაიძალუბა... მამაო ფლინს აღსარებას ეუბნებოდნენ, ისიც იღვა და ცხვირს აცემინებდა როგორც კი ტყუილს ეტყვი, მაშინვე ცხვირს აცემინებდნო, ამბობენ, — ჩაიკისკისა. — რა საინტერესოა, არა? თანაც გარდაცვლილის ღანდი, მოჩვენება...

— არ ვაგეძღე და აღსარება არ უთხრა, ფარაონის აგენტია.

— მოგცლია ერთი მეტი საქმე არა მაქვს?! გინდა, ფილმს მოგიყვები გამოგარე, არ იყავი სახლში... კანონოვას მიწასთან ასწორებს, არადა, არ იყო ცუდი ტიპი. ისტერიული სიცილი ამივარდა, ძლივს მოვითქვი სული, — იცინის, — რა მაცივებს მე უბედურს! მაკლია, ხომ იცი! დედა, რა ცუდ ხასიათზე ვარ!... ვიღაც ბიჭმა ავტობუსში ბილეთი ამიღო და კინაღამ ავტირდი. თუ გამეცინა, სულ ვიცინი, თავს ვერ ვიმორჩილებ... არასოდეს ვყოფილვარ გულჩვილი, მე და გულჩვილი?! მეორედ მოსვლია და ეგაა! რა მჭირს?

ყველაფერი ახსოვსო, გაიფიქრა იასემ, ვერ უპატიებია ჩემთვის ჩვენი ახლანდელი ურთიერთობა და ამის ბრალია ყველაფერიო.

— ბერდები.

— ვბერდები კი არა, მივედმოვედები რაღაცას. თუ გინდა ფილმს მოგიყვები, ცოტას გავმზიარულდებით.

დაფიქრდა, წამოდგა, ეშმაკურად გამოიხედა.

— არა! ჩვენება ჯობია, ჩართე მაგნიტოფონი და გაჩვენებ, ოღონდ არ შეშინდე.

ღივანიდან წამოაყენა, მთელი ტანით მიეტმანა, მუსიკის რიტმს აჰყვა:

— ჯერ ვიცევეოთ და ვირბინოთ, — ოთახში დაატრიალა, — დადგომავი მომეხმარე, ხელლებზე უნდა ვიარო.

— მეც?

— შენ არა, — ჩაბტირდა, — შენ ფეხები დამიკავე და ოთახი შემომატარე. ნანას ყოველგვარ აზირობას სავსებით ბუნებრივად მიიჩნევდა, მოსწონდა და ართობდა კიდევ, მაგრამ ეხლა მისი საქციელი შეურაცხყოფამდე ვულგარულად მოეჩვენა.

— გეყოფა! — ხელისკვრით დივანზე მიაგდო, — არ მესმის, რას მოითხოვ ჩემგან, მუხლებზე დავეცე და პატიება ვთხოვო?! აქამდე სად იყავი?!

ნანა სახეზე ხელებდაფარებული იჯდა.

— ეგ იმიტომ, რომ ის ფილმი არ გინახავს, — თქვა სრულიად მშვიდად და კარებისკენ გაემართა, — შენი ძმა შემხვდა, გამოვიდა?

— გამოვიდა?

— ვიცი, ციხეში იჯდა.

— რის ციხე? ქალაქგარეთ მუშაობს, სხვაში შეგეშლებოდა.

— შენი ძმა იყო, მივესალმე კიდევ.

\* \* \*

„წარმოგიდგენია! სამი დღე დარაჯობდნენ თურმე, არსად არ უშვებდნენ, მაინც გაპარულა. რესტორანთან რომ ფინური ბინები, იქვე უნახავთ ხეზე ჩამოკიდებული, ხელებდაკენილი, ეტყობა, თავის განთავისუფლება სცადა, რაღას მოახერხებდა! უწვალა საცოდავს. სპორტსმენი ყოფილა, ხომ წარმოგიდგენია, რა ფილტვები ექნებოდა!“

„ეს მაინც შემეძლოს, — გულგრილად გადახედა ავტობუსის სალონში ჩატკეპნილ მგზავრებს. — სამი წუთი და... თავისუფალი ხარ“

თქვესმეტი — ჩვიდმეტი წლის ლაწირაკმა გაუღიმა, თხუთმეტკაპიკიანი (რომელიც ხელში ეჭირა, მაგრამ იასეს მანამდე არ შეუმჩნევია) ტუჩებზე აიფარა, მერე საჩვენებელი თითით მოიშორა, ცერს რამოდენიმეჯერ გაპ-

კრა ენის წვერი, მცირე ხნით ისევ გაუღწორა თვალი და იგივე მოკეკლუცო-მოსულელო გამოიმეტყველებით ფანჯარაში გაიხედა.

„რა ეშველება ამდენ არანორმალურს!“

ქანჯისფრად შეღებილმა სახლის სახურავმა დააინტერესა. ამ ქუჩაზე ცხოვრობდა, მოჩუქურთმებულ სახურავს კი პირველად ხედავდა. „რამდენ რამეს ვერ ვამჩნევ, — გაიფიქრა გაბრაზებულმა — შეიძლება, ისე ამოგზედეს სული, ერთი ორიგინალური აზრიც არ დაგებადოს და ვერც მიხვდეს ამას. ეს ფრაზაც როგორი გაცვეთილია: რამდენ რამეს ვერ ვამჩნევ, რამდენი რამე არ ვიცი“... ძმის სიტყვები გაახსენდა, — საქმარისია, უცხო საზოგადოებაში ხმა ამოვიღო, უმაღლვე იწყება საწინააღმდეგოს მტკიცება; ამ დროს იშვიათად ვცდები, რადგან როდესაც რამე ვიცი, უკეთესად ცოდნა შეუძლებელია. ეს იყო პირველი გულახდილი საუბარი და, მგონი, უკანასკნელიც, მას ხომ ვერაფერს გამოაპარებდი: ჭერ ისევ პატარა ყოფილხარ. ეგოისტად მთვლიო, უთხრა კიდევ.

„ეხლაც პატარა ვარ, უმნიშვნელო... მასა, ბრბო, ჩვეულებრივი სერიული ნაწარმი, დაზგა ან საფერფლე... ან თუთიყუშის ფიტული. ვისაც ვიცნობ, ყველა სერიულია, ჩემი ძმის გარდა... ნანას გარდა... იქნება მართლა კარგი მოცეკვავე გამოსულიყო, ვინ იცის!.. დაკომპლექსებული ნაბიჭვარი... დაზგა, ჭართი, თუთიყუშის ფიტული“, — საკუთარ „მეს“ ქეჩოზე წამოარტყა, — „მაიმუნის სკორე“.

ლაწირაკმა ჩათვალა, რომ მას გაუღიშეს და დარცხვენილმა დახარა თვალები.

— შეიძინეთ ბილეთები! — პროვინციული აქცენტით გამოაცხადა მძლოლმა, — უბილეთოდ მგზავრობა არ შეიძლება.

ბარში უბილეთოდ არ უშვებდნენ.

ბარმენმა ბილეთის სანაცვლოდ ფინჯანი ყავა და მიწის თხილი მიაწოდა.

— შეიძლება, დავკდე? — ჰკითხა ნანას, — ხომ არ შეგაწუხებენ?

— რატომ უნდა შემაწუხონ?

— კარგი გოგო ხარ, — გაიცინა, — რა გქვია?

— ნანა... თავდადასავლების საძიებლად ჩამოხვედი?

— არა, შენს სანახავად, აქ რას აკეთებ?

— ვსწავლობ... ხომ მნახე, ეხლა?

— შამპანურით გაგვიასპინძლდები.

— სხვა დროს იყოს, — საათზე დაიხედა, — უნდა წაივდე.

— დარჩი, ხელს აღარ შეგიშლი. ყვეს დავლევ და წავალ.

— არა, რას ამბობ! მართლა შეჩქარება, შაბათობით შემოვდივარ, ძვირი ბარია, ადგილები ყოველთვის არის. მუსიკას ვუსმენ, ვისვენებ და მივდივარ. ზოგჯერ კოქტეილითაც მიმასპინძლდებიან, — ღიმილით გამოემშვიდობა.

— ველარ გნახავ?

— თუ მომავალ შაბათამდე დარჩები...

ავტობუსიდან ჩამოვიდა, მიწისქვეშა გადასასვლელში გაიარა და ოთხსართულიანი შენობის მესამე სართულისაკენ აიხედა, — ფანჯარა კვლავ მჭიდროდ იყო დაგმანული.

მორიგე ექიმში კაბინეტში დახვდა.

— სისხლის მიმოქცევას აღუშობენ სებს, — მარჯვენა ფეხი კისერზე შემოედო, — სიგარეტსაც გადავავლებ და ჩემს ბედს ძალი არ დაჰყვეს.

— როგორ არის?

— ჩვეულებრივ... კარგად.

— წამლებს სვამს?

— ლამბრამ დაალევიანა რამოდენიმეჯერ, — მარჯვენა ფეხი ჩამოიღო, ქვიშის საათი გადააბრუნა და მარცხენა მოიკიდა ზურგზე, — ათასი საქმე აქვს, ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენცა გვაქვს ნერვები... სულ მოფერება და ხვეწნა სჭირდება...

„სად ვიშოვო ფული?“

...აუტანელი ავადმყოფები გვყავს, ეგ საესებით ჯანმრთელია, თავისით გაუვლის. პერიოდია, გარდატეხის პერიოდის მსგავსი, დაახლოებით ორმოცი-

დან ორმოცდაათ წლამდე. ზოგი თავს იკლავს, ზოგი სხვას ჰკლავს, ყველაზე ახლობლის ამოჩემება იციან. როგორმე ცალკე ოთახი უშოვე, სახლში ვერ გასძღვბს, ლამარასთვის უთქვამს, ცოლის დანახვა არ შემიძლიაო. ემოციურ აღამიანებს ემართებათ ასე, რას იზამ! ერთ თვეში გამოვწერთ, მანამდე მოიფიქრე რამე. წელიწადზე მეტია, ჩვენთან იმყოფება, უკვე მოგვეჩვია...

„მოგვეჩვია... ძალღის გაგდებულის“

— აღარ ჩამოიღებ მაგ ფეხს?!

— უკაცრავად, — ოფიციალური გახდა, — ისე გამიტაცა იოგამ, წუთის დაკარგვაც არ მინდა. წამოდი, ვინახულოთ.

სამოცი წლის მოხუცივით გამოიყურებოდა.

— როგორა ხარ?

— ნუ მიდგებარ უკან, — უთხრა ექიმს, — რამდენჯერ გაგაფრთხილე?!

— ოჰ! დიდი ბოდიში, ხომ არ დაგტოვოთ?

— აბა, რა უნდა ჰქნა! — მიმავალს თვალი გააყოლა: „წურბელა“, — შენ როგორა ხარ?

— რა მიჭირს! — იასემ მეორე საწოლს გადახედა, — ისევე ისეა?

— არა, კომისიას ელოდებოდნენ და აგრესიულებში გადაიყვანეს, მანდ ახალი წევს, ერთი საწყალი კაცი, ნიჭიერია ძალიან... რატომ არ მოხვედი, შემდურები?

— გრიპი მქონდა, შენმა ბავშვმა გადამდო, — ფანჯრისკენ გაემართა, — გამოვალე, დახუთული ჰაერია.

— არ მიხვდი, — დაიჩურჩულა, — გესერიან.

— ელარ მოიშალე?

— არ მიხვდი! — დაიყვირა, — თუ თავის მოკვლა გინდა, სხვაგან მოიკალი, მე ნუ მაყურებინებ!

იასემ სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და მერე ჰკითხა, აქ მოწვევა თუ შეიძლებაო.

— მოწვე რამდენიც გინდა, — თვითონაც გამოართვა, — მეგონა, აღარ ეწეოდი.

— ისევე გამოიპარე? ნანას უნდა იხარ.

— ალბათ სიზმარში მწამდა...

— ერთ თვეში გამოვწერთ, ერთი დღე ვიქნებით. ან აქ რა გინდოდა, ფსიქიატრიულში თავისი ფეხით ვინ მისულა?... ეველინიც ნერვიულობს...

— ჩემს სათაყვანებელ მეუღლეს ჰკითხე, იმ ძუენას, ის გეტყვის მიზეზს, თუ საბოლოოდ არ ჩაიქნია ხელი ადამიანობაზე... არ მიხსენო ეგ ნაციხარი! ეგ კახპა! სწორედ მაგისი ბანდა დამდევეს მოსაკლავად, შენც არა გჯერა? რა გელაპარაკო!

— შენი მჯერა, — თქვა იასემ წუთიერი დუმილის შემდეგ, — მაგრამ ეველინს ბავშვობიდან ვიცნობ, ერთ სკოლაში ვსწავლობდით, როგორ მოასწრებდა ციხეში ჯდომას? დაუკვირილი...

— არ ჩაერიო ჩვენს საქმეში პატარა ხარ, გამოუცდელი! შუბლი აქვს მოსვირინებელი, შუბლი! — მძვინვარებისაგან სახე მოეგრიხა, თვალები გადმოქაჩა, საწოლის სახელურს მუშტები დასცხო, — რამ დაგაყრუა, რატომ არ გესმის! შეილივით გაგზარდე: ვცდილობდი, ობლობა არ გეგარძნო, ამით მიხდი სამაგიეროს! ჯანდაბამდე გზა გქონია შენი მენტორიული ტონით! ოთახში ექიმი შემოვარდა ორ მოხვერივით ბიჭთან ერთად.

— ჩხუბობთ? — იკითხა ღიმილით, — ძმების ჩხუბი სად გაგონილა! სიგარეტიც მოგიწვევიათ, როგორ შეიძლება?

კარებში რამდენიმე შეშლილმა შემოიხედა. შემოიხედეს და უმალვე გაქრნენ.

— არა, როგორ გეკადრებათ, რის ჩხუბი! — შეცბუნებული ძმა იასესკენ გადაიხარა, — ამასთან არაფერი წამოგცდეს, — უთხრა ჩურჩულით, — ოჯახის ამბავს ჭეყვანას ნუ მოვედებთ.

• • •

— უიტმენივით ჩაფიქრებული მამაჩემი „სამ მუშეკტერს“ უყურებს და ხველებით, ცხვირის ქსუტუნითა და

ტუჩების წრუტუნით ერთობა. როცა ძალიან მოუხშირებს, ვდგები, ტელევიზორთან მივდივარ და ხმას ვუწევ, რა თქმა უნდა, ვერ ხედება, რატომ ვაკეთებ ამას. საეშარისია, უკმაყოფილება ვაგრძნობინო, ორი-სამი საათის განმავლობაში გამოწერილი მაქვს გინებით შეზავებული საყვედურების მოსმენა.

„ეს ბიჭი... ჰმ... საეჭვო ვინმე ჩანს“, — ამბობს დარტანიაზე. — „თფუ, პარკეტია გამოსაცვლელი, რემონტს რატომ არ აკეთებ? ტყუილად მოგაწყვე ავეჯის ფაბრიკაში?!“.

სიგვიემდეგ მისულს ფანჯრიდან გადახტომა მინდებდა...

— მიუხედავად ყველაფრისა, მშობელი იგივე შემოქმედია, გარკვეულწილად ღვთის მსახური...

— ნუ მაწყვეტინებ, მამაო ფლინ, — უკმაყოფილოდ თქვა ფარაონის ბიჭმა, — არჩევნები მოახლოვდა და შენც შეიცვალე... გულგრილი გახდი. თუ თავს ჩემს ადგილზე წარმოიდგენ...

— ღმერთს ნუ სცოდავ, შვილო ჩემო, ცხოვრებაში ყველას ის ადგილი უკავია, რისი ღირსიც არის... გააგრძელე აღსარება და ვეცდები, აღარ შეგაწყვეტინო.

— ერთი ჩვეულებრივი დატაკი ყოფილა, თურმე დილიდან-საღამომდე ქუჩაში ეგდო, მერე დედაჩემი შეურთავს და სიმამრს კაცად უქცევია: კოლეჯი დაამთავრებინა, სამსახურში მოაწყო, ბლომად ფული გააკეთებინა. იმიტომ დარბის ბაბუაჩემის საფლავზე კვირაში ორჯერ, სიკეთეს დაფასება უნდაო.

„სად მქონდა ჰუა!.. ჰმ... ესეც ქალია და... თფუ... შენც ქალი ხარ?!“ მილუდი ჰყავს მხედველობაში: „შენ როგორ შეგირთე ცოლად?!“

აბსოლუტურად განსხვავებულები და შეუფერებლები არიან: როდესაც დედაჩემი დადის (უფრო სწორად, დაბაჯბაჯებს), სულ იმისი შიშნ მაქვს, ჩემს პატარა ტერიერს შემთხვევით ფეხი არ დაადგას და რაიმე არ მოსტეხოს; მამაჩემი კი არისტოკრატიული, დახვეწილი

სახით, მაღალი, ათლეტური ტანით, უაზრო, ცივი გამოხედვით, რომელიმე ამერიკული კომიქსის გმირს გავს.

„ხედავ!... ჰმ... შენა! ესენი ჩვენები... ხიპ... ყოფილან“, მუშკეტერებზე მითითებს.

სიმწრისაგან პირში ყაყაჩოს გულის-ამრევ გემოსა ვგრძნობ. ქალაქში დაბადებული, ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში გაზრდილი, საოცარია, ასე რამ გამოამასქნა! — ნორთ-უოლში ყოფნისას, ნავმისადგომთან გამოპრანჭული უცნობი შეაჩერა, — შეგობარო, ეს ზღვა არის, თუ ოკეანეო. კიდეც კარგი, იმ კაცს ხუმრობა ეგონა, ვისთვის როგორო, უპასუხა, ჩემთვის ზღვაც არის და ოკეანეცო. უცნობი რომ გაგვეცილდა, ამასაც არ სცოდნიაო, მითხრა... თანაც ისეთი ჭანმრთელია, ჩემისთანას სამს გაისტუმრებს...

— მკრეხელობაა! ეს უკვე შეტისმეტია! მამის ასე შეძლება...

— რისთვის მიყვარდეს, მამაო ფლინ, მარტო იმისთვის, რომ მამა ჰქვია? ცარიელ სახელში რა ყრია?

— გააგრძელე, შვილო ჩემო, გააგრძელე. აღიარება, თავისთავად, ნახევარი დანაშაულია, — მამაო ფლინის თვალებში მზიარული ნაპერწყალი გაეკრთა, — ჩემს სათქმელს აღსარების შემდეგ გეტყვი.

— ნახევარი დანაშაული, თუ დანაშაულის ნახევარი?

— გამგებმა გაიგოს, — სიცილით უპასუხა მამაო ფლინმა, — კიდეც ბევრი გაქვს მოსაყოლი?

— ვეცდები მალე დავამთავრო... ისე, მოსაყოლს რა გამოიღეს! — ფარაონის ბიჭმა ცივი ლუდი გამოიღო და საცობი ააგლიჯა. — ეიცი, ყველაფერს ფარაონს ჩაუკაკლავ, იმიტომაც გელაპარაკები.

— სამაგიეროს უხდი? — მამაო ფლინმა კედლის საათისკენ გაიხედა, — ოცი წუთის შემდეგ მისტერ კერნანთან უნდა ვიყო.

— კარგი... დედაჩემს შამპანური მო-



ატანინა და ერთი ქიქაც გამოაყოლოვო, უბრძანა:

„ერთი ქიქაც მოაყოლე, ქალო, ამ ვაჟმა... თფუ... ტონისათვის, იქნება იკადროს რემონტის გაკეთება“.

დავიტრაბაზე ოციათასი მაჭეს-მეთქი და ვიღრე არ დამახარჯინებს, თავისი ემართება. სამაგიეროდ, ზეპირად იცის ყველა ფარაონის, მინისტრისა თუ ფეხბურთელის წლოვანება, ხასიათი, როგორი დამრტყმელი ბიჭები იყვნენ, რომელი ცნობილი ქალები ჰყავდათ საყვარლებად და, რაც მთავარია, საქმეში უკეთილშობილესი კაცია, — გაყოფა ეხერხება.

— ვილის აშენება მინდა. — ვეუბნები.

— გაიგე, ქალო! — გაკვირვებისაგან ცხვირის ქსტუტნიც მიაფიწყდა, — ვილაო! შენთვის არ გავაკეთე? მე რად მინდა! ამოიგდე ეგ სისულელე თავიდან, დაგიკვირენ და მეც ზედ მიმყოლებენ. რაცა გაჭვს, იმისთვის ვერ მოგივლია! შენი ცოლს ოინებია, ის გაგიყებს! კაცი არა ხარ, ასე როგორ გამოგივირა! ბავშვი მაინც გააკეთეთ, ქალი და დისერტაცია არ გამიგია!

მამაო ფლინ, როგორც იცით, ქეთი თავის მშობლებთან ცხოვრობს, დისერტაციაზე მუშაობს, თანაც მამაჩემს გაერიდა. ის არ ჩაიცვა, ეს არ ჩაიცვა, თმები მასე არ დაიყენო, დასასვენებლად მარტო არ წახვიდე! ერთი სიტყვით, საჩხუბარ მიზეზს რა გამოოღევიდა!

სამსახური, სახლი და აგარაკია მთელი მისი ცხოვრება, რისი ნახვაც საჭიროა, უკვე ნანახი მაჭვსო, გაიძახის. მე არაფრად მაგდებს, განსაკუთრებით იანესთან ჩხუბის შემდეგ აიკრუა გუული, თითქოს დროს მნიშვნელობა არ ჰქონდეს და ისევე ის გაუბედავი ბავშვი ვიყო, რაც ცამეტი წლის წინ ვიყავი.

„ქალო! მაგ ვაჟბატონს ტელეფონზე ეძახიან“.

ქეთის ხმის გაგონებამ ისე გამაბზარა, კინაღამ უურმილი გამივიარდა. მო-

გესენება, ამ მარტოობაში ერთი ქალიც დიდი ძალაა.

— რატომ მარტო? — ჩაუბრალონ მამაო ფლინმა, — უამრავი ახლობელი გყავს, მეც შენს მეგობრად მიგულევი.

— სიგნალიზაცია ჩავრთე, — ფარაონის ბიჭს მამაო ფლინის სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, — ყოველი შემთხვევისთვის, გადაცემის ბერკეტსა და სპეცსაც ბოქლომი დავადე და მანქანიდან გადმოვვდივით.

— რა ხდება? — შეკითხება ქეთი.

ვხედავ, კინოს სახლთან გრძელი რიგია... უცნაური რიგი... გულისყურით მომისმინე, მამაო ფლინ, აუცილებლად დაგაინტერესებს... უამრავ ხალხს მოუყრია თავი. ერთნაირად გამოწყობილნი და ერთ სწორ ხაზზე ჩამწყრივებულნი ამჟამა კმაყოფილებით უსმენენ წითელპალსტუხიან ახალგაზრდა ორატორს.

— ორატორს? — გამოოცხლდა მამაო ფლინი.

— ახლა თვალებს ნაბავთ, ვითომ წმინდანები ხართ, სპეტაკები, მთელი ქვეყანა კი ზიზლით შემოგყურებთ. მონებო! სიაფანდებო! მე ვერაფერს გამომაპარებთ! — ორატორი წინ და უკან დაიფხოვებოდა, მსმენელები ილიმებოდნენ, — მე ვერაფერს გამომაპარებთ! მშვენიერად ვხედავ თქვენს უხილავ სულებს, ჯოჯოხეთის გოგირდის სუნით აქოთებულ სულებს! რატომ გამომაგდეთ. რიგიდან? მიპასუხეთ! რა უფლებით? ყველაზე პირველი ვიყავი. როდემდე დამაჭერთ კისერზე ფეხს?! როდემდე გეყოლებით ჯიქვით დაბმული?!

— არანორმალურები ყოფილან, — ჩაილაპარაკა მამაო ფლინმა, — არჩევნების მოახლოებამ ბევრი გადააცდინა ჰქუიდან.

— ქეთისაც მასე ეგონა, მაგრამ არანორმალურებს არ ჰგვანდნენ.

— ვერ იკითხეთ?

— ვიკითხეთ, მამაო ფლინ... ვიკით-

ხეთ და გაიარეთო, დაგვიცაცხანეს, აქ გაჩერება არ შეიძლებაო.

\* \* \*

— ბოლო ვინ არის? — იკითხა იასემი.

ქალი იჭდა, კაცები იღგნენ.

— მე ვარ, გენაცვალე, — უცნობივით უპასუხა მერი ჭეინმა, — ნომერი აიღე, მაცივარზეა.

— მადლობთ.

— შექარზე იღებ?

— არა, სიერთოს.

— ახალგაზრდაა, რა დროს მავისი შექარია, — თქვა მისტერ კერნანმა.

— შექარი მერე, — ჩაიხიხითა მისტერ პაუერიმა, — ჭერ მწვანეა.

— მწვანე?

— არ გეწყინოს, — სიცილით მოუბოდიშეს, — ჩვენ უკვე დაჯანჯობის სტადიაში ვართ: აღარც სიმეავე, აღარც სიმეგრე, მარტო შექარია...

— და მარილი. — ჩაიკისკისა მერი ჭეინმა.

მერი ჭეინის ქმარი შავი სამყაროს ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ, ამჟამად ციხეში იმყოფებოდა, მაგრამ ფარაონი, მისტერ კერნანი და სხვა დანარჩენი ბიზნესმენები მის ცოლს შაინც თავს ევლებოდნენ.

— მარილი ღმერთმა გაშოროს, — შეეხმინა მისტერ პაუერი, — თქვესმეტი წლის ქალიშვილივით გამოიყურები.

— ჩემზე არ მითქვამს, — მერი ჭეინმა დამკინავად გადახედა ჭენტლმენებს, — ყველამ თავის ლამაზ მამიდას მოუაროს.

— შემდეგი! — დაიძახეს შიგნიდან.

კედელზე გაკრულ პლაკატზე დიდი წითელი ასოებით ეწერა: „გახდი დონორი, დონორობა სპატიოა!“

— რომელ საათამდე მუშაობენ?

— ცხრამდე... მოვასწრებთ.

— ვერ დამითმობთ რიგს? — იკითხა ახალშემოსულმა სიმპატიურმა მამაკაცმა, — ბავშვი მყავს კოლეჯში წასაყვანი.

— მიბრძანდით, ბატონო, — ხმა გა-

ინახა მერი ჭეინმა, — როგორ გეტყვით უარს?!

„მერე მსახიობებს აქმბ“მეცხმეცხტს“ — ლაბორატორიაში მხიარულად მსალათობდნენ, — „ტყავში ძვრებიან, მაგრამ არცერთი არ უქნია ღმერთს“.

— რას აკეთებენ ამდენხანს! — მინაზე მიაკაყუნეს.

— მიღება დამთავრებულია, — გამოაცხადა ლაბორანტმა.

— როგორ თუ დამთავრებულია! რვიდან აქ ვზივარ! — მერი ჭეინს, როგორცა ჩანს, ლაბორატორიაში არ იცნობდნენ, — თქვენი საათი თხუთმეტი წუთით წინ არის.

— მიღება დამთავრებულია, — გაიმეორა ლაბორანტმა, — ხვალ მობრძანდით.

— ქალბატონო, — სთხოვა იასემი, — სამსახურში ხვალაც რომ დავიგვიანო...

— მოქალაქე! — აყვირდა მერი ჭეინი, — აქ უსაქმური არავინ არის, რიგი დაიკავეთ!

ლაბორანტმა კარები მიაჯახუნა:

— რა ხალხია, ყველაფერზე ერთმანეთს ჭამენ!

ეტობუსმა მარცხნივ გაუხვია.

მარშრუტი № 13.

ეტობუსი № 3.

„დავითარსე, — გაიფიქრა, — ფარაონის ბიჭმა დამთარსა. საკმარისია, დილით შემხვდეს, მთელი დღე უაზროდ უნდა გავატარო: ვისი ნახვაც მიინდა ვერ ვნახავ, ვისაც ველოდები — არ მოვა, რასაც ვაკეთებ — არ გაკეთდება. პრესის, ტელევიზიისა და საზოგადოების საყოველთაო აღშფოთების მიუხედავად, იძულებული ვარ, ძველი ვალი გაუხსენო: დონორობა ჩემი საქმე არ არის“.

„საესტრადო კონცერტი (განმეორებით)“

იცოდა, კონცერტის დასასრულს ბრუბეკს აჩვენებდნენ.

სიმღერები — უთვალავჯერ მოსმენილი, მომღერლები — უნიკო, ტექსტი — გულისამაჩუყებელი, მუსიკა — მარშისა და დამახინჯებული ფოლკლო-

რის წარვეი (სუსტი ოპერეტის მსგავსი).

„ჩვენი გადაცემის ბოლო გვერდს ვუთმობთ საზღვარგარეთის ესტრადის ვარსკვლავებს, — დიქტორს მაღალ მკერდზე მიხაკი მიეზნია და ლაპარაკისას აშკარად უშრებოდა პირი, — თქვენს წინაშე წარსდგებიან ტოტო კუტუნის და ბრუბეკის ტრიო“.

ტოტო კუტუნის, როგორც იქნა, ჩათავა გრძელი მონოლოგი, ეკრანზე კი ბრუბეკის ნაცვლად სკაფანდრიანი მამაკაცი გამოჩნდა:

— დედაშიწა მწვანე და ლურჯ ფერებში გადაწყვეტილ ფაფას ჰგავს, — ხელი დაიქნია, — როგორ ვჩანვარ?

— შუებ ვერ მოისაზრა, რა ხდებოდა. — მშვენივრად, თქვენს ქალიშვილს გაესაუბრეთ, დილიდან გელოდებათ.

— როგორა ხარ, შვილიყო?

— კარგად, მამიკო, მოგვენატრე, მხედავ?

— გხედავ, როგორ არის დედიკო?

— დედიკოსაც მოვენატრე, ისიც აქ არის.

ეკრანზე სპირალური ხაზები აირია, ხმა ახრიალდა და ისევ სკაფანდრიანი, მომღიმარი მამაკაცი გამოჩნდა.

— მალე დაგვიბრუნდები? — იკითხა მდიდრულ ქურჭში გამოწყობილმა ჩასუქებულმა მანდილოსანმა.

კარგებში გაოცებული ვეელინი იღვა:

— სამსახურში არ წახვედი?

— დამაგვიანდა, შეცდომით სხვა ავტობუსში ავედი... აზრიც არა აქვს მუშაობას; რაც ბანგლადეშში მიწისძვრა მოხდა, ხელფასი არ ამიღია, დახმარების ფონდში გადაირიცხეს.

— ვიფიქრე, ოთახს მივაღაგებ-შეთქი, ვინმეს ხომ არ ელოდები?

— არა... გუშინ შენი ქმარი ვნახე.

— ჰოო? — გაღიმება სცადა, — ისევ იმ ქეუაზეა?

— ჰო.

— უბედური ქალი ვარ, რა შევეცოდე ასეთი!

— კარგი ერთი!

— შენ თვითონ წამოიწყე... ოთახი მიალაგა, <sup>შეგეცემის</sup> <sup>შეგეცემის</sup> <sup>შეგეცემის</sup> იფუსტუსა.

— ნამცხვარი გამოვუცხე, წაუღებ? — მის ხმაში იყო რაღაც მდაბიურად სენტიმენტალური, — ვინ იცის, როგორ მოვენატრა!

— წაუღებ, — უპასუხა უკმეხად, — ბავშვი რატომ არ მოიყვანე? რატომ დაეხეტები მართო?

„თქვენ არ გეწყინოთ, ახალგაზრდავ, მაგრამ უანგაროდ არავინ არაფერს აკეთებს. მე ყოველთვის ადვილად ვხვდები, ვის რა შეიძლება უნდოდეს ჩემგან, ვის რა გამოარჩენა აქვს ჩემთან ნაცნობობით, და მერე იწყება სულიერი სტრიპტიზი: ვაშიშვლებ, ვაცეკვებ, ვამყირებ მოგონებებს... ისინი კი დამცინიან... ახლა, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, ის ბედნიერი ადგილია, რომელიც თავისთავად გამოირიცხავს ყოველგვარ ანგარებას, და თამამად შემოძლია განვაცხადო: თქვენი ძმის სახით მეგობარი შევიძინე. ამგვარი მეგობრობა ჰიპერიონისა და ბელარმინის მეგობრობის ტოლფასია, — წამით შეყოყმანდა, — იმედია, პოლდერლინს კარგად იცნობთ!“...

„რალა მაინცდამაინც ეს დამთხვეული დააწვინეს ჩემი ძმის გვერდით?“

— იქნებ სჯობია, გავცილდე? — თქვა ეველინმა.

— გენიოსი ხარ! ეხლა მოიფიქრე?

— ჰო, ალბათ ასე სჯობია... ნანა მოდის ხოლმე? არ შემხვედრია, მომენატრა კიდევ, კარგი გოგოა. ძალიან.

„უცნაურად დაწყო მათი ურთიერთობა. თავიდანვე ისე შეხედა, როგორც მარტო ქალს კი არა, როგორც მეტოქეს, რომელიც აუცილებლად უნდა დაამარცხო და თანაც ისე, რომ ეს დამარცხება ვერასოდეს დაივიწყოს“.

„ნეტა სად ჯანდაბაში ვართ?“

„დაიბენი?“ — გაიცინა ნანამ, — „ორიენტირების უნარი არა გქონია. აი, იმ მაღალ სახლს ხომ ხედავი იმის იქით შენი სასტუმროა, ეგ სახლი ეფარება“.

„სწავლას როდის ამთავრებ?“  
 „ხვალ ძირითად პარტიას ვციკვავ, ფაქტიურად დებიუტი მაქვს. თუ კარგად ვიციკვებ...“

„დუბლინიში დაბრუნდები?“  
 „არა, თუ კარგად ვიციკვებ, ლონდონში მომიწევს წასვლა“, — თავი ოდნავ უკან გადასწია, თვალები მოწყურა და რაც შეიძლებოდა ამაყი გამომეტყველება მიიღო, — „დიდ მომავალს მოწინასწარმეტყველებენ, უბრალო ვინმე კი არა ვარ!“

„წასული ხარ ხელიდან, მშობლიურ ენაზე ლაპარაკიც გიჭირს“.

„ვხუმრობ“, — თავისი სიფრიფანა თითები მკლავზე მოუჭირა, — მიყვარს ჩემი საქმე და ვცდილობ უკეთ ვისწავლო. ცუდია?! პატივმოყვარე არასოდეს ეყოფილვარ, ბალეტზე ბავშვობიდან ვოცნებობდი“.

სასტუმრო ბრჭყვიალა ჩიტებით საესე გალიას ჰგავდა.

„ბარში შევიდეთ“, — თქვა ნანამ, — „მარტო ველარ შევდივარ, უშენოდ გამოცარიელებულია იჭაურობა“.

„მართლა ნანა გქვია?“  
 „უფრო ჰქვიანი შეგონე“, — იმედის გაცრუება დაეტყო, — „რატომ მოგატყუებდი?“

„რას მეჯინება, რას მეძველბიჭება!“  
 — გაიფიქრა, — „ქალია, რა ერთი ჩვეულებრივი ძუენა“

ნანა ბარისკენ გაემართა.  
 „არ ნახავ, სად ვცხოვრობ?“

„ნანახი მაქვს, რეუისორი ცხოვრობდა, ერთხელ, შევეუარეთ“.

„შეუარეთ?“ — მახვილი „თ“-ზე გააყეთა.

„ჰო, მე და ჩემმა პარტნიორმა“.  
 ოთახში შესვლისთანავე ხელში აიყვანა.

„არა, რა!“ — უთხრა ქალმა, — „ჩემთვის არ შეიძლება... დებიუტის შემდეგ...“

„წინააღმდეგობას მაინც ვერ გამოიწევ“, — გაიცინა, — „დალურჯებული სცენაზე როგორ გახვალ?!“

კარებთან პოლიციის ფურგონი გაჩერდა. ორი მგზავრი წაიყვანა ვიწრო

და ხმაურიანი ქუჩით. გადაიარა შედისწერასავით ციკაბო ურჩუმყოფი, შემოუარა ცერბერის ხანძარში სწავლა რენილ დაღმართებს, ვასცდა საროსკიპოსავით გაუმამლარ ზღვებსა და ოკეანეებს და გაჩერდა იქ, საიდანაც დაიძრა.

— რაც ციხიდან გამოვიდა, დაშვებს თეთრად მათენებინებდა, — ეველინი განაგრძობდა წუწუნს, — ექვიანობდა ყველაზე და ყველაფერზე, ნუთუ ვერ გრძნობდი?

— მასე სერიოზულად თუ იყო საქმე...

— შენს მეგობრებზე ექვიანობდა... თავის ახლობლებზეც. დიძას ვერ იტანდა. ბინაც იმიტომ გადაცვალა, იასესთან ათასი სალახანა დადის, არც შენ ხარ სანდო, არც ისინიო.

— რატომ არაფერს მეუბნებოდი?

— მრცხვენოდა. შეგონა, გაუვლიდა. მაგისას რას გაიგებს კაცი! ვახსოვს, მეზობელს ატმის ხე რომ მოაჭრევინა?

— მეორე დღეს მთელი სოფელი შემოარბენინა, უნდა მოვკლა, შეილივით ნახარდი ატმის ხე მომიჭრაო, — გაიცინა იასემ.

— ჰო, სწორედ მასე იძახდა, — სიცილში ქალიც აჰყვა, — შეილივით ნახარდიო.

— უცნაურია, ადრე არ დავეკირვებოვარ, ეხლა ბევრი რამ სხვანაირად მეჩვენება.

— უცნაური კი არა, არანორმალურია. მერე იმ მეზობელზე დაიწყო ექვიანობა, ვილა გაყიდა და სულ იმას მყვედრიდა, შენ გამაყიდინეო, არადა, როგორ მიყვარდა ის სახლი, — ატირდა, — თავლობის თვე იქ გავატარეთ... თავიდანვე არანორმალური იყო, რამ დამპარმავა, რამ!..

— აღარ ჩაიგდებ ენას! — იასეს სიტყვებისგან ხმა ჩაეხლიჩა, — არა ნორმალურები თქვენსკენ მოიკითხე! იქნება შენი ბანდის იმედი გაქვს?! დედას გიტყობთ, ქვას ქვაზე არ დავტოვებ!

— დედა! — ამოიკენესა გადაფით-

რებულმა, — შენც არანორმალური ხარ.

\*\*\*

— მამაო ფლინ, ქეთი გემზე გავიცანი, იქვე გადავწყვიტე მისი ცოლად შერთვა და მოგზაურობიდან დაბრუნებულები პირდაპირ სახლში მივედით, ყოველგვარი წინასწარი შემზადებისა და გაფრთხილების გარეშე. იმ დროს, მერი ჯენი მესამე კურსზე სწავლობდა და მამაჩემის საყვარელი იყო. საყვარელი ერთკვა, მაგრამ ყოველ სადარბაზოსთან და ყოველ ცარიელ აუდიტორიაში ზეზეურად აღგამდა რქებს, ეს კი, ექვიანობით აცანცარებული, ჯავრის ამოყრას ჩვენზე ცდილობდა. როგორ თუ გემზე გაიცანიო (გემი თვალთ არ უნახავს), გემზე გაცნობილი ქალი რა ქალია, შეიძლება ჩემთანაც წოლილაო. იქით დედაჩემს ვაცხო, აქეთ მე გამომეჭაა. მშვენიერი დახვედრაა, არა?

— ჰმ, — მამაო ფლინმა ჩაახველა და პასუხის ნიშნად მხრები აიჩეჩა.

— საჩივრებისა და დასმენის შიშით ვილის ყიდვაც ამიკრძალა. ტყუილად როდი შეარქვეს ფარაონი! ნაღდი ფარაონია — ტვინდაბალზამებული ფარაონი. ხალხი რას არ აკეთებს! ბატონებივით ცხოვრობენ, ზოგიერთმა ხუთხუთი ბინა ჩამოირიგა, მარტო ამისთვის გახდა საშიში? ძალღი პატრონს ვერ სცნობს, ისეთი ამბავია, ვინ არის ხმის გამცემი?!

გუშინწინ მისტერ პაუერმა აგარაკზე ამიყვანა. ფინური აბანო აქვს, ვიქტორიასოდენა აუზით. ჰონკონგიდან მშვენიერი მასაჟისტებიც ჩამოეყვანა და მეფურად მოვუღბინეთ. უცებ მამაჩემი გამახსენდა და მომეწამლა ხასიათი. სახლში ვეშაპი რომ დაგხედება, როგორი ასატანია?! ვწვალობ, ვრისკავ, ყოველ ვირიშვილს ფეხქვეშ ვეგები და რისთვის? ფარაონის მოსამსახურეობისთვის? თითქოს სხვა ფარაონები მაკლდნენ, თითქოს ჭევენის უფროსები არა მყავდნენ.

— მაგრამ, რა თქმა უნდა, — წყნარად და შთამბეჭონებლად თქვა მამაო

ფლინმა, — ჩვენი რელიგია ერთადერთი ჰემოზოტი რელიგიაა, მშვენიერი და უპირველესი რწმენა.

— სინათლეს ვანთებ და ქეთისთან ვრეკავ, — სევდიანად გააგრძელა ფარაონის ბიჭმა, — რა გჭირსო, მეკითხება ნამძინარევი ხმით, რა დროს და რეკეაო.

ლამის ოთხი საათია.

კოლოფიდან, რომელსაც დაღვრემილი ბაქტრიანი ახატია, სამ ლერს ვიღებ, — ოთახი ივსება ოაზისის სურნელებით. კუთხეში პიკასოს ნახატი იწყებს მოძრაობას.

მამაო ფლინმა ნახატს შეავლო თვალი და დატუქსების ნიშნად მომღიმარმა დაიქნია თითი.

— ...როილის კლავიშები თითებში იღვრებიან, ჰიხინებს ვიოლინოს გასალები, პარტიტურა თვალს მიკრავს, ჰაერი ხდება ფერადი და მტკივნეული.

ცოტაც და... გავგვიღებო...

სველი ცხვირსახოცი ვიხელ შუბლს, სახეს, მკერდს... ათ წუთში გადის ნახევარი საათი, გულის მუშაობა თანდათან მშვიდი და თანაბარი ხდება. — ნახატი უკვე უძრავია... მიგჩერებივარ, ველუმვარ და ვფიქრობ.

იმ დაწყველილ დღეს მეცადინეობა ორივე მეთაე კლასს ერთად გვქონდა. ეველინს ველაპარაკებოდი, როდესაც ისე მოვიდა და პაემანი მაქვს, პიჯაკი „მათხოვეო“, მითხრა. პიჯაკის დაკარგვას არ დავეძებდი, ოღონდ მასთან კონფლიქტისათვის ამერიდებინა თავი, მაგრამ ეველინის თვალწინ მომინდომა დამიკრება და მეც პაემანი მაქვს-მეთქი, ამოვიბლუქუნე. ჩემზე ბევრად პატარა ტანის მიუხედავად, სწრაფი და დამარღვეული იყო, თანაც საქმეების გარჩევისა და ძველბიჭობის მეტს არაფერს აკეთებდა, — სწრაფად გამომიჭირა ტყუილში, ერთ-ორი დაუფიქრებელი სიტყვაც წამომაცდენინა და მანამდე მირტყია, ვიდრე საკუთარ სისხლში ამოსტყვიდა და ტანსაცმელჩამოხეული მიწაზე არ დავეცი. ჩხუბის შემდეგ კი „კეთილშობილებაც“ გამომამეღვანა: კარგი ბიჭი ყოფილხარ, ამ სკო-



ლაში პირველად შემომიბრუნეს ხელიო... მაშინ საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ვეველინი იასეს ძმას მოსწონდა და სკოლის დამთავრებისთანავე ცოლად მიიყვანდა, — უქნარებსა და ხულიგნებს ხომ ყველაზე ლამაზ ქალებზე მიუწყვდებოდა ხელიო... ამაში არაფერია გასაკვირი, მამაო ფლინ, საკვირველი ის არის, რომ მამაჩემი თურმე იქვე იდგა, მისტერ კერნანთან ერთად, და ყველაფერს არხეინად უთვალთვალებდა. რა ძალიან გევაზრ დედაშენს, ლაწირაკმა როგორ გაგლახაო, — აქამდე მაყვედრის.

— ო, ეს წყევული ბაქტრიანი, — ჩაიღუღუნა მამაო ფლინმა, — რას არ გაგახსენებს, რას არ მოგაჩვენებს!.. გასამრჯელოს როდის გადამიხიდი?

\*\*\*

— დღეს ჩამაბარებ? — ჰკითხა ფარაონის ბიჭს.

— მომბეზრდა მაგაზე ლაპარაკი, ხუმრობასაც თავისი საზღვარი აქვს.

— დღესვე გადაწყვიტეთ, — ჩაურთო დიშამ, — მერე არ გავიგო კუნთების ჰრიალი.

მისტერ პაუერმა დამცინავად გაიღიმა.

— რა უაზროდა ვართ, — უთხრა მისტერ კანინგემს, — დეიდა კეიტთან მაინც წავსულიყავით, წვეულება აქვს.

ფარაონის ბიჭის მეგობრები იყვნენ. ფულიანები, გაზულუქებულები, დამოუკიდებლად და გამომწვევად ეჭირათ თავი, ჯიბიდან თითო-თითო ღერ ამერიკულ სიგარეტს აძრობდნენ და ამაყად აბოლებდნენ.

— წავიდეთ, სხვა რა დავგრჩენია! — ამოიოხრა ფარაონის ბიჭმა, — მოწყენილობისაგან, სადაც არის, ჩამეძინება.

— რა დროს დეიდა კეიტია — იასემ მკლავზე დაქაჩა და თავისკენ შემოაბრუნა, — ვალს როდის გამისტუმრებ?

— ტყუილად ილღი ენას!

— ამას ცოტა ხომ არ აკლია?! —

მიუბრუნდა დიშამს. — *წერას ხომ არ არის ატანილი?*

— ვალს გასტუმრება უნდა, მამაო, — მიმართა დიშამ ბრაზისაგან გაშავებულ ფარაონის ბიჭს, — საწვევრო შენ არ მოგეცეს? აბა, კარგად გაიხსენე.

— თქვენ რა, სერიოზულად ამბობთ?! — იმბრიზა მისტერ კანინგემი, — რა მოგელანდათ?

— ჯენტლმენებო, მშვიდობიანი მორიგება სჯობია, — ჩაერია საუბარში მისტერ პაუერი, — ჯერ გავარკვიოთ, რა ვალს მოითხოვთ, როგორც ვიცი, თქვენი ძმა ციხიდან ფარაონმა გაანთავისუფლებინა, ის თუ არ დაეხმარებოდა...

— ის თუ არ დაეხმარებოდა, ციხეში არც ჩასვამდნენ. პრემიერ-მინისტრისათვის მისაცემი ფული თვითონ ჩაიჭიბა, ესენი კი...

მამამისზე გულმოსული ფარაონის ბიჭი თვითგვემის ხასიათზე დადგა:

— ჰო, რაკი ასეა, რა გავწყობა... მაგრამ იცოდეთ, კარგი დასასრული არ ექნება...

— მაგაზე ნუ იღარდებ, — გაიცინა იასემ — ჩვენს ამბავს არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული... ასეა გადაწყვეტილი...

„გადაწყდა“ — დაიძახა გამჭვირვალე სარათანში გამოწყობილმა ახალგაზრდა ქალმა, აღვზნებულმა შემოკრატაში და ფეხის წვერებზე დატრიალდა:

— კადრილი იწყება, კადრილი! ფარაონმა დედაჩემი პროვინციაში გააგზავნა მეურნეობის მოსაწყისრიგებლად და თავის სტიქიაშია: დილიდანვე შეუდგა ღრეობას. მისტერ კერნანის უეცარმა სტუმრობამ, ცოტა არ იყოს, გუნება წაუხდინა, მაგრამ უმაღლ მოეგო გონს და არაფერი შეიმჩნია, ის კი არა, ორიოდღე ბოთლის შემდეგ გულითადი საუბარიც გააჩაღეს:

— ნამდვილ ჯენტლმენს სამ მილზე გამოიცნობ. გაცნობის დღიდანვე მივხვდი, ვისთან მქონდა საქმე, მაშინვე მოინადირე ჩემი გული, — კატას რომ ბეწვზე ხელს გადაუსვამ, ის კი ერთ-

ტუნით ფეხებზე გაგეგლასუნება, სწორედ იმგვარი ხმა და გამომეტყველება აქვს. ყოველთვის ძლიერი და თავისთავში დარწმუნებული დღეს სრულიად სხვანაირია, ე. ი. კერნანი არჩევნებში გაიმარჯვებს... ვერაფრით წარმოიდგენდი, თუ...

— გამორიცხულია, — შეაწყვეტინა მამაო ფლინმა, — ჩემის ღრმა რწმენით...

— ნუ მაწყვეტინებ, მამაო ფლინ. სხვა რამეზე დაიწყებ ფიქრს და შენი სახსენებელი აღარ დარჩება, მაშინვე გაქრები.

— ღმერთს ნუ სცოდავ, შვილო ჩემო, მე ისეთივე ცოცხალი ვარ, როგორც შენ და როგორც ნებისმიერი სხვა.

— რამდენჯერ უნდა გაგიმეორო ერთიდაიგივე? წადი ეკლესიაში და წაიკითხე, რაც იმ ქვაზე წერია. შენს დასაფლავებაზე არ იყო, პრემიერ-მინისტრმა საათნახვერიანი სიტყვა რომ წარმოთქვა? იმავე საღამოს ყველა გაზეთი მაგ სიტყვით ააპრეღეს, მგონი, ერთი ეგზემპლარი შენახულიცა მაქვს. — ფარაონის ბიჭმა ნერვიულად გაიარ-გამოიარა და თაროდან გაყვითლებული პერგამენტი გამოიღო, — როდესაც შენს ნუმინმატიკურ კოლექციას ცეცხლი წაეკიდა, მხოლოდ ამ პერგამენტის გადარჩენა მოვახერხე. თუ გინდა, ამასაც დავწვავ და მართლაც აღარ დარჩება შენი სახსენებელი... გინდა?

მხრებში მოხრილი და ხელებაკანკალებული მამაო ფლინი მორჩილების განსახიერებად იქცა. ფარაონის ბიჭმა კმაყოფილებით შეაეღო თვალი, მრავალმნიშვნელოვნად ჩაიკინა და თითქოს არაფერი მომხდარაო, ისე გააგრძელა:

— აღამიანთა სისხლით ხელების გათბობა ჩემი გამოგონილია, — მამაჩემი მისტერ კერნანს მლიქვნელური ტონით აწონებს თავს, — ვინ მოსთვლის რამდენი კეთილშობილი გადავარჩინე თითების მოყინვას?!.. ეჰ, არავინ არ აფასებს ამავს, დახარჯულ დროსა და ენერჯიას; ახალგაზრდა თაობა ყველაფერს

ივიწყებს. ჩვენი ბურჟუაზიული მრწამსი რომ არაა...

— არ არის შენი ატმოსფერო უსწორებს მისტერ კერნანი, — ეგ მეტოდი ისეთივე ძველია, როგორც როკფელერის არისტოკრატიული წარმომავლობა.

აშკარად არჩევნებში იმარჯვებს ეს ღორი. აბა, საიდან პატრიოტული პათოსი?! საიდან კომბინატორის გონორი?

ავადმყოფობა ხარ, ჩემო კერნან, რომელიღაც ტროიკული მიკრობით შეზავებული, ოცდაათი პორცია „კანამიკინი“ რომ ვერ არჩენს, ისეთი. შენ არ იყავი, საბილიარდოში, მისტერ ბრაუნის თვალწინ პატარა მერი ჯეინს რომ იხუტებდი, ვითომც მხოლოდ ნათესაური გრძნობა გამოძრავებდა, მისტერ ბრაუნს კი არაფერი შეუუმჩნევია, ბილიარდის თამაშით გახლდათ გართული. მერე მერი ჯეინს ბავშვი ეყოლა, ზუსტად ოთხმოცდასამი წლის ცამეტ თებერვალს და ხუთიათას დოლარად გააყიდინე, — რად გინდა, მაინც ნაბუშარს დაუძახებენო.

— რა დროს ჰორაობაა, გოგონებო, კადრილი დაიწყო! — ახალგაზრდა ქალი პერანგის ამხანაგს იხდის და მაგიდაზე მიძვრება, — როგორ ვჩანვარ?

— ჩემი თავისუფლება აბსოლუტური მარტობაა და როცა იქნება ვისწავლი მაგასაც, — გაიფიქრა მამაო ფლინმა, — ბალეტს კი სულიერი წონასწორობა სჭირდება, გარკვეული სულიერი კომფორტი, რაც მე არ გამაჩნია, ამიტომაც არ დავდივარ თეატრში.

\*\*\*

— ერთი თვე კიდევ რჩება თქვენთან, ყურადღება მიაქციე, წამალი ყოველდღე დაალევინე, პატივისცემა ჩემზე იყოს.

— როგორ გეკადრებათ, ფული რა საჭიროა! — ლამარამ ყასიდად იუარა, — ზედა ვარ გადაყოლილი. ისე მიყვარს, როგორც საკუთარი ძმა, თანაც რა ვეჟაკურია, რა განათლებული! ავადმყოფობისა არაფერი ეტყობა, —

ხმას დაუწია და შეთქმულივით აჩურჩულდა, — შელოცვილი იქნება, ჯადოს გაუკეთებდა ვინმე, ხომ იცით, რა ხალხია! მკითხავთან მიდით, აუცილებლად უშველის. ამისწინ, ჩემს მეზობელს მანქანა მოსტაცეს და მკითხავმა აპოვნინა.

პალატაში კრეოლინის სუნი იდგა.

— საკმელი ეველინმა გამოგატანა? — ჰკითხა ძმამ.

— არა, ნანას გავაკეთებინე. რა სუნია?

— კანალიზაციის მილი გასკდა.

იასემ სევდიანად გაიხედა ფანჯრისაკენ — მის გამოღებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

— მერი ჯეინი შემხვდა ქვევით პირველ სართულზე. ვისთან მოდის ხომ არ იცი?

— ფარაონის დავალებით მოვიდოდა. ავადმყოფების უმრავლესობა აღსარებაზე უარს ამბობს და ხან ქალით, ხანაც ფულითა და ძალადობით ცდილობენ ზემოქმედებას... კიდევ კარგი, დიმიამ ცოლად არ შეირთო... პატიოსან ოჯახში გაზრდილი კაცია, ბევრ რამეზე წარმოდგენა არა აქვს, ხელფასზე გაუჩერდებოდა!

— მიუვარს და მაგის წარსულს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, უნაკლო არც მე არა ვარო.

— მაგასაც აკლია, — გაიცინა ძმამ, — ჯადო გაუკეთეს, არა?

— ვერ მოასწრეს, მერი ჯეინის დაქალმა გააფრთხილა, ბინძური სითხე ჩაესხა ატმის კომპოტში და მაკივარში ედგა გამზადებული, სიყვარულის წამალიო... ეგ რომ გაიგო იმითომაც გადაიფიქრა.

— მორჩი ცოლებზე ლაპარაკს! — თქვა გაღიზიანებულმა, — სხვა ვერაფერი მოიფიქრე?

— ერთი თვეც გაუძელი, გამოგწერენ, ერთად ვიქნებით.

— ჯერ აღრეა მაგაზე ლაპარაკი.

— ოთახის გადატიხვრაც შეიძლება, თოთხმეტი და თორმეტი კვადრატული გამოდის, ორი ძმა ვერ დავეტყვიო?

— სიკეთეს აკეთებ?! მსხვერპლს

იღებ ჩემთვის?! უბადრუკო! — დასარტყმელად გაიწია, — მომწყდეთ, აკვირდნენ! ჩემს საქმეში ცხვენილს ჩემს უფ!

— მართლა გიყი ხარ! — იასე ძლივს გამოუსხლტა გარეთ, — აბა, ათიდან ერთამდე დაითვალე!

\*\*\*

— პატრიარქალურ ტრადიციებზე აღზრდილი, ფარაონის გარეგნობითა და სიჩუქტით მოჩადობებული დედაჩემი აბსოლუტურად მოკლებულია მდიდარი ქალებისათვის დამახასიათებელ სითამამეს და დამოუკიდებლობას. თავისი მორჩილებითა და ფანატიკური ერთგულებით, დროთაგანმავლობაში, ქმრისთვის სრულიად უინტერესო გახდა. მახსოვს, კინოფილმის მსვლელობისას, თუ კაცი ქალს კოცნიდა, ან დედაჩემის აზრით, რაიმე ჩემთვის შეუფერებელს აკეთებდნენ, უმალ თვალებზე ხალათს ამაფარებდა ხოლმე, ზოგიერთ წიგნებში კი, რომელთა წაკითხვაც სასტიკად მქონდა აკრძალული, მელნით შლიდა „მიუღებელ“ ადგილებს.

— რა არის მაგაში ცუდი? — ჩაიდუღუნა მამაო ფილინმა. — რაც უფრო გვიან გაერკვევა ბავშვი...

— ამის გამო უფრო დაინტერესებული და ბავშვური ემპათობითა და ცნობისმოყვარეობით ავსებული, თანატოლებზე ბევრად აღრე გავერკვიე ისეთ წვრილმანებში, რომელთა ცოდნაც ჩემთვის წვალებისა და ათასნაირი უსიამოვნების მიზეზი ხდებოდა. პირველად მუსიკის მასწავლებელმა აღმოაჩინა ჩემში მომხდარი ცვლილებები. როდესაც მისი სიახლოვით აფორიაქებულმა, აკანკალებული თითებით აკორდი ვერ ავიღე, მხიარულად გადაიხარხარა და ლოყები დამიკოცნა. ათითერთმეტი წლისაც არ ვიქნებოდი, მაგრამ ახლადშებუბლული თავმოყვარეობა მაინც შემეღობა. მერე ჩემს გაკვეთილებს სხვა მასწავლებლებიც ესწრებოდნენ, კარებს გადაკეტავდნენ და სპეკულიანტის მოტანილ კაბებს იზმანებდნენ, ვუკრავდი, თვალებით ვჭამდი



პიანინოს გაკრიკლებულ ზედაპირზე არეკილ შიშველ სხეულებს, ყოველ შეცდომას, ყოველ არასწორად აღებულ ბგერას კი მათი სიცილ-ხარხარი ახშობდა. ასე გაგრძელდა მანამდე, ვიდრე დედაჩემს კატეგორიულად არ მოეთხოვე სხვა სკოლაში გადაყვანა.

— სწორად მოქცეულხარ...

— ამით დაცინვას გავუბოდი, ჩემად თვალთვალს მერჩია... მშობლების წყალობით, რომლებიც ერთნაირი მონღომებით ცდილობდნენ ჩემში ორი ურთიერთგამომრიცხველი ხასიათის ჩამოყალიბებას, ნაადრევად გარყვნილ და გაუბედავ ნივთად ვიქცეი.

— მიუხედავად მაგისა... — მამაო ფლინი უბერხულობისაგან ადგილს ვერ პოულობდა.

— აღამიანი პირველ ნაბიჯებს როგორც გადადგამს, როგორ ბავშვობასაც გაატარებს, ისეთივე ცხოვრება ექნება მომავალშიც შეიძლება გარეგნულად რაღაც შეიცვალოს, შეიძლება თავის მოტყუებაც შესძლოს, შინაარსი კი იგივე დარჩება. ასე რომ, ტყუილად ეცდილობდი ოჯახსა თუ აღამიანებთან ურთიერთობაში რაიმე გარდატეხის შეტანას...

გუშინ საბოლოოდ დავრწმუნდი ჩემს უბადრუტობაში. ისევე ისე შემომაპარა ხუმრობა, ხუმრობას ისე ოსტატურად მისცა სერიოზული სახე, საწყობის გამგისა და საამქროს უფროსის თვალწინ ვალი მომთხოვა და თანაც ვითომ ვაუკაცურად მოიქცა, — მაგდენის გადამხდელი შენ არა ხარ, ოცდაათათასს გამოგართმევო. მეც, როგორც უკანასკნელმა დოკლამიამ, ათასი დოლარი მაშინვე მივეუბნენი. ეხლა გამოუვალ მდგომარეობაში ვარ; რახან ათასი მივეცი, დანარჩენიც უნდა გადაუხადო. თავისთავად ცხადია, სამსახურსაც ვკარგავ. ამისთანა ნაცნობების პატრონი ვის რაში ვჭირდები!

— ვალი თუ გქონდა, — თქვა მამაო ფლინმა, — რალს ემართლები?

— მაგისმა ძმამ სამსახურში მოსაწყობი ფული მე მომიტანა, მე მივეცი

ფარაონს. იმას ვერაფერს ეუბნებიან და...

— მარტო იყო?

— დიმასთან ერთად.

— ეგ არ ითვლება, მაგის ყოფნა-არყოფნას აზრი არა აქვს. როგორც ყველა პატიოსანი კაცი, ეგაც ყოველად უფერულია: საშუალო ნიჭი, საშუალო გარეგნობა... შეიძლება მთელი საღამო შენთან გაატაროს და მეორე დღეს ვერც გაიხსენო... მასეთ კაცს ვინ მოუსმენს?

— მაგრამ იასესთან ძველი ბიჭის როლს თამაშობს, ერთი განახვა, რა ამბავში იყო, ენა არ გაუჩერებია, თვალი და ყური ვარო, იმბბდა.

— ეგ არაფერი! ადვილად შევაშინებთ! ორი კაცის გაქრობას რა უნდა! — ჩაიხითხითა მამაო ფლინმა, — თანაც აღსარება არასოდეს უთქვამთ. დიმას მე თვითონ მოვუვლი.

— დიმაზე არც ვფიქრობ, ძმებს რა მოუეხერხო, არ ვიცი. გახმაურება არ შეიძლება, ობლების მოსპობას ხალხი დაგვაყვედრებს, ეს ოხერი არჩევნებიც მოახლოებულია. მაშინვეს მაინც არ გაენთავისუფლებინა ციხიდან, კარგად მიხდიან სამაგაეროს!

— ჰიპერბოლა, შეილო ჩემო, ჰიპერბოლა, — დასერიოზულდა მამაო ფლინი, — გავვიადება გიყვარს, იეზუიტები კი ძირითადად არისტოკრატიას ეყრდნობიან.

\*\*\*

— სააბაზანოში?

— ჰო, ვაზელინი არ იყო და წვერის საპარსი პასტა დავითრიეო. თურმე დაბადების დღე ჰქონდა, სტუმრებიც ჰყოლია.

— არ შერცხვია?

— რას გაიგებდნენ! ვუყურებდი და სიცილს ვერ ვიკავებდი, ველარ ჯდებოდაო. რომელიღაც პროფესორს წაუყვანია, შეიძლება იცნობდნენ კიდევ.

— რად გინდა მასეთი?!

— ზოგს პროფესიონალები მოსწონს.

— გიყვარდეს მოყვასიო, არა? — ჩაიცინა მამაო ფლინმა.

— მოყვასიო, ყველა კი არა!

ესეც შენი სტუდენტები შეხედავდი, ანგელოზებს ჰგვანდნენ.

— თუ შეიძლება, გამატარეთ, — ხმა ისმოდა, ქალი არ ჩანდა.

ავტობუსმა კინგს-ბრიჯის სადგურთან აუხვია და ხვნეშა-კენესით შეუდგა აღმართს.

— ჩემი უფროსი ქათამია. — თქვა დიმაძე.

— ქათამი?

— ყოველი ადამიანი რომელიღაც ცხოველს მაგონებს... ეგ ქათამია.

— მე რას მაგონებ?

— კვერნას.

— სხვა ვერაფერი გაიმეტე?!

— მომისმინე, ბანკირი ჩემი ქათამია, ორმოცი დოლარი დავდეთ, მოიტანა ორნაირი ძეხვი — ერთი ღირს ოთხი დოლარი და სამოცი იენი, მეორე — ორი ფრანკი და სამი ცენტრი, კართოფილიც ოთხი კრონი და... დანარჩენი თვითონ შეიტყაუენა... ჰო, კვერცხი დამეიწყდა, — როგორც ყველა ქვეშაირი ქათამს, მასაც კვერცხი ქვეყანას ურჩევნია...

დიმას ნაციონალური გმირის ძეგლთან გამოემშვიდობა და ნელი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას. ირგვლივ ფუმფულა ხეები იდგნენ, სასიამოვნოდ გრილოდა და მშვიდი საღამო იყო.

ნანას ჩხინკორა სხეული შორიდანვე შეამჩნია:

— ძმასთან იყავი? რა სჭირს?

ზოგჯერ მიხვედრილობის ისეთ უნარს ამჟღავნებდა, იასეს მის წინაშე არასიამოვნოდ დროსა და ადგილზე გამოშვლებულად წარმოედგინა თავი.

— საკუთარი ხუმრობა დაიჭერა... რასაც ფიქრობს, ყველაფერი მართალი ჰგონია.

— უტაქტო ვარ?

— არც ისე.

გასაღები გაჭირვებით მოარგო საკეტს.

— ვაი, რას ჰგავს აქაურობა! — შეიცხადა ნანამ, — ერთ დღეში ყირაზე დაგიყენებია.

— სპეციალურად გვაკეთე, მამაძაღლობისთვის ცოტა დრო დაგრჩება.

— თამაში მოვიგონე, გაგონებში — ოთახს ალაგებდა და ენასკირეჭიქებდა, — შენ ინდიელების მსგავსად ხეობი, მე — შენი ტყვე.

— ზანგი?

— რატომ ზანგი? — სიცილისგან ცრემლი მოადგა, — რატომ მაინცდამაინც ზანგი?

— მონა ზანგივით მუშაობ.

— თეტრკანიანი ვიქნები, ბალერინა. მოკვლას დამიპირებ, მაგრამ შეგეცოდები და შეგიყვარდები, მერე, ალბათ ხედები, რაც მოჰყვება მაგას.

— მომენტს არ კარგავ, რომ არ დამაყვედრო.

— სულაც არა! გგონია, კიდევ ვფიქრობ მაგაზე? ბალერინა არ გამოვედი, სამაგიეროდ სხვა ჰქვეშაირებას მაზიარე... მაგარი დებიუტი კი მქონდა, — ჩაიკისკისა, — ლოთივით დავბარბაცებდი სცენაზე. მაკლია, რა ნაღდად მაკლია.

— ცარიელი ფუტლიარი ვიყავი, — ბოდინის მოხდესავეთ გამოუვიდა და გაბრაზებულმა გააგრძელა, — ხელი მქონდა ჩაქნეული ამ დამბალ ცხოველზე.

— მე გომველე, არა?! — კისერზე ჩამოეკიდა, — გამოტყუდი, ხომ მე გომველე?

— შეიძლება... უშენოდ უაზრობა იქნებოდა, — ფრთხილად გაინთავისუფლა თავი.

— რა კარგი ხარ! როცა უკვე იმედი არა მაქვს, მაშინ მეტყევი ხოლმე და, რა კარგია, როდესაც ამბობ!... ზოგჯერ ისე უსინდისოდ მეტყევი, ვერც კი წარმოიდგენს...

— ძნელი წარმოსადგენია! — გაიცინა ისემ და დარწმუნებულმა, რომ ხუმრობაში ნანაც აპყვებოდა, მისკენ გაიხედა.

ნანა, მხრით კედელზე მიყრდნობილი, შუა ოთახში დაყრილ ნაგავს ჩასჩერებოდა:

— გლალატობ, იასე, — უთხრა მოხეიშე სერაოზულობით, — რაც უფრო ცუდად მეტყევი, უფრო ხშირად გლალატობ.

ავადმყოფური სიცარიელე იგრძნო, სიცარიელე და შებვა, თითქოს სხვისი ტვირთისგან განთავისუფლდა. ცდილობდა, არ ეფიქრა. ციხეში გამოძწყვდეულივით აწყდებოდა კედლებს.

მოპირდაპირე კორპუსის ციკქნა ოთახში ორი წყვილი ირწყოდა მუსიკის რიტმზე. შორიდან ძალიან პატარები და საქმიანები ჩანდნენ.

„პატივი ეცი ადამიანებს, — ჩაესმანას ხმა, — გაუცნობიერებლად გრძობენ, მათზე რა აზრისაც ხარ და ისეთივე სიძულელით გასაუბობენ... ერთხელ მაინც თქვი აღსარება, სხვა თვალთ შემოგებდავენ, სამსახურში დაგაწინაურებენ... გაგიჭირდება, რაც დრო გავა, უფრო მეტად გაგიჭირდება. როდემდე გაუძლებ?!”

სიგარეტი გადააგდო და ისევ მოცეკვავეებისკენ გაიხედა.

„ნეტა მაეოდინა, რა სიამოვნებას ნახულობენ ციხის ცხენებივით ერთ ადგილზე იტყეპნებიან“. მერე ოთახს მოავლო მზერა და „ნაგავი მაინც გაეტანაო“, გაიფიქრა.

\*\*\*

— ორი ღამის უძილობისგან ნერვებდაგლეჯილი, მესამე ღამესაც ვათენებდი. თავი მისკდებოდა, სახსრები მტკიოდა და მოძრაობისას წონასწორობას ვკარგავდი. ჩუმად გავედი სამზარეულოში, წყალი დავლიე და უცებ, კედელზე ლანდივით აკრული და ჩემს ოთახში მოთვალთვალე დედაჩემი დავინახე...

— დედაშენი?

— დიახ, მამაო ფლინ, დედაჩემი. არ ვიცი, რა მიზნით იხედებოდა, ან რა უნდა დაენახა იმ სიბნელეში, მაგრამ გამომეტყველება ისეთი დაძაბული, ავადმყოფური და რალაც არანორმალურის მომლოდინე ჰქონდა, რომ თმები ყალყზე დამიდგა და საშინელი ბრაზი და ზიზღი ვიგრძენი.

ქიქა მაგიდაზე დავდგი.

უმნიშვნელო ხმაურზე ლანდი გაქრა, გაიძურწა დანაშაულზე წასწრებული მომპარავივით... გაიძურწა და სა-

ბოლოოდ ჩამიქოლა უკან დასახევი გზა.

— შეილო ჩემო, იქნება...

— ო, რა უბადრულობაა გარშემო! რა აბსურდული უღიმღამობა! დედაჩემის ჩემდამი სიყვარულიც მხოლოდ მშობლიური ეგოიზმია და მეტი არაფერი. ეგოიზმი — ფრიადოსნის დიპლომათა და კომბინაციებში გაკეთებული ფულით ნაყიდი.

— ასე შეიძლება ჯოჯოხეთშიც მოხვდე! — გაეცხარა მამაო ფლინი.

— არ არსებობს! შენ თვითონ მასწავლიდი! რის ჯოჯოხეთი, რა სამოთხე! ფულია ყველაფერი... ცოტა მაკადეთ, ყველას გაცივით, თქვე მათხოვრებო! მაგრამ ჯერ ის ყვინჩილა მყავს ძელზე გასასმელი, ჯერ იმას გავუყეთებ კასტრაციას!

\*\*\*

დასისხლიანებული და ცალი თვალთ დაბრმავებული გაუნძრევლად ეგდო ზურგზე და ჩუმად უსმენდა ტკივილს.

— სანაგვეში ფართხალებდა, აფსუსი არ არის! — ბრაზობდა დიმა, — სად გაგონილა მიმინოზე ნადირობა!

— ეშველება?

— წყალი დავალევივით, შეიძლება გადარჩეს.

როდესაც დიმამ რამდენიმე წვეთი მისახურა ნახევრად გაღებულ ნისკარტზე, საოცარი სისწრაფით გადმობრუნდა და ელვისებური მოძრაობით (დაახლოებით ისე, როგორც ნანადირევს დაუწყებდა ფატერას) თითქმის ნახევარი გამოცალა.

— რა ლამაზია! რომელი ფარშევანიგი და ხოზობი შეედრება! ბედის რჩეული რომ არ იყოს, ჩემი უფროსივით დაიწყებდა კაკანს.

„ცოლი, სამი შეილი, ორი ოთახი, ხმარებისაგან გაცვეთილი, მორყეული ავეჯი, კედელზე გაკრული უგემოვნო გრაფიურა, ძველისძველი კედლის საათი, გაზის სუნი, გაშავებული სააბაზანო და სამზარეულო (ერთმანეთის გვერდით), განუწყვეტელი უფულობა, ვალი, ბავშვების აურზაური, ცოლის წუ-

წუნი („როდის წავიდეთ დასასვენებლად?“), ასოდე წიგნი (მათ შორის ზოგიერთი — უნიკალური), დამის ქოთანი (სადინებელში), ბავშვების ჩხუბი, ცოლის წუწუნი, გაუთავებელი დავა უფროსებთან, ქვეყნის ნათესავები, უამრავი გასვენება, ქორწილი და დაბადების დღე, მოშლილი ონკანი, გამოსაცლელი ვაზის ქურა, იაფი საქმელი, მოდური ჩასაცმელი, განუწყვეტელი უფულობა, ბავშვების ჩხუბი, ცოლის წუწუნი, გაუთავებელი დავა უფროსებთან“...

„ბედნიერი კაცი ხარ, დიმა, საქმე ყოველთვის გაქვს, ფიჭრის დრო აღარ გრჩება“...

ბორბლებს ღრჭიალმა გამოაფხიზლა.

უკან გადახტა, ზურგზე გადაგორდა, ფეხები ჰაერში დაიქნია და მძლავრი ბიძგით ვერტიკალურ მდგომარეობას დაუბრუნდა. დაბნეულმა მიმოიხედა, სახეზე გაოცება გამოესახა და უხერხულობის დასაფარავად ჩაიციხა.

ეს დილაც არ განსხვავდებოდა ყველა იმ დილისაგან, როდესაც ახლად გამოღვიძებული უცნაურ დაღლილობასა და მარტოობას გრძნობდა. გული ბუდიდან ამოყვანილი თოთო ბარტყივით ფრთხილდებდა, ღვიძლის მხარეს, ნეკნებქვეშ ძლიერ ტკივილს გრძნობდა, ტკივილი მარწუხივით უჭერდა და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. გაბრაზებული გადაიხარა საწინააღმდეგო მხარეზე, თითქოს საკუთარი სხეულისათვის ნიშნის მოსაგებად, ჩუმად ამოიკვნესა და ტკივილისაგან უცებ განთავისუფლდა (სახეზე ისევ ის სულელური გამომეტყველება ჰქონდა: გარდაცვლილი სიცილის მაგვარი).

„ჩემი სიცილი გარდაიცვალა, მე კი ჭერაც ცოცხალი ვარ“, — გაიფიქრა და ყოველგვარი ცდუნების გარეშე გააყოლა თვალი გზაზე მიმავალ ექსტრავაგანტურ ქალიშვილს, — „გაეგებოდეთ მაინც, რატომ ცხოვრობენ, მაგათი ცხოვრება ხომ ცხერის ფარის მარტოობა, ყოჩის ნოსტალგია“.

— ცუდად ხომ არა ხარ?

სასწაული მომხდარიყო: ცხერის ფარა მისი ჭანმრთელობის ამბავს კეთილშობილი, ორი უფსკერო მუცელი შენიგინა მისთვის და მოეჩვენა, რომ ქაში დამყაყებელი, მწვანე წყალი ესხა.

— ცუდად ვარ, — მიხვდა, სადაც იყო დაეცემოდა, — მანქანა დამეჭახა.

ქაში ერთად შეგროვდნენ ათასნაირი ბაქტერიები, მიკრობები, მოლუსკები, ერთმანეთში აირივნენ და უზარმაზარ ეჭვის ჭიად იქცნენ, — გულსხმიერებანარევი ეჭვის ჭიად.

— ექიმს დაურეკეთ, — ორკაპიკიანი გაუწოდეს, — ტელეფონი კუთხეშია.

მაინც სასწაული იყო: უცნობი და ასეთი ყურადღება?!...

— თავი გამანებე! — ჩაიღრინა, — საქმეს მიხედე!

ქალიშვილი ცივად გატრიალდა.

— არა მჭერა! — შიდახა, — არა მჭერა, რომ ჩემი ბედით დაინტერესდი, არც ის მჭერა, რომ გაჩერდი და საერთოდ თუ გნახე, საერთოდ თუ არსებობი არა მჭერა!

მერე თვალეები დახუჭა და თავი მოემძინარა: „მიმიფრთხებია ჩემი ცხოვრების პერიპეტეიებისათვის... პერი... პეტი... პერი... პე“...

ჩაეძინა

— აბა, ბიძიკო, გეყოფა მხართეძოზე წოლა, ძალიანაც ნუ გაგვიწვივრდები. შენზე უარესად იყვენენ, უკვე ფეხბურთს თამაშობენ. რა დაგემართა, კაცი არა ხარ! ათ დღეში გაგწერთ, მეორე პარასკევს.

თავზე უზარმაზარი თეთრი პეპელა დაჰფარფატებდა და იოდის სურნელებს აფრქვევდა.

„არ გადამაყოლეს იმ ათას დოლარს?!“

თვალეები ჰერისთვის მიეშტერებინა, დიმა და ძმა ჩუმად ისხდნენ.

— როდის ჩამოხვედი? — ჰკითხა ძმას.

— არ ჩამოვსულვარ, გამომწერეს, სამი დღეა.

— მაინც უთხარი? — დიმას გადახედა.

— რა მაქვს დასამალი? შენ როდის გამოგწერენ?

— თქვენ რა, მორიგეობა დააწესეთ? — გაიცინა დიმა. — ხან ერთი ხართ საავადმყოფოში, ხან — მეორე.

— სიარულს როგორც შევძლებ, — თქვა იასემ. — ორ ნაბიჯზე ვიღლები. — მიმინო მკვდარი დამხვდა.

— სანაგვეში უფრო გადარჩებოდა. — მანქანის ნომერი დაიმახსოვრე?

იასემ გამომცდელად შეხედა და უარის ნიშნად თავი გააქნია.

— პოლიციას ხომ არ გადასცემს?! — ძმამ მის მზერას თვალი გააყოლა.

— ცუდი დეკლამატორი ვარ, სადაც სხვის ტყუილს იჭერებენ, ჩემი სიმართლეც არ სჭერათ.

— დაიწყე?

— მე წავალ, — წამოდგა დიმა.

— მეც წამოვალ, — თქვა ძმამ, — მაგრად იყავი, — თმაზე მიეფერა, უხეშად და უხერხულად, — ნანამ გიკითხა, დასასვენებლად წავიდა-მეთქი; ვიცი, არ გესიამოვნებოდა, ასეთ ყოფაში რომ ენახე.

— კარგად მოქცეულხარ.

ჭიანჭველებივით ირეოდნენ, მდორედ მიიზღაზნებოდნენ, ყოველ ნაბიჯზე ჩერდებოდნენ, ყველასა და ყველაფერს ჩხრეკდნენ, ანჭიქებდნენ, აქილიყებდნენ, ერთმანეთს ფეხებში ეღებოდნენ. სული ეხუთებოდა, ნელა სიარული არ შეეძლო, გაჭირვებით მიჩვევდა გზას ოტროველა სხეულების დაუსრულებელ ნაკადში და იცოდა, ნებით არავინ გაუშვებდა წინ.

— ვერ გამოკეთდი? — ეველინმა ყურადღებით შეათვალიერა.

— დავიღალე, ბევრი ხალხია.

— როგორ არის?

— შენზე როცა ველაპარაკები, აღარ ჩხუბობს.

— გადაუარა ვითომ?

— მობეზრდა... შაბათიე, რა! იმ დღეს თავი ვერ შევიკავე.

— ჩემი ბრალი იყო, მასე არ უნდა მელაპარაკა, არც გავცილდები, იქნება ეშველოს...

მათი სკამისკენ, ჯოხის კაკუნით, მუახნის, სათვალისანი კაცმა მოძრაობდა.

— შენი გადასაწყვეტი... ჩვენიც...

— სიყვარულით მეტს ვერავის შევიყვარებ, ისე კი... ბავშვიც ცოლო... მამა გახსოვს?

— ბუნდოვნად. ხუთი წლის ვიყავი, როცა დაიღუპა... ერთხელ, მატარებელით მივდიოდით, წყლისთვის ჩავედა, მერე მატარებელი დაიძრა და მე ავტორდი, მეგონა, ვერ მოასწრებდა... ეგ შიში მახსოვს.

სათვალისანი მათ სკამზე ჩამოჯდა.

— წავიდეთ, — თქვა ძმისცოლმა, — ბავშვია თქვენთან, ვინ იცის, როგორ გააწვალა, მაგისი ნერვები აქვს?!

— მარტო მიდი, ვინ გიშლის!

— აყვირდება.

— როდემდე იყვირებს!... დავიღალე, ცოტას დავისვენებ.

ეველინს თვალა გააყოლა და მის მიმართ პირველი იგრძნო რაღაც სიბრაალულის მაგვარი.

— ცხელა, — თქვა კაცმა.

— ამდენ ხალხში როგორ გამოაღწიე?

— მეზობელმა მომიყვანა, საღამოთი წამიყვანს... მიყვარს ეს ბალი.

— რომ არ წაგიყვანოს?

— მე თვითონ წავალ, გზას მითმობენ ხოლმე.

— ხედავ რამეს?

— დროს ვხედავ.

— დროს?

— ჰო, მყარია. ჩვენც მყარები ვართ... როგორც მულტფილმის ფირი, ხომ წარმოგდგენია! მოძრაობს, მაგრამ ფირია და მეტი არაფერი.

— მულტფილმიც გცოდნია!

— ყოველთვის ბრმა კი არ ვიყავი! მე როცა გენეტიკაში ვმუშაობდი, ხალხს წარმოდგენა არა ჰქონდა, ანტიმეცნიერებად თვლიდნენ.

— კარგ დროს გიმუშავია! — ჩიიცინა, — ეხლა რას აკეთებ?

— ვზივარ, — წამოდგა და ჯოხის კაკუნით სხვა სკამისკენ გაემართა, — მოკლილი ხარ, ვილაყ!

\* \* \*

— გაიგე, სად არიან? — თვითონაც ჩაერია საუბარში.

— თავისი ნებით გაებნენ მახეში! — მგზნებარედ წამოიძახა მისტერ კანინგემმა, — დილით მისვლა სჯობს, მერე შეიძლება, ხალხი აირიოს, ღამით მისვლაც საეჭვო იქნება.

წვიმდა, თოვდა, მერე ისევ წვიმდა, მერე ისევ თოვდა, მიწას შშორის, სველი თმისა და გაკრიალებული საბაზანოს სუნი ასდოდა. მზეც იყო, მთვარეც, ვახუშტულიც, ზაფხულიც...

— მართლა ასეა? — იკითხა მამაო ფლინმა, — აღსარებაა, თუ ფრანჩესკო სალვზელის ფილოთია?

— ამ ამბავმა ისე დამღალა, სიამოვნებით მივატოვებდი ოჯახს, ქალაქს, ახლობლებს... წავიდოდი სადმე, — უპასუხა ფარაონის ბიჭმა, — არ მოშასტენებს... საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ერთხელ შემხვდა...

„შეშინდა“, — გაიფიქრა მამაო ფლინმა.

„გვიანია, ხვალ ადრე ვარ ასადგომი... ვერ ვიძინებ... შორიდან ძაღლის ყეფა ისმის, ახლოდან — საათის წიკწიკი“...

— თითქოს არაფერი მომხდარაო, მოვიდა, ხელი ჩამომართვა, ფული ხომ არ გიჭირსო, მკითხა, ერთ კვირაზე მეტი ხომ არ დაგაცადოო...

„მუსიკა გამოცვალს: მილიონ, მილიონ, — მღერის უცხოელი ქალი. გზაზე მანქანა მიდის, საათი წიკწიკებს, დახუთული ღამეა...“

ცხელა...

არ წვიმს, არ თოვს, არ ქრის...

ზაფხულია“.

— ზეგა მაქვს მისატანი... ხვალ ყველაფერი დამთავრდება.

— შეხედეთ მათ ტაძრებს, — თქვა მისტერ პაუერმა, — ნახეთ, როგორი მრეელი ჰყავთ!

„რამდენიმეჯერ იყვნენ პიკნიკზე, არ დამპატიყეს, დირექტორმა თავიდან მომიშორა...“

..ისმის მამაკაცის სიცილი.

უცხოელი ქალი ისევ მღერის: მი-

ლიონ, მილიონ, აისბერგ, აისბერგ...“  
— კედელზე ჰკიდია და წიკწიკებს, რა არი? — ეკითხებიან მისტერ პაუერს.

— მისის კანინგემის უკანალი.

მამაო ფლინი ხარხარებს.

მისტერ პაუერი გაბრაზებულია.

„ეხლა ვერ გამაგლებს, მიზეზი არ მიმიცია, მაგრამ, თუ მიეცა საშუალება, ერთი წამითაც არ შეუყოყმანდება... რაც მისტერ კერნანი დაწინაურებს, ფარაონის აღარ ეშინიათ“.

— კედელზე ჰკიდია და წიკწიკებს, რა არი?

მისტერ პაუერი ბრაზობს: ოთხ მეოთხედის რიტმს ფეხს აყოლებს თორმეტი მეოთხედით.

\* \* \*

სუსტი ქარი ქროდა.

ჩამოუქროლებდა მოშორებით მდგარ ნაძვებს, გააცოცლებდა, აამოძრავებდა, იქვე მდგარ კაკლის ხეებამდე მიადწევედა, მათაც ააშრილებდა და აბსოლუტურ სიჩუმეში საუკეთესო სტერეოფონურ ეფექტს ქმნიდა. ნაძვები უფრო მკვეთრ და მაღალ ბგერებს გამოსცემდნენ, კაკლის ხეები — უფრო დაბალსა და ვრცელს... და ასე მეორდებოდა დაუსრულებლად...

— აქამდე სად ვიყავით! — თქვა იასემ, — სამოთხეშიც ვერ ვიკრძნობდი თავს ამაზე უკეთესად.

— დიდებული სასახლეც დავირტყით, — ძმამ ისლით დახურული ქოხისკენ გაიხედა, — ხომ არ იცი, მეტყვევის ქოხი რატომ ჰქვია?

ქოხისკენ მანქანამ გადმოუხვია.

მანქანიდან ფარაონის ბიჭი და კიდეც ორნი გადმოვიდნენ.

— ვინძლო მეორედ მოსვლისას ის სიხარული მეღირსოს!...

იასე თვალს არ აცილებდა მისკენ მოშვერილ „ბულდოგს“ და სიცოცხლეზე სულ არ სწყდებოდა გული, პირიქით, გადაწყვიტა, ყველაფერი რაც შეიძლება სწრაფად დაემთავრებინა, პაერი ღრმად ჩაისუნთქა და ფარაონის ბიჭს მთელი მონდომებით შეუუერთბა.

„საშინლად ვწუხვარ, ტომი, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, მარტო არ ჩამოვსულვარ, ერთი კვიციანი ყმაწვილი მახლავს თან, ჰოდა, დავთქვი, დღეს საღამოს ბანქოს სათამაშოდ წავსულიყავით. ასე რომ არა!“...

ტყვიამ იასეს ფეხებთან გასხიპა ბალახი, ძმა უკვე უგონოდ ეგდო, მას კი ცემითა და გინებით მიათრევდნენ ქონისაკენ.

— არ ესროლოთ, — გააფრთხილა მისტერ ჰაუერმა, ჯერ დაველოდოთ, თვითონ რას იტყვიან.

— მოულოდნელი თავდასხმა გამარჯვების საწინდარია, — შეეპასუხა მისტერ კანინგემი, — პირველი ზალპი თუ ვაცადეთ, ჩვენი საქმე ცუდად წავა.

საუბარმა ფარაონის ბიჭზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იასეს გაცოფებული სხეული წამით ამფოსონებს შეატოვა და ღრიჭოდან, მისდა გასაოცრად, ახალგაზრდა, გამხდარი ქალი დაინახა.

— ველარ დაბით ეს ძალიშვილი! — გამოსცრა კბილებში, — მესამეც გამოჩნდა, თანაც ქალი!

„ბულდოგის“ ტარი შოუქნია, სწრაფად შებრუნდა და სამი ტყვია კარებს ჩააქვდა.

„სროლის თავიე არა აქვს!“ — გაიფიქრა მისტერ კანინგემმა. ფიქრი არ ჰქონდა დამთავრებული, რომ მეტყვევის ქოხი აბრიალდა, თოფის წამალივით იფეთქა ისლის სახურავმა, კვამლმა და გავარვარებულმა ჰაერმა. უმალ გაავსო ფილტვები და თვალები.

— მშვენიერ ტაბაკს გვაკეთებ! — მოესმათ უფროსი ძმის სატანისებური ხარხარი, — დამარცხებული არც ძმა მინდა და არც არავინ!

— ცოცხლად გვწვავს ეს გიფი! — ამოიხრიალა ფარაონის ბიჭმა. — კარები გაჩვენან არის გადაკეტილი!

თმაზე ცეცხლწაყიდებული ჰაუერი კი მხოლოდ ეხლა მიხვდა თავის შეცდომას: მისტერ კანინგემი მართალი იყო, — პირველივე ზალპით უნდა დამთავრებინათ ყველაფერი.

— აბა, ტომ, — უთხრა ფარაონის

ბიჭმა და მკლავი გამოსდო მეგობარს, — ძელები მთელი გვაქვს! მინარტული ხომ შეგვიძლია?

— დამარცხებული არც ძმა მინდა და არც არავინ! — ყვიროდა უფროსი ძმა, — დამარცხებულ შვილს არ დავინდობ, იმის სისხლს დავლეე!

— ჩემი სიკვდილი მოინდომე?! — გაფითრებული და რისხვით ანთებული იასე უშედეგოდ ცდილობდა ძმის მიწაზე დანარცხებას, — ცეცხლში დასაწვავად როგორ გამიმეტე?!

ძალაგამოცლილები მიწაზე გაგორდნენ, ერთმანეთს ცხვირპირი დაუსისხლიანეს და, როგორც იქნა, დამშვიდდნენ.

— იასე, წავიდეთ აქედან, — თქვა ნანამ, — წავიდეთ, იასე!

— აქ მოსვლას დღეს ველარ გაბედავენ, რისი გეშინია?! — დაღლილობისაგან ხელები უკანკალებდა და მძიმედ სუნთქავდა, — რისი გეშინია?

— შენ რომ რამე მოგსვლოდა, თავს არ ვიცოცხლებდი, — ჩაილაპარაკა უფროსმა ძმამ, მერე მწვერვალისკენ გაიხედა და გაოცებულმა წამოიძახა: — შეხედეთ, ღირიყაბლი გაფრენილა!

— რა ღირიყაბლი? — იასემ და ნანამ ერთმანეთს გადახედეს, — რას მივდმოვდებთ?

— ღირიყაბლი, უზარმაზარი, შავი ღირიყაბლი, აღარ ვახსოვთ?

— ავტირდები, ნამდვილად ავტირდები, — ატირდა ნანა, — ჩემი დიდსულოვნებისაგან ავტირდები...

\*\*\*

ფარაონი მდღეობდა აკვირდებოდა სასწაულოთ გადარჩენილ ვაჟიშვილს, დამცინავი ღიმილით უთვალთვლებდა გატრუსულ წარბებსა და თმებს, ცერით დაწვზე ჩამოგორებული ერთადერთი ცრემლიც მოიწმინდა და მამაო ფლინს ჰკითხა:

— მამაო ფლინ, იმის შემდეგ, რაც ყველაფერი გულახდილად აღიარა, მიეტყვება ცოდვები, თუ არა? მას ხომ

გამოუცდებლობით მოსდის, მას ხომ უტუნურობით ვაქლუვარა?

— რა მოგახსენოთ, — უბასუხა მამო ფლინმა, — ჩვენ ეშმაკს განუვადგებით, მაგრამ მის ცდუნებებსა და ხრიკებს ვერ დავივიწყებთ...

— როგორ დავსაჯოთ ის ორი ხულიგანი? — შეაწყვეტინა მისტერ კერნანმა — ბოლოსდაბოლოს, რა გავციხდნენ, რას წარმოადგენენ?

— მამო ფლინ, თქვენ, შგონი, მათ მიმართ სიმპატიითაცა ხართ განწყობილი, — უსაყვედურა მისტერ პაუერმა.

— ძმებს სხვა ძმები მიხედავენ, — ჩაიკისკისა მერი ჭეინმა, — გამოვუძებნი ვინმე მათივე მსგავსებს. დამიჯერეთ, ამგვარ საქმეებში მაქვს გარკვეული გამოცდილება.

— დიმა დავაჯილდოვოთ, ის ხომ საზოგადოების ჯანსაღი წევრია! — მამო ფლინმა მადლიერების გრძნობით გადახედა მერი ჭეინს და საქმიანი ტონით გააგრძელა, — პატროსან კაცს აუცილებლად უნდა ჰქონდეს რაიმე უპირატესობა, ეგ რომ არ ყოფილიყო, ძმებს ვერ მივაგნებდით... ნანას კი ახალი კაბა ვუყიდოთ და მუსკომედიის აბონემენტი მივცეთ, იასეს ნაცვლად ყოველთვის ნანა შეუბნებოდა აღსარებას... ეატრიც უყვარს, გაეხარდება...

— წინადადება შემომაქვს, — საზეიმო ხმით გამოაცხადა მისტერ კერნა-

ნმა, — დიმას ებოძოს ლუკრეცია უმცროსის სახელობის ჯვარეული პრემია ოცდაათი ცენტისა... ხოლო ნანას თეატრის აბონემენტიც ეყოფა... ისეთი არაფერი გაუკეთებია აღსარების თქმა თვითელი მოქალაქის წმინდათაწმინდა მოვალეობაა, თანაც, როგორც ყველამ გავიგეთ, უფროსი ძმა მაგას მოუსულიერებია.

ფარაონის ბიჭმა თანხმობის ნიშნად ჩაახველა.

— მამო ფლინ, — მიმართა ფარაონმა, — ჩემს კითხვაზე პასუხი არ გავიცია. მითხარი, უფალი მიუტყეებს ცოდვებს, თუ არა?

— ყველანი უკმაყოფილონი ხართ, მდიდარნიც და ღარიბნიც, მიტყეებულნიცა და მისატყეებულნიც, დღეიდან კი მეც ფარაონი ვიქნები, უკვე იმდენი ინფორმაცია დავაგროვე, არჩევნებში გამარჯვება არ გამიჭირდება.

— შეუძლებელია! — მოკლედ მოუჭრა ფარაონმა, — შენ არ არსებობ.

— შეუძლებელია! — ერთხმად გაიმეორა მთელმა დუბლინმა, — შენ... არ... არსებობ!

— რით ვერ გაიგე, რომ არ არსებობ! — მკვახედ მიახალა ფარაონის ბიჭმაც და მისტერ პაუერს მიუბრუნდა: — ახლა, როდესაც ყველაფერი ასე ჰქვიანურად გადაწყდა, პატარა დროსტარება არ გვაწყენდა, დეიდა გეიტს წვეულება აქვს, შეეუაროთ?



ლია სტარუა

### სონეტი კლასიკოსებს

კლასიკოსები, შავ ღღეებში მზე უეჭველი,  
კენწეროები ჩვენი მწირო, ჯუჯა ფიქრების,  
ღმერთმა კოშკებად რომ აქციოს თლილი ქიქები,  
თვალეებში — გონი, ყვრიმალეებში ჩადოს კენჭები...

როგორ ცოდავდნენ, როგორ ჭამდათ მათაც ეჭვები,  
სამყაროს ვერცხლი არ ყოფნიდათ მათ წილ იუღებს,  
როგორ ტკიოდათ ტვინში ტყვია, როგორ დიოდა  
მდინარეებად მათი სისხლი, ხოლო ბეჭვებით

დაატარებდნენ საქართველოს, სიტყვა „სრულიად“,  
რომელსაც აღარ უხდებოდა, დაქუცმაცებულს,  
მთებით მაღლებით ტრაბახობდა, გმირების ნუსხით,

ხელგაშლილობით, ნიჭიერი სიზარმაცეთი,  
კლასიკოსებით, რომ იტყოდნენ სიტყვას გულიანს  
და უღირს ტანში ჩაგარჭობდნენ მყინვარის ლურსმანს...

### სონეტი სონეტის შესახებ

სონეტი თლილი და ნატიფი გედის ყელივით  
თვალს უნდა გჭრიდეს, სევდას გგვრიდეს და მუსიკობდეს,  
მზესა და მთვარეს ირეკლავდეს, მკერდზე იმზობდეს,  
აქა-იქ ლურჯად მოაფრქვეოს იები სველი...

აქციოს ცვილად მწარე ვნება, დანები მჭრელი,  
ლამაზი იყოს, ხაზგასმულად, და ოქროპირი,  
ვერ შეეგუოს ტვინის ჭყლეტას, რთულ ოკრობოკროს  
კეთილხმოვანი კანონების ამაყი მცველი.

შენ მოვაბაროს ზამბახებით საეცე ზესკნელი,  
რა ვარსკვლავები მოგაქუჩნოს, რამდენი მიძივი!  
ბოლოს კი ჯუღზე გამოვაბას სევდიან მერანს,



რადგან არ იშლი მათხოვრობას და იწვდი ხელებს,  
სიტყვას მოითხოვ ნაკლები ხმის, ნაკლები სხივის,  
მაგრამ რომელშიც იგრავნება წითელი ნერვი...

### შეყოფილის სონეტი

დღე არის ჩუმი, კვამლიანი, ფერები ბაცი,  
საგნები შუქის შემსრუტავი და არგამცემი  
და, ერთადერთი, რასაც ადგას სხივის ნამცეცი  
ქარში გაფენილ ასაკოვან, შელახულ საცვალს...

ჭერსა და კედლებს, შეულწევებს, წვიმების ნაცვლად  
ვერგაფრენილი წეროების ფრთები აცვივა  
და ფიქრი, ძილში სირბილივით თავზარდამცემი,  
რომ დავემგვანე ჩათბუნებულს მიწაში მარცვალს,

გამომათხიზლებს სურნელს ღვრიან ვაშლები მწიფე  
და სახეები მიჩვენებენ თავის ზურგს — კეფს,  
პირს მარილებენ, ამეღვენა შიში ცულივით,

სიმღერას ვიწყებ, ყვავილისკენ გზა მიდის ლიპი,  
წვეალ და აღარ დაგბრუნდები სახლში კი სეფა  
გამმართება სევდიანი, ოქროცურვილი...

### ბედნიერი სონეტი

გინდა უმღერე, გინდა, ყელი უღერე მთვარეს,  
ბროწეულები აფრიალე ბაირალივით,  
რაც გინდა, ტაძარს შეადარე გულ-მკერდის თალი,  
არ გამოგივა უწვალებლად არც ერთი პწყარი

ჯიშით და სისხლით და მუსიკით აღსავსე გვარი  
აბრუნე დიდხანს, წოდებითზე შეჩერდი ბოლოს,  
ტო და შეილო, ღმერთის ცეცხლო, ფიქალო, ბროლო,  
სიხარულისთვის მოვლენილო, შემდდარო მწარედ...

რას მოელოდი, ზეიმების წითელ აკიდოს,  
მითების გულში ბრინჯაოთი დაფერილ კრავებს?  
შენ კიდევ, სისხლით, ჩაქცეულით აგვესო თავი,

მერე, თვალი რომ გაახილე, მზე იყო შავი,  
მაინც მზე იყო, თან ათბობდა, თან ანათებდა,  
იქნებ, ყველაზე ბედნიერი მაშინ იყავი...

## სონეტი ყოფას


 ეროვნული  
ბიბლიოთეკა

და ყვაილს ისხამს მოგონება, რა მძიმე ფესვებს  
იღვამს წარსულში, ხელი გკრას და გაგაგდოს, ლამის,  
დედა, რომელსაც თავბრუ ესხმის და მკვდარი მამა,  
გაუთავებლად მორბენალი პურზე და რძეზე...

რამ შეაბერათ, სიყვარულმა თუ გრძელმა თმენამ?  
ან იქნებ, შეიღმა (მეამბოხე, გმირი, ორჭოფი)  
ბუზს რომ არ მოკლავს, მაგრამ ბევრჯერ ესროლა თოფი  
მათ მიამიტურ, უფერადო და გამძლე რწმენას...

წავიდა მამა, დედა წვალობს და ესხმის რეტი,  
შვილი სიზმარში აღარ დაფრენს, ქვესკენელში შედის,  
თვითონაც ადგას ოფლიანი უღელი ქედზე

ძლომა და ძილი, ორადორი შერჩა სიამე...  
არაფერია, მის მაგივრად წაეა, იომებს  
შაებნელ ყოფასთან მისი შვილი — მარცვალი ფეტვის...

## ს ი ყ მ ა ნ ვ ი ლ ე ს თ ა ნ გა მო თ ხო ვ ა ა

ლალისფერ ღვინოს შეეპარა ქვანგი და ძმარი,  
გამოვალ გარეთ — გულში დანა, ყელზე მარჯუევი,  
გადიდდა სახლი, სოროს ვეძებ, რომ შევიყუფო,  
მოვიყუნტები, ჭრილობაზე დავიყრი მარხის,

დადგება წყალი, რძე მყავდება, კინიღება გვარი  
ენებითი ხდება, ეკარგება ზმნური სიმძაფრე,  
შენზე რომ ვიყავ გამობმული, წყდება ის ძაფი,  
თაქვარიანო სიყმაწვილეც, ილევა მთვარე,

ფითრი ედება ჩემი მკერდის მარცხენა მხარეს,  
რომელიც ვერ ვთქვი, თორემ სიტყვა, რამდენიც გინდა,  
მშვენიერ სხეულს მოარხევდა, უმეტაფორესს,

გულში კი მჭირდა ის მარგილი, იმ ღობის სარი,  
რომლითაც შენთვის მოიზომე ფერები შინდის,  
მე კი სიმართლე დამიტოვე და სიმარტოვე...

## პათეტიური სონეტი



მე მესიზმრება ყირამალა დამდგარი ყოფა,  
 დღე ნაცრისფერი, უნიჭოთა ენამზეობა,  
 ქურდი მასწავლის სათნოებას, კახბა — ზნეობას,  
 ცხვირებს, წვეტიან-წამახულებს, ჩემს სულში ყოფენ

თან მოაქვთ კუთვა უშედგო, სიუხვე ოფლის,  
 ვითომ შრომობენ, ნივთებივით იძენენ ტყვილს,  
 ჩემი პირიდან ამოსული ობოლი სხივი  
 საერთო ტრაპეზს ვერ ანათებს, ძალა არ ყოფნის...

სწორებას თხოვენ მას ნელთბილზე, საშუალოზე,  
 მან კი წვა იცის და ტყვილი იცის ცხოველი,  
 ლექსსაც თითიდან ვერ გამოსწოვს, მხოლოდ, გულიდან

მაგრამ მაშინაც არ მაკლია ღმერთის წყალობა,  
 რადგანაც უდრის ნეტარებას სიტყვა ყოველი  
 და სიტყვებს შორის ცეზურების ლურჯი ღრმულები...

## სონეტი ვერადამოგაზა

რა ჯილდო იყო ის ლექსები და ღამის თევა,  
 ის ხარისხები, უაღრესი, მზით დაფერილი  
 და მოარწევდა თვითმკვლელობას — თეთრ ოფელიას  
 ჩემი მდინარე, რომელშიაც უკვე ვერ შევალ

ცხოველი იყო ჩემი ყოფა და მეწამული  
 მე — ერთი გიჟი, მაწანწალა, გადამთიელი,  
 ლურსმანი ტვინში, ჩიტი ხელში — მჭონდა მამული,  
 რომელიც გახდა აწონილიც და ნივთიერიც.

როცა მე დავცხრი, დავეწაფე სითბოს და წამალს,  
 რითმიან ლექსს ვწერ, მაგონდება დედა და მამა,  
 ჩუმად ვეჩვევი წითელი ხის სრიალ მარჯანს,

მაგრამ ვერც სიტყვას ვუღალატებ, ძნელსა და მძიმეს,  
 ვერც არითმიას, ამოვარდნილს და მოციმციმეს,  
 ვერავის ხატობთ ვერ მოვარგებ ნორმალურ მაქას.

## მთლიანობის სონეტი



მე დავიღალე სიძლიერით, მე მიინდა დედა  
ის, ადრინდელი, ძალიან მხნე ძალიან უხვი  
გადამეფარე, მშვენიერო, თეთრი კრუხივით,  
თვალის კილოდან ამომიღე ნატეხი სევდა!

სხვა ვერ მიშველის, არ ეყოფა უანგარობა,  
უეშმაკობა, გაზომილი დროცა და სიერცეც,  
მეც, ოქროს წყალში გავლებული გულიც რომ მიეცე,  
ჩემს საუფლოში არ მოეუშვებ მაინც არავის

ან ვის რად უნდა კოჭლი სკამი, საწოლი რკინის,  
პური და წყალი, უსახური დარდი თვალბში,  
ძილის წამლებით გამაძლარი ვეშაპი — ლამე,

როდესაც კაცი, შეგნებული, მიტეხავს მინას,  
რაც ჩემთვის ნიშნავს აღგზნებულ და ბრჭყვიალა წამებს  
მისთვის — კაცისკვლას და ვინა მთქვა მე მის გარეშე...

## დეკადენტური სონეტი

ვინ არღვევს ღობეს და ვინ ადგენს უხილავ მიჯნას  
ოქროს წვეთები ტალახივით უქმურ მადანში,  
განელებული აბრეშუმით მზე დეკადანსის,  
თუ ჩაეარდნილი ტეინში ჭია, ჩუმაღ მქენჯნავი?

ჭერ აივსება ეარსკვლავებით წყლიანი გეჯა,  
გუბედ იქცევა გასრესგლად, ხელი თუ ახლე,  
გაფურჩქნილ ხატებს სილოგიზმის ეკალი ახლავს,  
თოთო ბავშვივით ეომები საწოლის თეჯირს...

ვერ ერევი, თუ ვერ ელევი კედლებს და ჭერებს,  
პურში ღმერთს ხედავ, გამეტებულს, ჭიჭაში — ემბაზს,  
გფიტავს და გტეხავს ბოლოს ბედი ოხერტიალი

მაგრამ ჭერ უნდა იყვავილო თმის ყველა ღერით,  
რისი საზღვარი, ვისი ჭერი, ო, ჩემო რემბო,  
მთვრალი გემივით ქვეყანაზე მოხეტიალე!

## ბანალური სონეტი



დღე ისე მიდის, ისე გაცლებს სიცოცხლის წამებს,  
ისე გადადის ელექტრონში, რომ არც ბინდდება  
და მეორდება გუშინდელი, შარშანწინდელი  
ტელევიზორის ანტენაზე ჭვარცმული ღამე...

უშნიშენელოა, წვრილმანია, არც არის, ღამის,  
მსოფლიო ომის, წყალდიდობის და მიწისძვრების  
კაშკაშა ფონზე ვინ შეამჩნევს, ვინ დაიჭერებს  
ვარდისფერებში გადაწყვეტილ ოჯახურ დრამას?

რა სინაზეებს ეჭიდები, ყვავილზე ნამებს,  
შავი ოფსეტის, ეკრანების ბლიცსამყაროში...  
მართლა გიყვარდა, გიხაროდა, გინდოდა რამე?

მაშინ რატომღა ვერ არსებობ შიშის გარეშე,  
რომ შეიძლება გაიღვიძო და აღარ იყოს  
ტელევიზორის ანტენაზე ჭვარცმული ღამე...

## სონეტი საკუთარ ხასიათზე

სამოთხე კია საქართველო სხვისთვის და სხვისთვის,  
ჩემთვისაც, მაგრამ უკვე ვიცი გულით და თავით  
ხავერდოვანი ნიავეები უფრო ფიტავენ,  
აქ უფრო მკვეთრად, უფრო მეტი იღვრება სისხლი

კი, მართალია, ყველა ჯოხი ყვავილებს ისხამს,  
ყველა ქვა ფიჭრობს, ემოციებს იოკებს ბავშვი,  
ნიჭიერები თავის ბოღმას ხარშავენ ქვაბში,  
რომელსაც ლექსად მოგაჩვენებს დილა სისხამი..

სიტყვებს არა აქვთ ზომიერი, ზუსტი მიზანი,  
თუ დაუჭერე, უცხო ბაღნარს გაგიშენებენ,  
ვარდბულბულიანს, ფარვანიანს და აღზევებულს

რაც უნდა უმტრო, მერე აღარ გაგაძევენენ,  
ჰამენ ერთმანეთს, მაგრამ უყვართ სუსტი, ხიზანი,  
სამოთხეს თხზავენ პოეტის და გმირის ენებით...

## ძალის სონეტი პოეტის მიმართ

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ის მოდის ჩემთან, ალვის ხეებს ჭიქაში მირგავს,  
მართლაც, ქარს მიაქვს ჩემი სახლი და დამიცავენ,  
ასომთავრულით გამსერავი ქათქათა სივრცის,  
დამრღვევი მწყობრი აზროვნების, მკაცრი წესრიგის,

დაჭდება, კუს და მორიელის მიამბობს იგავს,  
კარგისთვის კარგი ვის უქნია ღმერთის წინაშე...  
მე შემძლია შეგიფარო თოვლში, წვიმაში  
და შეგიყვარო, თუ იერი ჩემსას მიგიგავს

და დიდი-დიდი, გაბატონ ენამჭევრობა,  
მაგრამ ხეებით თუ დამიშრე სასმელი წყალი,  
ძალიებით ქარი შეუსიე ჩემს ლალ ცხოვრებას,

რა ვქნა, მე მიწამ გამომიბა ვაშლივით წყნარად  
და შენ რომ თავი გაიგიეო, იარო ჭერზე,  
სულ მორიელის ნაკბენივით მემახსოვრება...

## გაზაფხულის სონეტი

ყოველ გაზაფხულს მექავება და მახრჩობს ყელი,  
ნუშვივით გრძელი ანგინები მაიძულებენ,  
რომ ყველა სიტყვა, მეყვარება, თუ მეძულება,  
მტაცებელივით უნდა მქონდეს სწრაფი და მკრელი

ღრძილების ბალში გაბნეული თეთრი გულები,  
კბილები უნდა დაეჭირო გალექსილ ენას,  
ინტელიგენტის ქალაქურად დამცხრალი გენით  
ხიფათს და ტკივილს მოველოდე გაზაფხულისგან...

მაგრამ რა ვუყო მიწის ყივილს, შავსა და ქვენას,  
ან ფრთიან ცხენებს, მანქანებში ჩალითონებულს,  
თავში და ყურში ხეთა რხევას, ანუ მენიერს?

როგორ დავკარგეთ დიდხანს, ტკბილად ცხოვრების გემო,  
კერაზე ცეცხლი, სიმღერებში — ვარდის კონები  
და უკვე აღარ ვემონებით სიტყვას მშვენიერს...

## ოჯახური სონეტი

რას გულისხმობენ, სიცოცხლედ რომ ნათლავენ ყოფას,  
 კაცს, მარტოხელას, თუ ოჯახურ ჯამს — იდილიას?  
 საღამოს, უხვად მურაბიანს, რძესავეით დილას,  
 რომელსაც დღე და გამთიშავი ღამე მოყვება,

ერთი მშვენიდება, მეორე წუხს, ავადმყოფდება,  
 მესამე ტირის და დაათრევს სისხლიან ტაშტებს,  
 ირღვევა ჯამი, ბედნიერი, და რჩება ნაშთი,  
 ფრჩხილის ნახევარმთვარეებით გამოყოფილი,

განოთიშული დარდს და წუხილს, ქუჭკიან სარეცხს,  
 სქესის სიანჩხლეს, ჯერჯერობით, ვარდით დაფერილს,  
 სანამ მოუვლის მასაც ვნება შეკოწიწების

და დროშებით გამოკიდებს ბავშვის საფენებს,  
 მაგრამ დრო გავა, მოერევა წამალი მწარე,  
 შვილები წავლენ, წამოვლენ და დაივიწყებენ...

## სონეტი სიტყვაზე

მე მიყვარს იგი, გაცვეთილი და ხელუხლები,  
 დროებით პირის დაბუეება, ენაზე ხუნდი,  
 მუსიკას მძაფრს და აზრს ბუნდოვანს რომ ამბობს გუნდი,  
 ლექსიკონიდან რომ მოუჩანს თეთრი მუხლები,

ის სიტყვა მიყვარს, მოზეიმე, უემური, ძველი,  
 კბილს რომ მოგკვეთავს ქადის გულით, ლიმონის სუსხით,  
 ვისთვის აზრია, ვისთვის ჰანგი, ჩემთვის კი — ნუსხი  
 თავისუფალი და თავკერძა, მზაკვარი მგელის,

რომელსაც ელი, სიკვდილივით, და, მაინც, ელი,  
 როგორც ყველაზე ჭარბსისხლიან და მშვიერ ვნებას  
 გამოფიტული საუბრების დინჯ სამყაროში

და, უცებ, ვხედავ, ქვემდებარეს გამოჭრეს ყელი  
 და მისი სისხლით გაიტყინენ გამხდარი ზმნები,  
 არც ერთი წუთი არ მაცოცხლა ამის გარეშე!



## ჭრელი სონეტი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ვერცხლის სურებში ჩამოასხან მაღალი სევდა,  
არა ცხენი და არა ძაღლი, მსურს ვიყოლიო  
მყივანა თავი ფარშაევანგის და ჭრელი ბოლო,  
ცივი და თბილი გამწარება შემეხოს ფერთა

და გახარებაც, დაიძაბოს, შეიკრას წრედი,  
თვალეებში ცეცხლი რაც მეგონა, იქცა ნათურად,  
თანაც ფარშაევანგს წამართმევენ მუხანათურად  
ლოგიკის ცივი მთვარეები და კათედრები...

არა ლამაზი, აწონილი სიტყვია ხვედრი  
ჩემი და შენი, ვიღაც გვლანძღავს, ვიღაცა გვისმენს,  
ვიღაცას ჩემი ფარშაევანგი დაადგა ყელზე,

ვერ მოინელებს და ამასაც დამაყვედრიან.  
შენ კი არ მინდა გაგაკვირო, მე ასე ვხედავ  
და მეჩვენება, რომ მომიყვდა სიჭრელე ველთა...

## სიმართლის სონეტი

სიმართლის ძებნას ქალამანი ჭირდება რკინის,  
იქნებ, ლითონის სიმტკიცისა გვჭერა და ვცდებით,  
ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადავლახე, ვიხილე ცეხი:  
ეთეროვანი, თაღოვანი, და, ბოლოს, მინის,

რადგანაც ჩემს ტვინს შემოფარგლულს შუბლით და თმებით,  
სჭირდება ბოლო, გონიერი და ნივთიერი —  
გინდა ოლიმპო, გინდა ღმერთი და გინდა ჭერი,  
რაც უნდა ლეგო ფანტაზია და შალო ფრთები,

ბილოს რაღაცას, მაინც, უნდა მიეყრდნო თავით,  
ეს რომ არ მოხდეს, რომ გაბედო და ოქროს კვეთი  
სულ დაანგრიო შენს სხეულში, ამეზასავით

დაკარგო ხაზი, შემომწერი შენი სისავსის,  
იქნება, მაშინ დაინახო სინათლე ხავსის  
და გულაბ მსხალში ჩაშაქრული სიმართლის წვეთი...

## გაკანრული სონეტი

მე მუდამ ვცდილობ, არ გავკაწრო ვილაციის თვალი,  
ჩემი წანწალი შევარბილო, შევამკო გეზით  
და, ვცდილობ, თმებით არ ვეკიდო ცაზე და ხეზე,  
როცა მიყურებს უამრავი კაცი და ქალი

თითქოს, გარს მივლის გამჭვირვალე და გლუვი წყალი,  
ტვინის ნაოჭი არ აფუჭებს, სინდისის ღრმული,  
ჩემი სიცოცხლე მისთვის არის სტიქია მტრული,  
სხვანაირობით დალდასმული, გაუგებარი

რა ვქნა, მე მტრებად ვერ დავსახე სიტყვა და პური  
და მშრომელია პურზე ფიქრი, მძიმე, მაძლარი,  
სიტყვა კი — წუთი მშვენიერი და არამყარი,

თანაც ზაფხანას ყვავილები რეტიან თაეზე,  
მაგრამ ვის უნდა პაწაწინა ზეიმი თვალის,  
თუ ფიანდაზებს დაუფენენ გატყეპნილ გზაზე...

## ანტიკური სონეტი

როგორ უყვარდათ, რა მზე იყო, რა თეთრი ჭირი,  
რა ნექტარს სვამდნენ ვულკანების ცხელი ყელიდან!  
ხალხი კლდოვანი, მარმარილოს მკრთალი ელიტა  
და სისხლის ტბაში მობანაეე ბრინჯაოს გმირი

ზღვა იყო ღმერთი, მიწაცა და ჰაერიც ღმერთი,  
ერთს რომ უყვარდა ჩვენი გმირი, მეორე კლავდა,  
ხან ქუსლი ჰქონდა მას უმწეო და ხანაც მკლავი,  
რომელზეც ქალი დაეწვეთა — მდინარე თეთრი,

ისიც გაზრდილი ბედისწერის ურძეო ხსენით,  
ფუთ ბრინჯაოში ერთი სუსტი ქუსლის მჩხრეკავი,  
სისხლის აღრევა, სისასტიკე, მრუში გენები

გველის წიწილებს — მარმარილოს ტორსებს ჩეკავდნენ,  
მერე ყველაფრის პოეზიით გადამლეკავი  
თვალეზდათხრილი ჰეგზამეტრი იდგამდა ენას

ოთარ წარწახია

## შადრეპანი მრგვალ ბაღში

მოთხრობა

მოსკოველი მეგობრის ბინაში წიგნის თაროებს ვათვალიერებდი.

საუკუნის დასაწყისში გამოცემული სქელტანიანი ენციკლოპედია შევნიშნე, გადმოვიღე, ცოტა უხალისოდ გადავფურცლე. ჯერ იმდროინდელი ტექნიკის მიღწევებზე აწ უკვე ღიმილისმომგვრელი, მოძველებული ცნობები ამოვიკითხე, მერე ბედის უკულმართობის გამო ლისკოვოში გადახვეწილ ქართველებზე ორიოდ სტრიქონს წავაწყდი და ელდა მეცა. მანამდე გაგონილი მქონდა, ყურმოკრულად რაღაც ამგვარი კი ვიცოდი, მაგრამ შათ შესახებ არაფერი მქონდა წყაითხული.

მომდევნო დღეებში რამდენიმე ბიბლიოთეკა მოვიარე და მხოლოდ მცირე, ბუნდოვანი ცნობები მოვიძიე. ბუნდოვანი და მცირე, მაგრამ ტრაგიკული, უაღრესად საინტერესო და საყურადღებო. ბოლოს რუსეთში გადახვეწილ ქართველებზე თბილისში გამოცემული მშვენიერი წიგნი ჩამივიარდა ხელში და მოსვენება დავკარგე, ლისკოვოში გამგზავრების სურვილით ავენთე. გრძელი ზამთრის საღამოებით, ჩემთან თუ რომელიმე მეგობართან ბინაში თბილად შეყუყუულს ზშირად მაგონდებოდა ლისკოვო, ვოცნებობდი ზამთარი რომ გავიდოდა, ერთი-ორი დღით მაინც წავსულიყავი, მენახა ის მხარე, მთელი გულით მომინდა მდინა-

რე ვოლგისა და მისი ნაპირების დათვალიერებაც.

ჩემი მეგობრები რომლებთანაც სიამოვნებით ვიმოგზაურებდი, ამბობდნენ, — წამოვალთ, რა აჯობებს შაბათ-კვირას ასეთ გასეირნებასო, შპირდებოდნენ, მაგრამ გაზაფხული რომ მოვიდა, სამსახურისა და ოჯახის საქმეების გამო კოჰმანი დაიწყეს. ზოგჯერ მანქანის გაფუჭება მოიმიზუნეს, ერთი-ორჯერ ამინდმაც გვიმტყუნა.

იმხანად მოსკოვში ვცხოვრობდი. ლისკოვომდე რაღაც ხუთასიოდე კილომეტრი თუ იყო, მაგრამ დღეები გადაიოდა და წვრილმან, უბრალო მიზეზთა გამო მგზავრობა რამდენიმეჯერ გადაიდო და ამასობაში ზაფხულის მზიანი, თბილი დღეებიც თითქმის მიიწურა.

შემთხვევითი თანამგზავრი არ მინდოდა, თორემ თავისუფალი დროს მქონე ნაცნობები კი შეგულებოდა. ზოგს სულაც გოგოებთან ერთად გასეირნება, ლეინო და გრიალ-გრიალით დროსტარება აინტერესებდა (გოგოებთან გასეირნებას რა უჭირს, კაცს თუ გული ერჩის და სურვილი აქვს).

ამიტომ ლისკოვოში მარტოკა გამგზავრება გადავწყვიტე.

გადავწყვიტე და თითქოს საქმეც გაიჩარხა, ერთ მზიან პარასკევ დღით მანქანის საბარგულში ჩავალაგე ყვე-

ლაფერი, რაც გზაში ან იქ, ლისკოვო-ში დამჭირდებოდა, მაგრამ მერე, ვიდრე გზას დავადგებოდი, ბოსტნეულისა და ხილისათვის ბაზარში შევიარე. ბაზრიდან წამოსულს ეშმაკი შემიჭდა და რესტორან „არაგვიც“ ჩავედი. მაშინ იქ დილაობით ხაში იხარშებოდა, კარს ადრე აღებდნენ და უკანა ეზოში შოთივით პურსაც აცხობდნენ... ქალაქიდან გასვლა თითქოს დამეზარა, ვატყობდი რომ ფეხს ვითრევდი.

რესტორანში ნაცნობ „მეტრს“ გამოვართვი პური და ვთხოვე, რომელიმე მინერალური წყალიც მოეტანა.

— ვანო! — მოულოდნელად, ვილაკამ დამიძახა.

დიდხნის უნახავი ნაცნობი გადამი-დგა წინ.

მივესალმე, მერე გადავხვევით, გადავკოცნეთ ერთმანეთი, თუმცა გადაყოლილი ძმაკაცები არასოდეს ვყოფილვართ.

ამხანაგის დანახვა, რა თქმა უნდა, გამეხარდა, მაგრამ იმასაც მივხვდი, რომ ეს შეხვედრა ლისკოვოში გამგზავრებას გადამივადებდა.

ვერაფერი გაეაწყე. არ მომეშვა ღვი-ნითა და შეხვედრის სიხარულით გაბრუებული, სულ სუფრისკენ მეჭაჩებო-და. მეც ვერ გავაწილე, ბოლოსდაბო-ლოს ჩავიქნე ხელი.

რესტორანიდან დღის თორმეტ საათზე დიდი ხვეწნა-კოცნითა და აურზაუ-რით ამოვიშალენით. გამიკვირდა, მზემ რომ მხიარულად მომანათა თვალებში, გადამიწყნოდა სულაც გარეთ მშვე-ნიერი დარი რომ იდგა, თითქოს მძიმე რამ ტვირთი მოვიშორე, შვებით ამო-ვისუნთქე.

— ეს კაცი ვინაა? — გამომშვიდო-ბებისას ერთ-ერთ თანამესუფრეზე ვანიშნე ნაცნობს, რატომღაც მესიმბა-თიურა, დამაინტერესა იმ კაცმა.

— ეჭიმიო-იო! — მიძასუხა ამხანაგმა. — ეჭიმიო, მაგრამ ავადმყოფის შორ-ჩენას ნუ მოსთხოვ...

— რატომ?  
— პა, პა! — გაასავსავა ხელები. — მკვდარია ამ საქმეში... მიეცი მაინც

ტელეფონის ნომერი, მასაც გამოეკო-ვი, გამოადგებით ერთმანეთს მანქანა რესტორანთან დაეტოვე-თაქაქინდრული ჩაუუყვი გორკის ქუ-ჩას. მერე სადღაც „ნაციონალთან“ გა-ვაჩერე ტაქსი და გონებამღვრეულ დავბრუნდი შინ.

II

სალამომღე ვიძინე, მაგრამ მაინც მოთენთილს გამომეღვიძა. შემდეგ ვი-თომ მარდად წამოვხტი და აბაზანაში შევედი. ჭერ ცხელი წყალი მოვუშვი, მერე — ცივი და ასე მანამღე, სანამ არ გამოვმჯობინდი.

ცხელი, უშაქრო ჩაი დავლეე და ტე-ლეფონმაც დარეკა.

მეორე ჭიჭა ჩაიც დავლეე.

ტელეფონმა ისევ დარეკა...

ყურმილი არ ამიღია. ფანჯრიდან მიდამო მოვათვალიერე და შინიდან გავედი, რესტორანთან მიტოვებულ მანქანის მოსაყვანად გავემართე.

მანქანა ადგილზე დამხვდა, სანოვა-გეც ნაყიდი მქონდა და, ოდნავი ყოყ-მანის შემდეგ გადავწყვიტე... ძრავი ავამუშავე, ეზოდან გავედი და ლის-კოვოსკენ მიმავალ გზატკეცილზე გავ-ქროლდი.

კარგახანს ვიარე.

ბინდი რომ ჩამოწვა მანქანა გვერდ-ზე გადავყენე. ძილიც მომინდა და სი-ბნელეში სიარულიც წვალებათა. არა-ვინ აქრობდა შუქს. ზოგი სულაც პა-ლოგენის ძლიერნათურებიანი შუქფა-რებით გაბრდღვიალებული მიპქროდა გზატკეცილზე.

სავარძელი გადავკეცი, წამოვწეჭი, მაგრამ არ დამეძინა. ჩვეულებრივ, ძი-ლისწინა ფიქრები მომაწვა. მრავალ-გზის განცდილმა, მობეზრებამღე მისუ-ლმა, ულონო დარდმა შემაწუხა. ვწუხ-დი, რომ დილით ნასვამ კაცს დავუჭე-რე, ცთუნებას ავყვივი და რესტორან-ში შევედი.

ვიწეკი სავარძელში მოკუნტული და ველაქ ვართმევედი ფიქრებს თავს, ვერც ვიძინებდი. მეჩვენებოდა, თით-

ქოს, გზატკეცილზე შეუჭფარებით გაბრდღვიალებული მანქანები კი არა, რკინის ჯადოსნური ურჩხულები მიჰქროდნენ.

### III

ლისკოვოში გვიან დილით ჩავაღწიე. ქალაქი ლამაზი აღმოჩნდა, მწვანეში ჩაფლული, შარაგზის გაღმა-გამოღმა მშვენიერი კოხტა სახლებით.

რძით სავაჭრო ჯიხურთან რამდენიმე დედაბერი და ტანაშოლტილი გოგონა შეენიშნენ, კასრები ეჭირათ ხელში. პატარა ქალაქის მშვიდი მყუდროება სუფევდა ირგვლივ.

გზატკეცილის მარცხენა მხარეს ზღვასავით დიდი მდინარე დავლანდე და გული ამიძგერდა, შეუჩერებლივ გავუხვხვიე იქეთკენ, მაგრამ მდინარესთან ვეღარ მივედი, ქუჩა ჩიხით მთავრდებოდა, ადგილიც მყუდრო არ იყო, არ მომეწონა და უკან გამოვბრუნდი.

გზა გავაგრძელე. ამჯერად ოდნავ გავეციდი ქალაქს და რომელიღაც პატარა სოფელთან ისევ მარცხნივ ჩავუხვხვიე. ნავსადგომის გადაფარდებულ, მწვანე შენობასთან მივადექი მდინარეს, მაგრამ იქაც აღარ შევჩერდი, ხეებით დაფარულ ნაპირის გაყოლებით მტვრიანსა და ვიწრო გზას ჩავყვები და მალე დიდებულ, წიწვნარით დაბურული მიდამო გადამეშალა თვალწინ, ირგვლივაც საოცარი მყუდროება სუფევდა, კაცის ჰაჰანება არ იყო.

მანქანა ყვითელქვეშიან ნაპირთან შევაჩერე. წყალსავსე, ფართო, ზედ პორიზონტამდე გადაჭიმული, ლარივით სწორი მდინარე, უხმოდ, ნელა მიედინებოდა, გველესაძივით ზღაპრული და უზარმაზარი, თითქოს უმოძრაოდ განაბულიყო თავის კალამოტში. მარტო მის სანახავად ღირდა იქ ჩასვლა, მოვიხიბლე ვოლგის მშვენებით.

სიგარეტს მოვუკიდე.

ერთხანს გარინდული ვიჯექი მანქანაში. კმაყოფილი ვიყავი, რომ ბტლოს-დაბოლოს არ დავიზარე და მიახლოვდი ლისკოვოში.

შემდეგ სიჩუმე ყურებში ამაფორი-აქებლად დამიწყო შეხვედი და მანქანიდან გამოვედი.

ბუჩქებთან ხმელი ფიჩხები მოვაგროვე და პატარა კოცონი დავანთე. მდინარის წყალი ამოვიღე, ჩაიდანე შემოვდგი კოცონზე. მერე მომაგონდა რომ ლუდი მქონდა წამოღებული. საბარგულიდან გასაბერი ლეიბიც ამოვიღე და წამოვწექი, ლუდი მოვიყუდე.

მარტობამ ნალევლგარეული ფიქრები ამიშალა. ზოგჯერ შემართება-ხოლმე, მარტო რომ ვრჩები, წარსულის რომელიმე სურათი ამომიტეტივდება და მერე კინოფირის თანმიმდევრობით ყველა გასახარი და დასანანიც დამიდგება თვალწინ, თუმცა ყველაფერ ამას უკვე დიდი ხნის წინათ აქვს დაკარგული ყოველგვარი მნიშვნელობა.

ფიქრებიდან ჩაიღწის შიშინმა გამოიყვანა. ჩაი უკვე აღარ მინდოდა, მაგრამ წყლის შიშინმა მეტი მყუდროება შემატა მიდამოს და ნებაზე მივუშვი, გაუშვი იშიშინოს-მეთქი...

მანქანის ხმაური შემომესმა.

ნავსადგომის მხრიდან საურმე გზასავით ვიწრო და ოღრო-ჩოღრო, მტვრიან შარაზე მთელი სისწრაფით მომავალი „ჭიგული“ დავინახე. მტვრის კორიანტელი მოსდევდა უკან, თითქოს ავისმომასწავებლად ირეკლავდა მზის სხივებს წინა ხედისა და ფანჯრის შუშები. მანქანამ მთელი სისწრაფითვე გადმოუხვია გზიდან, წიწვნარში შემოიჭრა, გეგონებოდა ეს-ესაა შეასკდებო, რომელიმე ხეს. მანქანა შესამჩნევად ჩაწეულიყო, ჩანდა, შიგ ბევრნი ისხდნენ.

წამოვწექი, ისევ ლუდი მოვიყუდე.

„ჭიგულმა“ პირდაპირ კოცონთან დაამუხრუჭა და მერე ოდნავ უკან დაიხია. ერთი უგულოდ ავხედე და, გოცუბისგან კინალამ პირი დავადე. მანქანაში ჩემი ნაცნობები, მოსკოველი ქართველები ისხდნენ, არაფრით არ მოველოდი ამ შეხვედრას.

— ქართველო, კაი გამარჯობა შენი! — მხიარულად მომესალმა საჭესთან მჯდარი ნათანაილი.

— გამარჯობა! — დინჯად ამოდერლა გაბიანემ.

ერთიჯ ჩამოგავდა ქართველს, მაგრამ მე არ ვიცნობდი. დანარჩენები რუსები იყვნენ, არც მათ ვიცნობდი იური მატვეიჩის გარდა.

— რა სამოთხისთვის მოგივინათ! — მატვეიჩმა გამომიწოდა ხელი, მიდამო მოათვალიერა.

— ცოდნა უნდა ყველაფერს! — დამძინა ვილაცამ.

მოსკოვიდან წინადლით, სათევზაოდ ჩამოსულიყვენ.

ჩემი ნაცნობებიდან თევზაობის მოყვარული მხოლოდ მატვეიჩი მეგულეობდა, გაბიანესა და ნათანაილის თევზაობაზე არაფერი მსმენოდა. ბრუზენტის მოსასხამებსა და რუზინის მაღალყელიან ჩექმებში, ტიგაში მცხოვრებ მეტყველებს დამგვანებოდნენ.

— მარტო ჩამოხვედი? — ნათანაილმა ღიმილით შემათვალიერა.

— შენ ჯერ ის მითხარი, როგორ მომაგენით? — კითხვითვე ვუბასუხე.

— ეს მე დაგინახე, აი, ნავსადგომს რომ ჩაუარე. — გაბიანემ კეფა მოიფხანა. — ესენი შიგნით ბრძანდებოდნენ, დილაადრიან ლუდს ეძებდნენ...

— კაცო, შენ სიტყვას ბანზე ნუ აგდებ, მითხარი მარტოკა ჩამოხვედი? — ნათანაილმა წიწვნარს გახედა. — თუ გვიმალავ ვინმეს?

— არავისაც არ ვმალავ, მარტო ჩამოვედი. — ვუბასუხე და საბარგულიდან ლუდი ამოვიღე, ჩამოვურიგე ყველას.

მოსკოვიდან ორი მანქანით წამოსულან, მაგრამ გზაში ერთი მანქანა მთელი სისწრაფით მიწყარკის დასახებია. მანქანა სადღაც გზაში შეხვედრილ სახელოსნოში მიუტოვებიათ — დღეს უკვე შეკეთებული იქნება და მძღოლმა თუ აქ ვერ მოგვაგნო, ლისკოვოში, ქალაქკომის შენობასთან დაგველოდებო — გამოტყდნენ: — ცოტა შევეცდით, გზაში ოდნავ, მაგრამ დავლიეთო...

მუშამბის ნაკერი გაფინეს მოღზე, შეხვედრის აღსანიშნავე სუფრა გაიშა-

ლა. საბარგულიდან ათი კაციც სამყოფი სანოვაცე ამოალაგეს.

— შენ აზრზე ხაარ? — ნათანაილმა ბოთლი გახსნა. — ამ პატარა სოფელში საესტა „ფშენიჩნი“ და „პოსოლსკი“...

— რაღა გვიჭირს აწი? — ჩაიცინა ერთმა.

— ჩვენ კი რამდენი ვირბინეთ მოსკოვის გასტრონომებში? — მატვეიჩმა თავი გადააქნია.

გაეცინათ. მატვეიჩმა საუზმეს მაინცდამაინც ველარ დაუდო გული, ორიოდ ლუკმის შემდეგ წამოდგა, სუფრის წევრები რომ არ აღელვებულყვენ, ვითომ მანქანისკენ გაისერიანა, გამოგვხედა და მერე, საბარგულიდან მოპარულივით ამოიღო სპინინგი. ბიჭებმა რომ დაინახეს, შეეხეწო: — ნახევარი საათი მაინც შემეშვით, მაღირსეთ გემოზე თევზაობაო.

— ჯერ ვისაუზმოთო! — უბასუხეს.

— თევზაობა ასი გრამის გარეშე გაგონილო?

— შეხვედრა არ უნდა აღვნიშნოთო? აღარ დაანებეს მატვეიჩს თევზაობა, ხელი ჩაიქნია და სუფრას მოუახლოვდა.

— ნეტა, აკრძალავდნენ არაყს, მეტი არაფერი მინდა! — ინატრა და თვალების ბრიალით გახედა ამხანაგებს. — მორჩა, უკანასკნელად მოვდივარ თქვენთან სათევზაოდ!

გაეცინათ, გადაიხარხარეს.

— მატვეიჩ, თქვი, მერამდენედ მოდიხარ ასე უკანასკნელად?

— მესამეჯერ... — მატვეიჩმა საწყალი კაცივით გამიღიმა. — რა ვქნა? — იყითხა.

— ძმებო, თუ დასვენებაა, დასვენება იყოს! — ვილაცამ ომახიანი ხმით მოუწოდა. — ამ დიდებული დედავოლგის ნაპირას, მეუღლის შორსმჭვრეტელ თვალებს მოშორებული და ბუნების წიაღში...

— კარგი, კარგი, შენ მოსკოვშიც არ ივლებ? — ამ საწყამლავს. — გააწყვეტინეს.

— კარგი, კარგი, შენ მოსკოვშიც არ ივლებ? — ამ საწყამლავს. — გააწყვეტინეს.

— კარგი, კარგი, შენ მოსკოვშიც არ ივლებ? — ამ საწყამლავს. — გააწყვეტინეს.

— კარგი, კარგი, შენ მოსკოვშიც არ ივლებ? — ამ საწყამლავს. — გააწყვეტინეს.

— კარგი, კარგი, შენ მოსკოვშიც არ ივლებ? — ამ საწყამლავს. — გააწყვეტინეს.



— მერე რა, ლეიქს გამიფუჭებს?

— იხტიბარი არ გაიტება იმ კაცმა.

მოწყენილი ვიჭეკი ლეიქსზე.

მერე სუფრის აქტიური წევრები ნელ-ნელა, თითქოს დაშოშმინდნენ, მაგრამ წამოდგომას ჭერჭერობით მაინც არავენ აპირებდა.

ნათანაილს მივაჩერდი, გავუღიმე.

— ეოლგაში დაჭერილი თევზის „უხა“ არ ვიგემოთ? — ვკითხე.

— იპ! — ჩაიქნია ხელი.

— რატომ, „უხა“ კარგია!

— მერე?

— წავალთ მე და მატვეიჩი, ნაპირ-ნაპირ ჩავისეირნებთ, იქნებ რამე დავიჭიროთ.

— კი ბატონო, მიბრძანდით! — ნათანაილმა ჩაიციხა და ქართულად მიიტხრა: — რა გააჭირეთ ამ „უხათი“ საჭმე, წალენჯიხაში ყოველდღე ბაჭაში ჩაწყობილ კალმახს მიეირთმევდით...

— რაო, რას ამბობს? — მატვეიჩმა შემომხედა.

— არ ჰყვარებია „უხა“... კალმახი მირჩევენიაო!..

მე და მატვეიჩმა ზურგჩანთები წამოვიკიდეთ და აუჩქარებლად ჩავუყვებით ოქროსფერ ქვიშიან ნაპირს.

მოჭყეფენი თვალს მიეფარენ.

მდინარის გაყოლებით იმდენი კარგი სათევზაო ადგილები დავინახეთ, რომ დავიბენით, ველარ გადავწყვიტეთ რომელი ამოგვეჩაია. შემდეგ ნაპირზე გამორიყულ მორებს წავაწყვდით და იქ ჩამოვსხედით.

მატვეიჩმა ნაჩერტებიანი პლასტმასის კოლოფი ამოიღო, ჭია მომაწოდა და თვითონაც აიღო, ქვიშიაში ამოსვარა — ფუ, ფუ! — მიაფურთხა, მერე ანკესი მდინარეში ჩაუშვა და გამიღიმა.

მეც გადავაგდე მდინარეში ანკესი და ტივტივაც გავასწორე, ოდნავ მოვჭაჩე, სასურველ ალაგას შევაჩერე.

სიჩუმე ჩამოვარდა.

თევზაობა დაიწყო.

— სამსახურით კმაყოფილი თუ ხართ? — ღუმილი მატვეიჩმა დაარღვია.

— ისე რა! — ვუპასუხე.

— მაინც?

— თქვენი ჯობია. — მატვეიჩმა ჩავეიდუღუნე. მატვეიჩმა ჩამოხედა სამმართველოს უფროსი იყო.

— ეგ ცხადია, ჩვენი პირველია მსოფლიოში.

— სულ, სულ პირველი?

— არა, არიან კიდევ...

— ასეა. — დავუმოწმე.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ტივტივა შევათვალეირე.

— მოსკოვში დიდი ხანია ცხოვრობ?

— შეითხა.

ვუპასუხე.

— ოპო, მერე სამშობლო არ გენატრება?

— ჩავდივარ ხოლმე.

— კარგია რომ ჩადიხარ... კარგია, მაგრამ მოსკოვი...

— ვიცი! — ვუპასუხე და გავუღიმე. გამომხედა.

— ...მაგრამ მოსკოვი ჯობია.

ღუმილი ვარჩიე, რატომღაც საუბარი ვერ ავაწყვეთ.

— მეც არა ვარ მოსკოველი, — მატვეიჩმა ამოიხვნეშა, — ჩემი სამშობლო ციმბირია, ინსტიტუტის შემდეგ შემოვრჩი მოსკოვს.

— ჰო, მეც მუდამ შინისკენ მიმიწევს გული. — მატვეიჩს ახლო ნათესავივით გახედე.

— აი, მართალია, სწორია! — დამიმოწმა მატვეიჩმა, გაეხარდა. — ზუსტად აგრე მომდის! — მიიტხრა, თვითონაც შემათვალეირა და ვივარძენი რომ რალაცნაირი სასიამოვნო დამოკიდებულება დამყარდა.

ანკესს შევხედე. ტივტივა შეუსვენებლად მუშაობდა, არ ჩერდებოდა, მაგრამ ვხედავდი, მატყუებდა. თევზი არ ჩანდა. მომბეჭრდა და ანკესს სულაც მივანებე თავი. ოდნავ მოშორებით თბილ ქვიშიაზე გავწეკი.

თვალისმომჭრელი, კაშკაშა მზის დისკო და უსასრულო, ლურჯი, ოდესღაც ბავშვობაში საიდუმლოებებით მოცული ცის თალი, აწ უკვე გარდასულ ოცნებათა მესაიდუმლედ ნაგულვები და ასე ნაცნობი, მშვიდად გადმოწყურებდა

ზემოდან. გამეხარდა უცხო მხარეში მშობილთან შეხვედრა და, კვლავ გამიტაცეს ფიქრებმა.

თბილისი მომავლდა.

ჩემი პროფესორი დამიდგა ამჭერად თვალწინ... იმ შორეული წლის გაზაფხულზე მე და ჩემმა მეგობრებმა, მოსკოვის ვარეუბანში, კაშირას გზატკეცილთან ახლოს ვიქირავეთ პატარა სახლი. პატრონმა ჩვეულებრივი ფასი მოითხოვა, მაგრამ ჩვენს ფინანსებს რომ არ დატყობოდა, ქირას რამდენიმე კაცი ვიზღიდით და მთელი გაზაფხულ-ზაფხული, გვიან შემოდგომამდე სახლი ჩვენს განკარგულებაში ითვლებოდა.

სახლის უკანა ეზო არყის ხეებით შემოფარგლული, ოდნავ გადაფერდებული მიწებით მთავრდებოდა, იქვე ბურახისფერი მდინარე პახრა მიედინებოდა და გაღმა ნაპირიც მშვენიერი წიწვნარით იყო დაფარული.

ქალაქკარეთ უფრო შაბათ-კვირა მივდიოდით. მდინარე პახრაში ვბანაობდით, მინდორში ბურთს ვთამაშობდით, ჭიკაძის ვერტობდით და საღამოობით ისევ ვბანაობდით.

ჩვენებურ კერძებს დანატრებულნი სამხარეულოშიც ხშირად ვფუსფუსებდით და ზოგჯერ, ცხელი ღომისა და ქინძიანი ლობიოს ორთქლიანი ოხშივარი იმ უცხო ეზოს ჩინჭრიან შემოგარენსაც საამო მოგონებათა აღმძვრელად ააფორიჩებდა ხოლმე.

მოსკოვისკენ იმ დღეს თამაშითა და ბანაობით დაღლილი მივემგზავრებოდი. სოფლის სახლ-მუხუხემიდან გამოსულ ადამიანებს შორის, მოულოდნელად პროფესორს მოგვარი თვალი. მანქანასთან იდგა. მერე თვითონაც შემინშნა და გამომხედა.

გვერდზე გადავარცხნილი სწორი თმა ოდნავ შევერცხლოდა. მაშინვე ვიცანი, თითქოს იმდენი წელი არც გასულიყოს, თითქოს აგერ სულ რამდენიმე საათის წინ მენახოს რომელიმე აუდიტორიაში შემოსული. პროფესორის ლექციებს მუდამ ხალისით ვესწრებოდით. მშვიდად, დინჯად მომლიძობრივ შეგვახსენებდა და გამოგვიტახავდა

მოსაყოლს. არასოდეს დამავიწყდება მისი სინტერესო ექსკურსიები — ეკვიპტის, ბაბილონის, ძველი სამხრეთეთისა და რომის იმპერიის ეპოქებში. ფარაონთა თუ კეისართა მახვილგონივრული, ბრძნული, მაგრამ ხშირად მზაკვრული, დღესაც გულდასაწყვეტი პოლიტიკური კომბინაციების უწყვეტი ლაბირინთები... ყოველ ლექციაზე რამე ახალს, მანამდე არგაგონილს კიბდით და შეკითხვებსაც მუდამეამ სინტერესოს აძლევდნენ, რადგან პასუხი — არასოდეს ყოფილა გაცვეთილი, უკვე დაღუქილი. მოგვწონდა რომ პროფესორის სახელიც თბილისის დამაარსებლისა ერქვა, საერთოდ ძნელია რამე თქვა კაცზე რომლის მიმართაც სიძაბითა ხარ განწყობილი, ადვილად შეიძლება გადააქარბო, მაგრამ შენი მასწავლებელი თუ იყო, რამდენი სიკეთეც არ უნდა თქვა, ყველა ცოტა იქნება.

გამეხარდა პროფესორის დანახვა, მაგრამ მაინც შორიდან, მორიდებით მივესალმე. ვილაყა ქერა კაცი ახლდა. მანქანაში რომ სხდებოდნენ ერთხელაც შევაველე ერთმანეთს თვალი. შედგა, ნაბიჯი გადმოდგა. მაშინვე მივეუახლოვდი, ხელმეორედ მივესალმე.

— ჩემი კოლეგაა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. — თანამგზავრი გამაცნო. — მოსკოვში თუ მოდიხარ, მანქანაში ადგილი გვაქვს. — მალლობა მოვასხენე.

— მოიცათ! — წასვლა რომ დავაპირე შემაჩერა, უცხოელს გაუღიმა, ბოდიში მოიხადა და ისევ მომიბრუნდა. — მახსოვს რომ თქვენ უნივერსიტეტში რაღაც უსიამოვნება შეგემთხვათ...

უხმოდ დავეუმოწმე.

— ხომ მართალია?

— დიახ.

— ახლა აქა ხართ?

— დიახ!

— დიდი ხანია?

— ვუთხარი.

კვასუხობდი, მაგრამ არ მსიამოვნებდა.

— გასაგებია, გასაგებია! — ღიმომორეულმა ჩაილაპარაკა. — მე სასტუმ-



რო „აქადემიჩესკიაში“ ვარ დაბინავებული, გამოიარეთ ხვალ ან ზეგ, კარგი? — შითხრა და სასტუმროს ტელეფონისა და ოთახის ნომერი ჩამაწერინა. — ოღონდ აუცილებლად! — გამაფრთხილა. — ვისაუბროთ, თბილისი მოვავგონოთ, მოვიფიქრებთ რამეს...

ასე დავშორდით...

სასტუმროში მეორე დღესვე მივაკითხე. დიდხანს მესაუბრა, მიღიმოდა, ყურადღებით მისმენდა...

რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ? რამდენმა წელმა?... თბილისში ერთხელაც არ ვყოფილვარ, არც პროფესორი მენახა რამდენი ხანია.

დომადედოვოს აეროპორტიდან ერევნელ მეგობარს ვაკილებდი. დარბაზში ჯარისკაცის ფორმაში ჩაცმულმა ყმაფვილკაცმა მიიქცია ჩემი ყურადღება. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ერთი სული ჰქონდა თბილისში ამოეყო თავი. ბილეთების რეგისტრაცია რომ დაიწყეს, ყმაფვილი მოშიახლოვდა, თვალმაცემიციმებულმა გამიღიმა და იკითხა: — ნეტა, როგორი ამინდია, თბილისში?

— ვერაფერს გეტყვით! — უნებურად წამომცდა. — რვა წელია იქ არ ვყოფილვარ...

ჯარისკაცი შეცბა, ღიმილი ჩაუჭრა და როგორც უცხოს ცივად გამშორდა. გული დამწყდა, მიწყინა. მართლა რამდენი დრო გასულიყო?..

ფიქრიდან მატვეიჩის წამოძახილმა გამომიყვანა.

— არის! ოპ-ოპოო!.. — შესძახა და საკმაოდ დიდი თევზი დამანახა. — ბიჭებმა, გაუშვი იჭეიფონ! — შითხრა და თვალი ჩამოძაქუნა.

მერე მოუხშირა, ბევრი დაიჭირა. ბედი წყალობდა, მაგრამ თევზაობა რომ ეხერხებოდა ამაშიც დამარწყმუნა.

— შინაურებთან ამ გასეირნების გასამართლებლად რომ შეყოფა იმდენი ხომავა? — ბოლოს, კმაყოფილმა მკითხა და სავსე ჩანთა აწონ-დაწონა.

— შინ ვინ გავკარანს, ბიჭებო უხვას!..

— ბრანწი მაგათ! — გამაწყვეტინა მატვეიჩმა.

საანკესო ჯოხი დავკეცე.

თევზაობა დავამთავრე. მართალია, ბანაკში ხელსაწყოები მივლიოდი, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვიყავი, თევზი მატვეიჩმა ხომ დაიჭირა, მე კი დიდიდანვე არაყს გადავეურჩი.

ბიჭებს უკვე ეძინათ.

უხმოდ ვისადილეთ.

მერე ჩვენც წამოვწყვეით. მატვეიჩი მანქანაში მოთავსდა, მეც გასაბერი ლეიბი გავაჩოჩე ბუჩქებისკენ.

გზაში მიტოვებული დამტვრეული მანქანა და მისი მძლოლი გაბიანებ ჩამოიყვანა ლისკოვოდან. მანქანას კარდანი ჰქონოდა გამონგრეული, მართლა ბეწვზე გადარჩენილიყვენენ შიგ მსხდომნი.

ბიჭებმა რომ გამოიძინეს, სალამოს კოცონისთვის შეშა მოიმარაგეს, მოკლედ დაჩეხეს და ერთ ადგილას დაახვევეს. შემდეგ ვერ მოითმინეს და მზე ჩასულიც არ იყო, რომ მხიარული, ტყაცანა კოცონი გააჩადეს, გამოაცოცხლეს იქაურობა.

თევზი მდინარეში გარეცხეს, გაწმინდეს, გაასუფთავეს და ქვაბში უკრეს თავი. მატვეიჩი კი ანუგუშეს — შენ თევზაობის ისეთი ოსტატი ხარ, რომ დილით უკეთესებს დაიჭერ, მოსკოვში ზირდაპირ ცოცხლებს წაიყვანო...

ვახშმის სამზადისში მონაწილეობას არ ვიღებდი. ბუჩქებთან ვიწვექი მყუდროდ და მიდამოს თვალიერებით ვტკბებოდი.

ჩამავალი მზის სხივები თვალისმომჭრელად ელვარებდა. მდინარის ოქროსფერქვიშიანი ნაპირი და გაღმა, ჩანწლებული ტყის მასივი აღისტრად შევლება. მინდვრის დასალიერებთანაც მოწითალო ფერის ნისლი იზღაზნებოდა. შორს, ჰორიზონტზე დაღლილი მწყემსის სილუეტი გამოჩნდა. ზანტად მოერეებოდა ცხვრის ფარას.

კოცონზე შემოდგმულ ქვაბთან მოფუსფუსე გაბთედა რალაცას ლილინებდა, მერე მხარათეძოზე წამოწოლილ ნათანაილს გახედა, გაუღიმა და მოულოდნელად, მშვენიერად, საოცარი ტკბილხმიანი სიმღერა წამოიწყეს.



დიდებულად გამოთლიოდათ, უკვე მიხაროდა რომ მათ შეეხვდნენ. სიმღერის მალღმა გუნება გამოძიკეთა.

ვუსმენდი და არაფერი მინდოდა სხვა, ოღონდ ემღერათ, როგორც მღეროდნენ. კოკონი გაღვივდა, მუგუზლებმა, თითქოს ნაღველგარეული წარსულის მოწმეებიო, სევდის მომგვრელი შიშინ-ტყაცანი დაიწყო. მდინარე და მისი ნაპირი ამოძრავდა, ბევრად მიმზიდველი გახდა.

სიმღერა რომ ჩათავდა, ვერ მოვიტმინე და ბიჭებთან მივედი, ჭირჭე ჩამოვჭექი. ორიოდ სიტყვით მოვუყევი ის ცოტა რამ, რაც რუსეთში გადახვეწილ ქართველებზე ვიცოდი. მოვუყევი რომ ათას შვიდას წელს, პეტრე პირველს ლისკოვო იმერეთის მეფისთვის უბოძებია და მერეც კარგახანს ქართველ მემამულეთა ხელში ყოფილა ეს ადგილები.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში აჭარ ქართველებს იმითაც გაუთქვამთ სახელი, რომ სხვა, მეზობელ მემამულეთა მიერ უმოწყალოდ ჩაგრულ, დევნილ გლეხთა საიმედო თავშესაფრად უქცევიათ ლისკოვო.

ბიჭები უხზოდ, მაგრამ უნდო ღიმილითაც მომაჩერდნენ.

— შე კაცო, მაყალე! — ნათანაილმა ლოყაზე ჩამოისვა ხელი. — მართალს ამბობ?

— მართალს.

— მერე?

— მერე თავად გრუზინსკის ლისკოვოში მშვენიერი სასახლეებიც აუშენებია, საავადმყოფო, აფთიაქი, სკოლა, ბიბლიოთეკა, მოღების მალაზია, ღვინის სარდაფები...

— კარგი რა? — გაბიანე შეიშმუშნა.

— დღეს რა ამბავია, არის რამე კვალი დარჩენილი?

— რა ვიცი! — მხარი ავიჩეჩე.

— არა?

— პეტრე პირველი ლისკოვოს ასე ადვილად გააჩუქებდა? — ვილაყამ ჩაიციანა.

— ალბათ, არც ადვილად და არც ისე ტყუილა... *ნარკუნუსული*

— წამო, ლისკოვო შემჩნებნაჩნაჩნაღმალით! — ნათანაილმა შემომხედა. — იქნება მუზეუმიცაა, შეიძლება, რამე კვალი არ დარჩენილიყო?

— მე მუზეუმი არ მაინტერესებს. — ვუპასუხე. — არ მაინტერესებს ვინმე ბრწყინვალე თავადებზე გაცემული სიგელ-ფურჯები, თამასუქები, არც განუქებული სატყვერები და კარადები.

გაბიანე მოღუშული მისმენდა.

— მე ჩამოვედი რომ აჭარის პაერი შემესუნთქა, მინდორ-ველი და მდინარე ვოლგა, მისი ნაპირები დამეთვალვირებინა, სადმე ჰის წყლის გემო გამეცინა...

— ოპო? — ნათანაილს გაეცინა.

გავჩუმდი.

— კიდევ მოკყევი რამე, ა? — გაბიანემ ჭირკვი გამოაჩოჩა, ახლოს მომიჯდა.

— მოსკოვში ქართველი ელჩები პირველად მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულს ჩასულან, რუსეთის მეფე ივანე მესამისთვის, კახთა მეფე ალექსანდრე პირველის სიგელი ჩაუტანიათ...

— გააგრძელე, შე კაცო! — ნათანაილმა თავი ასწია, მომაჩერდა.

— თურმე, კახთა მეფე წერდა: — „უბრწყინვალესო ხელმწიფეო... ჩვენ აქ, ივერიის მიწაზე, ჭერ კიდევ ცოცხლები ვართ“...

გადიოდა დრო და ერთ მშვენიერ დღეს, საქართველოს უნიკალური, უძვირფასესი რელიქვია, წმინდა ნინოს თმებით შეკრული ვაზის ჭვარი, რომელიც სასწაულებს ახდენდა და რომელიც ყოველთვის ქართველ მეფეებთან ინახებოდა, მეგობრობისა და ერთგულების ნიშნად რუსეთის იმპერატორს მიერთდა... თურმე არსებობს საკვირველი ფაქტიც: მოსკოვში რომ შავი ჭირი მძვინვარებდა, კრასნოგორსკის მონასტრიდან ჩამოუსვენებიათ ღვთისმშობლის ქართული სასწაულმოქმედი ხატი, ლოცვა აღუვლენიათ და ჭირი შეწყდა... ამ ამბის აღსანიშნავად დაუნიშნავთ ხატის დღესასწაული, რო-

მელსაც 1658 წლიდან მოყოლებული, შემდგომ ორასორმოცდაათი წელიწადი აღნიშნავდნენ...

— შე კაცო!.. — ნათანაილმა ამოიხვნეშა. — მხოლოდ ლურჯი ზეცა და დედამიწაა, ყველაზე უტყუარი მოწმე წარსულისა.

— კარგი, ნუ მოიწყენთ, შეხედეთ რა კოცონი გიზგიზებს! — მატვეიჩმა ხუმრობით კოცონზე გვიანა. — ჩვენი მეგობრობის დასტურად მუხუთშია საჭირო?

უხმოდ გადახედა გაბიანემ ნათანაილს და სევდიანი, მისის თაფლივით ტყბილი, მათრობელა მელოდოები მოეფინა მდინარის ნაპირს და, მომჩივნა რომ გარშემო წიწვნარით დაბურულმა მიდამომ, თითქოსდა შეიფერა, დაიმშვენა, თითქოს გაიხარა...

ვიჭექი ჭირკზე და მზიანი, ხატულა იმერეთიდან საშასი წლის წინათ თოვლ-ყინულიან, ქარბუქიან გზაზე გადახვეწილი მეფე და მისი თანამგზავრების აჩრდილი მედგა თვალწინ. ვცდილობდი მათ გულისნადებს ჩავსწვდომოდი, ვინ იყვნენ, რას ფიქრობდნენ, საით მიდიოდნენ... მინდოდა მიახლოებით მაინც წარმომედგინა იმ ადამიანთა უკუღმართი, სუსხიანი ბედობალი.

მწყდებოდა გული იმაზეც, რომ მაინც არაფერი ვიცოდი ლისკოვოსა და მის მაშინდელ მფლობელებზე, რომ ისტორიის ის ძუნწი ცნობებიც ახლა, თითქმის არარეალური და ბურუსით მოკული მეჩვენებოდა.

— კაცო, რა საოცარია, თითქოს გულმა მიგრანოო ისე მოვიჩქაროდი აქეთკენ, დაიჭერებ? — ნათანაილმაც მოიწია, გვერდით მომიჭდა.

გარინდული ვიჭექი, არაფერი მითქვამს.

შემდეგ უცებ შევკრთი, მომეჩვენა რომ ზურგსუკან ვიღაც იდგა. წიწვნარს გაეხედე, მიდამო მოვათვალიერე, მაგრამ კოცონის ელვარებას მიჩვეული თვალებით სიბნელეში ვერაფერი ვაფარჩიე. ბოლოს ვიღაც დავლანდე... დავლანდე აჩრდილივით და მოჩვენებაც

შეირხა. მაღალი, წელში ამოყრდნობილი კაცი, აუჩქარებელი ნაბიჯებით გამოეყო სიბნელეს და ნელა მოგვიახლოვდა.

ცნობისმოყვარეობით შევათვალეთ.

უცნობი მოგვესალმა.

ნათანაილს ცოტა არ იყოს, სასაცილოდ წაუგრძელდა კისერი.

— გერასმე მარკოზიას ჰგავს, არა? — მიჩურჩულა, მკლავზე მომიცაცუნა ხელი.

ნაოჭებით დაღარული, მაღალი შუბლი და ოდნავ კეხიანი ცხვირი ჰქონდა უცნობს. მიუხედავად დიწვი, ბატონკაცური სიღარბაისლისა, ლალი, თითქოსდა მტაცებლური სიმსუბუქის შუქი უციმციმებდა შავსა და ბრიალა თვალებში.

მეც რაღაცნაირად მეცნაურა მისი სახე.

— გერასმე ვინაა? — ვკითხე ნათანაილს.

— არის ერთი... შენ არ იცნობ! — არც შემოუხედავს, ისე მიპასუხა, უცნობს არ აშორებდა თვალს.

სტუმარი ადგილობრივი კაცი გამოდგა, მწყემსი.

თქვა: — დილიდანვე შეგნიშნეთო, მდინარე და თევზი მეც მიყვარს, მაგრამ ველარ მოვიცალე, ცხვარს თვალი და ყური სჭირდებაო. საქმე ახლაც მქონდა, დაღლილიც ვიყავ, მაგრამ თქვენმა სიმღერებმა მომაჯადოვა, ვერ მოვითმინე და აქეთ, თქვენსკენ გამოვეშურეთ.

შემდეგ შევათვალე რა და ბოდიში მოიწადა, მყუდროება დაგირღვიეთო.

უცნობი რომ თავაზიანი კაცი გამოდგა გვესამოვნა.

ბიჭები შეიშმუნენ.

— ჰო... ჩვენ კი ეს შაბათ-კვირა თევზაობას შევწირეთ! — მატვეიჩმა სტუმარს, თითქოს მოუბოდიშა.

— ჰო, დასვენების დღეებში კი, კარგია! — სტუმარმა გაუღიმა.

ნათანაილი დაიხარა, მუგუზლები მიჩრეკვე-მორეკვეა.

— თქვენ რა გქვიათ? — კითხა. — გავიცნოთ ერთმანეთი, არა?

— სტროგოვი, — უცნობმა თავი დიუქრა, — ფირაფონტ პეტროვიჩი!

— ძალიან სასიამოვნო! — გაბიანემ გაუღიმა, ჭირკჭე ანიშნა, თხოვა ჩამოძვადარიყო.

— ცხვარი თქვენია? — სტუმარს ამჯერად მიმართა იმან, რომელსაც ადრე არ ვიცნობდი, რეზო ერქვა იმ ყმაწვილკაცს სახელად.

— აა, დანახეთ? — სტუმარი გაიბადრა. — არა, ცხვარი მეურნეობისა!

— მაგრამ რამდენიმე საკუთარიც ხომ ურევია? — რეზომ ჩაიციხა.

— ჩემი არა, არა მყავს!..

— თქვი სიმართლე, არ გაგცემთ!

— არა, არ მყავს!..

— არ გვენდობი?

სტუმარი მუგუზხალს დასწვდა, სიგარეტს მოუკიდა და ნაბიჯი გადადგა, წასვლა დააპირა.

რეზოს გადავხედეთ.

გაბიანემ საყვედურით გადააქნია თავი.

— დარჩით! — მიმართა სტუმარს.

— ცხვარი ხომ საიმედოდაა დაბინავებული?

— ცხვარი კი, საიმედოდაა! — ფირაფონტ პეტროვიჩმა გაიღიმა, შემობრუნდა, კოცონთან ჩაცუქდა და მუგუზლები გაასწორა, შემდეგ ნათანაილს ახედა. — თქვენ მღეროდით? — კითხა.

— არა, მე არა! — ნათანაილმაც გაუღიმა.

— მიყვარს თქვენებური სიმღერები...

— რომელია ეს ჩვენებური? — იკითხა რეზომ.

— ვიცი რომელიცაა. — პეტროვიჩმა კეფა მოიფხანა. — ქართულია!

— ვაა? ამდენი, საიდან?..

— საიდან... აა; იქედან! — სტუმარმა მოულოდნელად, მაღლა, ცისკენ ასწია საჩვენებელი თითი და რეზოც იქეთკენ აახედა.

გულიანად გაგვეცინა და ატმოსფეროც მაშინვე განიტვიჩრთა. სტუმართან ისეთი საუბარი არავის სიამოვნებდა.

— რა იყო, რა მოგვიქნა? — გაბიანემ და ნათანაილმა რეზოს უცნობად უსაყვედურეს, შევედრეთ და გადახედეს, გაუქვირდათ რომ ასე ხმა-შეწყობილად გამოვიდა.

— კაცო, მაინტერესებს, — რეზო შეიშმუნდა, — რა იცის, რომ ქართველები ვართ?

— მე ქართველი ვარ! — უცებ წამოსცდასავით და გამომცდელად შეგეთვალეირა სტუმარზე.

გაბიანემ სწრაფად გამომხედა, მე კიდევ ნათანაილსა და მატვეინს შევხედე, მერე ისევ უცნობს მივაჩერდი.

— ვიხუმრე! — ასევე უცებ დაგვამშვიდა პეტროვიჩმა და თვალი აგვიარიდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ნათანაილმა დინჯად-დინჯად, ამოიხვნეშა.

— სტუმარი არ ვადღეგრძელოთ? — იკითხა.

— მოხარული ვართ! — მატვეინმა ჭიჭა ასწია. — გისურვებთ ყველაფერს სიკეთეს!

— მოხარული ვარ! — გაბიანემაც გაიმეორა, ჩვეულებრივ დინჯად ამოღერლა, მაგრამ თვალები უელავდა.

ფირაფონტ პეტროვიჩმა გაქათქათებული, თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო, მშვიდად მოიწმინდა ტუჩ-პირი და უხმოდ გადაჰკრა.

შემდეგ სუფრა ჩვეულებრივი გზით წარიმართა.

სიმღერა მოგვიანებით წამოიწყეს. მანამდე, რატომღაც ვარსკვლავებით მოქარგული ზეცა მოათვალეირა ნათანაილმა...

კოცონთან ჩაცუქებული სტუმარი მომღერლებს მოწიწებით მიაჩერდა, მოიხიბლა. სიმღერა რომ ჩათავდა, თითქოს ჩვენთან არცააო, ისეთი სახე ჰქონდა. მერე უცებ დაფაცურდა და სიგარეტი ამოიღო, მოგვაწოდა.

ნათანაილმა გაბიანეს გადახედა, რაღაც ანიშნა. ფირაფონტ პეტროვიჩს არ გამოეპარა, აღფრთოვანებული თვალები მიაპყრო მათ და, სამივემ დიდი

ხნის უნახავი ძმებევით გაუღიმა ერთ-მანეთს.

რეზო ზმორებით წამოდგა.

— პეტროვიჩი — შინაურულად მიმართა სტუმარს. — ჰქენი კარგი საქმე, აგერ ფული, აგერაც ნაჯახი... მიდი, რევე ერთ პაწია ბატკანს თავში, მწვედები ვკამოთ ამალამ, ა?

უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

— აგე, ნაჯახი! — რეზომ გამოაჩოჩა.

პეტროვიჩი შეცბა, გაშეშდა.

რეზო, რატომღაც ველარ ისვენებდა, თავაზიანი კაცის შთაბეჭდილებას თავიდანვე ვერ ტოვებდა, მაგრამ ასეთ რამეს მაინც არავინ ელოდა.

— ხომ გითხარით, ცხვარი ჩემი არაა. — ფირაფონტ პეტროვიჩმა ნაჯახი უკანვე გააჩოჩა. — ჩემიც რომ იყოს, ნაჯახს როგორ ჩავარტყამდი? — იკითხა და მერე რეზოს ისეთი თვალეებით შეხედა, შთათვალეირა, რომ სიცივემ ჩამოთოვა.

— ეგ ხუმრობა იყო. — მატვეიჩმა გაუღიმა. — უბრალოდ, იხუმრა ამხანაგმა.

— არაფერიც არ მიხუმრია! — იხტებარი არ გაიტეხა რეზომ. — დიდი ამბავი თუ გაცნობის აღსანიშნავად ბატკანს დავკლავდი!

— რეზო!.. — ნათანაილიმ ადგილიდანაც კი წამოიწია.

— კარგი თ რა! — რეზომ ყასიდად ჩაიციხა, მაგრამ ფერი წაუვიდა.

ნათანაილი სტუმრისკენ შებრუნდა.

— შენს კეთილ საქმიანობას გაუმარჯოს, ფირანა, ძმაო!

— რაო, რა თქვი? — პეტროვიჩი უარესად აღელდა, გაფითრდა. — როგორ თქვი?

— შენს საქმიანობას გაუმარჯოს-მეთქი, გითხარი! — ნათანაილი ოდნავ შეცბა.

— არა, ეგ არა, თქვენ ის მითხარით, როგორ იყო. რა დამიძახეთ?

— ფირანა? — საუბარში გაბიანე ჩაერია. — ფირანა — ჩვენებურად ასე გამოითქმის თქვენი სახელი. საწყენი არაფერი ყოფილა.

— ფირანა? — სტუმარი გაიბადრა, ხელმეორედ იკითხა: — ფირანა?!

— ჰო... ფირანა... შინაურული

— სასწაული!

— რატომ სასწაული? — მატვეიჩს გაეცინა.

— იციო!.. — ფირაფონტ პეტროვიჩმა შეზლი მოისრისა, სახეზე ჩამოისვა ხელი. — საქმე ისაა, რომ ბაბუაჩემი მეძახდა ასე...

— რომელი ბაბუა? — რეზო ცნობისმოყვარეობით აენტო. — შენი ნამდვილი ბაბუა?

— ჰო, დედის მხრით... დედაჩემის მამა.

— კარგი, მაგრამ ეს ამბავი როდის იყო? — რეზო აღარ ეშვებოდა.

ჩვენ გასუსული ვისხედით.

— პატარა ვიყავი, ოთხი-ხუთი წლისა... მერე ბაბუა გარდაიცვალა და სახელი დაიკარგა... ვადამავიწყდა.

— დედა?

— დედა საერთოდ არ მახსოვს, წლინახევრისა ვყოფილვარ, რომ გარდაცვლილა.

— ბაბუა ქართველი იყო?

ფირაფონტ პეტროვიჩი შეყოვნდა. მერე რატომღაც მოიღრუბლა და ლიმილიც ჩაუჭრა.

— ამდენი არა... აღარ მახსოვს. — გვიპასუხა.

— ჰო, გასაგებია. — რეზომ თანაგრძნობით გაუღიმა.

ლეიბზე გაწოლილმა ზეცა მოვათვალეირე... ვითომ ვარსკვლავებსაც ვითვლიდი, მაგრამ თვალეები ამიჭრელდა, ამოძრავდნენ, ერთმანეთში აირივნენ, გაიფანტნენ.

— შეგიძლიათ დამიძახოთ ფირანა, მე გამეხარდება კიდევაც, მოხარული ვიქნები! — სტუმარი აღფრთოვანებული იყო. — რა თქმა უნდა, გამეხარდება! — ისევ და ისევ იმეორებდა ერთსა და იგივე სიტყვებს, ველარაფერს უმატებდა. — აი, სასწაული, ა? — ამბობდა გახარებული.

გაბიანემაც გამოაჩოჩა ლეიბი და გვერდით წამოწვა. უხალისოდ, ცალკე თვალთ გამომხედა.



— ეს ყმწვილი ვინაა? — რეზოზე ვანიშნე.

— ახალგაზრდაა ერთი. — მიპასუხა და თავქვეშ ამოიღო ხელი. — თამაშია, გაშინაურება იცის, მეტი არაფერი! გვიანობამდე ისხდნენ.

შემდეგ გამახიარლებულებმა ხორუმიცი იცეკვეს. სასაცილო სანახავი იყო. ხელი-ხელ გადაკდობილნი, მთელი მონდომებით დააბოტებდნენ წრეში. ნათანაილი წინ მიუძღოდათ, მერე გაბიანე, მატვეიჩი და სხვები... კოცონის ალი მერთალად ანათებდა მიდამოს, ტელეგრაფის ბოძებივით დაგრძელებული როკავდნენ, დააბოტებდნენ გარშემო ლანდები.

პამ. პამ. დუდუშ-პამ. — რეზო გიტარას დოლივით უკრავდა.

უნებურად ვაკვირდებოდი რეზოს. უცებ ამომხედა; თვალი ჩამიპაქუნა და გულუბრყვილოდ გაიღიმა. მერე მოცეკვავეებზე რაღაცა მანიშნა, ჩაღუნა თავი და ისეთი დაგადუგი აუტეხა გიტარას, რომ ოფელში გასწურა ისინი, ჩქარა დაღალა. ბიჭები ქლოშინით წამოგორდნენ ლეიბებზე.

— პაა, ვართ თუ არა? — ნათანაილს ოფლის ხეითქი გადასდიოდა სახეზე.

— ოპ! ოპ!...

— რაო, არა?

— მხეცები ხართ! — უთხრა რეზომ.

— კარგი რა, მოსვენე! — ნათანაილმა დაღლილად ჩაიჭნია ხელი და პირსახოცზე ანიშნა — გადმომაწოდეთ!

რეზომ ჩაიციხა, მიაწოდა და ნათანაილმა ზანტად მოიწმინდა ოფლიანი კისერი.

ხმამალალი ხმაური და კრიამული მომბეზრდა, გუნება შემეცვალა და წამოვდექი. მდინარის ნაპირ-ნაპირ გავისერიწე. ბოლოს, სულაც მანქანაში ჩავწექი... როდის-როდის ჩამთვლიმა. ბურანში გახვეულასაც კარგახანს ჩამესმოდა ხმამალალი საუბარი.

ღლით ჩვეულებრივ ადრე გამოვიღვიძე. ბანაკში სიწყნარე სუფევდა. ნაირ-ნაირ პოზეტში ეძინათ კოცონის გარშემო ლალად წამოგორებულ ბიჭებს. ფირაფონტ პეტროვიჩი არსად ჩა-

ნდა. გაძარცვულივით დაცარიელებული მეჩვენა ბანაკი. მთქნეხეხი ბუტავდა კოცონიც, ნელ-თბილი, თითქოს დაღლილი ადიოდა ბოლი. ირგვლივ კი ალიონის მშვიდი, დაცვარული მყუდროება გამეფებულყო.

წყალში შევედი და რაც შემეძლო შორს გავცურე.

მდინარის შუაგულიდან უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა იქაურობა. სულ სხვა, ბევრად თვალწარმატებ მეჩვენა მიდამო, თითქოს გამადიდებელი შუშით ვუყურებდი ნაპირს, უფრო დაბურული, უფრო მაღალი მეჩვენენ ნაძვებიც. მდინარის ფართო, სარკესავით პრიალა ზედაპირს კი ნელა, ტაბათი ასდიოდა რძისფერი ორთქლი.

გულაღმა ამოვტრიალდი წყალში, მაღლა ავიხედე. ზეცას აქა-იქ ჭერ კიდევ შემორჩენოდა ცისკრის ციმციმა ვარსკვლავები... ხელები გაეშალე და დინებას მივყვევი...

წყალმა გამომაცოცხლა, მაგრამ მალე შემცივდა, ამოვედი, თბილად ჩავიცვი და ჩამქრალ კოცონთან მივედი. ნამთვრალევი, მდინარე ადამიანების დანახვაზე გულმა სხვაგან გამიწია, მართობა მომენატრა.

მანქანის კარი გამოვალე და ხელთათმანების ყუთიდან ქალაღლის ფურცელი ამოვიღე... ნათანაილს ორიოდ სიტყვით ვაცნობე: — მოსკოვში შევხედებით-მეთქი და, წამოვედი.

მწყდებოდა გული, მაგრამ დაცდაც აღარ შემეძლო. გული იმაზეც მწყდებოდა, ვინ იცის, კიდევ როდის მომიწევდა ლისკოვოში ჩასვლა ან მომიწევდა კი ოდესმე?

მანქანა ნელი სვლით, რაც შეიძლება უხმაუროდ გამოვიყვანე შარაგზაზე. ასევე აუჩქარებლად ავუყვევი ხეივანს და, მიდამოს ერთხელაც შევავლე თვალი. ნაშით დახუნძლული, მაღალი ნაძვის კენწერო, ოდნავ შესამჩნევად ირხეოდა, თითქოს რამე საიდუმლოს მბარებესო, უხმოდ შემშვიდობებოდა.

თვალს მიეფარა ნავსაყუდელი — მისი ძველი, გადაფარდებული ხის შენობა.

მთავარ გზატკეცილზე რომ გავედი, ნისლში გახვეული ლისკოვო გამოჩნდა და წინ, გზის მარჯვენა მხარეს, ავტობუსების გაჩერებასთან ასვეტილი გოგონაც შევნიშნე.

მანქანა რომ დაინახა გოგონამ ჩანთა აიღო და ნაბიჯი გადმოდგა, ხელი ასწია.

ფანჯრის შუშა ჩამოვწიე და მანქანა შევაჩერე.

— დილა მშვიდობისა!

— დილა მშვიდობისა! — გოგონამ შემოიხედა. — ნიენში მივდივარ, თუ წამიყვანთ.

— ნიენი სადაა?

— ნიენი, იგივე ქალაქი გორკია. — გაიღიმა და ამჯერად, ნაბიჯი უკუდგა. — ჩვენ ვეძახით ასე...

— თუ ასეა, დაბრძანდით! — ვუპასუხე. — შეც ნიენში მივდივარ!

— გმადლობთ!.. არა, არ შეგაწუხებთ...

— დაბრძანდით! — კარი გავაღე.

გოგონამ ოდნავი ყოყმანის შემდეგ უკანა კარისკენ მიიწია. გულდაწყვეტილი გადავწვდი სახელურს და ის კარიც გამოვადე.

— შეიძლება ჩავდო ჩანთა?

— რა თქმა უნდა. — უხალისოდ ვუპასუხე. არ მსიამოვნებს უკან რომ ქალი ჯდება.

ჩანთა დადო და კარი მიაჯახუნა. მოულოდნელად წამოვიდა, შემომხედა და წინა სავარძელში ჩაჯდა.

— ჩანთა სუფთაა. — დამამშვიდა.

— გასაგებია!

— მართალია, ძველმოდურიცა, მაგრამ ფრანგული გახლავთ! — უცებ ხუმრობაგარეული ირონიით მაცნობა და გამომცდელად შემათვალისწინა.

— ჰოო? — ჩანთას გადავხედე, ოდნავ დავიბენი. — ასეთი კარგი, ასეთი გრანდიოზული ფრანგული ჩანთა სავარძელში კი უნდა იდოს.

— საერთოდ, ალბათ მუზეუმშია მისი ადგილი. — რატომღაც ამოიხენეშა და მუხლებთან კაბა გაისწორა.

ერთხანს უხმოდ ვიარეთ.

თანამგზავრი გასუსული იჯდა. გე-

გონებოდა, ბაროკამერაში იმყოფებო, ისეთი სახე ჰქონდა, მაგრამ მტკნარ თვითონვე დაარღვია სიჩუმე.

— თქვენ ქართველი ხართ, ხომ? — მკითხა.

— დიახ!

— თბილისელი?

— არა, თბილისელი არა.

— ჩვენთან ერთი თბილისელი სწავლობს, ამიტომ ვიკითხე... თენგიზი ჰქვია.

— ჰოო?

— ჰოო! — გვერდზე გადახარა თავი, თითქოს ნიშნისმოგებით.

— სად ეს, თქვენთან?

— მოსკოვში... ქორეოგრაფიულ სასწავლებელში.

— ჰოო? — უნებურად ისევ წამომცდა. გამიკვირდა, კარგი გოგონა კი იყო, მაგრამ მოცეკვავისა არაფერი შემინიშნავს მალალი კისრის გარდა.

— ჰოო?.. — გამომაჯავრა ჩემმა თანამგზავრმა და მხიარულად გადაიკისკისა. შემდეგ ხელისგულები ტუჩებზე აიფარა და უფრო სასაცილო გამოუვიდა.

— მე მოცეკვავეებს მაშინვე ვცნობ!

— გულახდილად მოვახსენე. — ისინი გან-გან დგამენ ფეხს და მსუბუქად, გამართულად დადიან...

— მე მსგავსი არაფერი მეტყობა, ხომ? — გული დასწყდა, ეწყინა, რომ მოცეკვავეს არა ჰგავდა.

— მე ხომ თქვენი სიარული არ მიხანახავს!...

— არა, მართლა, ამ ბოლო დროს ძალიან დაემძიმდი. — თავი გადააქნია, მოიწყინა.

— არაფერი გეტყობათ! — გულწრფელად გამიკვირდა.

მართლა თბელი ტანისა იყო. პიეროვანი. ახლა, მისი სიტყვების შემდეგ კი პირდაპირ მიაი პლისეცკაია იჭდა ჩემს გვერდით.

— მოვიმატე, რეასი გრამი... — სინანულით გაიღიმა.

— თი! თი!... — წამოვიძახე.

გაეცინა.

— მეც მოსკოვში შივედივარ! — ეუთხარია.

— მართლა? — გაეხარდა, მაგრამ მაშინვე ჩაჩუმდა.

— თუ გნებავთ, ერთად ვიმგზავროთ, მე მოხარული ვიქნები.

— გმადლობთ! — შითხრა და საკმაოდ გულახდილი სიფრთხილით თუ ეჭვით შემათვალეირა. — აღარ შეგაწყუბებთ...

— არავითარი პრობლემა! — თვალეზში ჩაეხედე.

— არა, გმადლობთ.

— ნუ გეშინიათ! — ეუთხარია, მეწყინა, რომ ჰოკმანი შეეტყო, უარს ამბობდა. — ნასაუზმევი გახლავართ, არ შეგქამთ! — წამომცდა ასეთი გაცვეთილი, უგერგილო სიტყვა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავევარდი.

— აა, ესე იგი, ისაუზმეთ! — გაეცინა. — მაგრამ სადილობა რომ გზაში მოგიწევთ?

ავათვალეირ-ჩავათვალეირე ჩემი თანამგზავრი.

— მე გამხდრები არ მიყვარს. — ეუპასუხე. — გზაში ვინმე მსუქანს გამოვიჭერთ და ის შეევარამუნოთ, კარგი?

გადაიკისკისა და, მოულოდნელად, ხელი გამომიწოდა.

გულთადად ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი, მეგონა რომ თანხმობისა და სოლიდარობის ნიშნად.

— მე როქსანა მქვია. — ხმადაბლა მაინცობა და ოდნავ წამოწითლდა.

— თენგიზი! — ეუპასუხე.

— ოი, არა!.. — წამოიძახა, რატომღაც ხვეწნით შემომხედა. — მართლა თენგიზი გქვიათ? — მერე თავი ჩაღუნა.

ისეთი სახე ჰქონდა რომ გული დამწყდა, ვინანე, რატომ მართალი არ ეუთხარია-მეთქი, გავიფიქრე და ჩემი ნამდვილი გვარ-სახელიც მაშინვე მოვახსენე.

შემდეგ დიდხანს ვიარეთ უხმოდ. შესამჩნევად მოიწყინა.

ქალაქ გორაკში რომ შევედით სავ-

რძელში ოდნავ შეირხა და მსუბუქად ამოისუნთქა.

— მე თენგიზის საწინააღმდეგო არაფერი მქონია. — თმაზე ვადაისვა ხელი. — თენგიზმა თანაკურსელს აწყენინა... ნათქვამია, ოჯახშიც თითო მახინჯი გამოერევაო.

— ჰო. — დავუმოწმე. — ერთი მახინჯი.

— არა, ისე ვთქვი, თენგიზი ურიგო ბიჭი არაა!

— და, მაინც ვავლანძლეთ?

— ვალანძლეა აზრადაც არ მქონია! — წყენით შემომხედა. — ხომ გითხარით, სიტყვას მოჰყვა-მეთქი.

— გასაგებია. — ჩავიდუღუნე და გაოცებულმა შეენიშნე, რომ ვეჭვიანობდი.

— საერთოდ, მე ქართულები მიყვარს... მაგრამ საქართველოში ჯერ არ ვყოფილვარ!

— მართლა? — რატომღაც გამიკვირდა.

— დიახ, არ ვყოფილვარ!

ქალაქ ვლადიმირამდე ისე ჩავედით, რომ ხმა არ ამოგვიღია.

გზადაგზა მიდამოს დავუწყე თვალეირება, ჩრდილიანი ადგილი რომ დავლანდე, გზატკეცილიდან გადავუხვიე და ერთგან, მინდვრის განაპირა ცაცხვებთან შევაჩერე მანქანა.

საბარგულიდან, თითქმის ხელუხლებელი სანოვაგე ამოვალაგე. მიხაროდა რომ თანამგზავრს გულუხვად გაეუმსპინძლდებოდა.

არაფერი გამომივიდა.

გოგონამ ჩიტყვით ცოტა, სულ თითო ნამცეცი აიღო, მოსინჯა და მერე მართლა გულწრფელად შეწუხდა — ეს რამდენი ვჭამეო, — თქვა.

მადიანად ვისადილე. შემდეგ სანოვაგე ისევ საბარგულში ჩავალაგე, ხოლო გასაბერი ლეიბი დავიტოვე, ვრილოში გავფინე. მოთენთილი ვიყავი, თვალეიბი მეხუჭებოდა, მაგრამ თავს ვიკავებდი. გოგონას თანდასწრებით მოსვენებასა და ძილს ვერიდებოდი, ვერ წარმომედგინა. სატესთან დაჭლო-



მაც ასეთ მდგომარეობაში მყოფს, არ მინდოდა.

— მოდით, დავისვენოთ! — დინჯად შემომთავაზა თანამგზავრმა. — მე მანქანაში ჩავვდები, მუსიკას მოვუსმენ... — თუ გნებავთ, სავარძელს ვაგიშლით, წამოწვებით კიდევაც!

— არა, წამოწოლა არ მინდა.

— მე უნდა გითხრათ გულახდილად, რომ ძალიან მეძინება.

— ჰოდა, ძალიან კარგი, დავისვენოთ!

შინაურულად და უბრალოდ, ისე ასი წლის ნაცნობივით მითხრა ყველაფერი ეს, რომ მორიდებამაც და წყენამაც მაშინვე გამოიარა. სიგარეტი გადავავადე და წამოვწვიქი.

მალე გამომეღვიძა. ნახევარი საათიც არ მიძინებოდა. მანქანას რომ გავხედე, თანამგზავრი ველარ დავინახე და ოდნავ აფფორიაქდი. წამოვდექი, მიდამო მეტი ყურადღებით მოვათვალიერე. მერე ისევ მანქანას მივუბრუნდი და დავინახე რომ უკანა სავარძელში ჩაწოლილიყო. კატასავით მყუდროდ, მსუბუქად იწვა და ეძინა.

ფეხაკრეფით გამოვბრუნდი, რაღაც საოცარი, მანამდე უცნობი კმაყოფილების გრძნობა დამეფულა.

მყუდროება აღარ დავუტრღვიე, კარგახანს იძინა.

შემდეგ გზატკეცილზე გრუხუნით ჩაქროლებულმა სატვირთო მანქანის ხმაურმა გამოაღვიძა.

— ო! რამდენი მიძინებია? — წამოიძახა.

არაფერი ვუპასუხე.

— თქვენ რა, დიდი ხანია გაიღვიძეთ? — ლომილით დახედა საათს და თმაზე გადაისვა ხელი.

— არა! — ყასიდად ვუპასუხე. — სულ დიდი, დიდი, ხუთი წუთია!

— გეთაყვა, მპატიეთ! — წამით ხანდაზმულ ქალბატონს დაემსგავსა. — წუხელ გვიან დავიძინე, დილით კი ალიონზე წამოვდექი...

— სად მიგეჩქარებოდათ? — ირონიულად ვკითხე. — დღეს ხომ კვირაა!

— სამაგიეროდ ხელს ორშაბათია — სამუშაო დღე!

— ჰო, ხელს ორშაბათია, მანქანა დავქოქე.

გზატკეცილზე უხმოდ ვაქვროლდით.

— ლისკოვოში ვინა გყავთ? — ფიქრებში წასულმა ისე, სირხუმის გასათფანტად ვკითხე. — მშობლები?

— მხოლოდ — მამა! — ხმადაბლა მიპასუხა. — დედა არ მახსოვს, პატარა ვყოფილვარ, რომ გარდაცვლილა, მამა სოფელში ცხოვრობს.

— სოფელში?

— ჰო, იქვე ლისკოვოს შემდეგია.

— ლისკოვოში ასე დღიადრიან, ფეხით ჩამოდი?

— მერე რა, — გაეცინა, — შორია?

— არა, მაგრამ... — დავიბენი, რაღაც მეუხერხულა.

— მამა წუხელ, დილის ხუთ საათამდე არ გამოჩენილა. — თანამგზავრი წამით დადარდიანდა. ნამდვილი სოფელი გოგონა ვახდა, მკაცრი და დუხჭირიანი. — დილის ხუთ საათზე მოვიდა ნასვამი.

— ხშირად სვამს?

— ვინ, მამა? — ფიქრებიდან გამოერკვა, ამოიხვნეშა და კაბა გაისწორა. — მამა საერთოდ არ სვამს, მაგრამ წუხელ არ ვიცი, რა მოუვიდა, იცოდა რომ მოსკოვში მოვემგზავრებოდი და მანც...

— ეგ არაფერი, ხდება ხოლმე!

— სოფელში ორიოდ დღის წინ ვიღაც უსაქმურები ჩამოეხეტენ, მგონი მათთან იყო, ამაზე მწყდება გული.

— ვინ უსაქმურები?

— უფალმა უწყის, მდინარის პირას დაბანაკდნენ, თევზობით ერთობოდნენ, არაყს სვამდნენ, მერე კოცონი გააჩაღეს...

— ჰო, ეგ არ ვარგა.

— თუმცა არაფერი ისეთი! — გოგონამ გამოხედა. — მე მამა ძალიან მიყვარს.

— მჯერა.

— დიხ!.. ძალიან. ძალიან. საკუთარ თავზე მეტად.



არაფერი მითქვამს, ვაჭრუძდი. ფიჭურებით ისევ ლისკოვოს დაეუბრუნდი, კოცონთან წამოგორებული, მძინარე ამხანაგები დამიდგა თვალწინ. ახლაც მწყდებოდა გული, რომ დილით აეჩქარდი, არც გამოვეშვიდობებე...

— მოიცა! მამათქვენს რა ჰქვია? — უცებ, რალაც მიგრძნო გულმა.

— რატომ მეკითხებით? — გაუკვირდა გოგონას.

— მითხაროთ, მინტერესებს!

— რატომ? — აღელვება რომ შემამჩნია უფრო გაოცდა.

— თქვი-ით!

— ფირაფონტ პეტროვიჩი...

— სტროგოვი, ხომ? — აღფრთოვანებულმა წამოვიძახე და გოგონასაც თვალეები გაუფართოვდა.

— თქვენ საიდან იცით?

— ვიცი!

— საიდან?

— ჩვენ წუხელ ერთად ვიყავით! — მიხაროდა, პირდაპირ ბედნიერი ვიყავი. სიჩუმე ჩამოწვა.

შეუმჩნევლად, ფრთხილად, მაგრამ დიდი ინტერესითა და ცნობისმოყვარეობით, ყურადღებით შევათვალიერე ჩემი თანამგზავრი.

მამას მხოლოდ თვალეებით ჰგავდა. შეიძლება ოდნავ, სულ ოდნავი ქედმაღალი ცხვირითაც, მეტი არაფერი. ფაფუკად მოკეცილი იქდა სავარძელში და ამ აღმოჩენით გახარებული თუ დაბნეული, რატომღაც ძლივს იკავებდა სიცილს.

— რა საოცარია? — ჩავიდუღუნე.

— მე კი როგორ იყო, რომ გამოგლანძღეთ? — გოგონას მაინც გაეცნა, ველარ შეიკავა თავი და ტურჩებზე აიფარა ხელისგულები. — მამათქვენს, გეთყვე, არ ვიცოდი!

— ახია ჩვენზე! — ვუთხარი.

— იციით?... დილით ერთი გაფიჭურება კი გავიფიჭრე, მაგრამ ისინი რომ ბევრი იყვნენ... — აცემციმებულ თვალეებს არ მაშორებდა. — ისე კი თქვა მამამ, ქართველები არიანო...-

ხმას არ ვიღებდი.

— ოო, მანქანაში დილით რა არყის სუნი იდგა? ეროვნული

— აა... ჰო, ნამეტანნი შოკელები! — ჩავილულულე წამოწითლებულმა.

— არაფერია. — დამამშვიდა.

— მამათქვენი კი ყველას მოეწონა, კარგი კაცია! — სიტყვა მაინც ბანზე შევაგდე.

— მართლა?

— მართლა. — თვალეებში ჩახებდე.

— მართლა, მართლა! — დავუმოწმე.

— კი, კარგი კაცია, მთელი ცხოვრება მე შემომწირა... — დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ სხვა ქალი შინ არ შემოუყვანია.

— გასაგებია.

— ასეა, ჩვენ ორნი ვარ...

სიგარეტს მოვუკიდე, შეეხებდე.

— მოსკოვში მამამ წამოყვანა, ოცნებობდა რომ ქორეოგრაფიულზე მესწავლა. მე კი არ მინდოდა მისი მართკა მიტოვება, მაგრამ... — სევდიანად გამიღმა.

— არა უშავს, სოფელში ხომ ხშირად ჩაიხარო?

— ხშირად ვერა, ველარ ვახერხებ.

— როქსანა, იციით, რა უნდა მეკითხა?.. აი, მამათქვენის ბაბუაზე რამე თუ გსმენიათ?

— მამამ გითხრათ რამე? — დინჯად შემათვალიერა.

— არა, არაფერი ისეთი!

— აბა?

— ისე, მინტერესებდა.

შევატყე რომ თითქოს არ ესიამოვნა, არ უნდოდა პასუხის გაცემა.

დუმილი ჩამოვარდა.

— მე რამე შეგეკითხეთ?

გახუმრება ვცადე.

— შუბლი შეიკრა, არ მიპასუხა.

— შეგეკითხეთ?

ამომხედა.

— არა? — ჩავაცვიდი.

— კარგით რა! — გაეცინა. — ამბობენ, მამაჩემის ბაბუა ქართველი იყო, თანაც თავადი!

— ოჰოო! — გავიკვირე. — მერე?

— ეგაა სულ...

— მეტი არაფერი?



— არაფერი. — ფანჯარაში გაიხედა.

— მამათქვენმა თქვა, ბაბუა ფირანას მეძახდაო...

— მე არ გამიგია, მამას ბაბუა პატარობისას გარდაცვლია, ისიც ლანდად ახსოვს.

— ვითომ?

— დიახ! — ისე მიპასუხა, თითქოს გამიჯავრდა. — ფირანა რას ნიშნავს?

— შემდეგ ხმადაბლა მკითხა.

— სახელია ქართული.

— მართლა?

— დიახ!

— საერთოდ, რა თქმა უნდა, ყველაფერი საინტერესოა. — ოდნავ გამოცოცხლდა ჩემი თანამგზავრი.

— საერთოდ, კი, ძალიან! — ჩაეცინე.

ამომხედა.

— დავიჯერო, მეტი არაფერი იცით, თქვენს წინაპრებზე? — თვალეებში ჩაეხედე.

— არა, არაფერი.

— სულ არაფერი?

— სულ. სულ. სულ, არაფერი... მე თვალეები არ მიყვარს!

— ეგ რა შუაშია? — მხარი ავიჩეჩე. თანამგზავრმა შუშა ჩამოსწია და ფანჯარაში გაიხედა. ნათლად შეეტყო, რომ საუბარი არ სიამოვნებდა და მეც გაჩუმება ვარჩიე. ამჯერად ჭიუტი, მიუხეობელი გოგონა მეჭდა გვერდით. მოლუშული, ფიქრიანი თვალეებით აკვირდებოდა წინა ხედის შუშიდან გზატკეცილს.

მაგნიტოფონი ჩავრთე.

მოსკოვში რომ ჩავედით, ბინდებოდა. თანამგზავრი ქორეოგრაფიული სასწავლებლის საერთო საცხოვრებლამდე მივიყვანე და იქ, გაზეთების ფართო-შუშიან ჭიხურთან გამოვეშვიდობე.

— მიხარია, რომ გაგიცანი! — ხელი გავუწოდე. — მამათქვენის გაცნობაც გამეხარდა...

— მეც მიხარია. — ღიმილით მიპასუხა. — დიდი მადლობა!

— მე სამმაგად მიხარია! — ხელზე ხელს არ ვუშვებდი.

— სამმაგად?

— ჰო, ერთი, მამის სასახლე გუგონა რომ გავიციანი, მეტი რაღაცა შემგზავრეთ და აი... ნათესავეებიც რომ ვყოფილვართ! — ვუთხარი და თვალეებში ჩაეხედე.

— მამა მართლა მოგეწონათ?

— მართლა!

— მწყემსი რომაა?

ამ შეკითხვამ გამოაცა, მომეჩვენა რომ თვალეების მოძულეს, თითქოს მამის მწყემსობა ენათიარა...

— აი, ეს უკვე აღარ მესიამოვნა! — გულახდილად მოვახსენე. — საწყენია! — ვუთხარი, მაგრამ მაშინვე გავუღიმიე.

— ოი, არა... — ხეყწით შემომხედა.

არაფერი ვუპასუხე.

ბოლოს ჩემი ბინის ტელეფონის ნომერი ჩავაწერინე და ერთხელაც დავემშვიდობებთ ერთმანეთს.

#### IV

ლისკოვოდან სულ რამდენიმე დღის ჩამოსული ვიყავი, რომ ნათანაილმა სამსახურში დამირეკა. გამიკვირდა, რადგან ჩემი ბინისა და სამსახურის ტელეფონის ნომრები არასოდეს მიმიცია. ტყუილად ამბობენ — ტელეფონი არასასურველი ნაცნობის სასურველ მანძილზე შეჩერების საშუალებააო. ალბათ, პირიქით უფროა.

— ქართველო, გამარჯობა შენი! — ნათანაილი არხეინად მომესალმა.

— სალამი! — ვუპასუხე.

— ლისკოვოდან რატომ გამოგვეპარე?

— არ გამოვპარულვარ, — უხალისოდ ჩავიღუღუნე, არ მესიამოვნა ამის გახსენება, — ისე, წამომიარა რალაცამ... სხვა, შენ როგორა ხარ?

— მე რა მიჭირს!.. მოდი, სამსახურის შემდეგ შევხვდეთ, გავისიერნოთ სადმე!

ღუმილით ვუპასუხე.

— ბინა ხომ არსად გეგულება? — პაუზის შემდეგ მკითხა. — ოლონდ ცაკე და ტელეფონიანი...

— შენ რა, ისევ ბინას დაეძებ?

— ჰო, რა ვქნა, ჩამოვრეცხე ოთხი სართული, ახლაც მასახლებენ. — ამოიხვნეშა და მერე დასძინა: — მეზობლებს რვაასი მანეთის ზარალი მივაყენე და გადავიხადე კიდევაც... სულ იმ ფირანას გამო მომივიდა, ლისკოვოდან ჩამოსული ავეყვი ფიქრებს.

აჩიფერი მითქვამს, მაგრამ საუბარი მაინც იმით დამთავრდა, რომ სამსახურის შემდეგ დიდ თეატრთან შეხვედრაზე შევთანხმდით.

მოსკოვში ნათანაილი ათიოდე წლის წინ ჩამოვიდა. აწ უკვე მელიოტსა და საკმაოდ მოზრდილი ლიპის პატრონს, ახალგაზრდული იერი მაინც არ დაუკარგავს, მისი კომპლექციისთვის შეუფერებლად მოძრავი და დაუდევარი კაცი იყო. მოსკოვში გატარებული მთელი ის წლები ნაჭირავებ ბინებში გაატარა და, ალბათ, მარტოხელას არც აინტერესებდა საკუთარი ბინა.

ვიცოდი რომ ერთი უცნაურობაც ჭირდა: როგორც კი ახალ ბინას იჭირავებდა, ყველგან, დერეფნისა და სამზარეულოს ჩათვლით, დიდრონ ნათურებს ჩამოჰკიდებდა და გრძელი, უფერული ზამთრის საღამოობით ყველას ერთად აანთებდა, გააჩირაღდნებდა იჭაურობას. მერე ონკანიდან ბაკანში წყლის ძლიერ ჭავლებს მიუშვებდა — თვითონ კი სადმე სავარძელზე ან დივანზე წამოწოლილი ფიქრებსა თუ მოგონებებს აჰყვებოდა... ამბობდა: — მთაგორიან ქვეყანაში ვარ დაბადებულ-გაზრდილი, ყურში მუდამ ჩანჩქერის ხმაური ჩამესმოდა და თავზე თაკარა მზე მაცხუნებდაო... ზოგჯერ ჩაეძინებოდა და ოთახები გაივსებოდა წყლით, ქვედა სართულებშიც ჩაეონავდა. ნათანაილს გაუთავებელი დავიდარაბა ჰქონდა მეზობლებთან, საბინაო სამმართველოს წარმომადგენლებთან, უბნის რწმუნებულებთან...

მიყენებული ზარალის საზღაურს უსიტყვოდ იხდიდა, ბინიდან მაინც ავღლებდნენ, ლანძღავდნენ, ემღუროდნენ. ამიტომაც ხშირად ახალ-ახალი ბინების ძიებით იყო დაკავებული.

დიდ თეატრთან რომ მივედი, ნათა-

ნაილი ბაღში, შადრეანთან ჩამოვქადა-რი დაეინახე. ფეხი-ფეხზე გადადებულს წინ მოუჩრდიებლად გამთქვამს:

— ვაა? — რაც შეიძლება ვაიოცა. — მიღლობა უფალს, რომ გამოჩნდი! — მისაყვედურა, თუმცა ორიოდ წუთით დამაგვიანდა.

— დიდი ხანი მელიოდე? — გამეცინა.

— გელოდე თორემ ძალიან გლახა ალაგას ვიყავი... აგერ დიდი თეატრი, აგერ ბალი და მშვენიერი ჩანჩქერი, (შადრეანზე მანიშნა). აგერ კიდევ თქვენი მონა-მორჩილი — ნათანაილ გაბრავე „კალენჯიხისკი“..

— კარგია.  
— შენ ახლა სად იყავი მაგალითად?  
— შემდეგ კრიტიკულად შემათვლიერა.

— სამსახურში.  
— სამსახურში თორემ შენც, კურტ ვალდჰაიმთან ბრძანდებოდი. — ამოიხვნეშა. — ჰო, მართლა, სად მუშაობ?

— მე — საფოსტო ყუთში! — ამომწურავად გავეცი პასუხი და „ყუთის“ ნომერიც დაუუსახელე. ლისკოვოში შეხვედრამდე მაინცდამაინც დიდი მეგობრობა არ გვაკავშირებდა. უბრალოდ, კარგი ნაცნობები ვიყავით.

— დირექტორს ვეჩხუბე, ბინას არ მაძლევს შობელძალი, მეუბნება — ცოლი შეერთე და მერეო.

— მართალი უთქვამს!  
— კაცო, ბინის ხათრით — ცოლი?  
— ასეა.

— შენ როგორ მალე მიიღე ბინა?  
— მრავალი წლის მუყაითი შრომის შემდეგ...

— ყოჩაღ! — შემაქო და წამოდგა, მკლავში გამომდო ხელი. — წამო, „არაგვი“ ლობიო ეჭამოთ!

საუბრით გართულები მალე რესტორანს მივადექით.

— არ მინდა რესტორანი! — ვუთხარი და შევჩერდი. — გადავეყრებით ვინმეს.

— შე კაცო, კალთას არავინ გვაგლეჯს, დალევის შიშით ლობიო არ ვჭამოთ?

რესტორნის დარბაზში, კუთხის მაგიდას შემოვესხედით. უბორცო და უღვინო ვახშამი შევეუქვეთეთ. ლობიო, მყავე კომბოსტო და ყველი...

— იცი, ხშირად რა მაგონდება ხოლმე? — ნათანაილს თვალები აუციმციმდა. — ჩვენთან სოფელში, სამზადის გვერდით, წაბლის ხის ჩეროში ვშლიდით სუფრას... პატარები დიდ მაგიდას შემოვესხდებოდით, ხოლო განცალკავებით, სამეფბა ტაბლასთან ბაბუა ხვიზვი ჯდებოდა... ბებია გვემსახურებოდა, თუთის ტოტი ეჭირა ხელში — აბა, კარგი დედ-მამის შვილი იყო და სადმე ძალლი, კატა, ქათამი ან ბუზი ჩამომჭდარიყო, ანდა ხვიზვის ორკოლით გვერდზე ქის ცივი წყალი არა ჰქონოდა...

— ლისკოვოში კიდევ დიდხანს დარჩით? — გაეწყვეტინე სიტყვა.

ნათანაილი მოიღუშა. ისეთი წყენითა და საყვედურიანი თვალებით შემომხედა, თითქოს სიმღერა გამეწყვეტინებინოს.

— ჰო, მერე წამოვედით. — მშრალად მიპასუხა. — ფირანამ ისევ მოგვაკითხა, სასროლი ბადე მოიტანა, მერე ის „უხა“ მივირთვიეთ, შენი მოწონებულნი.

— ჰოო?..

— ტყუილა წამოხვედი ალიონზე. — ნათანაილმა ამოიხენეშა და სუფრა მოათვალერა.

— რა იყო? — გაუღიმე.

— წიწილები შევუკვეთოთ?

— მე არ მინდა.

— შე კაცო, აბა, გასვენებაზე ხომ არა ვართ, ამომეწვა კუჭი ამ ლობიოთი და მყავე კომბოსტოთი!

— შეუკვეთე შენთვის! — უნებურად ლიპზე შევხედე.

— კარგი, შევიკავებთ ჩვენც თავს! — ვითომ ლიპს უთხრა და ხელი გადაუსვა. — ეე. ძვირფასო ჩემო, სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს...

რესტორანში დიდხანს აღარ დავრჩენილვართ, როგორც კი ვახშამს მოვრჩით, ამოვედით და გორკის ქუჩაზე ჩავისერიანეთ.

სასტუმრო „ნაციონალთან“ ნათანაილი შეჩერდა, საათს დახედდა.

ჯერ აღრე ყოფილა, მხოლოდ, მაშინ ავიდეთ, ანანასის ცივი წვენი ან კოქტეილი დავლიოთ, ა?

ბარში ერთი ჩემი ნაცნობი, თავის დროზე მთელს სტალენიკოვზე ულაშაზესი გოგონა — ანია ვარაპევა მუშაობდა. მარტოხელა ქალი იყო. ზოგჯერ, ვარაპევა საუბარში ისეთი თამამი და გულახდილი გახლდათ, რომ უცხო იფიქრებდა ყოველდღე იცვლისო სარეცელზე საყვარლებს. სინამდვილეში კი უპატიოსნესი ქალი იყო. მწყინდა რომ წესიერ, კულტურულ ქალს ბედი არ სწყალობდა. ბარში ხშირად ავდიოდი, ვმეგობრობდი ანიასთან, მსიამოვნებდა მასთან საუბარი.

— ბარში კი, ბატონო, ავიდეთ! — მაშინვე დავეთანხმე. — იქნება დღეს ჩემი ნაცნობიც მუშაობს.

— მუშაობს, ზუსტად ვიცი.

— შენ რა იცი!..

— ვიცი! — ნათანაილმა გამიღიმა. — ანია ხომ?

გამიკვირდა, არ შეგონა ანიას თუ იცნობდა.

ბარში ძირითადად უცხოელები შედიოდნენ. ადგილები დაკავებული იყო. სანახევროდ ჩაბნელებულ დარბაზში კარგი სიგარეტებისა და მაგარი სპირტიანი სასმელების სუნნი იდგა. საიდანღაც სასიამოვნო, მელოდითური მუსიკის ხმა ისმოდა.

ჩვენი გამოჩენა ანიას გაეხარდა. მივესალმეთ, მოვიკითხეთ ერთმანეთი. მერე ანანასის წვენი, კოქტეილი, ყავა და სიგარეტები გამოვართვი.

გამალელებული მუშაობა ჰქონდა ვარაპევას, მაგრამ ყურადღებას არ გვაკლებდა. წამით გამონახა დრო და ერთგან კუთხის მაგიდაზე გვანიშნა.

მაგიდასთან უცხოელი წყვილი იჯდა, მაგრამ ორი თავისუფალი ადგილიც იყო.

ბარიდან ანიამ რალაც სასწაულოთ გაჩენილი სკამებიც გადმოგვაწოდა და ჩვენც იმ მაგიდასთან მივედით.

— ბიტტი! — უცხოელმა თავაზიანად წამოიწია.

— დანკე შონ! — უბასუხა ნათანაილმა.

ჩამოვსხედით .

უცხოელებსაც ყავა და პატარა, სულ ერთი ციკქა ჰქვებოდა კონიაკი ედგათ. დინჯად, სველებ-სვენებით ეწეოდნენ სიგარეტს.

— ცოლი როდის შევირთოთ? — ნათანაილი იდაყვით შემგზო.

— ზვალ! — ეუბასუხე.

— შენ რა გენაღვლება, ჭერ ახალგაზრდა კაცი ხარ...

— შენც მშვენივრად გამოიყურები!

— ეგუ, კაცი ორმოცს რომ გადააცილებს... — აღარ დაასრულა სიტყვა, სიგარეტი საფერფლეში ჩააჭყლიტა, მაგრამ მაშინვე ახალი აიღო.

— ბიტტი! — უცხოელმა ასანთი მიიწოდა.

— დანკე შონ!..

ბარისკენ გავიხედე. ანიას არ გამოეპარა, თვალი ჩამიპაჭუნა. მერე ნათანაილზე მანიშნა რალაცა, მაგრამ ვერ მივხვდი — რა... გაეცინა, ხმამალა გადმოძახა — ნუ იჩქარებთ, ადგილები მალე განთავისუფლდება და გემოზე ვისაუბროთო... შემდეგ ნათანაილიც ბარისკენ შებრუნდა, ანიამ ახლა ორივეს გაგვიღიმა — არ იჩქაროთ, ცოტა მოითმინეთო — გვანიშნა ისევე.

ნათანაილმა ამოიხვნეშა.

— აი, ეგ ქალი უნდა შევირთო! — მითხრა და თვალი-თვალში გამიყარა.

— ანია?

— ენახოთ... თუ დამთანხმდა. — ისევ ამოიხვნეშა.

დუმილი ჩამოვარდა.

— ჩვენ ცოტა რუსული ვიცით! — მოულოდნელად თქვა უცხოელმა და გაიღიმა.

— ოო? — პასუხად ნათანაილმაც გაუღიმა.

— დიხს!.. ჩემი ფრაუ... — სტუმარმა საჭირო სიტყვა ვერ იპოვა, უმწეოდ მიმოიხედა.

— მეუღლეა? — ნათანაილი ვითომ მიუხვდა.

— ია, ია!.. — იმ კაცმა ხელი ჩაიჭინა.

ფრაუ მომხიბლა და მშვენივრად მოვლილი კბილები მოუჩანდა. ეტყობოდა რუსული სრულებით არ იცოდა, ყრუსავით იჯდა.

— ჩემზე უარესად ცოდნით რუსული? — ნათანაილი სკამზე უფრო მოხერხებულად მოთავსდა. — ისე კი ბეუტურობენ რაცხას, არა?

— ნაინ, ნაინ! — სტუმარმა შეხედა. — ჩვენ ბურჯები არ ვართ! — შემდეგ მეც გადმომხედა. — ჩვენ მხოლოდ ერთი პატარა შობი გვაქვს...

— შობი? — დაგვიანტერესა ამ სიტყვამ.

— შობი პატარა საქმეს ნიშნავს... ჩვენ სახლის ქვედა სართულზე მღაზია გვაქვს, რძის ნაწარმით ვვაჭრობთ.

— გასაგებია.

— დიხს! ჩვენში ასეა: საქონელს თუ ერთბაშად ბევრს ყიდულობთ, ნაკლებ ფასებში გაძლევენ, ცალობით კი ცოტა ძვირად იყიდება.

— ესე იგი, თქვენ ცალობით ყიდით?

— ია, ია! — სტუმარი გამოცოცხლდა.

— აა, ძმაო ოქრო კაცი! — ნათანაილმა ჩაიციხა. — ილებენ ერთბაშად ბევრს, ითვად და მერე ცალობით ჰყიდიან, ცოტა ძვირად, მღაზიაც იქვე ჰქონიან, სწორად გავიგე, არა?

არ ეუბასუხე.

— ჩემო ბატონო, ოღნავ ძვირად... იქვე მეზობლებში?..

— შეეშვი რა ჩვენი საქმეა.

— კაცო, კი მარა... მეზობლებში მოგებული ფულით? — ჩაიღუღუნა მოლუშულმა.

უცხოელები რალაცას ხედებოდნენ თუ ისე მოიწყინეს, უკვე განდგვილებით ისხდნენ. ჩვენ თითქოს არ ვარსებობდით.

ბართან რომ ადგილები განთავისუფლდა მაშინვე წამოვდებოდა და სტუმარებს თავი დავუქარით. თვითონაც თავაზიანად, ისეთი აღფრთოვანებული ღამილით გამოგვაცილეს, რომ გაოცებული დავრჩი, მესიამოვნა.

ბარის კიდესთან მალალ სკამებზე ჩამოვსხედით.

ყავა შევუკვეთეთ.

— ეგ შირჩენია ყველა დანარჩენს! — ნათანაილმა ფინჯანი აიღო, შეათვალიერა. — ჩვენი საქმე როგორია? — შემდეგ ანიას ახედა, გაუღიმა.

— რომელი? — ქალმა წარბები ასწია.

— მოიფიქრე რამე?

ანიამ მხარი აიჩეხა, გამომხედა.

— ეე, წლები გარბიან, — ნათანაილი თვალს არ აშორებდა, — თუმცა, შენ კი ხარ ბროლივით!

ანიამ უმწუროდ მიმოიხედა. ვატყობდი ჭირის ოფლს ასხამდა. შემდეგ ნათანაილს უთხრა:

— შენ კარგი მეუღლე იქნები, მაგრამ ჩვენ მაინც არაფერი გამოგვივა.

— რატომ?

— განებივრებული ვართ, მარტოხელა, თავისუფალი ცხოვრებით.

— ვიცი შენი ნებივრობის ამბავი... მეც ყოველთვის თავშეკავებული კაცი ვიყავი.

— საქმეს მოფიქრება სჭირდება, — ანიას ჩრდილმა გადაურბინა.

— ფიქრი-ფიქრია, მაგრამ ამ ფიქრს დასასრული ხომ უნდა ჰქონდეს?

— განცხადებები ჯერ არ შეგიტანიათ? — ვიკითხე. — ხომ იცით, ორისამი თვე მოგიწევთ რიგში დგომა.

— კარგი კაცი! — ნათანაილი გაოცდა. — სამი-ოთხი თვე?

— ასე უცებ არ წყდება საქმე! — ნიშნისმოგებით გადახედა ვარაბაევამ.

შამპანური დამლაგებელმა გოგონამ გადმოგვაწოდა. წკრილით მიუქაბუნეთ ბროლის ჭიქები ერთმანეთს. გულწრფელად ვუსურვე ორივეს ბედნიერება.

შემდეგ შევნიშნეთ, რომ დარბაზში მყოფთა ყურადღება მივიქციეთ. ჩვენი ნაცნობი უცხოელები, ვითომ შეუმჩნევლად გვითვალთვალბდნენ. მოვიპატრონეთ, მერე რამდენიმე ახლო მყოფიც შემოვიერთეთ. გვიჩნდა ყველასთვის გაგვეზარებინა სიხარული.

გამხიარულებული, ისედაც გუნება-

ზე მოსული ხალხი, აგვევა, სადღესასწაულო მხიარულება განსაკუთრებით მაგვალ ენაზე ამტყველდა ბარი. კარგახანს ვიმხიარულეთ, თუმცა არავეისთვის გვითქვამს რას ვზეიმობდით.

გამომშვიდობებისას ჩვენმა ნაცნობმა უცხოელმა ენერგიულად ჩამოგვართვა ხელი.

— ვხედები რომ თქვენ ჩვენზე გაცილებით მდიდრები ხართ! — მხიარულად მაცნობა, შემომცინა.

— აა?.. — მეც ვამცინა.

— ია, ია! — წამოიძახა და ჭიქა მომიკაბუნა.

## V

როქსანა არ შირეკავდა.

ერთი პირობა ისიც გავიფიქრე, ალბათ ასეა საჭირო-მეთქი. სამსახურიდან თავისუფალ დროს უკვე ქალაქში ვატარებდი. ვათვალთვალბდი ქალებს, ვუთვალთვალბდი, ვაკვირდებოდი, თუ უკეთესს არა, მსგავსს მაინც ვეძებდი... ღმერთო, რამდენი მშვენიერი ქალი ყოფილა ამქვეყნად!.. მიუხედავად ამისა სულ მეჩვენებოდა, თითქოს მშობლიური ადამიანი მივატოვე, ის კი მეძებდა, სწუხდა...

ბოლოს ჩავიქნე ხელი და როქსანას პირდაპირ სასწავლებელში მივადექი. სასწავლებლის ეზოში ჯერ გოგოებს გამოვკითხე და მერე თავაზიანად ვთხოვე, თუ შეიძლება დაუძახეთ-მეთქი.

მალე როქსანაც გამოჩნდა. თვალბგაბრწყინებულმა ჩამოირბინა კიბის საფეხურები და, ჩემდა გასაოცრად, ჩვეულებრივი, სხვებისგან არაფრით გამოირჩეული, ტანწვრილი გოგონა შემჩა ხელში. ისიც კი გავიფიქრე — რამ მომიყვანა ამ სასწავლებელში-მეთქი, მაგრამ როცა მომიახლოვდა, თითქოს მიწა გადამიქანდა ფეხქვეშ, ვუსურბდი და ასე მეგონა, სიზმარი იყო. წამით ისიც შესიამოვნა, რომ შორიდან უფერულად გამოიყურებოდა.

თვითონაც დაიბნა. თვალები ძირს დახარა და ფეხის ცერებზე წამოიწია. დაშანთულივით იდგა ფერდაკარგული.



— რატომ არ დამირეკეთ?

— ოი, რამდენჯერ დაგირეკეთ, მაგრამ... — ისევ ფეხის ცერებზე წამოიწია. — ორჯერ დაგირეკეთ! — ხმადაბლა დაატანა.

— მამა როგორაა?

— კარგად!

— თქვენ?

— მეც... საერთოდ ყველაფერი კარგადაა. მხოლოდ მამა მომენატრა.

— წავიდეთ, ვინახულოთ?

— ვინახულოთ? — თვალეში შემომხედა. — მერე სასწავლებელი?

— სწავლა დაიცდის.

— არა, არ შეიძლება! — თავი გადააქნია. — მამას ეწყინება.

ერთხანს უხმოდ შევეყურებდი.

— სადმე არ გავისეირნოთ? — კვითხე და ვიგრძენი, რომ დავიძაბე.

— მე უკვე თავისუფალი ვარ! — აცომციმებული თვალები შემომანათა, მერე უკან მიიხედა. — მხოლოდ წავალ, გოგონებს გავაფრთხილებ, კარგი?

— რა თქმა უნდა!

მანქანის კარი გამოვუღე და გვერდით მოვისვი.

— საით წავიდეთ?

— საითაც მოისურვებ, სულერთია.

— და მაინც, თქვენ?

— საითაც შენ მოისურვებ. — ხმადაბლა დასძინა.

— მე დღეს ყველგან მშვენივრად ვიგრძნობ თავს. — გულახდილად ვუთხარი.

— მეც მიხარია. — წამით შემომხედა და თავი ჩაღუნა, წამოწითლდა.

მანქანა დავექოქე და ნელა ჩავუყვებით ქუჩას.

უმიზნოდ, ისე, საითაც გული მიგვიწვედა ვისეირნეთ. მოგვიანებით, მოვიფიქრე როგორც იყო და ქალაქიდან გავედი, კიევის მიმართულებით გზატკეცილზე გავექროდი. აბრელოვას იქეთ, ძველრუსული სტილით ნაგები წაწვეტიბულ-სახურავიანი რესტორანი მეგულეობდა.

რესტორანი ცარიელი დაგვხვდა. მოსკოვიდან იმ სიშორეზე, თითქმის არა-

ვინ მიდიოდა, თუმცა იქ მშვენივრად კერძებს ამზადებდნენ.

მაგიდას შემოვუსხედით.

მომტანმა ქალმა გოჭის ცივი ხორცი პირშუშხათი შემოგვთავაზა. ჩვენ ზიზილაციანი ბლინები ვარჩიეთ და ცივი შამპანური შევუყვეთ. ბლინი მოგვეწონა და კიდევ მოვატანინეთ. ამჯერად ყავა დავაყოფეთ.

მერე სანამ ის ორი ჭიქა დვინო გამომიწვდიდა, საუბარში ვართულებმა ნელ-ნელა, ტაატიტ შემოვიარეთ რესტორნის გარშემო შემოდგომის ფერდაკრული, მაგრამ აქა-იქ ჭერ კიდევ მწვანეში ჩაფლული მიდამოები.

შებინდებისას ისევ რესტორანში შევბრუნდით და ქვევით, ბარში ყავა დავლიეთ.

მოსკოვში რომ ჩამოვედით ბინდოწვებოდა.

მანქანა საერთო საცხოვრებელთან შევაჩერე.

— გამომშვიდობება არ შეიძლება! — ღიმილით გავაფრთხილე როქსანა.

— რატომ?

— უფალმა უწყის, მაგრამ ამბობენ არ შეიძლებაო! — გაგონილი მქონდა, საყვარელ ადამიანთან გამომშვიდობება ცუდი ნიშანიაო.

— მაშ წავედი? — მკითხა.

სიჩუმე ჩამოეარდა.

— წავედი! — გაიმეორა, თუმცა ადგილიდან არ განძრეულა.

— ნუ მიდიხარ. — ვუთხარი.

— არა, უნდა წავიდე...

— დამირეკავ? — კვითხე, მაგრამ მომავალ შეხვედრაზე არ ვიღებდი ხმას.

— როდის დაგირეკო?

— დილიდანვე...

მანქანიდან გამოუმშვიდობებლად ჩავიდე.

ერთხანს გარინდული ვიჯექი. მერე საერთო საცხოვრებლის ფანჯრები და გაზეთების ჭიხური შევათვალიერე, მანქანა დავექოქე.

მომდევნო დღეებში უჩვეულოდ გახალისდი. სამსახურშიც ყველაფერი უკეთ გამომდიოდა. საერთოდ, ჩიტივით მსუბუქად ვგრძნობდი თავს. ხელფასი



რომ ავიღე ცენტრის მაღაზიები შემოვიარე. ადრე ასეთი რამეები ჭირივით მუშარებოდა, მაგრამ ახლა, ყველგან ყველაფერი მოვათვალეოერე და ყავი! ახალი სერვიზი ვიყიდე, თუმცა შინ რომელიც მქონდა უკეთესი გამოდგა...

მაღაზიაში შემთხვევით, „არაგვეში“ გაცნობილ სიმპათიურ ექიმს შევხვდი. კარგახანს ვისაუბრეთ. ექიმი მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალჯგზის საზღვარგარეთ, გრძელვადიან მივლინებებში ნამყოფი, საინტერესო მოსაუბრე კაცი აღმოჩნდა.

მეორე დღეს ტაგანკაზე, პატარა სასაუზმესთან შევხვდით. ჩემს სამსახურამდე იმ ადგილიდან ორიოდ ნაბიჯი იყო და მანქანას ხშირად იქ ვტოვებდი, თვითონაც სადღაც იქვე ჰქონოდა სამსახური. თავაზიანად მივესალმეთ, ვისაუბრეთ და ტელეფონის ნომრებიც ჩავიწერეთ.

შემდეგ ხშირად ვნახულობდი.

სახლში ორ-სამჯერ დამირეკა.

იმ დღესაც ვილაყ ქალთან საუბრობდა. დამინახა თუ არა, ქალს დაემშვიდობა.

— შენი თანამემამულეები ჩამოვიდნენ, „ცინანდალის“ მოყვარულნი! — დიმიტრიულმა მითხრა.

— ჰოო? — გავიოცე.

— მანქანის ყიდვა უნდათ...

— მართლა?

— მე კი მყავს მანქანა, მაგრამ... რას მირჩევთ, მივცე?

— არ ვიცი. — მხარი ავიჩეხე. — მე ვერაფერს გირჩევთ.

— ამბობენ, „ვოლგა“ ახლა, ორმაგსამმაგ ფასებში იყიდებაო...

— არ ვიცი, არ გაშიგია.

— მეგობრებს დახმარება უნდა! — გაეცინა. — არ დავეხმაროთ?

— დაეხმარეთ. — ვუთხარი.

— მაგრამ მანქანა ახლა თურმე ზღაპრულად ძვირია...

— მაგრამ სინდისი? — ვითომ გავეხუმრე.

— ეეჰ, სინდისო... სინდისი კანონით მკაცრი არაა, ყოველშემთხვევაში ციხეში არ ჩავსვამს.

— გასაგებია. — ჩავედუღუნე.

— მითხარით, თუ სინდისი ჩემს ვეზარე ვილაყ იდიოტებს საიდან მოაქვთ ამდენი ფული?

— ალბათ, კარადიდან თუ გამოაქვთ!

— ერთი ცნობილი ანექდოტი შევახსენე.

— ზუსტად... მეც მაგ აზრისა ვარ!

— რატომღაც ნიშნისმოგებით მიპასუხა.

საკმაოდ ცივად დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

## VI

როქსანამ კარგახანს არ დამირეკა: სალამოობით შინ ადრე ვბრუნდებოდი, ხშირად ტელევიზორსაც არ ვრთავდი, მოვიწყინე, მთელი გულისყური ტელეფონისკენ მქონდა მიპყრობილი.

შაბათ დილით საუზმის შემდეგ კარადიდან ძველი ყურნალები ამოვქექე და წამოწოლას ვაპირებდი, ტელეფონმა რომ დარეკა. სულწასული ვეცი ყურმილს.

— დილა მშვიდობისა!

— დილა მშვიდობისა! — გახარებულმა ვუპასუხე, როქსანა იყო.

— გაგაღვიძე?

— არა...

— რას საქმიანობ?

— არაფერს, ეს-ესაა წამოვდექი... რატომ არ მირეკავდი?

— შენ მუშაობ, მე ვსწავლობ...

— მერე რა?

გაჩუმდა. ხმას არ იღებდა.

— მართალი გითხრა? — შემდეგ დინჯად მკითხა.

— რა თქმა უნდა.

— ცედილობდი ჩვენს ურთიერთობაში გაერკვეულიყავი.

— მერე?

— ხომ ხედავ, დაგირეკე.

— გავისეირნოთ?

— რა ვიცი!

— წამო... მოდი ლენინგრადში წავიდეთ, ა? — წამომცდა.

— რაო? — გადაიციკისა. — სად წავილეთო?



— ლენინგრაღში...  
გაჩუმიდა.  
ნათლად წარმომიდგა ტუჩებზე ხე-  
ლებათარებული.

— შენი სამსახური? — იკითხა.  
— დღეს ხომ შაბათია, ხვალ კვირა...  
ხვალვე უკან გამოვბრუნდებით.

— განა ეს შესაძლებელია? — ყო-  
ყმანით მკითხა.

— დღესვე თუ გავემგზავრებით, დი-  
ლით ადგილზე ვიქნებით, ხვალ მთელი  
დღე ქალაქში ვისეირნებთ და საღამო-  
თი უკანვე გამოვბრუნდებით.

— ოი, რა კარგია! — აღფრთოვან-  
და.

— მაშ რა გვაკავებს, წავიდეთ და  
ეგაი — უკვე მეც დამიჯდა ქუაში,  
მოულოდნელად დაბადებული აზრი.

შინიდან გამოვედი და მანქანა დაე-  
ქოქე. საერთო საცხოვრებელთან რომ  
მივედი, როქსანა უკვე გაზეთების ჯი-  
ხურთან იდგა და რომელიღაც ყურ-  
ნალს ათვალერებდა.

— ლენინგრაღში მართლა მივდი-  
ვართ? — სიცილით მკითხა.

— რა თქმა უნდა! — ვუპასუხე, თუ-  
მცა ეჭვი კი მეპარებოდა.

— წავიდეთ, ხომ? — ისე მკითხა,  
მგზავრობის სურვილითაც საბოლოოდ  
ავენეთე.

გადავწყვიტეთ: საღამოს მატარებელს  
გავეყვებოდით, მატარებელშივე გამოვი-  
ძინებდით და ადგილზე ჩასულებს სას-  
ტუმროც არ დაგვკირდებოდა.

საღამოს უკვე მატარებელში ვისხე-  
დით.

როქსანა ერთხანს უხმოდ მიჩერე-  
ბოდა მატარებლის ფანჯრიდან ხალხ-  
მრავალ ბაქანს. მერე კუბეები შეათვა-  
ლიერა და, რატომღაც ამოიხენეშა.

— წარმოგიდგენია? — ხმადაბლა  
მითხრა. — ამისშორე გზაზე გამგზავ-  
რება, რა ადვილად გადავწყვიტეთ?

— იიჰ! — ყასილად ჩავექნიე ხელი,  
მაგრამ მეც უხალისოდ გავიხედე ფან-  
ჯარაში... გულახდილად: — მოსკოვში  
დარჩენა მერჩია ახლა ყველაფერს.

მკლავში გამოვდე ხელი, კუბეში შე-  
ვიყვანე.

— ჩვენ გიყები ვართ, ხომ? — მი-  
ჩურჩულა როქსანამ, თითქოს კოლხური  
შიშითაც შემომხედა.

— სულ ადვილი მოსალოდნელია. —  
ხმაშალა, ყველას გასაგონად დავუმო-  
წმე და მხიარულად გამეცინა, უცებ  
გუნებაზეც მოვედი.

— ჩუჰ!.. — როქსანამ კუბეში მყოფ  
სხვა წყვილს გახედა.

ლენინგრაღში ალიონზე ჩავედით.  
სადგურის მოედანს ირგვლივ სახ-  
ლების სახურავებიდან, მშვიდი, ორთქ-  
ლიანი ოზშივარი იზღაზნებოდა და ქა-  
ლაქი მსუბუქ, გამჭვირვალე ნისლში  
გახვეულოყო.

ტაქსების გაჩერებასთან მოქალაქეე-  
ბი ჩამწყრივებულყვენენ, თვინიერად  
ელოდნენ თავიანთ რიგს. იქვე ტრო-  
ტუარზე არხეინად დაამოტებდნენ სა-  
კენკის ძებნაში გაართული ბებერი  
მტრელები.

გვერდით ქუჩაზე სანახევროდ ცარი-  
ელმა ტრამვაიმ, ზანტად, ხრჭილით  
დაამუხრუჭა. ქალაქს ეტყობოდა, კვირა-  
დღე იყო. არავის არსად მიეჩქარებო-  
და.

სადგურის მოედანს გავცილდით,  
ჩვენც აუჩქარებლად ჩავეყვებით ტრო-  
ტუარს. მალაზიების ეიტრინებს ვათვა-  
ლიერებდით, სვენებ-სვენებით მივიწყ-  
ვდით. შემდეგ ტროლეიბუსში ჩავსხე-  
დით, გაურკვეველი მიმართულებით  
გავეშურეთ. ჩვეთვის სულერთი იყო,  
საით წავიდოდით, ყველაფერი საინტე-  
რესოდ გვეჩვენებოდა.

სრულიად მოულოდნელად ნევის  
პროსპექტზე ამოვყავით თავი.

თვალუწვდენელმა, ლარივით სწორმა  
პროსპექტმა, ლისკოვოში ნანახი, წყალ-  
სავსე მდინარე ვოლგა და მწვანეში ჩა-  
ფლული, ორთქლიანი ნაპირები მომა-  
გონა. ოღონდ ნევის პროსპექტზე ალა-  
მიანის გენიით, მისი ხელებით შექმნი-  
ლი ხელოვნური ფუფუნებაც გაწოლი-  
ლიყო.

უნდა ისიც ვთქვა, რომ მოგუგუნე  
და დიდი მოსკოვის შემდეგ ნევის  
პროსპექტი გვეუცხოვა, თვალისთვის

შეუჩვეველ ფუფუნებაში ჩაძირული გვეჩვენა.

ნევის პროსპექტმა გარდასულ დროებათა სურნელი შემოგვაფრქვია, ეს ლენინგრადი იყო.

იქვე ძველებურ კაფეში ვისაუზნეთ. ნასაუზმევს ისევ პროსპექტს ჩავუყევით. ვისეირნეთ. საითაც გული გაგვიწვედა იქეთ მივდიოდით, ბედსა და შემთხვევას ვენდეთ, რადგან ერთ დღეში ყველაფრის დათვალეობას მაინც ვერ ვასწრებდით.

ზამთრის სასახლის მოედანზე მოულოდნელად ვალაქტიონი მომაგონდა.

...„ღებეშა!

ღებეშა!

ღებეშა!

რევოლუცია!

რევოლუცია!

რევოლუცია.

ამბავი

პეტროგრადიდან!..“

— რას ნიშნავს? — როქსანამ გამიღიმა.

— აბა, კიდევ მოუსმინე!.. — ვუთხარი და სიტყვები გავიმეორე.

როქსანამ თავი გვერდზე გადახარა.

— რა საინტერესოა, თითქმის ყველაფერი გასაგებია! — გაოცებით შემომხედა. — თარგმნაც არ უნდა.

ერმიტაჟს მთელი დარჩენილი დრო მოვანდომეთ. მართალია, ნაჩქარევად, მაგრამ მაინც შემოვიარეთ მისი დარბაზების უწყვეტი ლაბირინთები და შთაბეჭდილებებით დატვირთულნი, დაღლილნი, მხოლოდ შებინდებისას, როცა უკვე საკმაოდ მოგვშივდა, მაშინ გამოვედით.

შეკვეთილ კერძებს სანამ მოგვართმევდნენ „ასტორიაში“ ვისხედით და უხმოდ ვათვალეობდით რესტორნის მოოქროვილ-მოჩუქურთმებულ დარბაზს.

მოსკოვის რესტორნებთან შედარებით, სადაც გრილიაგრილი გაუდიოდა ყველაფერს, ნევის პროსპექტისა არ იყოს, ეს რესტორანიც დაწყნარებული და თითქოს ოდნავ მოწყენილიც მეჩვენა.

როქსანამ კმაყოფილებით შემოიქნეთა, შემომხედა.

— მოგწონს ლენინგრადი?

— ძალიან მომეწონა. — ვუთხარი.

— მჯერა! — გამიღიმა.

— გმადლობთ! — მეც გავუღიმიე.

— რომელს არჩევდი საცხოვრებლად, მოსკოვს თუ...

— თბილისს. — ვუპასუხე.

— ჰო, მართალია. — ფიქრიანად დამიმოწმა. — მეც ლისკოვოს ვარჩევდი. დუმილი ჩამოვარდა.

— ამბობენ, ლენინგრადაში მტრის ჯარისკაცს, ფეხი არასოდეს შეუდგამსო, მართალია?

— ალბათ!

— მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქიაო?

— ალბათ...

— რატომ ამდენი, ალბათ? — გაეცინა.

— მე მსოფლიოს ქალაქები არ მინახავს.

— თბილისი როგორია?

— ჩვეულებრივი.

ერთხანს უხმოდ მომჩერებოდა.

— მაინც რით არის თბილისი განსაკუთრებული?

— ოცდაათექვსმეტჯერ იყო მტრების ხელში და ამდენივეჯერაც უკანვე დაიბრუნეს თბილისელებმა.

გაყუჩდა.

შემდეგ წამით ამომხედა.

— მართლა?

— მართლა. — ვუპასუხე და თვალებში ჩავხედე.

— ღმერთო ჩემო!.. — ამოიკენესა ჩურჩულით.

მატარებლის გასვლამდე საკმაოდ დრო იყო, მაგრამ ვახშობის შემდეგ მაგიდასთან უქმად ჯდომაც მოსაბეზრებელი გახდა. სადგურში წასვლა და ბილეთების შეძენა გადავწყვიტეთ.

სადგურის გაჩირალდნებულ დარბაზში, სალაროები მოეძებნეთ და ერთგან ნაცნობსაც წავაწყდი. პირდაპირ სალაროსთან შევეჩხეთ ერთმანეთს. შეახნის, სიმპათიური გარეგნობის კაცი გახლდათ. მოსკოვში ცხოვრობდა.



საერთოდ სხვადასხვა ქალაქებში მონეტიალუს, ძირითადად, ქალების მუსუსად მოქჳონდა თავი. ეამაყებოდა და იფერებდა კიდევ ამ სახელს, ნაცნობი ქალებიც მუდამ შესაფერი გეშოვნებისა ახლდა ხოლმე.

მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ქალბატონი ახლდა. გარეგნულად, თვითონაც (სანამ საუბარს ვაგვიბამდა) პრესტიჳიანი ინგლისური ბანკის პატრონი გეგონებოდა — რესპექტაბელური, სანდო ჳენტლმენი.

— ჩემი მეუღლეა! — როქსანა ასე ვაეცანი, არ მინდოდა მეთჳეა, ნაცნობი გოგონა-მეთჳი.

მოსკოვში მოემგზავრებოდნენ თურმე.

სადგურის შენობაში პირდაპირ, როგორც სათადგურში ამოყავი თავი, მატარებლის ვასელამდე კი მთელი საათი იყო.

ჳენტლმენმა გაიღიმა.

როქსანა შეათვლიერა.

— მაშ მშვიდობით, მარტოხელობაე? — მკითხა.

— ასე გამოდის.

— ეე, ძმაო-ჯანი... მეც მინდოდა შემერთო ცოლი, მაგრამ ჩვენების ამბავი ხომ იცი... დამიწყეს დაზვერვა-გამოკითხვები — დედა ვინაა, მამა ვინაა, ბები, ბაბუა... ვენაცვალე ჩემს ვალიას, ხუთი წელია ერთად ვცხოვრობთ, ჳერ სახელიც არ უკითხავს ჩემი. — ჳენტლმენმა ამ სიტყვებზე თანმხლებს ხელი გადახვია.

ქალს კი, თითქოს შესცივდაო, უფრო მიეკრა და — ჰი, ჰი! — ჩაიციანა. როქსანა შეიშმუნა.

— ჩვენ ცოტას ვავისეირნებთ! — ნაცნობს თავი დაუჳეარი და როქსანას მკლავში გამოვდე ხელი.

იქაურობას მოეშორდით.

— ვინ არიან? — როქსანამ ნაბიჯი შეანელა.

მხარი ავიჩეჩე.

— მაინც?

— ბიოლოგია. — ვუპასუხე.

— რატომ მაინცდამაინც ბიოლოგი? ისევ ავიჩეჩე მხარი.

— ჳარგი რა, მითხარი ვენაა? — ჩამაცვიდა.

— არ ავიცი! — დამარცვლით ვუპასუხე მოლუშულმა და რალაც ნაღველი მომამწვა.

VII

იმ წლებში მოსკოვში მცხოვრები თუ სტუმრად ჩამოსული ქართველების უმრავლესობა დიდ თეატრთან, პატარა ბაღში იყრიებოდა ხოლმე. უზარმაზარი ქალაქის გუგუნს საღამოობით შედრევანი თითქოს ახშობდა, ანელებდა.

ბევრი პაემანი და საქმიანი შეხვედრებიც იჳეე, „გრანდ-ოპერასთან“ ინიშნებოდა. მოსკოველები თეატრის შესასვლელთან აღმართულ სვეტებთან გვინიშნავდნენ შეხვედრებს. დაზუსტებაც მოდაში იყო: — შევხვდეთ მარჯვნიდან მეორე სვეტთან, ან შესამე და მეოთხეს შუა...

თეატრთან უცხოელი ტურისტებიც მოჳყავდათ. ექსკურსიის მარშრუტში შედიოდა ის ადგილები. ფოტოაპარატ-მომარჯვებული, სხვადასხვა ეროვნებისა და ფერის ადამიანები დააბოტებდნენ ბაღში და აუზის ფსკერიც მუდამ წერილმანი ლითონის ფულით იყო მოფენილი.

უცხოელი დიპლომატები და ჳურნალისტებიც სექტაჳელის დაწყებამდე თუ დამთავრების შემდეგაც იჳე იყრიდნენ თავს. იჳე იდგა მათი ვაკრიალებული, დროშიანი თუ უდროშო მანქანები. იჳე ჩერდებოდა ტურისტული, ჩამუქებულშუშებიანი, დიდი, ბრდღვილა ავტობუსებიც. ბაღი გაზაფხულ-ზაფხული, გვიან შემოდგომამდე გამოკოცლებული იყო. საღამოობით კი ვერცხლისფრად ანათებდა და ჩუხჩუხებდა მისი დიდი შადრევანი.

ლენინგრადიდან ჩამოსვლის შემდეგ, როქსანას თითქოს ყოველდღე ეხვებოდოდი. ბაღში ხშირად შევდიოდით. მრავალ ენაზე ამეტყველებული ბაღი და შადრევანი, ჩვენი საყვარელი დასასვენებელი ადგილი გახდა... მართალია, ადვილი არასოდეს ყოფილა, მაგრამ

სპექტაკლი თუ დაგვიანტერესებდა, თეატრის ბილეთებსაც ვმოულობდით.

დრო სწრაფად გადიოდა. მალე აცივდა. ნოემბრის არდადეგებმა რომ მოაღწიეს, ლისკოვოში გავისტუმრე როქსანა და თითქოს დღესასწაული დამთავრდომ — მოვიწყინე. თავისუფალი დრო არ ვიცოდი, ვისთან, სად მომეკლა. ნაცნობებთან შეხვედრა და საუბარი არ მიზიდავდა, წიგნებსაც ვერ ვეკარებოდი.

დამჩემდა კვლავ მარტოხელა კაცის უმიზნო ხეტიალი, ხან სად და ხანაც სად ამოვყოფდი თავს, მაგრამ სამსახურის შემდეგ, მაინც უფრო ხშირად თეატრთან, მრგვალ ბაღში, აწ უკვე ჩაჩუმებული შადრევნისკენ მიმიწევდა გული.

შადრევანი ზამთარში უფერულად გამოიყურებოდა, ჩამქრალი იყო. იშვიათად ვინმეს თუ შეუცდებოდა ბაღში ფეხი, მაგრამ „მოსკოველი ქართველები“, ჩვევას აღარ ვლალატობდით, საღამოობით თეატრთან გვერდი-გვერდზე ჩაყენებულ მანქანებში ვისხედით თბილად შეყუყულები და ფანჯრის ჩამოწეული შუშებიდან ვსაუბრობდით ხოლმე. შიშინებდა საამოდ სალონში ღუმელი და სიგარეტსაც ვაბოლებდით გემოზე. ვისხედით ვიწროდ, მაგრამ ყველანი თბილად და ერთად.

იმ დღეს, სამსახურის შემდეგ, ბაღს მივაშურე.

შესასვლელთან რამდენიმე ნაცნობის მანქანა იდგა და სალონშიც ნაცნობ-მეგობრები ისხდნენ.

მანქანა ჩავაყენე და შუშა ჩამოვწიე. ბიჭებს რატომღაც თვალები უციმციმებდათ. ჩანდა, საუბარი რაღაც მხიარულ ამბავს ეხებოდა.

— კარგ დროს მოხვედი! — დათომ მისალმების ნიშნად ასწია ხელი. — თათეს საცოლეს ვეძებთ... ხომ არავინ გეგულება?

მხარი ავიჩეჩე.

— არა, არავინ!..

— საქართველოდან ქალს რომ გამოექცა იცი, არა?.. ამბობს... ერთი სიტყვით, ახლა ისეთი ქალი გვინდა, მოს-

კოვში ჩაწეროს და კარგი ბინა ჰქონდეს.

— კარგი აზრია.

— აბა!..

მოსკოვში თადეოზი ახალი ჩამოსული იყო, მაგრამ ყველას შეაყვარა თავი, ორიოდ კაბიკი, რომელიც შინიდან ჩამოჰყვავა, უდარდელად დახარჯა ბიჭებთან და ისინიც საპასუხო ყურადღებას არ აკლებდნენ, შეძლებისამებრ ეხმარებოდნენ.

თადეოზს ჩაწერა და მუშაობის დაწყება უნდოდა. სამუშაო ქალაქში ბევრი იყო, სადმე მშენებლობაზე თუ იმუშაებდა, ლიბიტითაც ჩასწერდნენ, მერე ბინასაც მიუჩენდნენ რომელიმე საერთო საცხოვრებელში, მაგრამ მშენებლობაზე აგურისა და ცემენტის ზიდვა თათეს ხელს არ აძლევდა. სპეციალობაც არ გააჩნდა ისეთი, რომელიმე მინისტრი რომ დაინტერესებულყო და ბიჭებსაც რომ პერსპექტიულად გადაეწყვიტათ საქმის მოგვარება — თადეოზი უნდა დაქორწინებულყო, თან ქალს ბინა უსათუოდ უნდა ჰქონოდა, რომ ჩაეწერა.

სასაცილო ის გახლდათ, რომ მანქანაში მსხდომი ბიჭების უმრავლესობაც სწორედ ამისთანა საქმეების მოგვარება-მოკვარახჭინებაზე ოცნებობდა. ამჯერად კი ისხდნენ და თადეოზის დახმარება-მიშველებაზე იტყუებდნენ ტვინებს. ისხენებდნენ ნაცნობი ქალების სახელ-მამისახელებს და მისამართებს. თადეოზი ერის წინაშე დამსახურებული, ვალმოხდილი კაცივით იჯდა და გაფუჟული, მანქანიდან უხმოდ ათვალეირებდა მიდამოს.

— აი, მომაგონდა კიდევ ერთი! — წამოიძახა დათომ და თადეოზი შეათვალეირა. — ქალს მშვენიერი ბინა აქვს, ლამაზიცაა და გათხოვებაც უნდა... კაფეში მუშაობს. — შეყოვნდა. — არა უშავს, გადაიყვან მერე სადმე...

— კაცო, იმუშაოს სადაც უნდა, არ დავეძებ. — თადეოზი შეიშმულა. — კაფეს რა უჭირს! — ჩაიდუღუნა და ყურები პალტოს საყელოში ჩაამალა.

— მამო, მთავარი ჩაწერაა.



— მთავარი ეგაა, რა თქმა უნდა!..  
 — ქალი ვინაა, რუსია?  
 — არც რუსია და არც — ქართველი.  
 — რა ხნისაა? — იკითხა თადეოზმა.  
 დათომ შეხედა, შეთვალეირა.  
 — შენზე ორი-სამი-ოთხი-ხუთი წლით უმცროსი კი იქნება.

გაიცინეს.  
 — რა ჰქვია?  
 — ჰენრიეტა გუგოვენა.  
 — აჰ, აჰ! — მოეწონათ.  
 — კი კაცო, მშვენიერი ქალია. — დათომ ჩაახველა.

— ჰო, იყოს ვინცაა! — თადეოზი მოიღუშა. — ქალი როდის ვნახოთ, ვარიანტი ადრეც ბევრი იყო, მაგრამ საქმე რომ საქმეზე მიდგა, ყველა ჩაიშალა.

— მგონი დღეს მუშაობს, გინდა ახლავე წავიდეთ!

— კარგი იქნება თუ არ დაიზარებ. — თადეოზმა სიგარეტი ამოიღო. მანქანებიდან გადასხდ-გადმოსხდნენ. დათომ ძრავი ამუშავა და გამზიარულ-ბულნი, ასეთი საინტერესო საქმე რომ გამოჩნდა, რომელიღაც ქალაქის განაპირა კაფისკენ გაექანენ.

— იიი-ია!.. — ხელი-ხელს შემოჰკრა ერთმა. — რა გვეშველება?!

მანქანა დავექოქე.

— დანილოვკასთან ხომ არ ჩაივლი?

— ნოდარი დინჯად მომიახლოვდა.

— შე კაცო, მიგიყვან! — გამეხარდა, ვისაუბრებდით, მარტოც არ მომიწევდა მგზავრობა.

— კი მარა... რაო, საით წავათობარიკეთო მანქანები? — ნოდარმა გზაში ცალკუბად ჩაიცინა.

— კაფეში არ წაივინენ?

— მოსკოვში ჩაწერა თადეოზას რათ უნდა, რა უნდა გააკეთოს აქ?

— არ ვიცი.

— ცოლი ხომ ჰყოლია, აქეთ რას მოეთრეოდა?..

ერთხანს უხმოდ ვიარეთ.

— მოსკოვში რა, ის ჰენრიეტა გუგოვენა გააბედნიერებს?

— გუგოვენა. — შევეუსწორე.

— იყოს, სულერთია... ჩალონი და ფიქტიური ქორწინება საკმარისია?

— ისე ჩაწერენ?

— იმუშაოს და ჩაწერენ!

— მაგრამ აგურისა და ცემენტის ზიდვა არ უნდა... ჰო, მოსაწონი საქმე არაა.

ნოდარი მცირე ხნით დადუმდა, როგორც მომეჩვენა, რაღაც აწონ-დაწონა.

— კაცო, იცი რა გითხრა? — შემდეგ წამოიწყა. — თადეოზა სხვა რამეებზეც იჩალოჩებს, შეიძლება ვინმეს სამოთხედ დაუხატოს აქაურობა, ჩამოიტყუოს... მანქანას შეპირდება ან ინსტიტუტში მოწყობას, რომელიმე რეგვენ პროფესორს რეგვენსავე აბითურიენტს შეახვედრებს, გამოიგე?.. იმას კიდევ დღეს-ხვალ გამოირიცხავენ, შემდეგ ისიც იჩალოჩებს და ასე შემდეგ...

— კარგი რა! — დანილოვის მოედანიც გამოჩნდა და ხელიც ჩავიქნიე. მანქანა უნივერსიტეტთან შევაჩერე.

— წავედი! — ვუთხარი ნოდარს.

— მიდი! — რატომღაც წყენით ჩაიდუღუნა.

ჩავიდა თუ არა, წამსვე გავაგრძელე გზა, გაჩერება აკრძალული იყო.

ნოდართან საუბარი გულში ჩამრჩა. უსიამოვნოდ შევიშმუშენე. დაკვირვებული და დინჯი მოუფიქრებელ სიტყვას არ გეტყვოდა. პატიოსნად მსახურობდა, მშვენიერი ბინაც ჰქონდა და არც სხვების დახმარება-ხელისგამაროვაში დაიხვედა უკან, ყოველთვის საქმიანი, კანონიერების ფარგლებს არ გადააბიჯებდა. გულისტკივილით ილაპარაკა თათზეც, მაგრამ... ცოტა ხომ არ გადააპარბა-მეთქი, მაინც გავიფიქრე.

შინ რომ შევედი უგუნებობა მომეძალა. ტელევიზორი ჩავრთე და დივანზე მივეგდე.

მოგვიანებით იმ ჩემმა ნაცნობმა ექიმმა დამირეკა, ერთხანს, რატომღაც მიკიბულ-მოკიბულად მესაუბრა. შემდეგ მითხრა — შენმა ერთმა თანამემამულემ მომატყუოა...

— რომელმა?

— რა ვიცი... ბაზარში გავიციანი, იქ,

ავტომობილებს რომ ჰყვიდიან... მოდი, შევხედეთ, მოგვიყვები ყველაფერს.

— კი ბატონო. — უხალისოდ დავთანხმდი. — ხვალ სამსახურის შემდეგ ტელეგრაფის შენობასთან.

ასეც შევთანხმდით.

მეორე დღეს, სამსახურის შემდეგ, ტელეგრაფის შენობას მივადექი. მანქანა რომ ჩავაყენე, ექიმიც მაშინვე გამოჩნდა, ტელეფონის ჭიხურიდან გამოვიდა.

— როგორ ბრძანდებით? — ვკითხე.

— წავიდეთ აქედან, სადმე სხვაგან ვისაუბროთ! — დამფრთხალივით მიმოიხედა.

— მე ვერ წავალ, აქვე უნდა შევხედდე ერთ ნაცნობს.

— კეთილი! — კარი მოაჯახუნა და სავარძელში ჩაეშვა.

შეეატყე, საუბრის დაწყება უჭირდა.

— მოხდა რამე?

— ნუ მკითხავ! — შეიმშუშნა.

— მაინც?

— ჩემი „ვოლგა“ გავყიდე...

— მანქანა? — კეფა მოვიფხანე.

არ მაინტერესებდა ასეთი ამბები.

— მანქანა იმ ჩვენს შეგობარს არ მივეცი, ფასი მეცოტავეა და ბაზარში გავიყვანე...

— ჰოო?

— ერთი სიტყვით, მანქანა წაიყვანეს... ფული საკომისიო მალაზიაში შეიტანეს, მაგრამ შეპირებული, დანარჩენი ფული არ მომცეს... იმ ფულის სანაცვლოდ, ასმანეთიანების ზომაზე მოჭრილი თეთრი ქაღალდების მთელი დასტა დამიტოვეს, მომიტყუეს, წარმოგიდგენია?

არაფერი ვუბასუხე.

— დამეხმარები? — მკითხა და ცერად გადმომხედა.

— მე?..

— იქნებ იცნობ ვინმეს... წერილი მიწეროთ ან დავურეკოთ, ვაცნობოთ, რა იცი, ეგების რამე გამოვიდეს, ა?

— მე ასეთ ნაძირალებს არ ვიცნობ.

— მართალია, ნაძირალები გამოდგენენ.

— ძალიან ვწუხვარ! — შევეუურობე

ყველა თაღლითს გუნებაში... რატომ არ გაცხადებთ სადაცსადაც უნდათ მისამართების გაგება შეიძლება საკომისიო მალაზიაში, მანქანა ხომ გააფორმეს?

— ჰო, ყიდვა-გაყიდვის რალაც ფურცელი შევავსეთ.

— მერე?

— სად გავაცხადო? — მწარედ გაეცინა. — ხალხში გამოსაჩენი თავი რომ მქონდეს, რა მიჭირდა... ვის ვუთხრა — მანქანას სამმაგად ვყიდდი-თქო?

სიგარეტს მოვუკიდე.

— დანტე გაბსოვო? — ვკითხე.

— ვინ დანტე... აა, ჰო, მერე? — თითქოს იმედის ნაპერწკალმა გაუელვა.

— დანტეს მიხედვით თქვენცა და ისინიც ერთ გარსში ხართ მოხვედრილები.

გაოცებით შემომხედა.

— კი, კი!.. მართალია! — მთელი გულით გაეცინა, არ გამახსენოთ — მანიშნა. — ახია ჩემზე, სიხარბით მომივიდა.

— იმათაც!

— ოხ, მე იმათი!.. — შეაგინა ვილაყას.

შეეტყო რომ გულზე მოეშვა.

სიგარეტი გააბოლა.

— ნუ მიწყენთ! — გამომშვიდობებისას გავუღიმე და თვალბში ჩავეხედე. — აი, დანტე რომ გინსენეთ...

— ოჰ! — ყასილად ჩაიციანა. — პირიქით, ცოტა სული მოვითქვი.

ტროლეიბუსში რომ ჩაჯდა, გაკრიკლებული, ბრდღვილა შუშებიდან ერთხელაც გამომემშვიდობა.

ტელეგრაფის წინ ყმაწვილები იდგნენ. მხრებდაკუნთულნი და სახრესავით მოჭნილნი, ჩვენებურებსა ჰგავდნენ. შემდეგ ერთი კოჭებამდე გრძელტყავისპალტოიანიც შემოემატათ. მსუბუქად აკოცეს ლოყაზე ერთმანეთს.

მანქანა დავექოქე და სასტუმრო „ნიციონალისკენ“ ჩავუხვიე, ბიჭები კი იქ, ტელეგრაფთან დარჩნენ.

VIII

თადეოზმა ორიოდ დღის შემდეგ სამსახურში დამირეკა, მომესალმა, მომიკითხა და მერე ყურმილი დათოს გადასცა.

სამუშაოს დამთავრებას წუთებიღა აკლდა.

— თეატრთან გელოდებით! — დათომ მხიარულად მაინობა. — პატარა პურ-მარილი გვაქვს... თათეს იმ ქალს ვაცნობთ, ჭიკოც აგერაა... დახმარება ჭირდება ამ საქმეში თადეოზს, ჩვენც ვალდებული ვართ, ასე არ არი?

— ასეა. — უხალისოდ დავეუბრე. დათოს დახმარების გაწევა მართლა ეხერხებოდა. გასაჭირში არავის მიატოვებდა, ყველას თანაბარი ყურადღებით ეპყრობოდა. ამბობდა — ადამიანს ყველაზე უფრო ადამიანური სიტბო ჭირდებაო. ბევრი მინახავს ხელჩაქნეული, მაწანწალობის ზღვარამდე მისული დათოს პირველსავე დაცაცხანებაზე თვინიერად გასუსული, ოჯახსა და სამსახურში მიბრუნებული.

მანქანა სამსახურთან დაეტოვე. ფეხით ჩავუყევი ვიტრინების გასწვრივ ხალხმრავალ ტროტუარს და მალე დიდი თეატრის შენობაც გამოჩნდა.

თადეოზი, დათო და ჭიკო ბალის შესასვლელთან მელოდნენ. როგორც კი დამინახეს, მაშინვე მანქანაში ჩასხდნენ და ტექსტილიშეკებისკენ გავექროლდით. მრავალსართულიან სახლთან შევიჩერეთ მანქანა.

ბოლო სართულზე, ლაქებით აჭრელებულკარიანი ბინიდან, გახალისებული ქალი გამოგვეგება და თვაზიანად შეგვიპატყა ოთახში. შემდეგ მორთულ-მოკაზმული და მომიღმარი საპატარძლოც წამოიშარათა დივანიდან. მშვენიერი ქალი გახლდათ. თათეს თვალები გაუბრწყინდა.

დიასახლისი დათოს ელოლიაგებოდა, თვალეზში შესციცივებდა. სამზარეულოსა და ჩვენებური კერძების საქმეები შინაურულად მოახსენა. ჩანდა, სანამ დილით ძმარ-პიმპილიან კერძებს ამზადებდნენ, აღიანებები დამყარებუ-

ლიყო. უსიტყვოდ გადმომხედა ჭიკომ. ყველაფერი გასაგები იყო. სუფრაზეც თვაზიანი საუბარი გარმართა, ძალიან ფრთხილობდნენ, მაგრამ მერე ასევე ძალიან გაუშინაურდნენ ერთმანეთს.

— ცალკე ოთახი თუ გაქვთ? — დათომ დიასახლისის თვალი ჩაუბაჭუნა.

— ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა, აგერ ოთახების მეტი რა გვაქვს?

— კარგია... ხომ არ აჯობებს ქალეუმა ცალკე, თავიანთ გემოზე ისაუბრონ?

— ალბათ! — დიასახლისმა მრავალმნიშვნელოვნად და კეკლუცად გაიღიმა.

— ბიჭო, ადრე გაიყვანე ქალი... რას გაფუყულხარ! — თადეოზს მიუბრუნდა დათო. — ჩვენ კი ნუ გვიყურებ...

— გაიყვანო?

— ჩვენ გვეკითხები? — ჭიკომ მუხლისთავეებზე ჩამოისვა ხელი.

ქალებმა ცნობისმოყვარეობით გადახედეს ერთმანეთს.

— რუსულად ილაპარაკეთ! — დიასახლისმა ვერ მოითმინა, შენიშვნა მოგვცა. — გაუგებარ ენაზე საუბარი რა წესია!

— აი, ამხანავს ვურჩევთ, ვეუბნებით, ცალკე ოთახში გადიო, ჩვენ ისედაც არ მოვიწყენთ, ხომ მართალია?

— რას შეუჩნდით, იქნება სათქმელი არაფერი აქვს! — ჰენრიეტა თათეს გამოესარჩლა.

— სათქმელი? რატომ არაფერი? — შეიშმუშნა თადეოზი.

ჰენრიეტამ მაგიდაზე დააწყო ხელეზი, ფრჩხილები შეათავალიერა.

— თქვენ ქართველი ხართ? — ჰკითხა შემდეგ თათეს.

— დიახ!..

დიასახლისი წამოდგა და ოთახის კარი გამოაღო.

— გთხოვთ! — ჰენრიეტა და თადეოზი შეიპატყა. — საუბარი აქეთ შეგიძლიათ გააგრძელოთ!

თადეოზი ოდნავ შეცბა, გაოცება დიეტყო, მაგრამ ჰენრიეტას მკლავში ხელი გაუყარა და შეიყვანა იმ ოთახში.



— საპატარძლო მოგეწონათ? — დიასახლისმა გამომცდელად შეგვათვალა.

— მოგეწონა, თუმცა თადეოზი ირთავს, ჩვენ რა შუაში ვართ? — დათომ უპასუხა.

— გასაგებია! — ქალი ოდნავ წამოწითლდა.

ჭიკომ ოთახში მიიხედ-მოიხედა და ღიმმორეულმა რომელიღაც ქართული სიმღერა წაილიღინა.

— აბა, ქართული არ გამაგონო! — დათო ვითომ გაუჯავრდა.

— სიმღერა შეიძლება, ეგ კარგია! — ჭიკოს დიასახლისი გამოესარჩლა. — რა ცუდია, ენა რომ არ გესმის!

— ვიცით! — დაუმოწმა დათომ. — ამიტომაც ვისწავლე რუსული.

— მერე მეც მასწავლეთ ქართული! — სიამოვნებით!.. მაგრამ როგორ?

საუბარში ვიყავით გართული, რომ თადეოზი ოთახიდან გამოვიდა, რალაც-ნაირად შეგვათვალა და სუფრას უხმოდ მიუჯდა.

— არაფერი ამ საქმიდან არ გამოვია. — რა მოხდა?

— არაფერი არ გამოვია-მეთქი!..

— გაგვაგებინე, რა მოხდა! — დათომ სავსე ჭიქა მიაწოდა.

თადეოზმა უხმოდ გადაჰკრა, არ ესია-ამოვნა და ვაგლახად დაიჯღანა.

— კაცო, რაც იმ ოთახში გავედით, კოცნაობის მეტი არაფერი გავვიკეთებია... ქალი, რომელიც გაცნობისთანავე გაკოცნიებს, გამოდგება? — იკითხა თათემ და თვალეზში მოგვაჩერდა.

— რაო, კაცო-ოო? — ჭიკო პირდაღებული მიაჩერდა.

— თადეოზ... ძმაო! — დათომ სკამი გააჩოჩა, ახლოს მიუჯდა. — თათე, გენაცვალე, მეოცე საუკუნეა თუ არა?

— მერე?

ჭიკოს სასაცილოდ წაუგრძელდა კისერი. ხმადაბლა, დამარცვლით უთხრა: — ეს იმას ნიშნავს, ჭირიმე, რომ ამ

საუკუნეშია ეგ ქალი დაბადებულ-გაზრდილი, თანაც შენ სულელ ქეთნებარ, კულტურული კაცი... გაკოცინა, მერე რა მოხდა?

— არაფერი, განა რამეს ვამბობ?

— ჰოდა, თუ არაფერი შედი და საქმეს მიხედე... ყველაფერი რიგზეა, გაიგე?

თადეოზი რომ ხელმეორედ გაუჩინარდა, დიასახლისმა ამოიხვნეშა, ყველაფერზე ეტყობოდა, რომ მეგობრის გამო გულწრფელად ღელავდა.

თადეოზი ამჯერად კარგა დიდი ხნის შემდეგ გამოჩნდა და ისევ უხმოდ მიუჯდა სუფრას.

— ხომ ყველაფერი კარგადაა? — ღიმმორეული დიასახლისი მიუახლოვდა, ცოტადა დააკლდა, კინაღამ მხარზე დაადო ხელი, მოეფერა. — შეიძლება შევიდე ჰენრიეტასთან?

— კი ბატონო! — თათემაც შეჰკლიმა, მაგრამ ისე, რომ ქალი შეცბა, უსიტყვოდ შეტრიალდა.

ჩვენ თათეს არაფერს ვეკითხებოდით.

— რა იყო? — თვითონვე ვერ გაუძლო დუმილს. — რა თავები ჩავიჭინდრავთ?

— ჩვენ გვეკითხები? — ამოიხვნეშა ჭიკომ.

— თქვენ არაფერი გეწყინოთ და მე ამ ქალის შემართველი არა ვარ.

— არა ხარ და ნუ ხარ!.. ჩვენ რა უნდა გეწყინოს?

— ვითომ რატომო? — საუბარში დათო ჩაერია. — რაშია საქმე, რა დაუწუნე ამ ქალს?

— ეგ მე ვიცო... ვითხარით, არ გამოვია-მეთქი!

— რაო, უარი გითხრეს ცოლობაზე?

— იმიტომო... გაიგეთ, ხალხნო?

ისევ ჩამოვარდა დუმილი.

მე წამოვდექი და კედელზე რომელიღაც სურათს მივაჩერდი. მერე ბიჭებს დავემშვიდობე, ველარ გავძელი და იქაურობა მივატოვე.

## მთვრალი სოფალი

როცა მდორე მდინარემ ცურვა გამოძნელა,  
ვიგრძენ, რად არ მივჭროდი და რაც დამემართა:  
მიულურსმავთ ანძებზე მეზაგირე ყველა  
ისრებს ახორხოცებულ ფერადკანიანთა.  
არცერთ გემს არ ვდარდობდი — დღენიდავ მზიდავს  
ინგლისური ბამბის თუ ფლამანდური ხორბლის;  
ოდეს მიწყდა ველურთა ზრიალი და ზრინვა,  
ჩემი ნებით წყალს წავყევე მგზავრი წუთისოფლის.  
ზღვის მოქცევის მძვინვარე დგაფუნს თავი მივეც,  
ჩვილის ტვინზე უყრუესს გავეჟექცი ზამთარს,  
და ნახევარკუნძულთაც, დამრულთ, მოზეიმე  
ძღვევის ორომტრიალი ჩემებრ ვერ შეძრავდა.  
ქარიშხალმა მიკურთხა ზღვაში გაფხიზლება  
და საცობზე მსუბუქად ავეყე ტალღებს ციკვით,  
რომ არიან მარადი თანამგზავრნი მსხვერპლთა,  
დამავიწყეს ათ ლამეს ფარნის შუქი ცეტი.  
ტბილმა, ვიდრე ბავშვთათვის ვაშლის რბილობია,  
იწყო ნაძვის მერქანში ჟონვა მწვანე წყალმა,  
ლურჯი ღვინის ლაქებმა და ნარწყევმა გრილმა  
რომ გამრეცხა, საჭე და ლუზა წამაცალა.  
იმყამს ზღვის პოემაში განვიბანე ტანი,  
ციური მნათობების და რძიანას წვეწვი —  
მწვანე ლაქვარდთ შთანმთქმელში, სადაც ფიჭვიანი  
მოტივტივე მკრთალ საგანს ჰგავს დამბრჩვალის ლეში,  
სადაც დღის ბრწყინვალეებით იღებება წამსვე  
კისფერი და ბოდვები, თუ რითმები სადა,  
რო არიან მძლავრები ალკოპოლზე, ქნარზე,  
სიყვარულის სიწითლე დრტვინავს მწველი სადაც.  
შევიცანი ცა ელვით დამსკდარი და ზათქი,  
ზვირთთა დორბლი, მიმწუხრი, დინებათა სითბოც,  
მტრედების გუნდს ვადარე გზნება განთიადის,  
ენახე ბევრზე ბევრი რამ, რაც გვინახავს თითქოს.  
მზე ძირს ეგდო ნაშანთი რაღაც საშინელი,

მისტიკური, ქვისებრი იისფერი სხივით;  
 ანტიკური დრამების მსახიობთა მრევლის  
 მსგავსად შორს აგორებდა ტალღებს ურჯოლა ცივი.  
 მწვანე ღამე ვიხილე, მოქათქათე თოვლით,  
 კოცნა — ზეღმავალი ზღვის თვალთაგან ნელა,  
 მიმოქცევა წარღვნის და გაღვიძება თრთოლვით  
 მგალობელი ფოსფორის — ლურჯ ყვავილთა ელვა.  
 ვდიე მთელი თვეობით სისაძაგლისმაგვარ  
 ისტერიულ ზელელვას — დამანგრეველს რიფთა;  
 მარიაშის ნათელი ფეხის ერთი დადგმა  
 შმაგ ზღვას თუ დააცხრობდა. არც მომსვლია ფიქრად.  
 წინ შემომხვდა ზღაპრული ბევრი თაზისი,  
 სადაც კაცისტყავიან მხეცთა ტევრად აყრილ  
 ყვავილებში ურევენ თვალებს ავაზისას,  
 ჰგავს ჭრელი ცისარტყელა ოკეანის აღვირს.  
 უსამანო ჭაობთა ენახე მღელღეარება,  
 სადაც ლევიათანის ტანი წყალმა გაბრწნა,  
 წყნარ ამინდში ცას უცებ ჩამოექცა დელგმა,  
 უფსკრულეთი აავსო და შორეთში გაწვა.  
 მყინვართ ვერცხლის მთიებნი, ცის სადაფთა ბრწყინვა...  
 ყუჩ ღრჯუ მეჩეჩს ღრმა უბის ფერი უგავს ყავას,  
 სადაც ჭგრო გველებისა გონჯ ხეთაგან ცვივა,  
 ბალინჯოთგან დახრულნი გულამრეველ ყარან.  
 ბავშვებისთვის მწაღია ოქროს თევზთა ნახვაც,  
 ლურჯ ტალღათა ბინადარ და მომღერალ თევზთა..  
 ქაფი ყვავილებისა ქარით ურწევს აკვანს  
 ჩემს ღუზიდან მოგლეჯას, ქროლვას ზვირთთა ზედა.  
 პოლუსებით, ზონებით გატანჯული ზოგჯერ  
 ზღვა მარყევედა ქვითინით, თან თავისი ლანდის  
 მრგვალ და ყვითელ ყვავილთა კონას თვალისმომჭრელს  
 მაწოდებდა, როდესაც დაჩოქილ ქალს ვგავდი.  
 ამ ნახევარკუნძულზე, რო ნანაობს ვნებით,  
 სკორე და ბუზღუნია თეთრთვალეზა ჩიტთა.  
 მოცურავდი და ჩემი მყიფე ბორკილებით  
 დამხვრჩალნი იძინებდნენ ზურგშექცევით, მშვიდად.  
 უფრინველო ჰაერში გრივალეგმა მგვემეს  
 და ზომალდი გავხდი ტყვე ყუჩი უბის ქოჩრის.  
 არც მონიტორთ, რაც პანზის იალქნიან გემებს  
 არ ძალუძდათ ხსნა ჩემი ზღვის წყლით მთვრალი ჩონჩხის.  
 მძლე და კვამლით მხრჩოლავი იისფერი ნისლის  
 ეხვრეტდი ზეცას მეწამულს, როგორც კედელს შუშის,  
 კარგზე კარგი მომქონდა სარჩო მგოსნებისთვის:  
 მზის მღიერი-ლექსები და ლაქვარდის დუქი.  
 ახალ მთვარის ელექტროლაქებდაყრილ ფიცარს,  
 როგორც შეშლილს მომღვედნენ შავი ცხენთევეზები,  
 როცა ულტრასაზღვაო ცას ივლისის რისხვა,  
 ძირს ამხოზდა, ანგრევედა ხელკეტების ცემით.

ორმოცდაათ მილზედაც ოხვრას კრთოლვით ვგრძნობდი  
 მალსტრემის დინებისას და მეემოს ავ ხმას,  
 მრთველი მარადიული ცისფერ უძრაობის  
 ვდარდობ ძველრიკულიან ევროპაზე ახლაც.  
 შევხვდი ვარსკვლავებიან არჭიბელაგთ, კუნძულთ,  
 რომელთა ცა მზოდავი მოხეტეთა ძმბა,  
 ეგებ ამ ღრმა ღამეთა ძილშიც თანაუგრძნობ  
 და მილიონ ოქროს ჩიტს უვლი, ხვალის ძალავ.  
 მეტისმეტი ვიტირე, კმარა! მზეა მწარე,  
 მთვარე მარად არ მინდობს, მზარავს გარიყრაყი.  
 სიყვარულის სამსალით მთვრალი მოვიწამლე.  
 დაიბღავლოს ხომალდმა, რო გავიდე ზღვაში.  
 თუ ევროპის წყალს ვეტრფი, ეს გუბეა მხოლოდ,  
 მღვრიე, ცივი, სადაც გრილ, სურნელოვან ბინდში,  
 როგორც მარტის პეპელას, სუსტ, უმწეო ხომალდს  
 უშვებს სევდით აღსავსე ჩაცუცქული ბიჭი.  
 ო, ზვირთებო, განბანილს თქვენი კმუნვით, ზავით,  
 ბამბის მზიდავ გემთა გზას ხვედრი აღარ მაცლის,  
 არც ატანას დროშათა, ალამთ სიზვიადის,  
 არც ცურვას თვალბედითი პონტონების თვალწინ.

ფრანგულიდან თარგმნა ოთარ ზულიძემ

აკაკი გუგუშვილი

## ბეჭდის ხილვა

(ნაწარმოები მოგონებების წიგნიდან)

### აკაკი გუგუშვილი მოსიარულე შარაჯინანი კაცისა

მამაჩემი ისმეილი საშოვარზე მოსიარულე მეტურე კაცი გახლდათ. ხშირად მინახავს, დიდ ვარცხლილში ცომის ზელისას ლონიერ მკლავებზე ამოხრეცილი ენთები ბერთებოვით რომ ასხდებოდა. თოფი ან სხვა ცეცხლისმსროლელი იარაღი მის ზელში არასდროს მინახავს — არ იყო მამაჩემი თოფის კაცი. არც მე შოვარდა თოფი. სამაგიეროდ, მამაჩემის ორივე ძმა, ჩემი ორივე ბიძა, მიბვილი და სანდრო მონადირეობდნენ და თოფს ვერასდროს ეღეოლდნენ.

და, აი, ცხოვრების პარადოქსი: ომი რომ დაიწყო, სხვადასხვა გარემოებათა გამო, თოფის მოყვარული არცერთი ჩემი ბიძა არ გაიწვიეს ქარში, მე დ მამაჩემი კი მალე გაგვიქარისკაცეს. ოთხი წლით ჩემზე უფროსი ძმა, ვასილი, ამ დროისთვის კადრის ქარისკაცი გახლდათ, ასე რომ, ოჯახის სამივე მამაკაცი, როგორც იტყვიან, ქედზე კაცის დამახილზე წავედით ომში, შინ მხოლოდ თოთხმეტი წლის ჩემი დეიდა თინა დარჩა.

ბეთი წელიწადი და სამი თვე დაეყვია ქარში — ორმოცდაორი წლის 25 იანვრიდან ორმოცდაშვიდი წლის აპრილის მიწურულამდე. ცხრამეტი წლისა ჩონჩხადქცეული სტალინგრადის ქარცეცხლიან ორმოტრიალში შევსრულდი, როცა „კატუშებად“ მონათლულ საბრძოლო მანქანებს (მევე ცამეტს) ცეცხლის ხაზზე დამცველად დავყვებოდი ხან ღვებტარევის ტყვიამფრქვევით, ხანაც ტანსაცმინადმდეგო თოფით (მეტეერთი). ოცი წლისაც არ ვიქავი, ამერიკელთა ორდულიანი სახენიტო

ტყვიამფრქვევით („ბრაუნინგი“ ერქვა და მანქანის ძარაზე იყო დამაგრებული) ვიცავდი კერსის მიწა-წყალს. როდესაც ცასი და მიწას ცეცხლი ვაიდა, მკა მკაზე დუღდებოდა და რკინა — რკინაზე. ორმოცდასამი წლის სექტემბერში კი „კატუშების“ ბატარეაში გადამიყვანეს და შტაბით ქიმიწრუქტორს ჯერ მომიზნებოდა დამცესრა, შემდეგ კი — თვითონ „კატუშას“ მეთაურობაც. სტალინგრადისა და კერსის ბრძოლებამოვლილმა წმინდა წყლის „კატუშელად“ გადავიარე უკრაინა, მოლდავეთი, რუმინეთი, უნგრეთი და ორმოცდახუთი წლის მაისს ჩეხოსლოვაკიაში, პრაღის მისადგომებთან შევხვდი. ასე რომ, ომის ჯოჯობეთურ ცეცხლში ვიტრიალე ორმოცდაორი წლის აგვისტოს მიწურულიდან ორმოცდახუთი წლის შუა მაისამდე. შუა მაისამდე-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენს ფრონტზე ომის დამთავრების გამოცხადების შემდეგაც რამდენიმე დღეს არ შეწყვეტილა ბრძოლა, რადგან გერმანელები ტყე-ტყე მოიპარებოდნენ ღამ-ღამობით, რომ ტყვეებად ჩვენ არ ჩაგვპარებოდნენ, არამედ — ამერიკელებს, ანდა — სულაც დაეღწიათ თავი ტყვეობისათვის და როგორმე შინ მისულეყვნენ.

სამი წელიწადი ვიბრძოდი ფრონტზე, თანაც თითქმის სულ მოწინავე ხაზზე. იმასაც თუ ვივარაუდებთ, რომ ომისდროინდელი, სანგრულადლე ჩვეულებრივ დღეს არ უდრის ხოლმე, რომ ომისდროინდელ ჯოჯობეთში წუთიც კი მთელ საუკუნედ გვეჩვენებოდა ხშირად, ომის საკმაოდ გრძელი და ძნელი გზა გავიარე.



ამ დიდ, ოდრო-ოდრო ცეცხლოვან გზაზე არც ხიფათი დამკლავია და არც მიქელ-გამბრიელთან პირისპირ შეხვედრა. ყოვლად შეუძლებელია, ამხელა ფრონტულ გზაზე სიკვდილია ნალღის, ქურვის, ზომბის თუ ყუმბარის აფეთქებით ცეცხლოვანი თვალები ზვერჯერ არ შემოგაფეთოს ავად.

ჩვენი ქვეყნის ოკი მილიონი ადამიანი დაიღუპა ამ ძნელ ომში. ჩემს ახლომახლო ბევრი დაეცა — რუსი თუ უკრაინელი, ბელორუსი თუ ბალტიისპირელი, სომეხი თუ აზერბაიჯანელი, შუაზიელი თუ ციმბირელი, თათარი, ჩუვაში თუ შორღველი... ჩვენს პოლკში სტალინგრადის ბრძოლების დროს ჩვიდმეტი ქართველი ვიყავით, ბოლოს კი ცხრადა დარჩით...

ბევრი რამ გასახსენებლადაც კი საშინელია. ჩვენ, ახალგაზრდები (აღბათ, სხვებაც) მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდეც ვგარჩობდით, რომ ჰაერში ომის სენი ტრიალებდა, ომი გარდუვალი რომ იყო და... სულიერადაც გვაზადებდნენ ამისთვის. ოლონდ, უფრო ოპტიმისტური განწყობილებით. ომამდე სკოლის მერჩხე მსხდომ ახალგაზრდებს გვარწმუნებდნენ სტალინგრადის ფარაზით: თუ შტერი ჩვენს ბაღიაბოსტანში თვის ბინძურ ღორულ დინგს შემოყოფს, თავხედ შტერს მალე დაევაშარცხებთ, თანაც მისსავე ტერიტორიაზეო. ბევრს ასევე გვეგონა სამაჟლო ომის დაწყების პირველ დღეებშიც. მეგრე კი მიგვხდით, რომ საქმე სხვანაირად იყო...

ჩვენმა თაობამ სასკოლო მერხიდან პირდაპირ სანგარში გადააბიჯა. ზოგი, გულბრწყვილი ოპტიმიზმით გაედუნთილა, ომშიც კი ისე წავიდა, როგორც შინაურულ სტადიონზე ფეხბურთის სათამაშოდ... გაფთრებულ-გავეშებულ სიკვდილს კი შეეგება პირისპირ. ჩვენი თაობის უმრავლესობა ისე დაიბოცა (განსაკუთრებით ომის პირველ თვეებში და ობოლ-დაორ წელშიც), მხოლოდ სიყვარულზე ოცნება მოასწრო, თვით სიყვარული კი — ვერა. ბევრმა ვერ მოასწრო ეგემნა ქალის აღერსი, შეყვარებულის თუნდაც ერთი კოცნაც კი პირველი კოცნა. ზოგმა პირველად გახვეული ქარსკაცური თუთუნის ბოლომდე მოწვევაც ვერ მოასწრო. ისინი სწორედ მაშინ დაიშრახნენ (ან — სულაც უსაფლავოდ, უზხო-უცვლოდ გაქრენ), როცა ნამდვილი ცხოვრება უნდა დაეწყოთ. ზოგს სურათი კი არ დარჩა, ან — თუნდაც ქარიდან გამოგზავნილი ერთი სამკუთხე ბარათი, არაფერი არ დარჩა... ასეთია ომი!

ვინც ფრონტზე ჩემ თვალწინ დაიღუპა, მათი სიკვდილი მაშინ რასაკვირველია განვიცადე, მაგრამ წუხილისა და ჭირისუფლებისთვის ვის ეცალა, როცა ამანაგის დამარხებისთანავე ისევ ცეცხლის ხაზზე გაერბოდით და ეშმაკმა უწ-

ყოფა, ჩვენ კი მოვბრუნდებოდით ცეცხალში? ზოგჯერ თანამებრძოლს წინაშე ვხვდებოდით ვმარხავდით, ზოლო ამანაგისათვის სამარის გათხრისას, აბა, ვინ იცოდა, თუ თვითონ გადაჩეხებოდა და თუნდაც იმავე დღესვე დამარხების ბედს არ გაიზარებდა დამარხველს?

ახლა, როცა წლები გავიდა და სიკვდილი აშკარად აღარავის გვემუქრებოდა, ფრონტზე დაღუპულთა უბედურების ამბავს ომსგადარჩენილი უფრო მწვავედ განვიცდით. დიას, ომისდროინდელი ტკივილი შემოგვიბრუნებდა ხოლმე და ახლა უფროსი გვაწუხებდა. განა იმიტომ, რომ მაშინ ეს ტკივილი პატარა იყო, ანდა — დრო-გამმა რაღაცნაირად კი არ შეამცირა, არამედ გააღიდა? ანდა — განა იმიტომ, რომ მაშინ ცრემლი არ გვქონდა? ომის დროს იმხელა იყო ცრემლი, ვერც გულში ეტეოდა ადამიანს, ვერც თვალებში... ომისდროინდელ ცრემლში ჩანდა ცეცხლოვანებულის ცა, მშინა და ზედა, მთელი ქვეყნიერება ჩანდა სვე, თვითონ იმ ცრემლს კი თითქოს ველარაყინ ზედავდა, რადგან ეს უზარმაზარი ცრემლი წერალ-წერალ ცრემლებად თითქოს არ იშლებოდა (ან — იშვითად), თითქოს ცრემლების დასაღვრელად აღარავის ეცალა მაშინ, რამეთუ ყველს უჭირდა და ცრემლის მონა, ჭირ-ვარამის მონა არ უნდა გამხდარიყო არავინ, და უღერელ ცრემლში უნდა მოეხარა ყოველ-გვარი ვაება და ჭირ-ვარამი.

ახლა, ახლა კი შერი უფლება გვაქვს, ზოგჯერ გორდასული ტკივილებს გამო ავტრემდით კიდევაც, რამეთუ ჩვენი მხენობით ვაქოხთ ომისდროინდელ ყველა ტკივილს და ომისდროინდელ უზარმაზარ ცრემლსაც, ქვეყნიერებისხელა ცრემლსაც. ჭირისუფლობით ახლდა ეცემო პატვის ომისდროინდელ ყველა ტკივილს.

ყველა მებრალემა, ვინც ომში დაიღუპა, მგონია ხოლმე, რომ ჩვენ ზიარი გვექონდა სიციხლევ, სიკვდილიც და ისინი ჩემს შავიერადაც დაიღუპნენ, მე კი მათი ზიარი სიციხლევ დამრჩა.

განსაკუთრებით მეცოდება ის მეომარი, რაისტაგზე აფრიალებულ ჩვენს დროშას რომ მოჰკრა თვალი, ან — ომის დამთავრების მუწვევებელი ხმა რომ გაგონა და სწორედ მაშინ დალია სული.

ბერლინში შვიდ თუ რვა მაისს დაიღუპა ერთი ჩემი სოფლელი დედისერთა ვაჟკაცი, ტანისტი რუბენ გოგობერიშვილი, რომლის მამაცურ ბრძოლებზე ადრე რამდენჯერმე გაზუთშიც დაიბეჭდა. ვინ მითვლის, წუთისთვლს რამდენი სწორედ ასე გამოესალმა, ომის მიწურულში. სიკვდილი ყოველივეის სიკვდილია, მაგრამ ყველაზე მწარე მაინც მაშინ არის, როცა ხედავ, ომი მალე დამთავრდება, შენ კი საწუთროს ემშვიდობები.

რამდენი ხანი გავიდა, რაც ომი მოვიშორეთ, მაგრამ იგი სისხლიან ზელებს კვლავ აფეთურებს ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენს ბედნილობასაც სხვანაირად ატრიალებს. ხოლმე ჩემი, როგორც ომგადახდილი აღმამიანის, არა მარტო ცხოვრება, სიზმრებიც კი ხშირად თოფის წამლთაა გაქრულილი...

ნაფარისკაციარს კვლავ მესიზმრება ომის სიზმრები, მესიზმრებთან ფრონტელი შეგობრები... დაღუბლებიც კი ცოცხლად მესიზმრებიან, რამეთუ ისინი სიზმრებში კვლავ ცოცხლობენ... მაინც სიზმარში ახლაც იბრძვის, იერისმეტ ვარძის... მათთან ერთად შეც ხან იერისმეტ გალასული ვაერბივარ წინ, ხანაც ალყაში მოქცეული ვარღვევ მტრის გარემოცვის. ზოგჯერაც მესიზმრება, რომ ფრონტელი ამხანაგები ჟარისკაცებად კი არა, მოქალაქეებად ეხედვებით ერთმანეთს და ჩვენ-ჩვენ ახალ ამბებს ეუყვებით, ომის მერე ვინ რა გზა გამოვიარეთ

ომის მომგონი დასწყველოს კაცობა და ღმერთმაც, მაგრამ ფრონტელი თანამებრძოლნი კვლავინდებურად მენატრებიან ხოლმე, აღრინდელზე უფრო ახლა მენატრებიან. მწადია, შევხვდები ხანდახან მაინც და გავიგო, როგორ იტხოვრებს მერე, წუთისთოდლის გზას როგორ გამოუყენენ. მეც მოუყვებ ჩემი ამბები, ამჟამად ვინა ვარ, რა ტვირთი მკიდა. ვინ იყის, სად არიან ახლა ისინი? მაინც ალბათ მიწშია სძინავს უკვე. მაინიც პირისპირ რომ შევხვდები, ალბათ, ვეღარც ვიციან... და მაინც, უწინდებურად მენატრება ხოლმე ყველა, ვისთან ერთადაც ვზიდე ომის მძიმე, ვეცხა ტვირთი, ვისთან ერთადაც გავიზიარე ომის ძნელებულობის ჭირ-ვიარამი, ვისთან ერთადაც ვაქოზე ათას უბედურებას, მოგვრივ უპირავ სიკვდილს.

ჩაფიქრებული, ზოგჯერ უნებლიეთ წამოვიძახებ ხოლმე:

— ჰე, სადა ხარო, ფრონტელი ძმებო?

ვინ იყის, ეგებ ბევრი უკვე ჩემსავით ბაბუა. მათი შვილები ჩემ შვილებს ხედებიან, მათი შვილიშვილები — ჩემს შვილიშვილს და... ერთმანეთს უცხოებით ეპყვიან. ეჰ, რა იციან მათ...

ერთხელ ფრონტელმა ამხანაგმა დამირკვა: სტალინგრადში მივდივარ და წამომხვევი, მინდა ის ადგილი ენახო, სადაც დავიპერიო. სწორედ იმ ხანად ვერაც მოუშუშებელი მქონდა მშვედობიანობის დროს მიღებული ჭრილობა და ფრონტელ ამხანაგს მხარი ვერ ავიძო, სურვილი კი მეც დიდი მქონდა, შენახა ის მიღამო, სადაც ვებრძოლე და სიკვდილს რამდენჯერმე სასწულოთ ვადავურჩა, სადაც რამდენჯერმე გავიარე ბეწვის ხილზე.

რა გრძნობაა ეს? რატომ ეხადება აღმამიანს

სურვილი, დიდი ხნის შემდეგ კვლავ ნახოს ის ადგილი, სადაც იომა, მებრძოლე ვე... ადგილი, სადაც ჟოხობეთ... თაეს და კინაღამ სულიც სულაც იქ დარტოვა? რა სიამოვნებაა, კაცმა ნახოს ის მიღამო, სადაც იტანჯა? ანდა: სიამოვნებაა ეს თუ ცნობისმოყვარეობა?

ეტყობა, აღმამის უცნაურად უყვარს ის ადგილი, სადაც გაუვლია, სადაც უცხოვრია. იქ იმზიარული თუ ტანჯვა-წამების მეტი არაფერი უნახავს, სულ ერთია, ის ადგილი უკვე მისი სიცოცხლის ნაწილად არის ქვეული.

მიტომაც სწავია კვლავ იმ ადგილს ნახვა, სადაც მისმა სიცოცხლემ გაიარა. აღმამანი სადაც ფეხს დაადგამს, იქ ტოვებს თავისი სულის ნაწილს და შემდეგ ეს ნაწილი ეძახის. როცა აღმამანი თავისი სულის ნაწილს გზადგზა ტოვებს, ამით მისი სული კი არ დარბდება, უფრო მდიდრდება... დანატოვარი სული ადგილს სიცარიელე კი არ ჩნდება, ივსება დანატოვარი ადგილის გახსენება-მოგონებით და ყველაფრით, რაც იმ ადგილს უკავშირდება. შენ თითქოს ისევე არსებობს ყველგან, სადაც გაგივლია თუ გიცხოვრია.

აი, ეს არის მიზეზი, რომ ჩემი ფრონტელი ამხანაგებით (და, საერთოდ, სხვა ათასი ომგადახდილით) მეც მენატრება ხოლმე ერთხელ მაინც ენახო სტალინგრადის, კურსკის თუ სხვა მიწა-წყლის ის ადგილები, სადაც ვიბრძოლე.

მეორეს მხრივ ეს თითქოს შურისძიებაცაა მაშინდელი აბედითობის გამო: აი, სიკვდილო, აქ რომ ჩამისადრდი, შენი ზომ ვერ გაიტანე, ბოლოსდაბოლოს, ხომ გაჯობე, ხომ მოგერიეო? ასე ზეიმობს თავის გამარჯვებას აღმამანი... აქ რომ არ წვეს მიწაში, ან აქ რომ არ გაჭრა სულაც უკალოვ, უსაფლავოდ, ამას ზეიმობს... სტუმრად რომ ეწვია გავილ ბეწვის ხილს, ამას ზეიმობს.

ანდა, იქნებ მიტომაც გვენატრება ის მიწა-წყალი, რომ დაეცინოთ იმდროინდელ უბედურებას, მაშინდელ სიკვდილს:

— აბა, ერთი შემომხედე, დღეს როგორი ვარ! რა მხნედ მიმოვიდვარ ისევე მზისქვეშ მაშინ რომ შენ დამცილიდი, ახლა მე დაეცინი, რომ ვერ მომერიეო!

ზოგჯერ, ომს რომ ვეფიქრებ, თითქოს კვლავ სკდება ჩემს ირგვლივ ყუბმარები, წივის ტყვია, ოხრავს მიწა, ცეცხლი უეიდა ცას, მიწას, ქვებს, წყალსაც კო... და მაშინდელი ტკივილები მიბრუნდება. ომში ბევრი რამ კვდება, მაგრამ ვინც ომს გადაურჩება, ეტყობა, მისთვის ომი არასდროს კვდება. დღე არ გაივლის, რაიმეთი თავი არ შეახსენოს.

ჰო, დიდი ხანია დამთავრდა ომი, მე კი ომის მოგონებებს თავი ვერ დავაღწიე. ალბათ, სანამ ფიქრის თავი შემარჩება, ვერც დავადწეე... ომისდროინდელი მოგონებები მარად

ფარაჯგაუხდელი ჯარისკაცებით დამდევნი უკვლავან... ბოლოში, კი არ დამდევნი, თითქოს მეც მათ მწკრივში ედგაყარ და მივახიჯებ კვლავ ნახშირით და ნაცრით მოფენილ, ღუნთის კვამლში გახვეულ ფრონტულ გზაზე. დი-ახაც მიწდა ხოლმე, გავეტყე ამ მოგონებებს, მაგრამ... ეს ზომ ჩემი სიცოცხლის ნაწილია და ვიდრე ვცოცხლობ, ჩემ სიცოცხლეს რო-გორ გავეტყე, როგორ შეველო?

ჯარში არასდროს მიცდია, აქ არ წყავალ, ან-და — იქ წასვლას როგორმე ავიცილებ-მეთქი. სადაც გამაძწესებდნენ, უუაყმანოდ მივდიოდი. ფრონტზე რა საბრძოლო დავალებასაც მძა-ლავდნენ, ვასრულებდი, უმეტესად გულმოდ-გინედ. ზოგჯერ ფუტე შრომასაც არ ვერადებო-დი. ერთი სიტყვით, სადაც ბედს მიყავადი, ვენდობოდი და შორჩლოდ მივყუებოდი.

ზოგი ამბობს: იმში სხვის მაგივრად არავინ კვდება, ყველა თავის თავს უკვდებათ. ვერ გეტყვით, ეს რამდენად მართალია. ოღონდ, ის კიდევ დამეჩინებოდა შემიძლია ეთქვა, ფრონტზე წინდაწინ არავინ იცის, ვისთვის რა აღმოჩნდუ-ბა სახედისწერო. შავანს თავის აწვეა დიდუ-ბავს, შავანს — თავის დაბრა. დამომბვისას ერთს — გაქცევა, მეორეს — ადგოდე დღ-არჩენა ან დაწოლა. ხდება ხოლმე: ჯარისკაცი საკუთარ საფლავს თვითონ თბრის, თავისი ხე-ლით გაჭრილ საფლავში იმარბება. ფრონტზე ყველა ტყვია რომ კაცს ზედებოდაც, ვინ გა-დარჩებოდა და დღესაც იმ შეომართავან ვინღა იქნებოდა ცოცხალი? მაგრამ არც ის იცის ვინმე, ვის როლის მოხვდება ტყვია.

თუმცა ჯარისკაცს ვუშვავობისას ფიქრი ეც-რძალება, იმდენი ფიქრი არავის სჩვევია, რამ-დენიც ლამით საფლავებზე მდგარ ჯარისკაცს ან სანგარში ფხიზლად მოდარაყეს, მაგრამ იმში წინდაწინ შავან ვერავინ მოიფიქრებს, ზუსტად გაითვალისწინოს რამე, კერძოდ, ზვალ, ზებ თუ შას ზეგ რა ელის. ჯარისკაცის მონადეჭრსა და ნება-სურვილებზე თითქმის არაფერია იმში, ისიც კი, გამართლად მოგვედებით თუ ლაჩრუ-ლად. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რო-დის სად მოხვდებით.

მართალია, ადამიანმა არ იცის, მისთ-ვის ზეალბდელი დღე გათენდება თუ არა, მაგრამ ამაზე თითქმის არავინ ფიქრობს ფრო-ნტზეც კი, როცა სიკვდილი დახმუის ცაზე და გრუხუნით დათარეშობს მიწაზე. ადამიან-მა იცის, ძალიან კარგადაც იცის, სიკვდილი რომ არსებობს, მაგრამ ის თავის სიკვდილზე თითქმის არასდროს ფიქრობს. რაღაცნაირად თავისი თავი უკვდავი ჰგონია. ვიღაც რომ მოკვდება, ეს კარგად იცის, მაგრამ ეს ზვედრძ თუ დეითონდა უნდა გაიზაროს, რატომღაც ქვეშეკრულად ამაზე თითქმის არ ფიქრობს, თითქოს სიკვდილი სხვისთვის არსებობს, მის-

თვის კი არა, თითქოს სიკვდილის არსებობა მას არ ეხება. დიახ, ყველა უკვლავანდ უკვლავან, რამ სიკვდილი არსებობს, უკვლავანდ უკვლავანდ მისთვისაც რომ არის გაჩენილი, ამის დაქერე-ბა თითქმის არავის უნდა, რაღაცნაირად ვერ ეგუდება. შავანსა და შავანს მოკვდავი ჰგონია ყველა თავისი თავის გარდა. ასე რომ არ იყოს, ფრონტისკენ მიმავალ ემელონში თითქმის აღარავინ დაჩებოდა, ყველა წინდაწინ მოიე-ლავდა თავს — ან ეშელონიდან გადმობტე-ბოდა, ან... თოფ-იარაღი ზომ უკვლავს უჭირავს.

ეს აზრი დიდი ხანია დამებოდა და 1964 წელს დაწერილ რომანში („ქვეყნისკენი შეე“) გამოვთქვი კიდევ. და, იი, სულ ახლამანს იტალიელი მწერალი ალბერტო მორავიაცი დი-მემოწმა („ლიტერატურული საქართველო“ № 38, 14. 9. 84 წ.):

„ადამიანთა უმეტესობას თავი უკვდავი ჰგონია. ამით ბავშვებს ჰგვიანან. თუ ადამიანი სიკვდილზე ფიქრობთა შეუჭრამბილი, ჩემი აზ-რით, მისში ყველაფერი ნორმალურად არ მი-მდინარეობს... ყველა ადამიანში უკვდავების გრძნობა უფრო მეტადაა განვითარებული, ვი-დრე სიკვდილის შიში“.

შხარდაკერხისათვის გმადლობ, ბატონო ალ-ბერტო მორავია!

იმში მინა სულს დაღვე, გვამს შენი უკვ-დავება, მშოლოდ შენი... გჯერა, რაღაც სას-წაული გადაგარჩენს. ეტყობა, ადამიანს ეს იმედი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე რჩება.

მე ომის დროს ბერის წინგაეი არ შექონია. მუღამ ფრონტზე მყოფს ბერსა და საერთოდ ჯარისკაცურ ულუფს უწინგაეი განაწილებით მაძლევენენ, როგორც ამა თუ იმ ვითარებაში ზერხდებოდა.

სხვათა შორის, მე ლევიტანის იმედიანი ჰმაც არ გამიგონია ომის დროს, ჩემი ნუგეშ-იმედი და რწმენის მომცემი იყო ჩვენივე ქვემეხების ბათქები, ჩვენი „კატეშების“ მრისხანე და ომახიანი სიშლერა. ლევიტანის მძლავრი ჰმა ზურგში მყოფ ხალხს იმედებდა.

ერთიც. 1944 წლის შემოდგომაზე გადაღე-ბული ფრონტული სურათი არა მამცეს. მამშინ მე ფოტოგრაფი ფრონტზე არ მინახავს.

1943 წლის 21 ივლისს, კერსის ბრძოლე-ბის დროს, პარტკანდიდატად მიმიღეს, 1944 წლის იანვარში კი პარტწყევრად, მაგრამ... პარტბილეთი 1944 წლის აგვისტომდე ვერ მომცეს სწორედ სურათის გადაუღებლობის გამო. ისის მისადგომებთან ჩვენი დევიზით-ნის მშვერამა გაქმყოვმა სადაღაც მოინდაღე-ლა ფოტოაპარატი და... პარტბილეთში ჩაყ-რული მისი გადაღებული ფოტოსურათი ისეთი ბუნდოვანი იყო, ეშმაეი ვერ გაარჩევდა ზედ ვინ იყო აღბეჭდილი, თითქოს ომის კვამლსა



და დენის ბურჟუაზია რაღაც იღვწავდა ილან-  
დებო, ეს იყო და ეს.

ნამდვილი ფოტოგრაფი ფრონტზე 1945  
წლის შეიარაღებულ ბრძოლაში. ფრონტული გაზეთის  
კორესპონდენტი გეგევი დივიზიონში (გვირაბ  
კისელით) იყო. ესეც ამიტომ დამამახორ-  
და, რომ ღამე ჩვენს გუნდში ვართ (და მე,  
როგორც წარჩინებულ უმცროს მეთაურს, ბა-  
ტარის მეთაურის მოთხოვნით (ტეტოვა, მა-  
შინ ორდენზე ვიყავი წარდგენილი) საბრძოლოდ  
მზადმყოფ „კატუშასთან“ გადამიღო სურათი  
გაზეთში გამოსაქვეყნებლად. დაბეჭდილი არ  
სად მიწაბავს, ისიც არ ვიცი, გამოუვიდა თუ  
არა ფოტოკორესპონდენტს, ის სურათი, ანდა  
— გადაჩაბა თუ არა...

ასე რომ, ომში სახსოვრად დამიტოვა მხო-  
ლოდ ფრონტული ბუნდოვანი ფოტოსურათი.  
სამაგიეროდ, ომის ბევრი დღე კვლავინდებუ-  
რად ნათლად მახსოვს.

ამბობენ, ყველა აღმამიანის ცხოვრება უზი-  
ლავი ბეწვის ხიდზე სიარულიაო. მით უმე-  
ტეს, ეს იოქმის ფრონტულ კაცზე.

ომის წაოჩბეთს ყველა მებრძოლისათვის  
რამდენიმე ბეწვის ხიდი იქვს. აქ უნებლიეთ  
იხადება კითხვა: რამდენ ბეწვის ხიდზე შეი-  
ძლება გათაროს აღმამიანი? ეს ერთნისაა რო-  
დია, ზუსტი პასუხი ადვილად მოიძებნოს. მა-  
ვინს პირველივე ბეწვის ხიდი ჩაუწყდება, მა-  
ვინს ცხრა ბეწვის ხიდი სალ-სალამათი შოი-  
ტოვებს უკან და შეათეზება იღვწება, ზოგიც  
წოჭოხეთურ ეცხლში ოცდაერთ ბეწვის ხიდს  
ისე გაივლის, როგორც იტყვიან, ბეწვი არ შე-  
ვტრსება, ზოგი ოცდაათ ბეწვის ხიდზეც  
ახერხებს გავლას მებრეც... და, ბუნებრივად,  
ვინც ომში ყველა ბეწვის ხიდს გაივლის, მისია  
ბოლოს ბურთი და მოვდანი.

მეც მდამ ბეწვის ხიდზე მოსიარულე ჭა-  
რისკაცი ვაბლდით.

მეც რამდენი ბეწვის ხიდი გავიარე?  
ბევრი, ძალიან ბევრი. ყოველ შემთხვევაში,  
თითოზე არ მეყოფა ჩამოსათვლელად — ზოგი  
ერთზე წერტილი ბეწვის ხიდი დამხვდა, თით-  
ქმის რომ არ ჩანდა, ზოგიც — შედარებით  
მსხვილი. ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაეცა  
ჩემს ახლო-მხლო „დაღლილი ტყვია“, ძალა-  
გამოლეული, ან — ჭურვის თუ ბომბის „და-  
ღლილი ნატეხი“, უკვე გაიფხულები, რამდენ-  
ჯერ ჩამიარა გვერდით სიკვდილში და თვითონ  
მოკვდა ხელმოყარული.

ღმერთმა თუ ეშმაკმა უწყის, რამდენი ხი-  
ლათი მოვიწვლე. რამდენჯერ ეკიდა ჩემი სი-  
ცოცხლე ბეწვის ხიდზე და... გადავჩრდი.

რა იყო ეს, ბედისწერა, თუ?

მოკვდებოდა, ბედისწერა ზოგს სწამს,  
ზოგს — არა. კაცობრიობა აღამისყამდანი თავს  
იმტრევეს ამაზე. სოფოკლეს თუ დეკლარებთ,  
ყველა აღამიანს განენისთანვე შეიბრე ეწე-

რება თავისი ბედისწერა და რამდენიმე უნდა  
ეცადოს, ვერ გაიტყვევ.

მაგანი ფიქრობს, რომ ბედისწერა და ღმე-  
რთი იგივეა. ომში ღმერთი ტენის თოფ-ია-  
რალს და მხოლოდ მან იცის, ვის სად დაუმი-  
ზნოს და როდეს მოახვედროს. მშვიდობიან-  
ბის დროსაც ღმერთი (იგივე ბედისწერა) გა-  
ნაგებს აღამიანს სიკვდილ-სიკვდილის ამბავს.  
ასე რომ, ყველას სიკვდილში ღმერთს (იგივე  
ბედისწერას) ურევია ხელი.

მაგრამ არიან აღამიანები, ღმერთისა და ბე-  
დისწერისა რომ არაფერი სწამთ და ყველა-  
ფერს მარტოოდენ შემთხვევითობას მიაწერენ.

მე არ ვაბიარებ, აქ ჩემი აზრი მოგახსენოთ,  
მხოლოდ იმას ვაგაყნობ ფაქტობრივ-დოკუ-  
მენტურად, სად როგორ გავიარე ბეწვის ხიდ-  
ზე, ხოლო რამ გადამარჩინა, ბედისწერა თუ  
შემთხვევითობა, ამის განსჯა-გარკვევა სტუდენ-  
ტის მიმინდვია.

ყველას ის ომი ახსოვს, თვითონ რომ ნახა,  
რაც საეთარ თავზე გადახდა, რაც ომში  
თვითონ განიცადა. მეც გაიმზობთ იმას, რაც  
იმ ძნელბედობის ეამს ჩემს თავზე აღტრალ-  
და.

არა, მე ეს მარტოოდენ ჩემს პირადულ ამ-  
ბებულ არ მიმანია, რადგან ჩემი ჭარისკაცური  
ცხოვრება ათასთა და ათათასთა ცხოვრებას  
ჰგავდა და, დაწმუნებული ვარ, ჩემს ამბებში  
ბევრი ომგადახდილი თავის თავგადამსავალსაც  
დამახსავს. ყველა ყველა და, თვითონ მეც განა  
ჩემი პირადული ამბების მოსაგვარებლად ვი-  
ყავი ომში? მაშინ მეც ხომ იმ უღელში ვიყავი  
გამბული, საქვეყნო საქმე რომ ჰქვია. ასე  
რომ არ იყოს, ჩემი ნაჯალმარი მუღის დახა-  
რჯვადაც არ ეღირებოდა.

ფრონტული გზა, ფარაჩინი კაცის ცხოვრე-  
ბა, დიდი წიგნია, ერთზეც კი არა, მრავალ-  
ჯერ დასაწერი წიგნი, ზოგჯერ ხელახლა და-  
საწერიც...

და, აი, ფრონტული გზა დასაწერიდ მიყვება  
ომის მრავალ ამბავს, სიკეთისა და ბორბტე-  
ბის ამბავს, ერთგულეებისა და ღალატის ამბავს,  
უნებლიე შეცდომისა და წინამწარგანზრახული  
ავსაქმანობის ამბავს, გმირობისა და ღამ-  
რობის ამბავს... მიყვება დამწერი მანქანების  
ენით, გზაზე მოფრიალე საშტაბო ქაღალდე-  
ბით, დასტერეული ტანკებით და ქვეშევრდით,  
მოკლული აღამიანებითა და ცხენებით, მანქა-  
ნების თვლებგადავილი, გზაზე ლავაშებივით  
დაბრტყლებულ ჭარისკაცთა ცხედრებით, თემ-  
შარაზე დაფრული ცარიელი აკვნებით, ნაცრის-  
ფერი ბურის ლუქებით, ფერფლით, ნახშირით  
და ნაცრით, დაკვერებული სისხლით და ბალ-  
ღამით... ათათასი სხვა რამით...

ამის ყველა დღე რომ აღწეროს, დღე კი არა, თუნდაც წუთი და წამი, რაც ამა თუ იმ ფრონტის ამა თუ იმ პატარა უბანში, პატარა მონაკვეთზე მოხდა, ტომები ვერ დაიტევს. მაგრამ ეს არც არის საჭირო, რამეთუ ცალმს ერთი დღი სიკეთე დაქვეა თავიდან დვრიტად, მის აღწერად წვეთში მთელი ზღვა, მთელი სამყარო ჩანს ხოლმე. მეც ეს მაიმედებს.

ერთიც: იმში რომ ისერიან და ადამიანები ერთმანეთს ხოცავენ, ეს იმანაც ჩინებულად იცის, ვინც იმში არ ყოფილა. ჰოდა, როცა ახლა იმზე ვწერთ, აღბათ, უფრო სხვა რამის ჩვენებას საჭირო. ეს უნდა გვახსოვდეს ყველას.

ომისდროინდელი წვრილმანიც ბევრი გვახსოვრდება და მსხვილმანიც. რამეთუ მაშინდელი შთაბეჭდილება, როცა სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე დგახარ, სულ სხვაა, უფრო სწორად, მეტად მძფვრია. ასიც ფაქტიცაა, რომ სხვაა ომის დროს დანახული ომი და ომი დანახული დიდი ხნის მერე, შორიდან. როცა გონებაში გაიღვლებს ხოლმე ომის ამბები, უფრო მკაფიოდ ჩნდება ცალკეული დეტალები და არა — მასშტაბური ბატალია. აქაც მნიშვნელობა ენიჭება იმას, ომს ვინ იხსენებს, გენერალი თუ რიგითი სალდათი, შტაბში მომუშავე ოფიცერი თუ სანგარში მდგარი მეომარი. სხვაა სიმართლე სანგრის, სხვაა სიმართლე საშტაბო ძელმიწერის თუ საშეთაფრო ბუნქტის...

მე ფრონტის დღი თუ პატარა რუკა არასდროს მჭერია ხელში, არც ოფიცრის პლანშეტი, არც ვინმეს ადრუტანტი თუ შერაიკი ვეროფილვარ, ერთადერთი, როგორც „ეპატუნის“ გუნდის მეთაური, ვიწერდი მარშრუტს, ლაშქრობისას რა გზა უნდა გავყვეო, რა სოფლები თუ ქალაქები. ამასაც შტაბის უფროსი, ოსი ძეგავეი გვყარანახობდა ხოლმე და, ღმერთმა უწეის, რამდენად სწორი იყო მისი ზეპირი ნაყარნახევი ან ჩემი ჩანაწერი. აღბათ, ორივე ვეროფილვით სიზუსტეში, მაგრამ ამას ჩემი მონათხრობისთვის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მე ვანვიზრატებ მხოლოდ ქარისკაცურ ცხოვრების სიძარბოის აღწერა.

მე, ასე ვთქვათ, სანგრის ცაი ვივავი, სანგარიდან კი ბევრი არაფერი ჩანს გარეთ. ქარისკაცმა არ იცის, მისი სანგრის შემოგარენში, თვალსაწიერის მიღმა რა ხდება. ჩასაც მეთაური უბრძანებს, ის უნდა შეასრულოს, თანაც უყოყმანოდ, თუ შეეკამათებო, იქნებ თავიც წაგოს სულაც ტყუილ-უბრალოდ. ამის მაგალითებიც გვიჩაბავს ჩვენივე თეატლი ან გაუვიგონო ფრონტზე.

მთავითვე ვაკბადებ: მე არ შემიძლია, ჩემი ფრონტული ამბების მოყოლისას ზუსტი სიმართლე არ ვთქვა, ან — რაიმე მოვიგონო და

დაემატო, ან — ფაქტი შევალაპარო, თუნდაც იმიტომ, რომ... თითქმის ყველა ჩემი ფრონტულ დღეს ცოცხალი მოწმე მყავდა.

ჩასაც ჩემს თავზე ვიამბობთ, მის სიმართლეს, ვიცო, თვითმხილველი შემიძოწმებენ, ამიტომ მკითხედი შევალაპარების უფლებაც არ მაქვს, ჩათა სიმართლეს ცხოველყოფილობა არ ვუყარავ.

თუ მაგანსა და მაგანს ზოგი რამ დაუჭრებლად მოეჩვენება, ეს მხოლოდ იმის ბრალი იქნება, ცხოვრებაში ზოგჯერ დაუჭრებელი ნამდვილი ამბებიც რომ ხდება, მერე სასწაულებადაც რომ ვნათლავთ. მით უმეტეს, ასეთი, შემდგომში სასწაულოდ მონათლული ამბავი, ბევრი ხდება ფრონტზე.

ომის დროს დღიურებს არ ვწერდი. საიმი-სოდ არც დრო მჭონდა, არც ქალაქი. მაგრამ ფარჯის ჭებში ან საველ ნანთში მუდამ მვეო პატარა წიგნაი, რომელშიც ტელეგრაფის სტილით ვინიშნავდი ჩემი ფრონტული ცხოვრების, ფარჯიანი დღეებისა და წლებების თარიღებს და ზოგ (მაშინდელი ჩემი აზრით) მნიშვნელოვან ამბავს. ის უბის წიგნაი ჩემთან ერთად გადარჩა, შინ ჩამოშვეა და როცა ვფურცლავ, როგორც წვეთში ზღვა ილანდება ხოლმე, მოკლე ჩანაწერთა მიღმა კვლავ ვხედავ იმდროინდელ დღილიმეთა ორომტრალს და რაც მაშინ უბას წიგნაში არ ჩამინიშნავს, სულის სარკვეში კვლავ მიცოცხლებდა. ამიტომაც მოვნათლე ჩემი ფარჯიანი ცხოვრების გზა „მოგონებებით აღდგენილ ფრონტულ დღიურებად“.

აი, მაგალითად, რა მოკლედ აღმინუსხავს უბის წიგნაში სტალინგრადის დღეები: „11 სექტემბერი, გააფთრებული ბრძოლის ცეცხლში...“, „19 ნოემბერი. იერიშზე წასვლა სოფ. პლოდოვიტო, აგანეროვო, ქ. აქსი, კამენკა, ქუტოვო, კოვლოვკა, სამოხინო, ჩილეკოვო, ნეიკოვო...“ „12 დეკემბერი. ჩილეკოვო. მტრის ტანკების შემოტევა. მკაცრი ბრძოლა. ირველიც შეუწყვეტილი ცეცხლი. ბედად გადარჩენა ყველა ქართველის...“

დახ, ჩილეკოვოსთან, იმ ყოჩაღეთური ბრძოლის ქარცეცხლში, როცა გერმანელებმა გარედან მოინდომეს სტალინგრადის აღებაში მოქცეული პულოვის ქარების დახსნა, ჩვენმა დივიზიონმა (მეთოთხმეტე გვარდული პოლკის პირველმა დივიზიონმა) ერთობ ბევრი ხალხი დაყარვა, თითქმის ორი მესამედი, მაგრამ ცეცხლის წინა ხაზზე მყოფი ოთხი ქართველი ქარისკაცი კი — ლევან მახათაძე, ამბროსი გოგობერიშვილი, ქიშვარდი კობახიძე და მე, ბედად გადავრჩით.

დღეობაში მხოლოდ სამი თარიღი მიწერია, მაგრამ ამ სამ თარიღს შუა, ვინ უწყის, ოთხივე ჭარბულშია ჩარისკაცმა რამდენი ბეწვის ზიდი გავიარეთ. ახლა რომ ვიგონებ, მიჭირს აფხნა, რომ გადაგვარინა? ქვეშეცნული ინტუიცია გვშველოდა, ბედისწერა თუ სხვა რამ?...

მაშ ასე, გაუუვეთ ბეწვის ხიდებისკენ მიმავალ ჩემს ფრონტულ გზას

**არჩია, დისანს გზა-კვალნი ავუზინოთი**

პიტლერმა საბჭოთა ქვეყანაზე თევდასახმეულად და ომის დასაწყებდად წლის ყველაზე დიდი დღე და მოკლე ღამე აირჩია, თანაც ცვირა, როცა შრომა-გარჯობა დადილად აღამიანს გულიანად სძინავს, თანაც ზუსტად ის დღე, 129 წლის წინათ ნაპოლუომმა რომ გამოიღა-შქრა რუსეთის დასაწყობად. 1941 წლის 22 ივნისის უშფოთველი, ტაბილდმძინარე ცვირა დილა ჩიტების ევილ-ხივილის, უიკიციისა და გლობის ნაცვლად ქვემეხების გრიალმა, ავტომატების კვანძა, სესტრკიანი ტანკების მებლუბოების შემარხუნვმა ხრკიალმა და თვითმფრინავების გულისგამაწერებელმა ზმეილმა გააღვიძა. თურმე ფაშისტები ბრესტში ისე შეიჭრნენ, იქ ჭერ ეძინათ და... ავტომატები მიძინარე ჩარისკაცებს დაუშინეს. იქ ბევრი ისე დაიღუპა, ვერც გაიგო, საშინელი ომი რომ დაიწყო. ზოგიც ტაბტიდან გაოგნებული წამოვარდა: რა ამბავია, რა მოხდაო, და ვიდრე ნაშინარევი გონს მოვიდოდა და თოფ-თარაღის აღებას მოასწრებდა, ტყვეებით დაკბრიდეს საწოლზევე, ტაბტი ზალდხინად ეძციეს. ბევრიც საზაფხულო ბანაკში იყო წასული და ომმა იქ მოუწერო. ასე მზაკვრულად შემოიჭრა საბჭოეთის მიწა-წყალზე ომის ჯოჯოხეთური ცეცხლი და იმავე დღეს მთელ ქვეყანას თავზარდამცემი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო. ფაზზე დადგა გულაფორია-ქებულ-აგანგამებელი დიდი ქვეყანა.

იმ ომმა მეც ჩამაცვა ფარაჯა და ომში რა იარაღით აღარ მებრძოლა. მაგრამ მე მანამდეც ჩავიდინე ერთი ფრიად საინტერესო გმობობა. ჰოდა, მოგიყვებით ამბავს, მამაცმა ჰაბუტებმა ომის პირველსავე თვეში რა მოხერხებულად აფუზნიეთ გზა-კვალნი ჩვენს სოფელში დესანტად ჩამოსხმულ ფაშისტ დივერსანტებს.

ჩემი სოფელი წესი, ისტორიულად ფეოდალური რაჰის ერისთავთა საბრძანისი, ღამაში

მთების გალავანშია ჩამყდარი. გვერდით რიონი ჩაუღის. მდინარის გაღმურქმურ მთებზე, საფურის (იქ ერისთავები ზეზაძე, ქუციანი, მთებზე ნადირობდნენ) ტუიან-კლდოვან-ალბასტრკიანი ქედი. გამოღმა ხიდიკრის კირქვიანი კლდე მიიგრიბება სვანეთის მთებისკენ. ხიდიკრის კლდეს მხარზე აზის ძველისძველი, ამეჟად იავარ-ქნნილი, უხატოდ დარჩენილი, მგონი წარმართობისდროინდელი სალოცავი — „საელიო“.

ჰოდა, ომი რომ ატყდა, იმ ზაფხულის ერთ უღრუბლო დღეს, ახალ შეღამებულზე, „საელიოს“ ქვემოთ, მიუვალ კლდეში, რაღაც ანთო მამშალასავით, ჩაქრა მალე, ისევე ანთო და ჩაქრა. ასე გამოვარდა რამდენჯერმე.

შეშფოთებული სოფელი ფეხზე დადგა — რა უნდა იყო ისო?

ანაზად ვილაკამ შეამჩნია, რომ „საელიოს“ ფერხობით მამშალის ანთება-ჩაქრბას ასეთივე ნაწვეტ-ნაწვეტი წამიერი ანთება-ჩაქრბობის მონაცვლეობით გაბასტება რიონის გაღმიდან საფურის ქედის მიუვალი კლდოვანი ადგილი და... ამან დააეკვა სოფლელები.

— ალბათ გერმანელებმა დესანტი ჩამოსხეს ჩვენს მთებში და ახლა შექნიშნებით ესაუბრებთან ერთმანეთს. შემოგზავნილი ჯამუშები იქნებიან. — ივარაუდა ფინელებთან ომში დაქრბობა ნაქარისკაცარმა აჯაკი ნატმელაქმე.

— ოძარის მთაში რომ სათიბია ვაკე-მინდორზე, იქ საღვანატო თვითმფრინავს თავისუფლად შეუძლია დაქდობა-აფრენა, ჰოდა, მართლაც რა იცო... ფაშისტები თურმე ომში ათასნარი მამაძალლობას იგონებენ. — ნაქარისკაციარის ვარაუდს სიტყვა შეუყვარჯნა ნასალ-დათარმა კაცმა და სხვის დამოწმება-დასტურს აღარც დაელოდა, თვითონვე დაასკვნა: — ნიღდად დესანტი იქნება. ოძარიდან სოფლის ახლო-მახლო გადმოვიდოდნენ, დიდი გზის სათვალთვალოდ. — ა, ბატონო, დააკვირდით გაღმაყ და გამოღმაყ, შექით ერთმანეთს რა თანმიმდევრულად ანიშნებენ რაღაცას. მორზეს ანანად შექის ციმციმს იყენებენ. კი, ნამდვილად დესანტია — კვერი თვითონვე დაუქრა თავის ნათქვამს.

ხალხი მეტი მონდომებით დააკვირდა. ყველაფერი აღასტურებდა ვარაუდს.

გამოღმა კვლავ ინთებოდა და ქრებოდა ხაბუშ-ხაბუშ რაღაც — ფარანი, მამშალა თუ ჩირაღდანი, გაღმეთიყ ეღვარებით ეპასუხებოდა, რაღაცის ციმციმ-ელვარებით. ორი ცეცხლი თუ შექი გაღმეთ-გამოღმეთიდან ესაუბრებოდა ერთმანეთს მხოლოდ მათთვის გასაგები იღუშალი ვნით.



აფეთფეთდა პანიკის ჭია. მაგრამ იმ ორ შექთან, გაღმა ან გამოღმა ახლო მისვლას უბრალოდ ვინ გაბედავს? ამოდ თავის წაგება ხომ გმირობა არ არის!

— ყველა მონადირეს შეატყობინეთ, იარაღით გამოცხადდეს სოფლის საბჭოში ეს განკარგულება ფინანსებში გასცა.

მერე ერთმა ნაქარხსკაცარმა ასეთი რამეც ივარაუდა: თუ ნამდვილად დესანტი ჩამოსხვს და ისინი უსაბურბოიან შექმის ანთება-ჩაქრობით ერთმანეთს ან რაიმეს ანიშნებენ, შეიძლება შექითვე ხელი შევეშალოთო.

ვღრე შეკრივები მონადირეებს მოძებნიდნენ, მონადირეები კი — თოფებსა და ვაზნებს, სამმა ბიჭმა, როგორც ქაქეთის ციხის ასაღებად ტარიელმა, აეთანიდელმა და ფრიდონმა, ცალკე ვითათბირეთ და გადაეწყვიტეთ, შექმნიშნებით მოსაუბრე იმ ორი, დესანტად ჩამოფრენილი კაცისთვის როგორმე ხელი შეგვეშალა.

— აბა, არაჲ, ბიჭებო, დესანტს ვაპყობ — აღუბნით!

— იღუშალი საუბრის ხელის შესაშლელად და, საერთოდ, ვაპყობის ასაბნევეად, სადმე შესაფრცვეში, ჩვენც ავანთოთ მაშალა და ექნითთ აქეთ-იქით არაფელ-დაარაფელად!

სამივემ საამისოდ, რიონის მახლობლად, ვგრეთწოდებულ ბესიას კართან რომ კონცხია, უძველესი ნაციხარია, ის მივიჩინეთ სტრატეგოლად მნიშვნელოვან პუნქტად.

მაგრამ იქვე დაისვა კითხვა: ვინ არის ყველაზე მამაკო ვაბუჯი, ამ ლამით ნაციხარის კონცხზე აფორთხებას და მაშალის ანთებას რომ გაბედავს?

თანაც ეს ყველაფერი სწრაფად უნდა გაეთდეს, ვღრე ის შაყვრები შექმნიშნებით საუბრებს მოითავებდნენ და ერთმანეთს პაემანზე შეუთანხმდებოან.

ვენჭის ურა არ დაგვიკირვებია, ეს საგმირო საქმე შე ვითავე.

ბიჭებმა მაშინვე მომიბრბინენეს ძველ ყავარი, დავაქუცაყუცეთ და წყირები კონებად შევკარით. ადრე შექორწინებეს ვხუდებოდიოთ ხოლმე ყავრის ასეთი მაშალა-ჩირაღდნებით. ადვილად იცის აბრიალება. ასანთიც შოგიშარავე, დვაკარი ფეხი და პერა!

ნაციხარ კონცხზე გულისხეუქვით აფფორთხდი, რატომღაც ამჟამად კარგა ხანს ვეწვალე და მაშალა ძღოვს ავანთე — სანამ ერთდროულად სამი ღერი ასანთი არ გავკარი და წყირების კონას არ შეუძკვეთე, ცეცხლი ვერ

მოვეკიდე, მერე კი, იცოცხლოთ, აბრიალდა. ჩირაღდანიეთ დაევიკრე და ხან მათელა ამწე-ხან დაემალე, ზოგჯერაც აბრიალდებოდა ვეწვალე.

ათ თუ თხუთმეტ წუთში „საელიოს“ უბანში მოთამაშე შექი ჩაქრა. საფერის მთაზეც შეწყვიტა კლდემ ელვარება.

— ვაშალი — წამოვიძახე გულში გამარჯვებით გახარებულმა.

რაც მედესანტეთა პაემანი ჩეშალე, მეც ჩაეაქრე ჩირაღდანი, კონცხიდან ფხაწა-ფხუწით დაეშვი და სოფლის შეაგულისკენ გავერტე.

იქ კი, ჩემდა გასაკვირად, უფრო საშინლად შეშფოთებულ-ავიშვიშებული ხალხი დამხვდა, თითქმის ყველაუბნელი.

— დედა დედა! — ვიშვიშებდა ერთი. — მართლა ვაშეშები ჩამოსხამთ! მესამე შედესანტე, ბესიას კართან რომ ნაციხარია, იმ კონცხზე ჩასაფრებულა, ორი დანარჩენისთვის რაღაც უნიშნებია, სიბნელეში გააპრულა და ახლა, ვეშამა იცის, სამივე რას აპირებს.

— ვითომ ნამდვილია ეს ამბავი?

— ყველაფერი ჩვენი თვალით რომ არ დაგვენახა, არც ჩვენ დაეიყვრებოდიო.

ხალხი რომ დამეშვიდ-დამეწყყარებია, მაშინვე სიშართლის თქმა ვამჯობინე: ნაციხარზე შე ვიყავი-მეოქი.

— როგორ თუ შენ იყავი?! — ერთდროულად გააკვირვა რამდენიმემ.

— ჩვეულებრივ, მე ავფორთხდი კლდეზე.

— მაშალასაც შენ იქნევდი?

— კი. იქ ჩემს მეტი არავინ ყოფილა. ბიჭებმა გადაეწყვიტეთ, შედესანტეებს ხელს შევეშლოთ-მეოქი და... ა, ორი მოწმეც მყავს.

ამან სულ დააბნია სოფელი.

კიდევ კარგა, მონადირეებმა მოსვლა რაქულად დააგვიანეს, თორემ იქნებ პირველი იერიში ნაციხარის კონცხზე მიეტანათ, სიბნელეში სრალა აეტებათ და... იშლამინდელი ჩემი „გმირობის“ ამბავი ველარაყის მოფფოლა. ომის ღროს ასეთი გაუგებრობა სულაც არ იყო გამორიცხული.

ზაფხულის მოკლე დამემ მოინელა აწრიალებული სოფლის შფოთი და დავიდარაბა. ბეჭის გაუტყდა ძილი. ნაციხართან აბრიალებული ცეცხლის ამბავი კი გაირკვა, მაგრამ ის ორი შექმნიშანი რაღა ჟანდაბა იყო? იქნებ ნაციხარზე ანთებულმა მაშალამ მართლაც შეუშალა ხელი და... იმიტომ ჩაქარნო?! ბეჭის ისევ ეგონა, სოფლის ირგვლივ დესანტი დამრწისო.



დილით კი სოფელში გაეცირებოდა პირი და-  
ლო.

გავიგეთ, რომ ყველაფერი თურმე შელიას  
ბრალი ყოფილა. ერთ ზემოთხუნულ მწყემსს  
ბიჭს შეუმჩნევია, რომ ხილიყარის კლდეები-  
დან ნატმელაძეების ეზაში მოკუნძულებს  
ხოლმე და ქათამებს ეზარავს მოზრდილი შვლა.  
შერე იმისთვისაც მოუტარავს თვალი, რომ ამ  
შვლას სორა-ბუნაგი კლდის ნაპრალებში ჰქონია  
და ვინაიდან იქ ახლო მისვლა ვერ მოუხერ-  
ხებია, უფიქრია, კლდის ნაპრალებში ამოსულ  
და ჩამხმარ ბალახს, თოშას და ვაიწყურას,  
ციცხლს წაუთქვამს, თს ციცილი, იმედია, იმ  
ბუნაგადმეც მიაღწევს და შვლა-კუდაგარძელის  
თავის „სასახლეშივე“ ამოგუდავს, არადა, თუ  
ციცხლს გამოუტყავს, თოფმომარყვებული ბი-  
ლიკზე დაეხვდება და სულს გააუცხებიანებო.  
არ გამოთლება მწყემს-ბიჭს ვარაუდი. ნაპ-  
რალებში რომ ციცილი გაჩენილა, შვლა ბუ-  
ნაგიდან ისე გაქცეულა, ბიჭს საროლა ვერ მო-  
უხერხია. ციცილია კი თურმე ადრინდელივე  
კლდის ზვრელებსა და ნაპრალებში ძროხიანი  
განაგრო. ბუჩქა-ბუჩქა ამოსულ და კლდეებში  
ნადრევედ ჩამხმარ ბალახს ხაშუ-ხაშუ ედებ-  
ბოდა და კარგა ხანსაც გაძლო. შეძვრებოდა  
და გამოძვრებოდა კლდის ნაპრალებში ციცილი,  
გარბი-გამოგრობოდა, ზოგჯერ უკანაც ბრუნდებ-  
ოდა. მწყემსი ბიჭი კი კარგა ხანს ამ სეირსაც  
უყურებდა.

ვიღრე არ შევინდდა, ციცილის ამგვარ თა-  
მასს ვერაფერ ამჩნევდა, მწუხრში კი უცებ  
დაინახა სოფელში. ამ ციცილის შუქის ათი-  
ნათს ჩაიხედავს, საფურის ქედზე, აღიზახტრის  
ქვა-პიტალო სატყეისაგან ირეკლავდა და... მო-  
გახსენებთ, შიშს რა დიდი თვალები აქვს,  
მით უმეტეს, მაშინ, როდესაც მტრის შხაყ-  
რულ ხრიკებზე ათასი რამ გმჩინია უკვე, როცა  
გაზეთებიც წამდაუწუმ იფორებენ: მტერი  
ვერავია, ეშმაკია და ყველას. მეტი სიფხიზლე  
გემართებოს, როცა ომი და ყველგან მტრის  
ხრიკები გელანდება, როდესაც არ იცი, თავ-  
დაშხმებული როდის და საიდან წამოგადგება  
თავს.

აწროილებულ-აგანგაშებული მთელი სოფელი  
რომ ფხიზლობდა, ბალახისთვის ციცილისწამ-  
კიდებულ იმ ბიჭს თურმე არხვინად ეძინა შინ და  
ხელმოკარული მონადირე ტყილ სოზრგებს  
ხედავდა, გმირულ საქმეებს ჩადიოდა.

იმდამინდელი „სიფხიზლის მომწოდებლებმა“  
ახლა უკვე ისიც აღიარეს, რომ ოძარაში, სა-  
თიხავე პატარა ვაკეზე თავიკ კლდს ვერ მოი-  
ქნევს და თვითმფრინავი როგორც დაფდებოდა  
ან შედესანტეთა ასეთი აშკარა მტრული საქ-  
ციელი რამ გვაფიქრებინა, ვინა მტერი ასე  
უცურ, გულუბრყვილო და სულელიაო!

იმდამინდელი „გმირობის“ ჩამდენი ბიჭები  
სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ამლისტრატ (პაკი-  
კო) გამყრელითემ დაგვიბარა დილო. გულ-

წრფელად ვეთხარით, რა მიზნითაც ვინათვე  
ნაიხიარ კონცხზე ყავრის მუხებზე დაგვიყურა,  
მაგრამ მაინც გვისაყვედრებდა: „სიფხიზლის“ შე-  
უთანხმებლად ასე არ უნდა მოქცეულიყავით,  
ხომ ხედავთ, სოფელი რა დღეში ჩააგდეთ, პა-  
ნიკა კიდევ უფრო გაუღვივებთ.

საყვედური კი „შევირგეთ“, მაგრამ... აბა,  
რა ჩვენი ბრალი იყო, ომში ასეთი გადაშეტე-  
ბული „სიფხიზლე“ რომ გვასწავლა და იმ  
„სიფხიზლემ“ კი დაეიდარაბაში გაგვხვია?

ვინა თვითონ ტაკიკომაც იმავე „სიფხიზლის“  
წყალობით არ გაამტყუნა ჩვენი საქციელი:  
ამერიდან მაინც ნუ მოიქცევით დაუკვირებ-  
ლად, თორემ ვათუე პანიკორებლად მოინათ-  
ლოთ და... მწარდაც დაისაქოთო!

ასე იყო თუ ისე, ომის დასაწყისში მთელ  
სოფელს შიში აკმა იმ მსუნამმა შელავდამ  
და ბევრს მთელი ღამე თეთრად გაათენებინა,  
მეც არ ჩამავლო კარგ დღეში, კინაღამ პანი-  
კორად მომხილლა. გმირობის ჩადენა შეწყა-  
და და ამ ჩემს უნებლიე „გმირობას“ კინაღამ ვე-  
მსხვერპლედ სულ ტყუილებრალოდ. იმ წყე-  
ულშია შელავდამ არა მარტო ზემოწესელთა  
ქათამ-ვირები, მეც კინაღამ მომიწვია.

ომის დროს ფაშისტმა მხეცეებმა იმდენი და-  
მე გაგვაცხიხინეს შფოთითა და დაეიდარაბით,  
იმ ერთ მსუნაგე მელისა თინი და მასთან და-  
კავშირებული ამბავი თითქოს რა გასახსენებე-  
ლი იყო დღეს, მაგრამ ესეც ომთან დაკავში-  
რებულ ნიშანდობლივ მოვლენად მივიჩნეე და  
ამიტომ მხოვეყვეით. არ არსებობს ტრაგედია,  
რომელსაც რაღაც კომიკური, რაღაც სასაცი-  
ლოც არ ახლდეს.

ერთი: ეს ამბავი იმაზეც მეტყველებს, რა  
გულუბრყვილონი ვიყავით სოფლელი ბიჭები  
მაშინ, მაგრამ ამავე დროს უშიშარნიც.

**არ დასწყავლო, ვილიო!**

ომი რომ დაიწყო, ჩემი უფროსი ძმა, ვა-  
სილი, კადრის ჯარისკაცი გახლდათ სწორედ  
დასავლეთის საზღვართან ახლოს. მალე გაიწ-  
ვიეს ჯარში მამაჩემი ისმაილიც. მაშინ გამო-  
ვაქვეყნე ამბროლაურის რაიონულ გაზეთში  
„გომიწინარი“ ერთკა იმ დროს) ლექსი, რო-  
მელშიც ასეთი სტრიქონები იყო:

... მამა ჯარში მყავს, ძმა ფრონტზე,  
მეც იქით მივეჩქარებო,  
რომ შევეშტებოთ ვერაგ მტერს ბოროტი  
გულის კარები...

1942 წლის 21 იანვარია. სამხედრო კომისი-  
რიატში გამომიძახეს და მკითხეს, ხომ არა-  
ფერი გტყავია. სტამბოლის კეთილთა ვარ-მე-  
თქი, მიუხედავ. ასეც რომ არ ყოფილიყო, მაინც  
არ გაეამხელდი, რამე მაწუხებს-მეთქი და ჯა-  
რში უაქველად წავიდოდი. არ წამიყვანეს,  
თორემ ომის დაწყებისთანავე მოხალისედ მი-  
ნდოდა წასვლა.

25 იანვარი. ამ დღეებში თოვდა და თოვდა ხევირვალად, გზები შეიკრა. ავტომობილით მგზავრობაზე ფიქრიც ზედმეტია. წვევაა მდღეები ამბროსოლორიდან ტყიბულში, მატარებლის სადგურამდე, ფეხით უნდა გადავიდეთ ნაშენ-რალას მთით. ორმოცდაათამდე კილომეტრია, მაგრამ თითქმის სულ უკვლევ თოვლში სავალი.

ამას ისიც დავამატა, გზას რომ დავაფიქვით, ქარბუქი ატვლდა. სათვალბილევითი თეთრ კორიანტელში გაუხვია, რივიანად ვერც გზას ვხედავდით, ვერც ერთმანეთს, მაგრამ ერთ წვევაა მდღესაც არ დასცდენია: დაბზრუნდეთ, გამოადარებთს დავუცადოთ და მერე გავეტოოთ.

ბიჭები გზას გამაწრულად მიჰყვებიან. თითქმის ყველას ზურგანათა ჰკლია, ზორაგით გატენილი. ზოგი ნასვამია და დარდიმანდლად მღერის, ზოგიც ჩაფიქრებული მიხიბვება.

ვითომ დაიქცევა ქვეყანა, ამ კორიანტელაინი გზიდან უკან რომ გაბზრუნდეთ, გამოადარებთს დავულოდეთ და მერე შევევლით თოვლიან გზას! იქნებ დაიქცეს კიდეცაც. ასე გვქმის: ამგამად ომია და ყველა დღე ყოველი წუთი გამოზომილი და მნიშვნელოვანია ვერაგ მტერზე ჩვენი გამარჯვებისათვის. რაკი გვიბზრებს, ჭარში დღეს უნდა წახვიდეთო, დაყოვნება ყოვლად შეუძლებელია, შეფერება დალატს უდრის, უსიკვდილოდ დღესვე უნდა გადავლახოთ ნაქვრალას თოვლიან-ქარბუქიანი გზა...

გზა არ ჩანს მაგრამ მიიწე გზა! ასეა ამგამად საჭირო მუხთალ მტერთან შეოპარი ქვეყნისათვის... ამ ფიქრით მივაბიჭებთ თვალისამხვევ თოვლის კორიანტელში კაბუტეებს და ცირტა უფროსებიც. ომს მკაცრი კანონები აქვს და არ უნდა დავარღუდოთ, თუ გამარჯვება გვწალია. ასე გვჯერა და ამ რწმენას კი ქვეყნის წინაშე მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა გვიწერავს სულში. თითქმის ამგამად მარტოოდენ ჩვენ გვაბარია მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი, მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული ყველაფერი. ჩვენ თუ აქ თუნდაც ერთ დღეს დავყოვნდებით, ქვეყნის მთლიან ორგანიზმში თითქმის რაღაც მოიშლება და შესაძლოა, სწორედ ამის გამო გვაჯობოს მომხმურაში მხაკვარბა მტერმა და სამარცხვინოდ დავმარცხდეთ. ამიტომ, მიუხედავად ავი ტარისათვისა, წინ, ბიჭებო არც თვალისამხვევ კორიანტელს ვეპუებით, არც სხვა რამეს, გზას ძლივს ვაგნებთ და მიიწე მივაბიჭებთ. თოვლს მკერდით მივიარდევთ და მივიწევთ წინ. ბარიდან მთისკენ მივდივართ, სადაც ალბათ უფრო თოვაწყვეტილი ქარბორბალაც მქონეიარებს. ერთმანეთს ვამხნევებთ ხოლმე შეძახილებით...

ო, ეს ვანააღა თუთრად, იქიატა, მერე ისევე თოვლმა შეგვსუღრა, მერე ისევე ოდნეე გამოიღარა, მერე კვლავ აქარბუქდა... თითქმის იმედო და უიმედობა ერთმანეთს ებრძვიანო...

სოფელ ხოტევს რომ მივეპოლოდით, მისახვევში შეახინს ქალი და მტყუნი წყევს ზეგო შემოგვხედენ. ეტყობოდა, უმეტესად მტყუნი. ჩემს წინ მიმავალი შექვიფიანებული მაღალი ბიჭი გოგოს დარდიმანდლად გადაუდგა წინ. გოგომ წვევაა მდღეი ნაენობად ვერ აღიქვა, შეცბა და მონუსხულივით გახვედა. ბიჭმა არც აცია, არც აცხელა, ერთი გემრიელად შეუძახა: შენს წითელვამლა ლოყებს ვენაცვალეო, მოულოდნელად გადაიხვია და აკოცა... შეუტრახმყოფელი უხეშობით აკოცა.

გოგო კატასავით გაუსხლტა და უცალოვ თოვლში გადახტა ბილიკიდან.

— ოჰ, შენ არ!... — მხოლოდ ამის ამოძახება მოასწრო თვალმავალა გოგომ, დედამ მაშინვე პირზე დააფარა ხელ.

— არ დასწყველო, ბრძო, არ დასწყველო, ომში მიდის აღამიანდ... სიმთვრალით მოუვიდა... რა უშავს, თუნდაც მას უკოცინია...

ენაზე წვევაა შეტეხილმა გოგომ ახლა თვითონ იტაცა პირზე ხელი.

თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ბიჭი ამ წამსვე მოეგო გონს, მიხვდა, თავხედურად მოვიქცეო, შეტრიალდა და სხვების გაცვალულ თოვლიან ბილივს თავჩაქინდრული გაუფვა.

პო, ასე იყო: ამ წამში იგუშმანა დედამ: ომში მიმავალი ბიჭისთვის იქნება ეს კოცნა პირველი და უკანასკნელი იყოსო და... შეიღს არ დააწყველინა.

პო, ასე იყო: ომში მიმავალ აღამიანს წვევლას არავინ ატანდა, ლოყვას კი — ყველა ლოყვა მიიწე ლოყვა იყო, იგი მუდამ იმედად მიჰყვებოდა ომში მიმავალ აღამიანს, მიჰყვებოდა და ხშირად უბოროტად ცივი სანჯარს, იღუმელი რწმენით ამხნევებდა ფარაიანი კაცს. ჩვენს გამარჯვებაში ამ ლოყვას მადლიც ერიო.

შე ახლაც ვხედავ ქარბუქში მიმავალ იმ ბიჭებს — ომში მიდიან ახლადულვაშაქვილებული ბიჭები.

— რა მოგივიდა, ვაჯაკო, აქიოდა, ჭარში მივდივართ, ქვეყნიერება მარტო შენი გგონია? — უსაყვედურა დარდიმანდ მაღალ ბიჭს დავით მომცემლიძემ, რომელიც რაიგაზეთის რედაქციიდან წამოიყვანეს ჭარში.

მაღალ-მაღალმა ბიჭმა, თითქმის გამოცვალესო, ასე ამოიოხრა, გული ამოიატანა:

— ეჰ, იქნება მტტი კოცნა არც შედიხარს...

გულზე მომხვდა მონანიე კაბუტის სიტყვა, დამაფიქრა კიდეცაც. მე ვერც ცხრაშეტი წლისაც არა ვარ, უმრავლესობა აქ ჩემი კბილია. ბუერს ალბათ, ერთხელაც არ უკოცნია გოგოსთვის. ომი რისი ომია, თუ ყველას დამა...



რუნებს შინ ზოგი მართლა ისე მოკვდება, ვერც ელისება გოგოს კოცნას...

უცნობო ქალიშვილო და უცნობო დედაც, რა ქარგია, ასე სულგრძელად რომ აპატიეთ ომში მიმავალ ქაბუქს თავებედური კოცნა... ეგების მართლაც...

ომში მიღიან ბიჭები, ფარაჯა კი ჯერ არავის აცვია. არაფერს იცის, ვის რა ბედი ეწვეა, როდემდე გაგრძელდება ეს ომი, ვინ გაივლის ომს ბოლომდე საღ-საღამათი, ვინ კიდევ — ომში შესვლის პირველსავე დაღეს თავის გულში ვაყიებს ტყუილს, ვინ გახდება გმირი, ვინ ილაჩრებს... მაგანი აქ რომ მამლაფინწაობს, ეგების ფრონტზე გასვლისთანვე ჩაისვაროს, ან — აქ რომ თავჩაქინდრული მიდის, რომ გგონია, ჩიტს ვერ გააღვიძებსო, ფრონტზე ისეთი რიხი და ფხა გამოიჩინოს, დუნია ამბავსაც. იმ მაღალმა ბიჭმა, გოგოს თავებედურად რომ აკოცა, იქნებ ომში ისე გაფიქიზდეს, შინ გამარჯვებით დაბრუნებული ველირავინ იცნოს? ანდა, იქნებ ამ დაძლიანდ ბიჭს, ამ ერთადერთი კოცნის „მიტევებულ-შენდობილი კოცნა“ გაყვეს მხოლოდ საიჭიოში, გოგოს შეტი კოცნა აღარც ელისოს...

ვინ იცის, ვინ იცის, ათასი და ათასი ვინ იცის...

ახლა კი თოვლში მიაბიჭებენ ბიჭები. ნიკორშინდაში ისე იმლაგრა ქარბუქმა, ნაშქარში გაგაბა აყველა. დავებრმადი, ველარაფერს ჰებდავდი. ომში მიმავალ ბიჭებს აქვე დაუბირა ნაშქარმა დამარბჯა. რაყი ქარბუქმა წინ აღარ გაგვიშვა, სადაც სინათლე დავლანდეთ, იქით ავიღეთ გეზო... სინათლისაყენ გავეშურეთ... გავეშურეთ-მეთქი, ვამბობ, თორემ როცა თოვლიდან ამომშერალი ისევ თოვლში ვარდები, განა ამას გავეშურე ქვეაქ? როგორც იქნა, მივადღწიეთ სინათლემდე. ეს კოლმეტურნობის კანტორა გამოდგა... ერთმონეთს მივებურხლეთ. ქარბუქიანი ღამე იქ გავათიეთ რის ვაივაგლახით და ძაღლის ალიონზე ავლავ შევეკიდეთ თოვლიან გზას.

თოვლი და თოვლი გზას ვარაუდით ვაგნებთ.

ხარისთვალს დღქანი ღვთის წყალობად დავგებდა. ცხელ წვნიანს შევექიციით ხარბად, ღვინო-არყით შევხურდი და... ისევ გზა უგზო გზა მივტოპავთ თოვლში. ნაქვრალას ქედზე თოვლი ყვალამდე გავწედა, მაინც მივარღვეთ. ტყიანი ფერდობით დავეშვიტ ტყიბულისაყენ. იქ უკვე გზა და შეიძლება თავისუფლად ნაბიჯის გადადგმა. ყველანი მთლიანად თოვლში ვართ ამოგანგლულები. ქალაქში მაინც უფრო თბილა. აი, სადგურიც. ჩავუსწირათ მატარებელს. ერთი ჩვეუთი ჩვენზე ადრე ჩასულა ტყიბულში. შაორის ველზე კინაღამ ჩამჩაჩქვლიან, შავრამ უმარჩვნიათ.

ვაყოფთ, ჩვენ ვაყოფთ იმ თვალისამხევე ქარბორბალასაც და ველამდე სარღვევ თოვ-

ლიან გზასაც... ქარბუქიან და თოვლთან ბრძოლა მოვივით...

როდესაც ადამიანს მოკვდება, მისი პასუხისმგებლობის გრძნობა გამაფრთხილებელი აქვს, ეტყობა, ყოველნაირ დამარკოლებას გადალახავს ზოლზე.

ტყიბულიდან მატარებელმა ქუთაისში ჩავვიყვანა.

ჩოჩინის სადგურზე წვევამდელთა ახალი დიდი ჩვეუთი დავგებდა, — დასაუღეთ საქართველოს რაიონებიდან, ზღვისპირეთიდან ჩამოყვანილი.

აი, სადგურის ბაქანზე ცეკვა-თამაში გაჩაღდა. საოცარი გაბელებით ცეკვავს ერთი პირბმელი ბიჭი, კეთანდარა, სიფრიფანა გრძელი ცხვირი რომ აქვს და ოქროს კბილს აელეებს ცეკვავს და სიმღერასაც თვითონ დასძახის ზოლზე: „ატლარ ჩომა თემურ ფაშაო“. ცეკვავს და ცეკვავს, თითქმის რაღაცას გაუმწარებიაო, ისეთი გაბელებით...

ჩოჩინის სადგურის ხსენებაზე მე მუდამ იმ წვევამდელის ცეკვა მაგონდება, გამწარებული ცეკვა.

მოგვიანებით გავიგე იმ მოცეკვავის გვარი — ჩახუა იყო. სახელი კი, ეჰ, სახელი დროცემის ქარმა წამართვა...

მერე ჩვენი ეშელონიც იმ ჩაჩუასებური გამწარებული ცეკვით გაეშურა ჩოჩინის სადგურიდან თბილისისაყენ.

რკინიგზის გასწვრივ ბოძები ჯარისკაცებივით სადაღე გარბოდნენ.

იანვრის ცივი მზე სადაღე ღრუბლებში იყო მიმაღული. მზე ქვეყნიერებას ვერ ჰედავდა.

**ნახტომი გოგონათიდან სამოთხეში**

1942 წელი. იანვრის ბოლო დღეები. წვევამდელები მატარებლით თბილისში ჩამოგვიყვანეს და სადგურიდანვე გოგირდის აბანოებში გვაკრევიენეს თავი. აბანოებიდან ნავთლულში წავვრეიეს და ე. წ. „ყაზარმაში“ მოგვათავსეს. დასაუღეთ საქართველოდან ჩამოყვანილ წვევამდელებს აქ შემოგვიერთდნენ აღმოსაუღეთ საქართველოდან ჩარნი გამოწეული ბიჭები, უმოავრესად კახელები.

ჯარში გამოწვევის წინა დღეებში დაბამული ქურთუკები („ტოლოგარეიები“) მოგვეიდეს. მე პალტო არ მქონდა და ამ ქურთუკით გამოვემგზავრე. წინდები, დაბალყელაინი წალები და ბამბის თბელი სვიტრი („ფუფაია“) შევიც, კაყარდიანი ქუდი მეხურა. უმრავლესობა კი კარგად იყო სამგზავროდ მომზადებული, თბილი პალტო ეცვა, თბილი ქუდი ეხურა, ბევრს საგზალიც ბლომად მქონდა წამოღებული.

ნავთლულის ე. წ. „ყაზარმასთან“ ჰვიდიდნენ შალის ძაღვი შინაქსოვ ჩაფხუტებს („შლიომებს“). ბიჭები თავისა და პირისამხევე რომ ჩამომტამდნენ, თვალებილა უჩინდათ. ჩაფხუტს



მხოლოდ სათვალე ტუტურტანები ჰქონდა ღი-  
 ალ დატოვებული. იგი მთლიანად ფარავდა  
 კისერს, მხრებსა და გულსპირზეც ეფინებოდა.  
 ეს თავზე ჩამოსაცმელი ჩაღაცინარად ჰგავდა  
 ძველ მეომართა რკინის ჩაღებებს (წვირილი შა-  
 ვთელის ძაფებით რომ ქსოვდნენ ან შავთუ-  
 ლის წვირილი რგოლებით რომ იყო მოქსო-  
 ვილი, წყრილობისა რომ ეძახდნენ), ჰგავდა  
 თეთრ ნიღბსაც. ბევრმა შეიძინა ეს ჩაღებ-  
 ტი, მგონი, რუსეთში მიყვავართ, იქ შავარი  
 სიცივე იცის და ყინვა-ყინებთში გამოგვადგე-  
 ბათ. მე ვერ ვიცი (მართალია, ცოტაოდენი  
 ფულიც თქვენი მემო ჰქონდა — ჯარში წამოსვლა-  
 მდე თბილისში, ამის შემდეგ ჩინებ შევიდეთ თო-  
 ლში ვიმშვიდე საში თვე და როგორც წვეკამ-  
 დელს ორი კვირის ხელფასი დამატებითაც  
 მომცეს, აგრეთვე რადიოში ორი ლექსი წი-  
 მაითხეს, პონორარიც მაშინვე გამომიწერეს  
 და ეს ფული წამომყვა შინიდან, მაგრამ ჩაფ-  
 ხუტისთვის ვერ გავიშვებ, ჩინებ შევდივარ უფ-  
 რი თემპირი-მეთქი). აქვე ჩინდამინ ვაღი-  
 არებ, ვინც ჩაღებტი არ იყიდა, მერე ინანა,  
 ეშელონიდან გარეთ გამოსვლა უძირდა.

მიწებობის გამო. წვეკამდებები დიდ-დიდ  
 ჭკუფებად დაგვყვეს და საღვურზე წაგვიყვა-  
 ნეს. კარგა ხანს გვლოდინეს და როგორც  
 იქნა, ჩამოგვა ეშელონი. პულმანის სისტემის  
 დიდკარიანი საბარგო ვაგონების წინ დაგვი-  
 ყენეს. ასეთ ვაგონებს (სატვირთოს) თბილ-  
 ანასაც („ტემპლშას“) ეძახიან. ამგვარი ვაგო-  
 ნებით პირუტყვიც ვადაყვით ზოლზე.

მგონი, ორმოცდაათ-ორმოცდაათი კაცი შე-  
 გვიყვანეს თითო ვაგონში. კარის მარჯვნივ  
 და მარცხნივ, გაუშალაშინებელი ფიცრებით  
 მოწყობილი იყო ორსართულიანი ტახტები.  
 ქვედა ფიცარნაგი ოდნე წამოგრძელებული  
 იყო, ზემო სართულზე ასვლელს ზედ ფეხი  
 მარჯვედ რომ დაედგა. ტახტები თავიდანვე  
 გაგვინაწილეს, თითოეულზე თორმეტი-ცამეტი  
 კაცი უნდა დაწოლიყო. ჯერ ფარაჯაოსტყე-  
 ლი ჯარისკაცები შიშველ ფიცარნაგზე დაეყა-  
 რნენ, შინიდან ვისაც რა ზანთა მოქონდა, ბა-  
 ლიშად დაიდო.

ეშელონი თბილისიდან აღმოსავლეთისაკენ  
 დაიძრა, თითქოს თბილისიდან წასვლა ეზარე-  
 ბათ. საღ მივდიოდით, ამას ჩვენ არავინ ვვიმ-  
 ხედდა.

ჩაკედით ბაქოში. ზოგს ეგონა, იქ ვაღმოგ-  
 ესამდნენ, მაგრამ გაგვაფრთხილეს, ეშელონი-  
 დან ფეხი არავინ გადმოდგასო. კვლავ დაიძრა  
 მატარებელი. ბიჭებს ეცნაურათ ის ადგილები,  
 რა გზითაც ბაქოში შევიდით, და ატყდა ზრ-  
 რჩელი, მგონი, ასევე თბილისში გვაბრუნებ-  
 ნო. ამ იმედით დავიძინეთ და... გაღვიძებუ-  
 ლებმა თავი მახაყალაში ამოვყავით. მაშინდა  
 გავიფეთ, რომ თბილისიდან და მახაყალიდან  
 მომავალი რკინიგზის ხაზები გარკვეულ მანძი-

ლზე ბაქოსთან მიახლოებისას ერთდებოდა.  
 ეტყობა, ამან გვაცოუნა, რომ გვეყვებოდა, თბი-  
 ლისში გვაბრუნებდნენ.

ეშელონი საშობად გრძელი იყო. მშვენიერ  
 ვაგონში თითო ლემული იდგა. ნახშირი ხშირად  
 არ გვეძლეოდა და ვაგონებში სასტკივალ ცო-  
 ლდა, განსაკუთრებით, როცა კავასია უკან  
 მოვიტოვებთ და რუსული ზამთრის ცივი და  
 თეთრი ერთფეროვნება უსაშველოდ გავრბე-  
 ლდა.

სამიოდეჯერ ბედმა გავგილიმა და შემა მო-  
 ვინადირა. აქ ნაყახი არ გვექონდა და შეშას  
 ხან სახანძროს დეფაზე დამატებული წერაქ-  
 ვით ეჩხვადით, ხანაც ძალაყინით.

ვაგონებს ტუტურტან-ხერგლები ბლომად  
 უჩანდა. იდამიანთა ნასუნთქი ამ ხერგულ-ტუტ-  
 რტანებისკენ რომ მიიწევდა, იყინებოდა და  
 ხერგულ-ტუტურტანებს გმანავდა, მაგრამ ეს ვე-  
 რაფერი შედგავით იყო. ვაგონის კედელში  
 პატარა სარკმელი იყო გამოჭრილი. ისიც გა-  
 იყინა მთლიანად.

მართალია, ჯერ ჯარისკაცურად არ გვეცვა  
 და გვეხურა, მაგრამ უკვე ჯარისკაცები გვერ-  
 ქვა და შიშველ ცოც ტახტებზე მიყრილი „სა-  
 მოქალაქო ტანსაცმელიანი ჯარისკაცი“ ერთ-  
 მანეთს ვაბობდით. ვაგონებში ასე თუ ისე  
 აღამიანთა სუნი ტრიალებდა. ლამ-ლამობით მძი-  
 ნარე აღამიანთა სუნით იყო გაყვნილი მთე-  
 ლი ვაგონი. რაკი ლემული უმოაერესდა ნახ-  
 შირით ინებოდა, ვაგონში ნახშირის მკვეთრი  
 სუნიც იდგა. განიავება მხოლოდ ცოტაწინ  
 შევიღოდა. ცივი ზამთარი იდგა და კარს იშვი-  
 ათად ვაღებდით.

ვაგონის შუაში დარბულა კარი, გორგოლა-  
 ჰებზე შემდგარი, ხშირად იყინებოდა, ამი-  
 ტომ, საჭიროების შემთხვევაში, ძლივს იღებ-  
 იხურებოდა, თანაც გულსგამაფრთხილებელი  
 ხრიალით, თითქოს ვიღაცას ახრჩობდნო.

ვაგონს ერთსაფეხურიანი რკინის კიბე ეკი-  
 და. ეს მხოლოდ ამოსვლისას გვექონებოდა,  
 ჩასვლის დროს ადვილად ვბტებოდით ძირს.

თუ ეშელონი დიდხანს იდგა, შეხლის გასა-  
 შველად ვაგონების გასწვრივ გაერბი-გამოე-  
 რბოდით.

თუმცა სიცივეში არცთუ ისე ხშირად გვეყუ-  
 რდებოდა, წყალი მაინც გვინდოდა, რომ მშრ-  
 ლი ლექმა დაგვესველებინა. საღვურებზე ცხე-  
შანდობლივ ტენდენციათა ანალიზის დროს  
არაერთხელ მიუქცევიათ ყურადღება იმ ძიებე-  
ბისა და სიახლეებისათვის, რითაც მკაფიოდ  
ხსიათდება პოეტთა ერთი საკმაოდ მნიშვნე-  
ლოვანი ნაწილის შემოქმედება. წინამდებარე  
წერილში შევეცდებით გამოვეყოთ ამ ძიებათა  
რამდენიმე საფულისხმოდ თავისებურება, აშკა-  
რად გამოვეთილო ნიშნებად რომ გამოვლინდა  
ბოლო პერიოდის ქართულ პოეზიაში.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გვინდა  
გავამახვილოთ ქართული ლექსის წიაღში მიმ-  
დინარე ვერსიფიკაციული და ტანტული ჩარ-  
ჩობების მსხვრევის პროცესზე, რის შედეგადაც  
ზოგიერთი პოეტი მკვეთრად გაემიჯნა და და-  
უპირისპირდა კლასიკურ ეროვნულ პოეტურ  
ფორმებს და ფაქტობრივად წაიშალა ზღვარი  
პოეზიასა და პროზას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხებზე ხე-  
რი თქმულა და დაწერილა, მრავალი რამ ქერ-  
კიდევ გასარკვევი და დასაზუსტებელია; მით  
უფრო, რომ საქმე გვაქვს ცოცხალ ლიტერა-  
ტურულ პროცესთან, რომლის საღრმეშიც გა-  
ნუწყებულად მიმდინარეობს ძიება ახალ გამო-  
მსახველობით საშუალებათა შიგნებისათვის.

ნო-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართულ  
ლექსის განახლების პროცესი ყველაზე მეტად  
ვერსიფიკაციას შეეხო. აქ, პირველ ყოვლისა,  
მხედველობაში გვაქვს ვერლიბრის ანუ თავი-  
სუფალი ლექსის დასამკვიდრებლად დახარჯუ-  
ლი ენერგია. მიუხედავად იმისა, რომ ვერ-  
ლიბრის ჩვენში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიუ-  
ლი წინამძღვარები მოეპოვება, ამ საღე-  
ქსო ფორმას ლიტერატურული საზოგადოების  
ერთი ნაწილი (როგორც მკითხველები, ასევე  
პოეტებიც) ეროვნული პოეზიისათვის მიუღებ-  
ლად თვლის.

ამ საკითხთან დაკავშირებით მკითხველს კა-  
რგად მოეხსენება ის ცხოველი პოლემიკა, რო-  
ნელიც რამდენჯერმე გაიმართა ჩვენში. მიუ-  
ხედავად იმისა, რომ ამ კამათში, არცთუ იშ-  
ვიათად, თავისუფალი ლექსისადმი ტენდენცი-  
ური დამოკიდებულების ვენებათაღელვა ქაზ-  
ნიდა ვითარების მიუდგომელ და ობიექტურ  
შეფასებას, ნათლად გამოიკვეთა სამი განსხვავ-  
ებული თვალსაზრისი:

ერთნი, ლიტერატურულ ტრადიციათა განსა-  
კუთრებულად პატივისმცემელნი, თვლიან, რომ  
ეს საღექსო ფორმა საერთოდ მიუღებელი და  
შუთავსებელია ქართულითვის. მეორენი მიი-  
ჩნევენ, რომ ვერლიბრი უკვე მტკიცედ დამკ-  
ვიდრებული ფაქტია და მას საკმაოდ ანგარიშ-  
გასაწევია წარმატებები აქვს მოპოვებული. ბო-  
ლო შესამენი ამ საღექსო ფორმას დამკვიდ-  
რების პრინციპულად წინააღმდეგნი თუმცა არ  
არიან, მაგრამ ფიქრობენ, რომ ქართული ვერ-  
ლიბრი ქერქარობით ექსპერიმენტის დონეზე  
დგას და მისი შესაძლებლობანი სათანადო ძა-  
ლით არაა გამოვლენილი.

ყოველი თვალსაზრისის დასახაზუთებლად მი-  
სი მომხრენი მრავალ საყურადღებო არგუმენტს  
იშუელიებენ. ამ არგუმენტებისა და უკვე ჩა-  
ვლილი პოლემიკის ვენებათაღელვის დაგვიანე-  
ბული გაცოცხლება, ვფიქრობთ, საჭირო არაა,  
თუმცა მსჯელობა ქართული ლექსის ვერსიფი-  
კაციულ ძიებებზე კვლავაც მეტად აქტუალური  
და მწვავეა. აქვე, თუ ეს ცუდად არ ჩამოგ-  
ვერობევა, გვინდა ისიც ვთქვათ, რომ ამ საკი-  
თების ირგვლივ ჩვენც გვქონდა შესაძლებ-  
ლობა გამოგვიტყვა ჩვენი მოსაზრებანი (ის.  
ჩვენი წიგნი — „ქართული საბჭოთა ლირიკა“,  
თბილისი, 1984 წ.). განვიხილავთ რა ვერლიბ-  
რის ეროვნულ ისტორიულ ფესვებსა და თა-  
ნამედროვე მიღწევებს, ჩვენ ვცდებოდით მკა-

ფიოდ გამოკვეთილი პოზიცია ჩამოვაყალიბოს ამ საღებოს ფორმისთან დაკავშირებული ურველი საგულისხმო ხაყითხის შესახებ.

10-იანი და 20-იანი წლების შემდეგ, თანამედროვე ეტაპზე, ქართულ პოეზიაში განახლებული ძალით მიმდინარე ვერსიფიკაციული ძიებანი, ჩვენის აზრით, ჭკრჭკრებით ექსპერიმენტის დონეზე დგას და მისი მიღება-აჩამოღების შესახებ დაეჭვებული საუბარი მანამ გაგრძელდება, სანამ თავისუფალ ლექსს თავისი გურამიშვილი და ბარათაშვილი არ გამოუნაღებია. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ პოეზიაში ამ კუთხით საინტერესო მიგნებები მოპოვება, ამ საღებოს ფორმის შეთავაზო სანიღუმლო, ვტიკრობთ, ჭკრ კიდევ მიუღწეველია. ვერლიბრის დასამყიდრებლად ჩვენში ინტენსიური ძიება 10-იან და 20-იან წლებში წარამართა. მართალია, საამისო ცდები დროდადრო ძველ მწერლობაშიც იჩინდა ხოლმე თავს, მაგრამ ამ საუწყის პირველ ათწლეულთა ვერსიფიკაციული ექსპერიმენტები აღნიშნული თვალსაზრისით მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

20-იანი წლების დასასრულიდან ეს ვერსიფიკაციული ძიებანი მთლიანად მაცტრა და კლავინდებურად კლასიკურმა საღებოს საზომებმა დაიკავეს წამყვანი ადგილი. ამდროინდელი ჩვენი პოეტური აზროვნების ყოველი საგულისხმო მიღწევა სწორედ კლასიკურ პოეტურ ფორმებზე დაურდნობითა მოპოვებული.

და აა, 50-იანი წლებიდან ქართულ პოეზიაში თანდათანობით იწეება ტრადიციულ ვერსიფიკაციულ სქემათა რღვევისა და ვადანალიზების პროცესი. საშოღვაწყო ასპარეზზე გამოვიდნენ პოეტები (მ. მაკავარიანი, მ. ლუბანიძე, შ. ჩანტლაძე...), რომელთა შემოქმედებაში აშკარად გამოვლინდა მისწრაფება ვერსიფიკაციული თავისუფლებისაკენ, რასაც შედეგად მოჰყვა მწერის ბგერით სისტემაზე დაფუძნებული რიტმული მარმონიების შესვრება.

ამავე დროიდანვე ქართული ლექსის წიაღში თავჩენილი ვერსიფიკაციული ძიებანი ორი მიმართულებით იწეებს განვტკობას: ერთი ნაკადი, კლასიკური მეტრული ფორმების რღვევისა და ნატიფი რიტმული მარმონიების დაშლის მიზნითდავად, მაინც ხელშეხახებად ინარჩუნებს კლასიკურ პოეტურ სტრუქტურასთან მემკვიდრეობით კავშირს. ამ ნაკადის განმაახლებელნი 50-იან წლებში ხდებოან მ. მაკავარიანი და მ. ლუბანიძე. მეტრე და მეტრე კი ამ ხაზს მოგვიანო პერიოდში სამწერლო ასპარეზზე გამოხული სხვა პოეტებიც შეუერთდნენ.

მეორე ნაკადის ურღვევ გამოკვეთილი წარმომადგენელი 50-იან წლებში კი არის შოთა ჩანტლაძე, რომლის ლექსებიც ფართო მკითხველისთვის მხოლოდ მოკვანებით, 70-იანი წლებიდან გახდა ცნობილი, იმ დროიდან, როდესაც ამ პოეტურ ტენდენციას ქართულ პოე-

ზიაში მრავალი წარმომადგენელი და დამაკვიდრებელი გამოჩნდა (ბ. ჭკრჭკრები, წიკლაური, გ. აღბაზიშვილი, ბ. ჭკრჭკრები, ფხოველი, გ. პეტრიაშვილი...). მართალია, მათ შემოქმედებაში მრავლად ვხვდებოა კლასიკური ფორმის ნაწარმოებებიც, მაგრამ ისეთი ლექსებიც დიდი რაოდენობით აქვთ დაწერილი, რომლებშიც აართუ სახანვეროდ, არამედ მთლიანდაა უგულვებელყოფილი ტრადიციული მეტრული ჩარჩოები და რიტმულ-მუსიკალური შედოადირობა.

50-იანი წლებიდან ქართულ პოეზიაში გამოვლენილი ეს ვერსიფიკაციული ძიებანი თავისებრავად აღრმავებენ ამ ტენდენციებს, რომლებმაც ამ მიმართულებით ათან და ოცინა წლებში იჩინეს ჩვენში თავი ვალატკონის, ტ. ტახიძის, პ. იაშვილისა და სხვათა შემოქმედებაში.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით, შოთა ჩანტლაძე იყო პირველი პოეტი, რომელმაც ომისშემდგომ პერიოდში განახლოა უკვე მიმცხრალი ურადურბა ვერსიფიკაციული ძიებანი და შექმნა ლექსები, რომლებშიც ფაქტობრივად მთლიანდაა უგულვებელყოფილი პოეტური მეტრის ტრადიციული ვაგება, უარყოფილია რითმა, რიტმი და ლექსი. ვათანაბრებულია პროზაულ მინიატურასთან.

ყოფითი ისუეტური ურამენტებით დატვირთულ ამ მინიატურულ ჩანახატებში წაშლილია კლასიკური პოეტკეთ დეკანონებული ნიშან-თვისებები. მართალია, პოეტის მიერ დაწყებული ეს თამამი ექსპერიმენტი ყოველთვის ვერაა აღბეჭდილი საზურველი მხატვრული ოსტატობით, მაგრამ ლღვენდელ ჩვენს პოეზიაში მიმდინარე ძიებათა ლეტრატურულ წამმდვარებს უთუოდ იპოვის მასში დავიკრეველი მკითხველი.

ეს ვერსიფიკაციული ძიებანი რომ არა, კლასიკური ფორმით დაწერილი თავისი ლექსებით შ. ჩანტლაძე აღბათ უმნიშვნელო და უჩინარო სახელი იქნებოდა ჩვენს პოეზიაში. ნათქვამის დასადასტურებლად მოვიშველიოთ ორიოდღე მაგალითი:

ქალაქი იყო ჩვეულებრივი:  
ქუჩებით, ადამიანებით, სხლებით,  
რომლებიც ერთმანეთს დაცილებულნი  
იყვნენ საჭირო დისტანციით.  
ზამთრის დღე იდგა ქალაქში.  
დღე იყო შეუქმნეველი,  
როგორც ტრამვის გაჩერებასთან მდგარი  
ხის შემდეგ მდგარი ხე.

არ იყო თოვლი.  
არ იყო სიცივე.  
არ იყო სითბოც.  
ქალაქი იყო ისე ჩვეულებრივი,  
რომ ვერ იფიქრებდი ქალაქზე  
ვერსაგზით,  
უეტრად ქალაქში მოვიდა თოვლი...

ანდა:

„შახანდებია: ტურების კვილა, ზებიაჩემის წყევლა. ბაზუჩემის ჩახველება. მთვარის უძრავობა. ჭაღლის თვალს უბებში ორი პატარა მთვარე. ლეღვის ფოთლებში ლეღვას უჩინარ მწიფება. ხიდან გადამწიფებული მსხლის ჩამოვარდნა. სოფლის დაძინება. და სევდის გაღვივება“.

შევადაროთ ეს ორი მაგალითი ერთმანეთს. რა განსხვავებაა ფორმის თვალსაზრისით მათ შორის? მხოლოდ ის, რომ პირველი მთვარე სალექსო ტიპებადაა დანაწევრებული, თუშეცა სრულიად აუხსნელია, რა უღევს საფუძვლად ამდაგვარ დანაწევრებას; ხოლო მეორე, პროზაული ნაწარმოების მსგავსად, გახმულ ტექსტადაა წარმოდგენილი.

ტრადიციული პოეტური პრინციპებიდან გამომდინარე, სრულიად აუხსნელი რჩება ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ეს და მსგავსი მაგალითები ავტორის მიერ ლექსებადაა გამოცხადებული. მაგრამ, მოდით, ტერმინებს ნუ გამოვიყენებთ. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამდაგვარ უპიძურებს ენარულ ძიებებს საკმაოდ ინტენსიური ხასიათი ჰქონდა ამ საუკუნის დასაწყისშიც.

შეიძებნის გვიდა შევახსენოთ, მაგალითად, ამ დროისთვის ფართოდ შემოპირილი და დამკვიდრებული თანრული სიახლე — „ლექსი პროზად“. ასეთი ტიპის აბარტი ნაწარმოები დახტაჰებს ჩვენი საუკუნის პირველ და მეორე ათწლეულებში კ. გამსახურდიამ, ჭ. ლომთათიძემ, წ. ლორთქიფანიძემ, ტ. ტაბიძემ, ი. გრიშაშვილმა, ტ. გრანელმა, ს. კლდარაშვილმა და სხვებმა. მათ პატარა-პატარა მინიატურებსა და ეტიკეტებს, რომელთაც სახელად პროზად დაწერილი ლექსები ჰქვია, უფრადღების ცენტრში მოქცეულია პაროვნების მისწრაფებითა ღირიკული ასპექტით განცდა და წარმოსახვა. სათქვამის საილუსტრაციოდ მოვაშველიოთ ორიოდ მაგალითი: ფრაგმენტი ტიციან ტაბაძის „გაუფხულის დღისასწაულიდან“:

„მე გეტყვა ზღაპარს, უკვდავ ზღაპარს სავარულსას, რომელსაც არა აქვს დასაწყისი და არც არასოდეს გათავდება.

მე ვნებთ მოვსსოვ ეთერის ზვირთებს, რომლის ყოველი შენება მოგაცნობს ჩემს სიყვარულს და ჩემს სიძღვრებას, გაუფხულის დღესასწაულზე დაწებულს.

მე შენ გელოდი იხე, როგორც საქმრო სულამითის წმინდა სარეცილს...

ისმინე შევების სიძღვრა!  
მე ჩანდა მისთვის მომცა ცაბ, რომ შენზე მემღერა...

მე ბუნებამ მისთვის მომცა მგზნებარე გული, რომ შენ წინ დამეწეა, ფერფლად მტკცა. ჩვენ შეიღებო ვართ ბედისწერისა და გაუფხულის დღესასწაულზე უკვდავებისკენ მიგვაფრენს ბედი“.

ტერენტი გრანელი: „დღისით ჩვენ ერთმეორეს აღარ ვხედავთ და ახტ. სხვანაირად დღე ჭრავზე ვიაროთ. ჩვენს წინაშე უკვარს მხოლოდ იმიტომ, რომ უჩერები ერთმანეთს გავუჩიაროთ. მე კი დიდად მძულს დამე უსაზღვრო, ვრცელი, როს გული სკენება მჭუნვით და იარებთ. და თუ დღეს მივევარს დამე, მხოლოდ იმიტომ, რომ მე და ის სულ უტები დავიარებთ“.

ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულებში ამ ტიპის მინიატურები მრავლად შეიქმნა. მძლავრად გამოვლენილი ღირიკულ-პოეტური განწყობლებანი აუ უთუოდ მიხევი იმისა, რომ ამ ტიპის ნაწარმოებებს მათი ავტორები პროზად დაწერილი ლექსის სახელად ნათლავდნენ. პოეტური ხარისხის გაძლიერების მიზნით ზოგიერთმა მწერალმა ასეთ მინიატურებს მეტრული მხარეც მოუწერია. ამ თვალსაზრისით შეიძლება გავიხსენოთ ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურები, რომლებიც აზმარცვლიანი სალექსო საზომებითაა დაწერილი. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი მწერლის შემოქმედებებიდან ამოვიტო მას ლექსის ფორმა:

თუშეცა ისრებით დამტყრილე უშალ და გულს კენესა სულსა მიხეთავს. შენზე ცოდნს მაინც ვერაფერს ვიტყვი, კიდევაც გაიქვ და გომღერ კოდეც. ნეტარებისა ერთი წამისთვის ღრუბლით შემოსე ჩემი მყობადი, მაგრამ ყვაილეებს ჩუმად გიგზავნი, თუშეც შეტხველითაც, თურმე მათ აქუნობ. წინათვე მითხარ, შერს ვიძიებო — რისთვის ან ვისთვის — ვერ გამოვიან! მაგრამ ვლოცულობ შენის ხატის წინ და მათი მარტო ბედნიერი ვარ...

რიტმულ-ვერსიფიციული თვალსაზრისით ამდაგვარად მოწერსაგებული და კლასიკურ სალექსო მეტრულ საზომებს დაქვემდებარებული პროზაული ნაწარმოები შექმნენ აგრეთვე ვასილ ბარნოვა და კონსტანტინე გამსახურდიამ. მათ რომანებსში, მაგალითად, მრავალი ადგილი ათი და თოთხებმარცვლიანი სალექსო ფორმებითაა დაწერილი.

ეს ვრცელი ისტორიული ექსკურსი იმის ხაზგასახმელად დაგვიჩრდა, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში მომდინარე ვერსიფიციული ძიებანი სრულიად ახალ და უჩვეულო მოვლენას არ წარმოადგენს.

რაც შეეხება ისეთი ტიპის თავისუფალ ლექსებს, რომლებშიც არც რიტმული მელოდიურობის კვალი ჩანს, არც რითმული გამოყენებულობა და ტრადიციული ვერსიფიციის ყოველგვარი კანონზომიერებაც წაშლილია, ასეთი ნიმუშებიც შეიქმნა ათიანი და ოციანი წლების ჩვენს პოეზიაში. მაგალითად, ისეთი ქაღონსური მუსიკის შემოქმედს, როგორც გა-





ლაქტონია, ამ დროისთვის დაწერილი აქვს იმგვარი ნაწარმოებებიც, რომლებშიც მთლიანად უარყოფილი მეთრისა და რიტმის ყოველგვარი გამოვლენა. აი, სანამშობად ერთი ფრაგმენტი მისი ლირიკიდან:

ეს იყო ოქტომბრის დამლევს,  
იმ დროს, როდესაც თვითველი ღრუბელი  
ცაზე ვერსალსა ჰგავს.

დაღალული მზე ველარ ათბობს მას:  
შემოდგომაა.

გარინდებით იღვწენ ხეები.  
ასეთი გარინდებით!  
თავისით, როგორც ურემლი,  
ხანდახან წყლებოდა ტომილო ტოტს  
ფოთოლი,

გვითვლი, ყვითელი  
ყვითელი ქარვა ვროვდებოდა ბლის  
ბილიკზე.

იგივე შეიძლება ითქვას ტ. ტახიძის ე. წ. „დადასტურ ლექსებზეც“. მაგალითად:

ექვსი წელია ვეშხადები  
დავწერო ლექსი: — Dimanche,  
ამას ჰქვია ლაფორაის კეკა.  
ასეთი უმწერი კვირაც არ მისსოვს,  
ზარები ქალაქშიაც არა რეკავენ —  
ყველა ტაძარი შეიქნა ფეერიული.  
ეს ლექსი კიდევ თუ დღეს არ შეთქვია,  
ნალექლი გულში ჩამეცეცოდა.  
შემიძლია დავიბნეო, რომ სიზარმაცის  
ნამდვილი ღმერთი ვარ.  
და თუ ამას დამატებო,  
რომ ლოთობა ჩემი სტიქიაა —  
ჩემზე ეროვნული პოეტი  
არ ყოფილა საქართველოში.

რა დარჩა მნიშვნელოვანი ამ ტიპის ლექსებთან დასაბუღებულ პოეტთა შემოქმედებაში? მხატვრულ-ესთეტიკური სრულფასოვნების თვალსაზრისით, ამგვარმა ნაწარმოებებმა კლასიკური პრინციპების მომარჩვევით შექმნილი იმ პოეტური შედეგების გვერდით, რითაც მდიდარია მათი პოეზია, არა გვგონია გამორჩეული სიყვარული და მოწონება დაინახავენ.

ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, რითაც ეს ლექსები იქცევენ ყურადღებას, ესაა მათი ავტორების მიერ ახალი ვერსიფიკაციული ფორმების მისაკვლევად დახარჯული ენერჯია. მართალია, ამგვარ ძიებებს ხელშეწყობები მხატვრული მიღწევები არ მოუპოვია, მაგრამ მათ ორი ასპექტით მაინც უნდა მივიცეს ყურადღება: პირველი, ასეთი ძიებები ხელს უწყობდა დასაბუღებულ პოეტთა მხატვრული ინდივიდუალობის გამოკვეთას და მეორე, ამ-

გვარი ძიებებით ქართული პოეზიაში წაღწეულიყოფილიყო და ახალი ვერსიფიკაციული ფორმების მიგნების სურვილი.

საგულახსოვია ის გარემოებაც, რომ თავისუფალი ლექსის შემოთავაზებულში ტიპის მაგალითები ვალაქტონიან და ტიციანოც იმ პერიოდში შექმნეს, როდესაც მათი პოეტური შესაძლებლობანი სრულყოფილად იყო გამოვლენილი არაერთ ბრწყინვალე ნაწარმოებში. მათს შემოქმედებაში ტრადიციული პოეტური ფორმების აღწევების უამრავი ამგვარ ვერსიფიკაციულ ძიებათა არსებობა იმავე მაგნიტის ნებს, თუ როგორც ესწარმოვადენს ისინი ქართულ პოეზიაში გზა გაეხსნათ ევროპულ დიტერატურაში დამკვიდრებული სიახლეებისათვის, კერძოდ კი, თავისუფალი ლექსისათვის.

„თავისუფალი ლექსის დაფუძნებისთვის, — წერდა ვალაქტონი, — დაწერილია ჩემ მიერ მთელი რიგი ნაწარმოებებისა“. როგორც ვთქვა, ამგვარ ცდებს განსაკუთრებული მხატვრული მიღწევები არ მოუპოვია, მაგრამ ფაქტია, რომ მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში სწორედ მათ სცადეს პრაქტიკულად პირველი ხნული გაღება.

როგორც შემოთავაზებულ მაგალითებში, ისე ბევრი ჩვენი თანამედროვე ვერლიბრისტი ნაწარმოებებში, ხშირად ვერავითარ რიტმულ კანონზომიერებას ვერ დავინახავთ. ასე რომ, ზოგიერთი დიტერატორის მიერ ვერლიბრის განსაზღვრულ ნიშნად გამოცხადებული თვისება — თავისუფალი ლექსის სტრუქტურას შინაგანი მორტალისებური რიტმი განსაზღვრავს — არ არის სწორი. ამგვარ ლექსებში ვერ აღმოვაჩინო ვერავითარ რიტმულ და სინტაქსურ მარშონებს, რომელთაც უთანაზომო და მეტრულ წესრიგს დაუმორჩილებელი წინადადებები ერთ რიტმულ სისტემად უნდა შევჩაღ. ვერლიბრის სტრუქტურული ბუნების ასეთი თეორიული შეფასება ყოველთვის არ შეესაბამება სინამდვილეს.

ათიანი და ოციანი წლების ქართულ პოეზიაში, განსხვავებით ვალაქტონისა და ტიციანის მიერ შექმნილი თავისუფალი ლექსებისაგან, არის ცდა ისეთი ტიპის ვერლიბრის შექმნისა, რომელიც ასე ხელაღებოთ არ ემიჯნება კლასიკურ პოეტურ ფორმებს. ამგვარ ნაწარმოებებში მეტრულ თავისუფლებას გარკვეულად აწერაიბებს თავისებური რიტმული მუსიკალობა, რითმათა კეთილშობიანება, ლექსში შიგადაშიგ პერიოდულად ჩართულ ტრადიციულ მეტრულ საზომებს დაქვემდებარებული სტრიქონები და ა. შ. სხვაანაირად რომ ვთქვათ, ამ ტიპის თავისუფალ ლექსში კლასიკური ლექსოწყობის ელემენტებიც თამაშობენ განსაზღვრულ როლს. მოვიშველიოთ მაგალითი პაოლო იაშვილის შემოქმედებიდან:



1915, იანვარში  
 პორტმა, რომელსაც გლახო ჰქვია,  
 დიდ ნიაღვარში  
 მე გამისტუმრა ვერობიდან ინგლისის  
 გემზე „კაბადოკია“.  
 ეს იყო მაშინ,  
 როცა სენში  
 ყრიდნენ პარტიის მოქალაქენი ვერმანელ  
 ტყვეებს...  
 ვიგონებ დღეებს,  
 როცა ვერდნენ მოადგა შანთი,  
 როცა დამსალეს ტროკადერი,  
 და ლურჯ მისტიკეს ლაურა-დე-დიანტი.

ზორციელი, არც გუონის დედა შემოკანესს,  
 არც ტალი ტრამილს ჰქვიადი შინაბირი და  
 არც დაღლილი მკვარია იმდენი სიბრძნე  
 ბულ გვებზე მარტები...“

ამ სტრატეგიაში გამოთქმული მოსაზრება  
 ე. წ. „საოცლათიანდობა“ პოეტურა თაობის  
 მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ძირითად ესთე-  
 ტიკურ პრინციპად შეიძლება გამოვაცხადოთ.  
 როგორც გურამ ასათიანი შენიშნავს „ბ. ხარა-  
 ნაულბა და მისი თანატოლების მოხელთ ქა-  
 რთულ პოეზიას უკვე არა ნაწილობრივ, არა-  
 მედ მთლიანად და თითქმის საშუალებად ტრავ-  
 მენ მტკად ჰყირფანი თვისებები, უწინარეს  
 ყოვლისა, მკაფიო რიტმი და მდიდარი ეფო-  
 ნური სტრუქტურა“.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში მიმდინარე  
 ვერსიფიკაციულ ძივებათა შეფასებისას კანონ-  
 ზომიერების მხგავსი ერთი ასეთი ტენდენცია  
 შეიძლება გამოვკვეთოთ: უფროსი თაობის პო-  
 ეტების (შათი, ვინც ომამდე გამოვიდნენ ლი-  
 ტერატურულ ასპარეზზე) აბსოლუტური უმ-  
 რავლესობა, ბოლო ორი-სამი ათწლეულის მა-  
 ნაილზე შექმნილი ლექსებით თუ ვინაჟღებთ,  
 უღალატოდ ერთგულებს ეროვნულ პოეტურ  
 ტრადიციებს. შათი შემოქმედების ვერსიფიკა-  
 ციული მხარე მოწინააღმდეგეულია და კლასიკურ-  
 ი ლექსოწყობის პრინციპებს დაქვემდებარე-  
 ბული (ი. რ. აბაშიძე, გ. აბაშიძე, კ. კალაძე,  
 კ. ნადირაძე...).

მიუხედავად იმისა, რომ 70-იანი წლების  
 ჩვენს ახალგაზრდულ პოეზიაში, რის შესაბამაც  
 გამოიქვა ა. ასათიანის ეს მოსაზრება, ტრა-  
 დიციული ლექსოწყობის პრინციპებზე დაფუძ-  
 ნებული პოეტური ნაყოფი გამოიყოფა, ვფიქ-  
 რობთ, კრიტიკოსმა სწორად დაინახა ის მაგის-  
 ტრალური მიმართულება, სათაყენაც ამ თაო-  
 ბის წარმომადგენლებმა წარმართეს პოეტური  
 ტენდენციების განვითარება ჩვენში. თანამედ-  
 რადე ეტაპზეც ქართულ პოეზიაში მოსულ ახა-  
 ლგაზრდა პოეტთა საგრძნობი ნაწილაც სწო-  
 რედ ამ ხაზის გაგრძელებას ცდილობს. ტრა-  
 დიციული პოეტური ნორმებისაგან ლექსის გა-  
 ნთავისუფლებისაგან მისწრაფების სურვილს,  
 რომელიც ამ თაობის რამდენიმე წარმომადგენ-  
 ლის შემოქმედებაში საკმაოდ პრეტენზიულად  
 ვლინდება, ერთგან ასე გამოხატავს დალილა  
 ბედიანიძე:

ვათავისუფლებ ოთხ სტრატეგიაზე  
 წარსულ რითმებს  
 და მარცხებდათვლილ სიტყვებს  
 ლექსში ვათავისუფლებ!

იმ პოეტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელ-  
 ნიც მწერლობის ასპარეზზე 40-იანი წლებიდან  
 გამოდებულა 60-იანი წლების შესაწინააღმდე-  
 გოდრიან, თუშკია ვერსიფიკურად არ წყდება  
 ეროვნული პოეზიის კლასიკურ მონაპოვარს,  
 მაგრამ მტკ თავისუფლებას იჩენს ტრადიციუ-  
 ლი სალექსო ფორმებისადმი დამოკიდებულე-  
 ბის დროს (მ. შავაჯიანი, კ. კალაძე,  
 მ. ლუბანიძე, შ. ნიშნაძე, ო. ქიქოძე, ტ. ქა-  
 ტურიძე, ვ. ჭავჭავაძე, ვ. კვიციანიძე...).

ამ თავისუფლების ქვეტექსტი ადვილი ახა-  
 ნულია. ეს არის პოეტურ ტრადიციასთან და  
 შაბლონთან დაპირისპირების მძაფრი სურვი-  
 ლით გაჩენილი უყმარობის გრძნობის შედეგი.  
 პოეტის აზრით, თითქმის მოდუნდა ის პოეტუ-  
 რი ნერვი, რომელშიც მაკოცებლებელი ენერჯი-  
 ით უნდა დამუხტოს ლექსი. თითქმის სიტყვე-  
 ბმაც დაიშინა პირველყოფილი სიწარფელი და  
 უშუალოა:

ეს სიტყვები იმდენი ჩრჩილის ქმულია,  
 აღარც წონა აქვს და აღარც ფასი,  
 გინდა გითქვამს და გინდა კობიდან  
 ხარბნელი ნამცეცები ამოგაფერობავს.

ვერსიფიკაციული თავისუფლებისაგან სწრა-  
 ფვა განსაკუთრებით ძლიერდება იმ თაობის  
 წარმომადგენელთა შემოქმედებაში, რომლებიც  
 პოეტურ არენაზე გამოდიან 60-70-იან წლებში  
 (ბ. ხარანაული, ლ. სტურუა, შ. წყალაური,  
 გ. აღმაშენელი, თ. ბეჭიშვილი, გ. პეტრიაშვი-  
 ლი, ზ. ეხანოიძე, ჯ. ფხოველი, ა. ყურაშვი-  
 ლი, რ. კალანდია...). შათ ლექსებში კიდევ  
 უფრო მტკად აღრდება ქართული ლექსის ვერ-  
 ლიბობისაგან სწრაფის ტენდენცია, რის  
 ვალომაზეც ძლიერდება ანტიმუსიკალური ნა-  
 კადი, მიმდინარობს რიტმული მელოდოურ-  
 რობის „დაჯერების“ პროცესი, მცირდება  
 რითმის ფუნქციები.

ამ ნაკადს მიმდევართა პოეტური ბუნება  
 კარგად გამოხატა ქარჭი ფხოველმა ჭერ კიდევ  
 60-იანი წლების დასაბრუნლ დაწერილ ერთ  
 თავის ლექსში: „არ იმდერება ეს სიმღერა,  
 ჩემი სტრატეგია არ იფარდატებს როდოდის ნა-  
 თულ მინდერებზე, არ დაკლევებს ბერავს ძე-“

მაგრამ „ტრადიციების გადაშინაჟელების რი-  
 ლში გამოხელა“ (გ. ასათიანი) აგრე იოლი არ  
 გამოდგა ტრადიციების „მსხვერვისა“ და უარ-  
 ყოფის ვნებათა დეღამ იმდენად გაიტაცა ზო-



გი მათგანა, რომ ისინი უფრო მეტს ანგრძევენ და უარყოფენ, ვიდრე ახალ ფასეულობებს ქმნიან და აქვიდრებენ.

ქართულ პოეზიაში ვერსიფიკაციული თავისუფლებისკენ წინაფრთხის ტენდენცია განუყოფელად აღმოჩნდა დაკავშირებული ლექსში უოფითი სიუჟეტური ეპიზოდებისა და ფილოსოფიური განსჯის ელემენტთა ზედერთიანი წილის ზრდასთან. ზოგიერთი პოეტი იმდენად გაიტაცა ასეთმა მისწრაფებამ, რომ მათი შემოქმედებიდან ხელაღებით განიღვენა ნატიფი პოეტური ფერები და განწყობილებანი. ცხოვრებისეული უოფითი წვრილმანებობა და საჯნობრობით შემოკლილი მათი შთაგონება ვერ სდებდა უოველდღიურობის ნატურალისტურ მორევს და ლექსისთვის ცხოვრება ვერ აქცევდა იმ ნოეტი და ნიდაგად. საიდანაც პოეზია უნდა ამოიზარდოს, როგორც მშვენიერებისა და სიწმინდის მომხიბვლელი უკავილი.

აქვე უნდა აღინიშნოს აზრის ზედოვანური გაართულებისა და გახუნდოვანებისკენ მიდრეკილების საფრთხე. შემოკმედებში. სამწუხაროდ, საქმეები რომელიც ისეთი ლექსები და ე. წ. ლირიკული პოემები, რომელთა ბუნდოვანი და ბურუსით მოცული ნაზრევი მათუფადომელი რჩება მკობხველსათვის. ამ სანახევროდ გამოირჩეულ „კვებტქტებსა“ და თვითომწნურ „სამპოლურ სახებში“ ზნირად სრულად მარტვი და ტრაგედრტული აზრების შენიღბული ფორმით ვამოცემული.

კვათხულობთ ასეთ ნაწარმოებებს და ისეთი განცდა გვეუფლება, თითქოს მათ სტრქონენში გრანობა და ემოცია გაუინული იყოს. ასეთი ლექსები თითქმის ყინულის ნამსხვრეკვბით არიან სავსენა და ისინი სერავითარ ქვალს ვერ ტოვებენ მკობხველს სულში.

ვერლობრის ავტორთა უმრავლესობა არაა დაინტერესებული ლექსის ტექნიკური მხარის სოფაქოთა და ნატიფი რაფინირებით. ისინი ნაკლებად ზრუნვენ ფრაზის დახვეწილობასა და სიტყვებზე. მათ მიერ გამოხატული აზრის ზნირად ტლენქი და უზენი ხაზები ახლავს ზოლში თან, მაგრამ ეს ზორკლი მათი სტილური ინდივიდუალობის საგულისხმო ნაწილადია ქვეული. მათთვის უცხოა სიტყვებისა და თემების ე. წ. „თერქია“ — ისინი წერენ ყველაფერზე. შესაძლოა, ლექსის ასეთი მეტისმეტი „გამიწერება“ და „გაოფითება“ ზოგს მიუღებლად და გაუმართლებლად ეჩვენოს, მაგრამ ეს სხვა საკითხია. ამჭერად ჩვენ მხოლოდ ფაქტი აღვნიშნეთ, ქართულ ლირიკაში გამოვლენილ ამ ტენდენციაზე მივანიშნეთ.

თავისუფალი ლექსის სახეობათა განზომლების დროს ზემოთ ისეთი ლექსები მოცუვენათ, რომელთაც თუმცა ვრავლული გამოხატვის თვალსაზრისით პოეტური ნაწარმოების ფორმა აქვთ მინიჭებული, მაგრამ ტრადიციულად გაგებული პოეტურობის უოველგვარი ნიშანი

(რიტმიც, რითმიც, მეტრული ზომაც, ზგერთი კეთილშოვანებაც...) მათში მარტქმედების კენტი.

აქვე, ამით გვერდით, ვინდა დავასხვლოთ ისეთი მაგალითებიც, რომლებშიც კლასიკური ლექსთწუობის ეს ელემენტები თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მინცაა შენარჩუნებული, მაგრამ ნაწარმოები პროზაული ტექსტის ფორმითაა დასტამბული. ასეთი ლექსები და პოემები შექმნეს ო. პილამე, ტ. პანტურამ, გ. აღბაზიშვილმა, ბ. ხარანაულმა, მ. წყლაუფრმა... და სხვებმა. ამ ტიპის ნაწარმოებთა წაკობხვის დროს მკობხველი ადვილად შეიცნობს ამა თუ იმ კლასიკურ სალექსო საზომზე დაფუძნებულ რიტმს, რომელიც ლექსის პოეტური არქიტექტონიკის ერთ-ერთ ძირითად დასაყდრებად ქვეული. მიუევენათ მკობლითოთარ ტილამის პოემიდან „თიბის სამი ფირფიტა“.

„იმ ქალს სახელად შამხათი ერქვა და მთელურქში უველანზე კარგად ეხმოდა ქალის მთავარი საქმე. შამხატმა უხმოდ გაიძრო კახა და მიაჩნა ზურ შილებში მოქნელი წელი და მკვრივი შეერდა. და მთელი კვირა სვამდა ენკიდუ ამ უცხო სასმელს. სვამდა, თვრებოდა მისი გონება ზვრელივით ბნელი. შერე შამხატმა აქამა პური და ვაახედა ურუქის მხარეს. და რადგან იგრანო პური და ქვალც, ენკიდუ იქვა აღმინანად და მოკვდა როგორც ადამიანი.“

ოთარ ტილამის მომღვერო პოეტურ თაობათა შემოკმედებში ასეთი პროზაული ფორმის ლექსებში უფრო და უფრო ირლევია მეტრული ჩარჩობი და რიტმი თანდათანობით ვამოდის მუსიკალური კეთილშოვანების ფარგლებიდან. ზოგიერთმა ახლგაზრდა პოეტმა კი იმდენად უარყო იგი, რომ ამაღვაძარ პროზაულ მინატურას მხოლოდ ნომინალურად შემორჩა ლექსის სახელი.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში გამოვლენილი ეს ტენდენცია პირდაპირ ეხმორება „მ ტრადიციებს, რომელნიც რიტმულ პროზას ამ თვალსაზრისით შეუქმნეს ჩვენი პარულის გამოჩენილმა პროზაიკოსებმა: ვ. ხარანოვმა, კ. გამსაპურდიამ, ნ. ლორთქიფანიძემ და სხვებმა.“

თანამედროვე ქართულ პოეზიაში მიმდინარე ვერსიფიკაციულ ძიებათა პროცესს, ჩვენის აზრით, ერთი სახითაო მისწრაფებაც ახლავს თან; ეს არის ეროვნული ფესვებისაგან მოწყვეტის საშიზრობა. პოეტური ფორმებისა და სოქმელის სტანდარტიზაციამ, სამწუხაროდ, საკმაოდ მოამრავლა ისეთი ნაწარმოებები, რომელთაც აღარ შემორჩათ ეროვნული ნადავით ნასაზრდოები მაცოცხლებელი ფესვები. ასე დახვავდა მთელი გროვა ისეთი ე. წ. „ზოგადი ლექსებისა“, რომლებშიც არც ფორმა, არც

აზრი, არც სიტყვა არ სუნთქავს ეროვნულ ენერჯით.

ვერსიფიკაციული ორიგინალობისკენ მისწრაფებამ ზოგიერთი პოეტი იმდენად გაიტაცა, რომ ლექსმა დაკარგა ინდივიდუალური სახე და ტაქტობრივად იგი ბეჭატრებს დაემსგავსა. ამ ტიპის ნაწარმოებთა შესაფასებლად აქ ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ტ. ჰანტურის მიერ განმეორებული ოსიპ მანდელშტამის სიტყვები: ეს არისთ თარგმანები... არასრულყოფილი ორიგინალიდან. ასეთი „თარგმანები“, სიმწარადე არცთუ ისე იშვიათად ქვეყნდება ზოლმე ლიტერატურული პერიოდის ფურცლებზე. მათ ხაზრწმეში არ იგრძნობა მშობლიური მიწისა და კერძის სიყვარული, არ ფეთქავს ეროვნული გენი, რომელმაც ლექსი სასიცოცხლო იმპულსებით უნდა დატვირთოს და აათრთოს.

სწორედ ეს და სხვა ხარვეზები, რომლებიც ხშირად იჩენენ ზოლმე თავს თანამედროვე ქართულ თავისუფალ ლექსში, იწვევენ მკითხველთა მინიშნულად ნაწილის სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამ საღიქოს ფორმისადმი. საფუძვლიანობა არაა იმის თქმაც, რომ არცთუ იშვიათად ვერლიბრი გახდა თავისებური შენაძრვის ფორმა უნიკობისა. ორიგინალობის პრეტენზიით აღმდეგელი ასეთი ლექსები ზოგჯერ რეზუს ემსგავსებიან...

აქვე ხაზგასმით უნდა ვანაცხადოთ ისიც, რომ ამ შენიშვნებს ვერლიბრის, როგორც საღიქოს ფორმის, უარსაყოფ არგუმენტებად უსაღიქობადაც ვერ მივიჩნევთ. უნიკობისა და სპეციფიკობის შენაძრვა რითმთან ლექსებშიც არანალებს ხდება. მაგრამ თუ ვერლიბრის ფორმით გამოვლენილი უსუსურობა უფრო გამაღვიანებლად გვხვდება თვალში, ეს იმიტომ, რომ მისი, როგორც ჩვენი პოეზიისათვის შედარებით ახალი საღიქოს ფორმის, მიმართ, გვიწედა თუ არა, ხშირად, მეტ მომთხოვნელობას ვიჩინო.

და თუ ერთ შემთხვევაში, როცა მხატვრულად უმწიფარ რითმთან ლექსს ვკითხულობთ, მის მიმართ შედარებით დამოზონი ვართ (აქ უნიკობა თითქოს ისე არ უყარის), სმაგიეროდ, ძველის ხაზგასმული უარყოფისა და ახლის დამკვიდრების პრეტენზიით შემოთავაზებულ ლექსს უფრო იოლად გამოვყავს წინაპრობიდან პოეტურ ტრადიციებზე აღზრდილი მკითხველი, რომლისთვისაც ამგვარი ვერსიფიკაციული ძიება ამაო ქაზირია და მეტი არაფერია.

ხდება პირიქითაც. ზოგიერთი ლიტერატორი ეჭამდეც მიდის, რომ გადაპარებულად აფახებს თავისუფალი ლექსის როლს. ჩვენი აზრით, ყოვლად მიუღებელია, მაგალითად, ეს აზრი, თითქოს ვერლიბრი მარტო საღიქოს ფორმა კი არ არის, არამედ იგი თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რეკლუდის შესატყვისი მხატვრული მათემატიკური დეკორაციაა, რომელიც მსოფ-

ლიო პოეზიამ შექმნა შტამადაც. ფორმების ჩიხიდან გამოსასვლელია.

ზოგიერთი დაბეჭდებით ატყევენ, თითქოს თანამედროვეობის რთული და დრამატული შინაარსის პოეტური გამოხატვა ყველაზე მეტად, უპირველეს ყოვლისა, ვერლიბრის მეშვეობითაა შესაძლებელი. ცხადია, ეს ცალმხრივი გაგება და აქ, გვიანდა თუ არა, ფორმითა გამოხატულებულ დაპირისპირებამდე მიდის საქმე. ლექსის სახეობა არაფერ შუაშია. მხატვრული შემოქმედების უმთავრესი საფუძველი — შერლის ნიჭი თავად მოქმედის ვაჟს, თუ არამედი ფორმის საშუალებით მოხერხდება მისი შინაგანი ენერჯის სრულყოფილი გამოვლენა.

მართალია, თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა განვითარების არანაღელ მასშტაბებს შიადწია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტრადიციული პოეტური ფორმები მოქმედებულად გამოაცხადოთ და მათ წიაღში ახალ შესაძლებლობათა აღმოჩენა წერტილდასმულ ფაქტად მივიჩნოთ. ამგვარი დაქვევებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს.

როგორც ითქვა, თანამედროვე ქართულ პოეზიაში თავისუფალი ლექსის დასამკვიდრებლად მიმდინარე ვერსიფიკაციულია ძიებებმა საკრძნობლად შეამცირეს ნაწარმოების რიტმულ-მუსიკალური მელოდიურობის ხარისხი. ნი-მე-იანი წლების ჩვენს პოეზიაში ეს ტენდენცია შედარებით იშვიათად პოულობს გამოვლენას. მართალია, ამ პერიოდის რამდენიმე თვალსაჩინო პოეტი მიზანსწარფულად არღვევს ტრადიციულ ლექსურწობისათვის დამახასიათებელ რიტმულ მარშონას, მაგრამ ამდაგვარ რიტმულ თავისუფლებას მაინც გარკვეულწილად აწინსვრებს და თავიდან ზოლმდე მსველავს მკითხველისათვის ადვილად ხელმისაწვდომი რიტმულობის ელემენტები. გავიხსენოთ მუხრან მაქვარიანი:

ასწლოვან მუხებში გაშლილია მდიდარი სუფრა.  
გარდაიცვალა ცნობილი თავადი ფრადინ...  
ჩინებული ალიამა!  
ლატაი აზნაური — კოწია — თავაზიანობს ნამეტანს:  
— კარტოფილს არ მიირთმევეთ,  
ქალბატონო აგრაფინა?  
მანდილოსანმა გადმოიღო მცირედი ულუფა —  
ლიმილი ნიხით...  
მამაკაცები ეწაფებიან უშველებელ ყანწებს...  
კოწია — არწივი ბასტირონის,  
აგრაფინა — ვარდი შირაზის,  
ვარშეყვანიან ურთიერთს,  
მოდგენენ ბასიითზე —  
რადი გაძლენ.



მართალია, ამ ფრაგმენტში მუსიკალური მელოდიურობის ხარისხი, განსხვავებით კლასიკური პეტრული საზომებით შესრულებული ლექსებისაგან, უკანა პლანზეა გადაინაცვლებული, მაგრამ მთლიანად უარყოფილი არ არის.

რიტმული ჰარმონიულობის შეცირებისა და ხაერითად უგულვებელყოფის ტენდენცია კიდევ უფრო გაიზარდა ე. წ. „სამოცდაათიანელთა“ შემოქმედებაში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, მაგალითად, ბესიკ ზარანაულინისა და ლია სტურუას პოეზია. თუ მათ ადრინდელ ლექსებში, „ხორკლის“ მიხედვით, რიტმულ მუსიკალობას მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, 70-იანი წლების შუა ხანებიდან დასტაბილურ უმეტეს ნაწარმოებებში მთლიანად და უარს ნათქვამი უკვედგვარ რიტმულობაზე და ისინი ელემენტარული ფაქტობრივად პროზასთან არიან გათანაბრებულნი. მოვიყვებით მაგალითები. ბ. ზარანაული:

ვახში ამჯერადაც სენტიმენტალური გვექონდა.

— „კარგი გქენით, რომ ამოვიღეთ და არ გადავდეთ, წვიმიანი რომ დაიწყოს... მერე ასეთ დროს...

გაგაყვება იცის ზოლზე და მიწაში ჩაგვიღებოდა“. მზე დავლე ერთი-ორი ჭიქა ჩვენი არყისა და დედაჩემს ვუმტკიცებდი, რომ ყველაფერი კარგად მიმდის, რომ გაზაფხულზე ჩამთვალ და კარტოფილს დავთესო. ის, ასეთი პატარა და თითქმის მოხუცი მისმენდა მე, ჩემს ალთაბალასა, რაღაცის თქმაც დაამირა — დიდი რაღაცის,

მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, ის რაღაცა ნერწყვს ჩააყოლა...

**ლია სტურუა:**

ყოველდღე ვიღვიძებ ქალაქური, სტილიზებული მამლის ყვირილზე, იგულისხმება, რომ მზე უკვე ამოსულია, მაგრამ გარეთ მინც წვიმს... სინოტივის თეთრი ფიქალი სველ შრებად ეშვება ქუჩაში, ფერგადასული მანქანებიდან დაშტებული ღრუბელივით იღვრება ხალხი და წვიმად იქცევა...

ამაგვარი გაბედული ცდები არცთუ ისე ჩხირად იძლევა სასურველ შედეგებს და ტრადიციების „შსხტების“ და ტრადიციების დღედა გაცილებით უსწრებს ზოლზე წინ ახალ მხატვრულ ღირებულებათა დაშვიდების პროცესს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ყველაფერი ახლის მიგნებისა და დაშვიდების ძლიერი სურვილითაა ნაკარნახევი.

ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ დღეს, ამგვარი ძიებებით, ქართულ პოეზიაში სრულდებოდეს ის „შევი ხაშუშაო“, რომელმაც საფუძველი უნდა მოუწადოს თვისებრივად ახალ ხაფხუტის ეროვნული პოეტური აზროვნების განვითარებაში.

აქვე ერთ მომენტზეც მოვაქცევთ ყურადღებას: ვინც თვალუფრს ადევნებს აღნიშნული ტენდენციის მიმდევარ პოეტთა შემოქმედებას, იგი იმასაც შეამჩნევს, როგორც მთავანის პოეზიაში თანდათანობით ცხრება ამგვარი უკიდურესი ვერსიფიკაციული ძიებანი.

სამაგიეროდ ახალგაზრდა ქართველ პოეტთა შორის როგორცმთა თავიდანვე დაწყებული ინდივიდუალობის ძიება თავიდანვე დაწყებული თავისუფალ ლექსს, განსხვავებით წინა თაობის პოეტებისაგან, რომელნიც ვერლიბრთან ტრადიციული ლექსთწყობიდან შევიდნენ. ხას ადასტურებს მათი პირველი პუბლიკაციები. ამ ახალგაზრდებმა თავიდანვე ვერლიბრს მიმართეს, როგორც სათქმელის გამოხატვის უმთავრეს ფორმას. გავიხსენოთ გივი სულაყაური:

მე ეპოვენ ნალო. წამოვიღე და ოთახის კარს მიუკვდე. ახლა ეს ბინა დაქვდილია ამ ოთახით. სახლი — ბინით, ზოლო ქალაქი ამ სახლით და ა. შ. მე კი ვწვეარ და ვუსურებ როგორ მოძრაობენ ღრუბლები და ფრინველები.

მაგრამ თანამედროვე ქართულ ახალგაზრდულ პოეზიაში გვხვდება ისეთი პოეტებიც, რომლებიც მიზანსწრაფულად ემიჯნებიან ამაგვარ ვერსიფიკაციულ ძიებებს და ტრადიციული პოეტური გზებით სვლას ამჟობინებენ. 70-იანი წლების დასასრულსა და ოთხმოციანი წლების დასაწყისში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული ახალი ლიტერატურული თაობის მიერ ქრეჩკრობით მოპოვებულ პირველ წარმატებათაგან, ჩვენთვის, როგორც მკითხველისთვის, პირველ რიგში, სწორედ ის მიღწევებია



უფრო მნიშვნელოვანი, რომლებიც ეროვნული ტრადიციების წიაღიდანაა ამოწრდილი.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში მიმდინარე ძვრებს როდესაც ვეხებით, უფროაღდება უნდა გავამახვილოთ ისეთ ლექსზე, რომელსაც საშუალო ანუ გარდამავალი ადგილი უჭირავს კლასიკურ მოწესრიგებულ ლექსსა და ვერლიბრს შორის. გამოიყოფა ასეთი ნარევისწომიანი ლექსის ორი სახეობა: პირველი, რომელშიც შენარჩუნებულია რითმა და ვერსიფიკაციულ თავისუფლებას შედარებით მძლავრად გამოვლენილი მუსიკალური რიტმი აწესრიგებს. მაგალითი მურმან ლებანიძის ლირიკადაა:

ბურნული დაგინატია, ზაზული,  
იქვე დაგისვამს მარტო,  
იმ ნუშქვეშ, ფიქრში წასული  
დიდებდაშენი კატო...  
მიხარის შენი ტრფიალი, რად არამ  
ფერში მოთხვრილი თითონ  
მაგრამ გაფრთხილებ, არ მეშვებები,  
პატარავ,  
ძნელია მხატვრის ტვირთი!

შეორე სახეობას მივაყოფენ „საშუალო მეტრიკი“ დაწერილ ისეთ ლექსს, რომელშიც უარყოფილია რითმა, ხოლო რიტმი შედარებით ღუნეა და ნაკლებმუსიკალური. მაგალითი მამუა წიკლაურის ლირიკადაა:

ამ მიწაზე გათბილთა ყვავილები,  
ამ ცაზე დაიწვა გაფრენილი ვარსკვლავი,  
ამ დარბაზში გაწყდა კონოლენტი,  
ამ ლოგინში გაიფინა სიზმარი.  
ზოგჯერ მგონია, — რაც დღეს არსებობს,  
რასაც კი ჩემთან კავშირი აქვს,  
სუველეაფერი  
ჩემი ფრთებია — მოტებლი,  
ჩემი ნიბებია — გადამსხვრეული,  
ჩემი ხეობაა — ამომწარალი...  
ხოლო იგი, რაც უძლეველია,  
რაც არ დნება და არ იფინება,  
რაც არ ნებდება დროის მუხლზეებს  
და რასაც ცეცხლი არ ეკიდება —  
იმ შერცხლებს. გაჰყვავა,  
ტერზე ბუდე რომ მოუშალოს.

ზოგიერთი პოეტის შემოქმედებაში ფართოდაა გავრცელებული ერთსა და იმავე ლექსში რიტმულ-ინტონაციური მონაცვლეობის პრინციპი (ამ ვერსიფიკაციულ ზერბს განსაკუთრებით ხშირად მიმართავს მურმან ლებანიძე). მათ პოეზიაში გვხვდება ისეთი ლექსები, რომელთა ურველი სტროფი განსხვავებული საღესქო საზომებითაა დაწერილი.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში გვხვდება აგრეთვე ურიტმო ანუ თეთრი ლექსი. დღევანდელი თეთრი ლექსების უმეტესი ნაწილი ვე-

რლიბრის ფორმითაა დაწერილი (ქრ. ტრ. ლ. შქარე — ურიტმოა და თავისუფლად უხარბის დაქვიდრება — თანამედროვე ეტაპზე ისე დაუკავშირდა ერთმანეთს (განსაკუთრებით 70-იანელთა შემოქმედებაში), რომ ზოგიერთმა შეცდომით ვერლიბრის აუცილებელ დამახასიათებელ ნიშნად ურიტმოზა მიიჩნია. ე. ი. თანამედროვე ქართულ თავისუფალ ლექსში გამოვლენილი ტენდენცია — ურიტომისაკენ სწრაფვა — ამ საღესქო ფორმის განმსაზღვრელ ნიშნად აქცია, რაც არაა სწორი.

სამოც-სამოცდაათიან წლებში ქართველმა პოეტებმა შექმნეს როგორც რითმიანი, ისე ურიტომო ვერლიბრის ნიმუშები. ურიტომო ვერლიბრს უფრო შეტად ე. წ. „სამოცდაათიანელები“ მიმართავენ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამ თაობის წარმომადგენლებმა საერთოდ საგრძობლად შეამცირეს ლექსში რითმის ფუნქციები. ამ მისწრაფებას აგრძელებენ აგრეთვე ლიტერატურული ახალთაობის წარმომადგენლებიც. ხშირად იწერება ე. წ. შერეული სახის ლექსები, რომლებშიც რითმები სანახევროდაა გამოყენებული. ნაკლები ენერჯია იხარჭება ახალი საჩიომო სიტყვების მაგნებაზე. იშვიათად იწერება მდიდარ შინაგან რითმებზე გაწყობილი ნაწარმოებები. ტრაფარტულია ახლა რითმიანი და იდი ნაწილი. მომრავლდა აქუსტიკურად არამუსიკალური ღარიბი რითმები. იშვიათია ისეთი შემთხვევებიც, როცა პოეტის სტილური თავისთავადობის უმოკრეს დასაყრდენად ქცეულია მკაფიო ინდივიდუალობით აღბეჭდილი რითმები.

როგორც არაერთხელ აღენიშნავთ, ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ხოლმე ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც დარღვეულია ტრადიციული პოეტული დაჯანოცებული ენარული საზღვრები და თავისებური ფორმით ადგილი აქვს ენარების მიზრიანიზაციას, ერთმანეთთან შერწყმას. ეს პრაქტისი ახალი მოვლენა არ არის და ამისი დამადასტურებელი მაგალითები ადრეც არაერთი შექმნილია. აქ შეიძლება გავიხსენოთ მძლავრი პოეტურობით აღბეჭდილი ისეთი პაროზული ნაწარმოებები, როგორებიცაა: „ნიბლიის“ ცალკეული ეპიზოდები, იოანე საბანძის „უბო თბილელის წამება“, „ვიხრამიანი“ და ა. შ.

კიდევ უფრო ამაღლდა პოეტურობის ხარისხი შეოცე საუკუნის ქართულ პაროზში (ვ. ბარნოვი, კ. გამსახურდია, ნ. ლორთქიფანიძე, დ. შენგელაია, ს. კლდიაშვილი, ნ. დუშინაძე, რ. ივანიშვილი, გ. დონაშვილი...). ჩვენ ზემოთ უკვე მოახსენიეთ ამ საუკუნის პირველ ათწლეულებში დამკვიდრებული ახალი ენარული ფორმა — „ლექსი პაროზად“, რომელიც, არსებითად, თავისი ფორმითა და მხატვრული ბუნებით არ განირჩევა ვერლიბრის თანამედროვე ნიმუშებისაგან. ჩვენთვის გაუგებარია, მაგალითად, რა ნიშან-თვისებითაა გამო-

ცხადდება პოეტურ ნაწარმოებზედ წინამდებარე წერილში ციტირებულ ლექსთა ერთი ნაწილი და რის მიხედვით — პროზად შემდგომი მინიატურები: სერგო კლდიაშვილი, „ღრიად უღუბი ფიქრები“:

„მდინარის პირად აღვის ზეგნის წარაღში მარტო დგას რკინიგზის პატარა სადგური.

მთვარის სინათლეზე სადგური გარინდებულ უანჩას გავს.

ბაქანვე მხოლოდ ერთი მგზავრი, მატარებელზე დაგვიანებული. ჩემოდანზე ჩამოჭდარი თამბაქოს აბოლებს თავის თავთან და თავის ფიქრებთან მარტო დარჩენილი... მატარებელი კი არა, თითქოს უველაფერია წავიდა... საღვთა შორის, სიჭარბით, ხმაური და დიდი ცხოვრება, აქ კი პირველყოფილი სიჩუმი, როგორც ქაოსიდან მიწის დაბადების წუთში...

ჩაინებულ სადგურიდან გამოვიდა გზის დასაჯი ტარნით ხელში და გაჰყვა ლიანდაგს. კაცო ბნელმა დაფარა, ჩანს მხოლოდ, როგორ ქანაობს მკრთალი ნათელი და შორდება სადგურს.

თვალ მიხუვება მიწაზე გაწოლილ რელსებს და თავში ფრიად უჭი ფიქრები იხადებოან:

— იქით რომ გაჰყვებ ლიანდაგებს და წინ იარო დაუბარდებლად, ბოლოს უდერად დაინახო, რომ მხოლოდ წრე შემოგვიბანავს დედამიწის გასშემო და მეორე მხრიდან დაბარუნებულხარ ამავე სადგურზე, როგორღაც მდინარის პირად ტიად ველზე მარტო დგას და მთვარის სინათლეზე გარინდებულ უანჩას ჩამოგავს“.

რევან ინანიშვილი, „ღამურულ ტყეში“:

„ღამურულ ტყეში გამუდმებით იხმის რაღაც კრუსუნის, კენესა და გმინვა. ძალიან კარგად უნდა იცნობდნ ფლორასაც და ფაუნასაც, რომ მიხვდნ, რაღაც კრუსუნებენ, კენესიან და გმინვენ. მაგრამ ამგვარი ცოდნის გარეშეც ადვილი მისახვედრია ერთი: წუბილი უველაგანაა, შესაძლოა თვით დედამიწასაც უჭირს, სახსრებში სტებს და ქვეშოდან გვევდებება რაღაცას“...

ასეთი ტენდენციების მომქალაქებამ ბევრი რაშის გადახლისება გამოიწვია ქართულ პოეზიაში: ლექსი უფრო ძნელხასმენი და „შიში“

გაბდა, მოდუნდა და გაუხეზდა. შედგომარობა, ნაწარმოებმა დაჯარგა გაშვირვალობა და სილაღი, ღვი განაძარცვა ნატიფი პოეტური სამკაულებისგან. უფთითი ელემენტებისა და სიუჟეტების მოძალეებამ კიდევ უფრო მოამრავლა ენობრივი „პროზაიზმები“...

\* \* \*

თანამედროვე ქართულ პოეზიაში გამოვლენილი ზოგიერთი სიახლის შეფასების დროს იქნებ შეტისმეტად მკაცრიც ვიყავით. იქნებ ჩვენი წერილის მიზანწარფხად შეცდომით ზოგმა ისიც მიიჩნიოს, თითქოს პოეტებს ტრადიციებისადმი მოწაფურ ერთგულებას ვუყუფინებდეთ. რა თქმა უნდა, არა.

ჩვენ მხოლოდ ამ ძიებებზე გვიწოდდა მიგვენიშნინა, რითაც დღევანდელი ქართული პოეზია ხახიათდება. ამ ძიებებში ბევრი რამაა მოსაწონი და მისაღები, მაგრამ ზოგი, რამ თვითმიწუნრია და ზელოვნური.

როგორც ამ ძიებებიდან ჩანს, თანამედროვე ქართული ლექსის წიაღში დიდი ხანია მზადდება საფუძველი მნიშვნელოვანი თვისებრივი ძვრებისთვის. ქრეჩკრობით ჩვენის აზრით, ქართულ ვერსიფიკაციაში მიმდინარე ძვრებს ეროვნული პოეტური ტრადიციების შესაფერი სიმალღეებისათვის ქერ არ მიუღწევია.

როდესაც გურამ ასათიანი ჩვენს პოეზიაში გამოვლენილ სიახლებს ებებოდა, აღნიშნავდა: „რაც შეეებება რითიანი ლექსისა და ვერლიბრის მომხრეთა დავას, აქ პირადად შეგორებულ მდგომარეობაში ვარქ... ამქერად, რაც შეიძლება, მოკლედ ვიტყვი: გულით პირველთა ბანაჯს ვეკუთვნი, გონებით კი არ შემოძლია მერეც ნაკადის მომძალაგრება არ შევიმჩნიო“.

გ. ასათიანის მიერ 1978 წელს გამოთქმულ ამ აზრს ქერაც არ დაუჯარგავს სიმწვავე და აქტუალობა. თანამედროვე ქართულ პოეზიაში არსებული ვითარება ამგვარი გაორებული მდგომარეობიდან თვედაღწევისთვის საფუძველს ქერაც ვერ იძლევა.

როგორი იქნება ქართული ლექსის ხვალისდელი დღე, აქ წინასწარმეტყველება ძნელია. ამ კითხვაზე პასუხს მომავალი პოეტური თაობები ვასცემენ.

# „ასმილოდ ჩერქეზელის“ გამო

ერნანდ „კავკასიონის“ 1-2 ვარიანტებულ ნომერში (1924 წ.) დაბეჭდილია კავკასიის მთიელთა პოეზიის ორი ნიმუში — ოსებ გრიშაშვილის მიერ თარგმნილი ლეკური ხალხური ლექსი და ავარიულთა ისტორიული ლექსი „რახბადინ ბელადი და ვრკელე შეფე“, რომელიც უთარგმნია ასმილოდ ჩერქეზელს. თარგმანს დართული აქვს მოკლე წინათქმა („წინასწარი შენიშვნა“) და კომენტარები („სქოლიოები“).

ლექსი თარგმნილია პროზად და ამის გამო მთარგმნელი შენიშნავს: „ეს ლექსი ავარიულ ენაზე წარმოდგენილია თეთრი ლექსის სახით, და აგებულია თერთმეტ მარცვლოვან საზომზე; მეტად მოძრავი რიტმით (— იამბებისა და ტროხეების გადაჯვარედინება). ჩვენ ვარჩიეთ პროზით გადმოღება, რათა მეტი ზედმიწევნით უფროსად დაეცა“.

თუმცა ეს ვრცელი ლექსი პროზაულად არის გადმოღებული. თარგმანს ვერდიო: ჩასდევს დედანში პოეტურ სტიქონთა რაოდენობის აღწერის ნუშერიცა, რომელიც 15მ სტიქონს მოიცავს.

„წინასწარი შენიშვნის“ მიხედვით, ამ ლექსის ტექსტი სხვადასხვა დროს სამჯერ ჩაუწერიათ — ერთხელ თვითონ ავარიული დედანი და ორჯერაც მისი ორი სხვადასხვა ვარიანტის თარგმანები (სტიქსტი ამ საინტერესო ხალხური ლექსისა სამხელ არის ჩაწერილი სხვა-დასხვა დროს. პირველად, 1863 წელს, ბარონ პ. უსლარმა, ავარიული ენის გამოკვლევის დროს, ჩაიწერა თითონ ავარიული დედანი ამ ლექსისა. შემდეგ განსვენებულ აღ. ივ. ხარაჩიშვილს მოუვიდა დაღესტნიდან ორი სხვა-დასხვა ვარიანტი ამავე ლექსისა, მხოლოდ არა თითონ ავარიულ ენაზე, არამედ თარგმანების სახით“).

მთარგმნელს ამ სამი ვარიანტის შედარებიდან დაუდგენია, რომ „...ტიქსტი არც ერთ

მთაგანში არ არის სრული; თვითიველში არის ისეთი ადგილები, რომელიც ან აკლია მეორე ვარიანტს, ან შეცვლილია“; და წინასწარი შეცნობით ანალიზის შედეგად აღუდგენია ლექსის ყველაზე სრული და ადრინდელი სახე: „ქვემოთ დაბეჭდილი ჩვენი თარგმანი წარმოადგენს ამ ლექსის აღდგენას ცდამ ამ სამი ვარიანტის მიხედვით. თარგმანისათვის საუფროსად ადებული უსლარის ვარიანტი (A).

ეს პირველი ვარიანტი, რასაკვირველია, ყველაზე სანდო დედანდ უნდა ჩითვალოს, ქერ თუნდაც იმიტომ, რომ აქ ჩვენ გვაქვს თვით ავარიული ტექსტი, და ამასთან ჩაწერილი ისეთი მეცნიერი-ეთნოგრაფის მიერ როგორც იყო უსლარი.

რაც შეეხება ხარაჩიშვილის ორ ვარიანტს (B და C), აქედან ადებული მხოლოდის ადგილები, რომლებიც აკლია უსლარის ტექსტს, მაგრამ რომლებიც არის მხედველობითა და თითონ ხაერით სტილის მიხედვით უნდა უფროსად ამ ლექსის უძველეს ვერსიებში. — ეს ნაქვლი ადგილები, რომლებიც ჩვენ ამოვიღეთ B და C ვარიანტებიდან, მოთავსებული გვაქვს სწორ ფრჩხილებში [ ]“.

ლექსისათვის დართულ კომენტარებში ზუსტად არის მითითებული, თუ რომელი ვარიანტიდან არის დაშტებული ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტი და ისიც შეგანგებოდ არის აღნიშნული, რომ მთარგმნელს ეს ჩართული ადგილები პირდაპირ გადმოკლანა აღ. ხარაჩიშვილის თარგმანიდან, ოღონდ სტილისტურად ჩაუწერებია, მისივე სიტყვით „...ტიქსტის ერთჯვარობის დაცვის მიზნით, რათა ეს ჩამატებული ადგილები არ უფროსად შეტის-მეტად განსხვავებული ჩვენი თარგმანის და (A ვარიანტის) ხაერით სტილიდან“.

თუმცა ამ თარგმანს ვარკვეული შეცნობით მისაჩვენებელი აქვს, რაც ვარკვეულად უფრო გამოიხატა (სწორედ ამ ვარკვეული სამეცნიერ-





არ მიზნით უნდა აყოს გამოწვეული „შეტი ზედმიწევნალობის დაცვის“ ცდა და ლექსის პროზად თარგმნა; აგრეთვე, ლექსის სამივე ვარიანტის ტექსტშივე ფაქია — ობრაზის დაფიქრებარ ვახუნდელიყო—ოღონდ თვალსაზრის გამოვლენა და სქოლიოში თვითუფლის ზუსტი მითითება), მაგრამ შთავარი მიზანი, ცხადია, ავარიული ლექსის მხატვრული ასლის შექმნა იყო ქართულ ენაზე. სწორედ მხატვრული თარგმანის გამოა, რომ ეს ისტორიული ლექსი არამარტო გამოვლენითა და მშვენიერი ნით არის თარგმნილი, არამედ საგრძნობია შინაგანი რიტმიც (იხილეთ აშკარა რიტმული წყობაც შენიშვნა), რაც თარგმანს ექსპრესიას ანიჭებს და თარგმანის საერთო სტილისც განსაზღვრავს.

ეს ყოველივე მთარგმნელის მიერ აღდგენილ ავარიული ლექსის უძველესი სავარაუდო ვერსიის ქარგაშია მოქცეული.

ზოლო თვითონ მთარგმნელი ვინ უნდა ყოფილიყო?

სახელის ფორმა — ამბილოდ ჩერქველი — თავიდანვე გაფიქრებინებს, რომ ეს უნდა აყოს არა ნამდვილი სახელი, არამედ ფსევდონიმი, მაგრამ ვის შეიძლება ეყრდნობოდა ეს ფსევდონიმი?

ქრ მარტო აქ დამოწმებული ციტატები და, მით უმეტეს, წინათქმისა და კომენტარების მთლიანი გადაკითხვა გვებს არ ტოვებს, რომ ის ენობრივად სტილი, რითაც „წინასწარი შენიშვნა“ და „სქოლიოთა“ დაწერილი და რეზუმეც თავისი ორიგინალობის გამო შეუძლებელია სხვის სტილში ავეტიოს, პავლე ინგოროვას გვეთვინას.

მისი რედატორობით გამოცემულ „კავკასიონის“ ამ ნომერში პავლე ინგოროვას სახელითა და გვარით დაბეჭდილი აქვს საპროგრამო წერილი (ფორნალი „კავკასიონის“) და შეცნობრული გამოკვლევის „ჩაბრუბაისძე, პოეტო, მოგზაური“ ერთი ნაწილი, ხოლო ინაციალუბოთ პ. ი. (ხარჩევი პ. ივ.), ესეი ომარ ხიაშიწე. ახე რამე, საქმაოდ ბუნებრივი ჩანს, საქუჯარი სახელის ხშირ განმეორებას მორიდებოდა და, ვთქვათ, ავარიული ლექსის ამ თარგმანისათვის ფსევდონიმი მოეწერა (თანაც თარგმანი მისი მოღვაწეობის ძირითადი სფერო არასოდეს ყოფილა); თავისთავად ეს ვითარება აფუჭებრივი ჩანს, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმის ვაგებაც საგულისხმო ექნება, რომ თუ მთარგმნელი მართლა პავლე ინგოროვია, რატომ არჩია ასეთი ფსევდონიმი — ამბილოდ ჩერქველი. ხოლო უნდა მოდიოდეს ეს სახელწოდება.

როგორც ირკვევა, ფსევდონიმის არჩევას თავისი მიზეზი ჰქონია.

ეგნატე ნინოშვილის თხზულებათა სრული, ორტომიანი კრებულის მეორე ტომს (გამოცემა 1925 წელს), დართული აქვს პავლე ინგოროვას პატარა, ხუდ რამდენიმე გვერდიანი

გამოკლევა: „გამოცემა „ინგოროვას“ ს გვარეულობის ჩერქველ შთამომავლობის შესახებ“.

გამოკლევა დათარიღებულია 1924 წლის 5 მარტით და ადვილად შესაძლებელია სპეციალურად ეგ. ნინოშვილის თხზულებათა ამ გამოცემისათვის აყოს დაწერილი.

ამ გამოკლევაში პავლე ინგოროვია შეიცვალა დეზოტეტიზმა და შეივსო სავარაუდოად გამოცემა „ინგოროვას“ გვარის ჩერქველული წარმომავლობის შესახებ. სავარაუდოად გამოცემის თანახმად კი (როგორც იხებ გრიშაშვილი შენიშნა, ამ გამოცემის დანატი ნინოშვილიც იხებინებს ერთ პირად ბარათში) „ინგოროვითა“ გვარი გურიანი საცხოვრებლად აფხაზეთ-ჩერქველთა ქვენიდაც გადაშობილა („ინგოროვო“ ყოფილა ამ გვარის პირვანდელი ფორმა). ჩერქველთა მხარის ერთ-ერთ თემში, სადაც ინგოროვითა გვართან ერთად კიდევ ორი გვარი, „რუყვა“ და „ათლუყვა“, მოსახლეობდა, არეულობა მომხდარა და სამივე ამ გვარს ამბილოდ ინგოროვას მეთაურობით ოსმალეთში გადასვლა განუზრახავს. ქერ აფხაზეთში გადმოსულან, მერე კი, აქიდან ოსმალეთში ნავით მიმავალნი, დროებით გურიის სანაპიროზე შეჩერებულან და ერთხანს დარჩენილან კიდევ „აქ ისინი გურიელს წუალობით მიუღლა და მათაც გადაუწყვეტიათ გურიში საბოლოოდ დარჩენა“.

„აი ეს ამბილოდ ინგოროვია — დაასკენის მკლევაჩი — გამოცემის თანახმად, არის წინასპარი გურიის „ინგოროვოთა („ინგოროვას“-თა) გვარისა“.

ამბილოდ, როგორც გურიის ინგოროვითა გვარის წინასპარის სახელი, მკლევაჩის მოწმობით, სავარაუდოად სახელდაც ქცეულია.

ახე რომ, ფსევდონიმის წარმომავლობის საფუძველი სრულიად აშკარაა და ყველა ნიშნით ადასტურებს ავარიული ლექსის მთარგმნელის ვინაობას — ამბილოდ ჩერქველ პავლე ინგოროვას ფსევდონიმი.

როგორც გადმოგვცემენ, პავლე ინგოროვია მოგვიანებით აღარ იზარება ინგოროვითა გვარის ჩერქველული შთამომავლობის ამ ვერსიის, ხოლო თვით გამოკლევის „შეწავალურ ცდუნებად“ თვლიდა (საფიქრებელია, ამის მიზეზი გამომდარეყო გარკვეულ წრეებში „გოროვო მორბელს“ გამოქვეყნების გამო აღტობილი არაქანსალი აფიკაფი), მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით სიმონ ქანაშიამ დამატებითი მასალებით შეავსო ეს თვალსაზრისი: „ეგნატე ინგოროვას გენეალოგიისათვის“, შრომების 11 ტომი, 1927 წ. ამ ცნობას თავისი მნიშვნელობა აქვს (მით უფრო, რომ პავლე ინგოროვას ეს გვიანდელი თვალსაზრისი ადარსად დაუწერია და ახე ზეპირი გვით შემოგვრჩა), ოღონდ ჩვენს შემთხვევაში — არაარსებით.

არაარსებითი, რადგან 1924 წელს, როცა „კავ-



კახიონი“ გამოქვეყნდნ, პავლე ინგოროყვას, საგვარეულო ვადმოცემაზე დაურდნობით, ზქროდა თავისი გვარის ჩერქვეული წარმომავლობა. მისი იმდროინდელი სწმენით, თუმცა „ზეპირ-გადმოცემაში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ცალკე წერილშია ხაზგაშეიძლება დამტკბეულია ან დავაწყებულია. რა პირობებში და რადის მოხდა ინგოროყვათა გადმოსახლება გურიაში, ამის შესახებ ჩიხამე თქმა ჩასაკვირველია მწელია. მაგრამ მთავარი ხაზი ამ გადმოცემისა, — რომ ინგოროყვათა გვარი ჩერქვეუთა ქვეყნიდან არის გადმოხული — აი ეს მთავარი ცნობა ყველა ნიშნებით მართლაც შეფუთვბა სინამდვილეს“.

ხოლო ფსევდონიმად „სსმოდოლ ჩერქველის“ არჩევას, როგორც იტყობა, ერთგვარად ამაყად შეუწყო ხელი, რომ ეს სახელი ამავე—ჩრდილო კავკასიაურ — გარემოსთან სიახლოვეზე მიგვანიშნებს, რომელ გარემოშიც შეიქმნა „რუხბადის ბელადი და ერთკლე მეთე“.

ავაროული ხალხური ლექსის თარგმნა პავლე ინგოროყვას მხოლოდ მხატვრული თუ მეცნიერული მიზნისათვის არ უნდა შეჩინა საჭიროდ, ან თუნდაც უფრნალის მრავალფეროვნებისათვის. ამ ლექსის თარგმნა გამომხატვრულია მისი ერთვნიული თვალსაზრისისა და, აქედან გამომდინარე, უფრნალის იდენტო პოზიციისა (რაც უფრნალის სახელწოდებაში მკაფიოდ გამოვლენდა). პავლე ინგოროყვას ეს თვალსაზრისი იყრდნობა საერთო-ქართულ კონცეფციას, რომელიც ყოველთვის არსებობდა ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, მაგრამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში დროებით და სავალდლოდ გაწუდა და დიდ ილიას ბელახლა მოუხდა მისი აღდგენა. როგორც პავლე ინგოროყვა წერს, „საგულისხმოა, რომ ილიას წარმოადგენაში საქართველოს თავისუფლება გადაქვევულია მთელი კავკასიის თავისუფლებასთან“.

პავლე ინგოროყვას მკვლელობა ამ თვალსაზრისის დასამკვიდრებლად საგანგებო მსქელობის თემა, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, შევნიშნავ მხოლოდ, რომ „კავკასიონის“ ორივე ვერთიანებულ ნომერში კავკასიის მთელია ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან ერთად (როგორც შევიტყვებ, მანამდე ჩრდილო კავკასიური ხალხურა პოეზიის არცერთი ნიმუში არ ყოფილა თარგმნილი ქართულად) დაბეჭდილია სომხური მწერლობის ნიმუშები და ერთიც აზერბაიჯანული („თურქული“) ხალხური ლექსი; ამავე რკალს უნდა ეხმიანებოდეს საბათნოვას ერთი ლექსის პუბლიკაციაც, პავლე ინგოროყვას მოკლე წინასწარი განმარტებით. კავკასიურა ლიტერატურის გაცნობა ქართველი მკითხველისათვის კვლავაც ამ გზით წარმართებოდა და უფოოდ სულ უფრო ფართო ხასიახსაც მთილებდა, „კავკასიონის“ გამოცემა ნაადრევად რუმეჩქვენიკური რიყო.

ეს მანც ზოგადი თვალსაზრისით, თუ რატომ უნდა მოედნობინა პავლე ინგოროყვას რომელიმე ლექსის თარგმნა კავკასიის მთელითა ზეპირსიტყვიერებიდან, უფოლოდ ამ „ინტერესო ხალხური ლექსის“ თარგმნას კი თავისი მიზნებია უნდა ჰქონდეს.

როგორც ცნობილია, ბოლნისის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებულ წარწერაში ნახსენებია დავით ეპისკოპოსი, რომელიც ხაყარადლოდ გააგივებულა დვინის იმ წლის საეკლესიო კრების მონაწილე ბოლნელ ეპისკოპოსთან. ასეთი ვარაუდი სავსებით დამაჯერებელია, რადგან აღნიშნულ წარწერაში დავითი გვევლინება არა როგორც ბოლნისის სიონის მშენებელი, არამედ უკვე არსებული ეკლესიის მეთაური, რომელიც ღმერთს შესთხოვს მფარველობას და შეწევას. ეს წარწერა უკვლავიწინა მონახსენებელთა რიცხვს განეკუთვნება და არავითარი საბუთი არ არსებობს დავით ეპისკოპოსის ტაძრის მშენებლად მივიჩნიოთ. ამას თავის დროზე უურაღდება შიქცია ივ. ჭავჭავაძის, ბოლო შემდგომ სურმაგ კაკაბაძემ, რ. პატარაძემ, ბ. მჭედლიშვილმა, ა. ბოგერაძემ.

სულ სხვა ვითარებაა ტაძრის ჩრდილოეთ კედლის კარის წარწერის ირგვლივ. აქ გარკვევით აღიოხება ეპისკოპოსი, მაგრამ სახელი მთლიანად წაშლილია. მიუხედავად ამისა, წარწერის პირველი წაკითხვიდან მოყოლებული (1986 წ.) ამ ადგილას კითხულობენ: „დავით“.

წარწერის ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი ასეთია:

„...და ვინ აქმის ეკლესიასა დ/ავითი ეპისკოპოსოსა ზულუცოს...“ კვადრატულ ღრჩხილებში ჩახშულია აღდგენილი ნაწილი, რომელიც შედგება 15 ასო-ნიშნისაგან. სინამდვილეში აღსადგენი ნაწილის ფართი იტევს 25-30 ბგერას ანუ ორჯერ მეტს. აქედან დასკვნა: რეკონსტრუირებული ტექსტი პირობითია და არ ასახავს რეალურ ტექსტს. ამიტომ, სხვა უტყუარი საბუთიანობის გარეშე, შეუძლებელია წარწერაში კატეგორიულად დავით ეპისკოპოსი ჩავეშატოთ.

ამასთან, არ გამოირიცხება, წარწერაში ქართლის მთავარი ეპისკოპოსის სახელი ყოფილიყო მოთავსებული, რომელსაც თავისუფლად შეეძლო, ადგილობრივ ფეოდალთან ერთად, პროვინციაში ეკლესიის აშენებაში მონაწილეობა მიეღო.

ეს არის საკითხის ერთი მხარე, რომელიც, ჩვენი შეხედულებით, შეიძლება უშკაყენებლად დამტყულებული თუ განუთავისუფლებლობად ტრადიციული შეხედულებისაგან.

უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენი აზრით, საკითხის მეორე მხარე, რომელსაც, აგრეთვე, ღრმა ფესვები აქვს ვადამული ჩვენს ისტორიოგრაფიაში. შეცნობების ერთ ნაწილს სჭრა, რომ საქართველოში (საეპისკოპოსოების დაარსება ვაბტანგ გორგასალის საეკლესიო რეფორმის შედეგია. მხედველობაში აქვთ XI ს. ისტორიკოსის, ჯუანშერის ცნობები (ქართლის ცხოვრება, I).

თუ უყლობლად მივიჩნევთ, რომ ვაბტანგ გორგასალამდე საქართველოში საეპისკოპოსო ინსტიტუტი არ არსებობდა, ბოლო ბოლნისის წარწერაში მოხსენიებული ეპისკოპოსი შინცა და შინც ბოლნელი უნდა ყოფილიყო, თავისთავად ბოლნისის სიონის წარწერის ეპისკოპოსიც არ შეიძლება V ს. მიწურულზე ადრე ყო-

ფილიუკ აშ შემთხვევაში, ბოლნისის ტაძრის უფრო ადრეული ხანით დათარიღება ავტობიოგრაფიულ მოთხრობებში და ამგვარი თარიღის მოპირებებს მსდებლობაც, უბრალოდ, ახირებად ჩათვლებოდა.

ზოგიერთმა შეიძლება შენიშნოს, რომ ჩემს სტატიაში ბოლნისის სიონის შესახებ, საეპისკოპოსოს დაარსებაზე ლაპარაკი (მაივნ, 1884, № 8, გვ. 101), მაგრამ ტექსტში ნათქვამია: „ცნობა ბოლნისის სიონში ეპისკოპოსის დასმის (sic) შესახებ, როგორც ჩანს ვახუშტის ჭუნაშვილისაგან აქვს ნასესხები, რომელიც ჩამოთვლის რა ვახტანგ გორგასალის მიერ დასმულ (sic) ეპისკოპოსებს...“

როგორც ვხედავთ, აღნიშნულია, თანაც ორჯერ, ეპისკოპოსების დასმა და არა საეპისკოპოსოების დაარსება, რაც ერთსა და იგივეს არ ნიშნავს. დასმა გულისხმობს არსებულ თანამდებობაზე ახალი პირის დანიშვნას. დაარსება კი დაკავშირებულია მთელ რიგ სოციალურ-ეკონომ. რთულ ღონისძიებებთან.

თუ ჭუნაშვილის ამ ცნობას ისე შევიღებთ, როგორც ზოგიერთი მკვლევარი, მაშინ უარი უნდა ვუქვამთ საუწყუნეზავტორიან ისტორიაზე და უნდა ვიარწმუნოთ, რომ გორგასალამდე საქართველოში ქრისტიანული საზოგადოება არ არსებობდა. წუნდაში, მანგლისში, მცხეთაში, ბოლნისში, რუსთავეში ქრისტიანულ მხაბურებას უეპისკოპოსოდ ართმევდნენ თავს.

წყაროები კი (სხვა უკეთესი დოკუმენტური მხალა ჭერჭერობით არ გავაჩნა), სხვაგვარ სურათს გვაჩატავენ.

ვერსია, ვახტანგ გორგასალის მსაყვესიორ რეფორმის შესახებ, დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ ჭუნაშვილის ცნობებზე. არგუმენტად გამოყენებულია ვახტანგ გორგასალის სიზმარი, რომელშიც ეპისკოპოსი მეფეს აუწყებს: „შენგან აღმუენენ ეკლესიანი და განეწყენენ ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსთა მთავარი“ (ჭუნაშვილი, ქ. ც. I, გვ. 168).

ამ ცნობის მიხედვით, არ შეიძლება კატეგორიულად იმის მტყიცება, რომ ვახტანგმა დაარსა საეპისკოპოსოები. როგორც ქვემოთ დავინახებთ, „ეპისკოპოსთა მთავარი“-ს ინსტიტუტი ვახტანგამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა.

XI ს-ის ეპიკრიოსის მიერ შექმნილი გორგასალის გრატეკული სახე, თბრობის ნახევრად ზღაპრული იერა, უეჭველს ზღის ზოგიერთ შტრისის შეგნებულად გაზვიადებას. არაფერია იმაში გასაკვირი, ვახტანგისათვის შეიწყრაო იმაც, რაც მის არ გაუცეოები.

გარდა ამისა, უხერხულია პოლიტიკური ძვრების ასახნულად სიზმრებს მივმართოთ.

შემდგომ, სხვა ადგილას, ჭუნაშვილი მოგვითბრობს, რომ ვახტანგ გორგასალის თბოენით „ანტიოქელმან პატრიარქმან აურთონა თორ-

მეტნი ეპისკოპოსნი და პეტრე კათალიკოსად“ (ქ. ც. გვ. 197).

საქონის შესახებ

თუ ამ მოვლენას მართლაც ჭუნაშვილი უტყულო, მაინც არ გამოირიცხება მანამდეც ქართლში საეპისკოპოსოების არსებობა.

თუ მაინცა და მაინც ვახტანგ გორგასალს მივაწერთ საეპისკოპოსოების დაარსებას, 12 ეპისკოპოსი მაინც ცოტა გამოდის, რაც აღნიშნული აქვთ ეპიკრიოსისა. ვაქრისტინენბულ საბელმწიფოებში ყველა ქალაქსა თუ მნიშვნელოვან დაბას თავისი ეპისკოპოსი უნდა მყოლოდა, ზოგან ორიც. სხვაგვარად ქრისტიანული ქვეყნის სტატუსი და ეკლესიის სტრუქტურა წარმოუდგენელია. ამასთან, ჩვენ ქვემოთ ვნახებთ, რომ საქართველოში, V ს-ს ბოლოს, 30 მეტი ეპისკოპოსი მოღვაწეობდა.

ჭუნაშვილი ჩამოთვლის სად დასვა ვახტანგმა ეპისკოპოსები:

1. „აღმუნა ეკლესია მოციქულთა სუტეტი ცხოველი... და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამუელ ეპისკოპოსად მცხეთისავე საეპისკოპოსო“ (198).

„მცხეთისავე საეპისკოპოსოსა“ სწორედ იმას ნიშნავს, რომ სამუელის უკვე არსებულ საეპისკოპოსოს მეთაურად დანიშნეს და ახალი არ მოუგნიათ. მცხეთაში, ვახტანგამდე დიდი ხნით ადრე, საეპისკოპოსო კათედრა უკვე არსებობდა წინდა ნინოს საპოფელოზე აშენებულ ეკლესიაში (ბ. მჭედლოშვილი, ძეგლის მეგობარი, № 67, 1985), და ვახტანგმა მხოლოდ ახალი, მისთვის სასურველი პირი დასვა. სხვაგვარი ახსნა ამ ცნობებს არ ეძებნებათ.

2. „დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა აბიოსისა“. აქაც უკვე არსებული კათედრა იგულისხმება.

- 3. ერთი არტანს, ერუშეთს;
- 4. ერთი ქაბახეთს, წუნდას;
- 5. ერთი მანგლისს;
- 6. ერთი ბოლნისს;
- 7. ერთი ნინოწმინდას; უქარშის კარსა, რომელიც გორგასალსა აღმუნა“, აქაც საუბარდებული არაა ახალი ტაძრის აშენება ვივარაუდოთ. შესაძლებელია ვახტანგმა ნინოწმინდის ტაძარი ოდნავ შეაკეთა და მადლიერმა ხალხმა ეკლესიის მშენებლობა მის მიაწერა. გარდა ამისა, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ნინოწმინდა წყაროებში ნახსენებია დაბა ბოდის ქრისტიანოიტრებული სახელწოდებაა, ბოლო დაბა ბოდში, იქ, სადაც წმინდა ნინო აღკარდალეს, ეკლესია ააშენეს და მირიან მეფეს ეპისკოპოსიც დაუდგენია (ბ. მჭედლოშვილი, ძეგლის მეგობარი, № 1, 1986);
- 8. ერთი კერეთს, მისავე აღმუნებულსა;
- 9. ერთი ჩელეთს, რომელი სოფელსა შუა აღაწერა;
- 10. ერთი ზორნაბუქს;
- 11. ერთი აგარაკს;
- 12. ნიქოსს.

ვარაუდის სახით დასაწვება ვახტანგის მიერ კერძოში, ნიქოზსა და ჩელითში მართლაც დაარსებულყო საეპისკოპოსოები. მაგრამ ვანა ეს რამეს ცვლის?

ამ სიის მიხედვით, საკუთრივ ქართლში მხოლოდ ორი ეპისკოპოსი ჩანს, მეტეხისა და ნიქოზის. თბილისიც კი, რომელიც თითქმისდა ვახტანგმა დააარსა, ეკლესიის მესვეურის ვარდ-შე აღმოჩნდა. ვარდა ამისა, რა ვუყოთ სხვა ძველ ქალაქებს: უფლისციხეს, არმაზციხეს, კას, ნეკრესს, ტუტუბა-გულგულას, უჩარმა-კა-წარეთს, გაჩიან-ცურტას, სამშვილდესა და სხვა, ჩვენთვის უცნობ ქალაქებსა თუ დაბებს. ამდენად, ჭუნაშვილის ეპისკოპოსთა სია ახანავს მხოლოდ ვახტანგის მიერ დასმულ ეპისკოპოსთა რაოდენობას და არა ეპარქიების რიცხვს.

თავის დროზე ივ. ჭავჭავაძემაც მოაქცია ჭუნაშვილის ცნობების შეუსაბამობას უფრადლება და აღნიშნა: „ჭუნაშვილის სიტყვებიდან ისეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, თითქმის მას მხოლოდ იმათი დასახელება სდომებოდეს, რომელიც ანტიოქიის პატრიარქმა აკურთხა. მაგრამ მაშინ მართლ ჭუნაშვილის ამ ცნობაზე დაუბრუნებელია“ (ივ. ჭავჭავაძე, საქართველოს კულტურა, თბილისი I; 1978 წ., გვ. 340).

ივ. ჭავჭავაძე განმარტავდა: „უფროსი უფროსები ეპისკოპოსები იყვნენ. ეკლესიას საერაო ხელმძღვანელი და უფროსი მყვდა. უძველესი ხანაში (ხაზი ჩვენია, — ბ. შ.) მას ეწოდებოდა „თავი ეპისკოპოსთა“, ანუ „მთავარეპისკოპოსი“, ვახტანგ გორგასალის მეფობაში ქართული ეკლესიის უფროსად და საეპისკოპოსოებლად „კათალიკოსი“ შეიქმნა“ (ივ. 35; გვ. 387).

მაშასადამე, ივ. ჭავჭავაძის გამოკვლევა „უძველესი ხანის“, რომელიც ვახტანგ გორგასალამდელს გულისხმობს. ამ „უძველეს ხანაში“ მთავარეპისკოპოსები ხელმძღვანელობდნენ ქართულ ეკლესიას. „მთავარ“ ან „თავი ეპისკოპოსთა“ — თავისთავად იგულისხმება, მყვდათ ხელმძღვანელი, ჩანკით დაბალი ეპარქიის ეპისკოპოსები, ე. ი. გორგასალამდე ყოფილან ეპისკოპოსები. და, როგორც ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავს, VI ს. დამდგენისთვის მათი რიცხვი 33 აღწევდა.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ვითხოვლობს: IV ს-ში „საპატრიარქო და საერაისთავო ცენტრებში ეპისკოპოსებიც ისხდნენ“. ანუ რომ, „ისეთი ცენტრების რიცხვს ემთხვეოდა საეპისკოპოსო საყდართა სათვალავიც. უკვე V ს-ის შუაში (ხაზგასმა ჩვენია, ბ. შ.). ქართლში ირიცხებოდა ოცდაათიოდე საეპისკოპოსო ოლქი“ (საქართველოს ისტორია, I, 1958 წ.). ავტორები ამ ვაგინება არიან: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატაძა.

ანალოგიური შეხედულებისა მ. ლორთქიფანიძეც, რომელიც თვლის: „როგორც აღნიშნულია ამ ეპისკოპოსების დასახელება არ უნდა ნიშნავდეს ყველგან ახალი საეპისკოპოსოების დაარსებას. ამათგან ნაწილი მართლაც ახლად დაარსებულია. ისეთი უნდა იყოს ნინო-წმინდის კათედრა (რაც ჩვენ არა სწორად მიგვაჩნია, ბ. შ.), კერძის, ნიქოზის, ზოლო რიგ შემთხვევებში ძველი ეპისკოპოსები, რომელნიც ალბათ მიქელას დასიანი იყვნენ, ახლებითაა შეცვლილი. უდავოა, რომ ამათ ვარდა სხვა საეპისკოპოსოებიც არსებობდა ქართლის სამეფოში, მაგრამ ჭუნაშვილის სიაში ისინი ვერ მოხვდნენ, რადგან ჩანს, ვახტანგს აქ ცვლილება არ მოუხდენია“ (მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V ს-ის II ნახევარში, 1978 წ.), გვ. 72-74).

ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს, ჭუნაშვილისე მიხედვით, შეინიშნება საეკლესიო დასთან უთანხმოება. ცნობილია, რომ უკვე IV ს-ის დასაწყისიდან, ირანი ცდილობს ამიერკავკასიაში პოპულაციების განმტკიცებას და ერთ-ერთ ქმედით იარაღად ქრისტიანულ რელიგიასაც იყენებს. მაგალითად, სომხეთში, დღემდე დაარსებისა, ქრისტიანულ ეკლესიას ხელმძღვანელობდნენ ირანის მეფეთა ხელდასხმული მთავარეპისკოპოსები ანუ კათალიკოსები. ქართლი, რომელსაც ბიზანტია მფარველობდა, უკეთეს პირობებში იყო და წინააღმდეგობასაც უწევდა ირანის მოძალატეს, მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევებში, ირანი, როგორც ეს ვახტანგ გორგასალის ცხოვრებიდანაც ჩანს, მაინც აღწევდა ბიზანს და ქართლს თავის პოლიტიკას ახვევდა.

მიუხედავად ამისა, რომ, ამ ამბების თითქმის თანამედროვე, პოპოლარი ეპარქიული აღნიშნავდა — „იბერები ქრისტიანები არიან და ამ ხარწმუნოების წესებს უყვლა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“ (გეორგიკა, II, 1984 წ., გვ. 21), ქართლში მაინც შეინიშნება საეკლესიო დაჭრუხება, რომელიც სხვადასხვა ნიშნით შეიძლება სწორედ პრიორანული ყოფილიყო.

საეპისკოპოსოს საინტერესოა, ავრეთვე, ჭუნაშვილის ობრობის ის ნაწილიც, რომელიც უდავოდ წინ უსწრებს გორგასალის რეფორმებს.

იღვრეთში ლაშქრობიდან დაბრუნებულ ვახტანგს „მიეგება ძე მისი დანი და მის თანა ეპისკოპოსი. და ვითარცა ცნა ეპისკოპოსიან (მიქაელ, ბ. შ.), ვითარმედ წარავლინა მეფემან მოციქული მოუვანებლად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა, დაუშობდა მას ზედა“ (ქ. ც. გვ. 198).

მაშასადამე, ვახტანგ გორგასალს ეს-ენა დაუბრუნებია კათალიკოსისა და ეპისკოპოსების ახალი გვუფის მოწვევა, ზოლო მასთან შესახვედრად მოხული არიან ძველი ეპისკოპოსები.



ერთი სიტყვით, იგივე წყარო (ამ შემთხვევაში ქუანდარა), რომელზედაც აგებულია ვახტანგ გორგასანის რეფორმა, ახალიებს ამგვარ შეხედულებას.

ეს, რაც დაკავშირებულია ქუანდარის ცნობებთან, მაგრამ ისტორიოგრაფია არ უნდა იზღუდებოდეს მხოლოდ ერთი ბუნდოვანი ცნობის მცდარი ინტერპრეტაციით. მეცნიერული ასარატი გულისხმობს განსახილველი ცნობის შექრებას სხვა მონაცემებთან და, რაც მთავარია, ტიპოლოგიურ მიდგომას, ეპოქის დამახასიათებელი ნიშნების წარმოჩენას.

დღეს აღარავის ეჭვებს, რომ IV-ს-ის დასაწყისიდან ქართული შესულია ბიზანტიის ფაულენის სფეროში და ამთავითვე ჩვენში ისეთივე საეკლესიო სტრუქტურა დამკვიდრდა, როგორც დამახასიათებელი იყო იმდროინდელი ქრისტიანული ქვეყნებისათვის.

სომეხი ისტორიკოსის, ავთანგელოსის მიხედვით, ქართლში ქრისტიანობის აღიარებისთანავე, წმინდა გრიგოლს ეპისკოპოსები დაუდგენია „მთელს საქართველოში“ (გეორგიკა, I, გვ. 78).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თანახმად, IV ს-ის II ნახევარში, ქართლის მეფე თრდატის დროს, „მთავარეპისკოპოსი იყო ნერსე“ (ძველი ქართული ავოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1968-64, გვ. 91). „მთავარეპისკოპოსი“, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სხვა დაქვემდებარებულ ეპისკოპოსებსაც გულისხმობს და IV ს-ის II ნახევარში ეპისკოპოსების არსებობა ამ ცნობითაც დასტურდება.

IV ს. ბოლოს „მეფობდა ბაქურ და მთავარეპისკოპოსი იყო ელია“ (იქვე, გვ. 92). „და შემდგომ ამის (ბაქურისა) მეფობდა ფარსმან დისწული თრდატისი, და მთავარეპისკოპოსი იყო სვიმონ“ (იქვე).

V ს-ის დასაწყისში, „მეფობდა არჩილ და მთავარეპისკოპოსი იყო იონა“ (იქვე).

ლევონტი მროველის მიხედვით, IV ს-ის დასაწყისში, მეფე მირიანმა სიკვდილის წინ „დავედრა ეპისკოპოსთა“, ეძიდებოთ წმინდა ნინოს საფლავზე აშენებული ეკლესია (ქ. ც., გვ. 129).

წმინდა ნინოს „ცხოვრების“ თანახმად, იგი დამარხეს დაბა ზოდს „და ეკლესიეჲ ზღუდნენს და ეპისკოპოსი განაჩინეს მას სულდარე ქველუ ქართული, გვ. 281).

შეიძლება ამ საკითხის გარჩევა ამითაც დაგვემაჯავრობინა, მაგრამ მოვიშველიოთ ქრისტიანული სამყაროსათვის დამახასიათებელი სურათიც.

ცნობილია, რომ იქ, სადაც ქრისტიანობამ ფეხი მოიკიდა, თითოეულ ქალაქს განაგებდა ეპისკოპოსი. ამის მიუხედავად, რომ სირიაში ეკლესიის იერარქიული და კანონიერი განვითარება სუსტად მიმდინარეობდა და მწყობარი განაწილებაც არ არსებობდა, მაინც, უკვე III-IV სს-ში, თითოეული ორგანიზაცია ექვემდებარებოდა ეკლესიას და, მასთანავე, ეპისკოპოსს (Пигулевская Н. В., Культура Сирийцев в средние века, 1979 г., с. 197).

«В областях, соседних с Ираном, и самом Иране (в Месене, Сузах, Рев-Арташире, Бахрайне) в 225 г. (!) были уже учреждены христианские епископства» (Луконин В., Культура сасанидского Ирана, 1969 г. с. 72).

V ს-ის სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარაბეცი აღნიშნავს, რომ ირანის მეფის ივლიგერდის დროს (389-421 წწ.), „სომხეთის ყველა გაყარვიდან შეიკრიბნენ წმინდა ეპისკოპოსები“ (ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარაბეცის ცნობები საქართველოს შესახებ, 1962 წ., გვ. 214).

აღარაღერს ვამბობთ თვით ბიზანტიის ქრისტიანული ცენტრების შესახებ, რადგან სურათი თავისთავად ნათელია. პარკოპო კესარიელის ზემოთ მოტანილი დახასიათებაც ზომიერად აღემატება იქნებოდა თუ ქართველები საეკლესიო იერარქიის ჩამოყალიბებას მხოლოდ V ს-ის II ნახევარში მოიფიქრებდნენ.

ზემოთ მოტანილი მასალა საეკლესიო აპარატის ჩვენს შეხედულებას, რომ ბოლნისის სიონს, დღიდან აშენებისა (IV ს), ჰყავდა თავისი ეპისკოპოსები და ტაძრის ჩრდილოეთი კარის წარწერაშიც პირველი მათგანის სახელი იქნებოდა ამოკვეთილი.

# საქართველოს ისტორიის ღვაწლმოსილი მკვლევარი

(პროფ. ს. კაკაბაძის დაბადების 100 წლისთავი)

ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში პროფ. სარგის კაკაბაძეს უაღრესად დიდი ღვაწლი მიუძღვის. კეშმარიტად, იგი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია.

სარგის ნესტორის ძე კაკაბაძე დაიბადა 1886 წელს, ზონის მაზრის სოფელ კუბში. 1905 წელს, ქუთაისის განჯაზიის დამთავრების შემდეგ, ს. კაკაბაძე სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ვეროპაში. 1905-1907 წლებში სწავლობდა ვენის უნივერსიტეტში. შემდეგ სწავლა გააგრძელა პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომელიც 1910 წელს დაამთავრა. სწავლის პერიოდში ს. კაკაბაძე საფუძვლიანად გაეცნო ისტორიის მეცნიერული კვლევის მეთოდებს, შეისწავლა ევროპული და აღმოსავლური ენები.

საქართველოში დაბრუნებისთანავე ს. კაკაბაძემ დაულაღვი მუშაობა გაიჩინა როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიურ ასპარეზზე. 1911-1918 წლებში იგი ლექციებს კითხულობდა თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე, ხოლო საბჭოთა ზღვისუფლების დამყარების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ზღმძღვანელობდა საქართველოს ისტორიულ არქივს, სადაც მან მეცნიერ-ორგანიზატორის დიდი უნარი გამოამჟღავნა.

როგორც ისტორიკოსი-მკვლევარი, ს. კაკაბაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოხვდისას კარგად იყო მომზადებული (ენების ცოდნა, ძველ წყაროებზე მუშაობის შესანიშნავი უნარი, მეცნიერული კვლევის ადგილ და სხვ.). შეიძლება ითქვას, რომ მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიის კონკრეტულ

საკითხებზე ცალკეულ გამოკვლევების ეტაპს, ურომლისოდაც შეუძლებელია საქართველოს ისტორიის განმარტავადგენელი შრომების (მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების) შექმნა. ყოველ შემთხვევაში, მანამდე არცერთ ქართველ ისტორიკოსს გამოკვლევათა ასეთი დიდი სერია საქართველოს ისტორიის კონკრეტულ საკითხებზე არ მოუცია.

ს. კაკაბაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის მთელი რიგი ისეთი საკითხების შესწავლის საქმეში, როგორც: ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის, ძველი საქართველოს ტოპონომიკის, ფეოდალთა საგვარეულოების ისტორიის (თორღელთა, თოგველთა, ფაღუნის, შვილითა და სხვ.), XIII საუკუნის I ნახევრის საქართველოს დემოგრაფიის, ვახტანგ გორგასალის, გიორგი სააკაძის, ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის გაერთიანებული საქართველოს („ყოველი საქართველოს“) სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურის, ყუთლუ-არხლანის დახის გამოხვდის, სავრო და სასულერო დიდმოხელეების — კთალაქოსთა, შიქურტქელთუბუცესთა, მანდატურთუბუცესთა, ამირსპასალართა, შხაბურთუბუცესთა მოღვაწეობის ქრონოლოგიური რაგის დადგენის, ერთიანობის ხანის საქართველოს უცნობი რეგიონალური „მეფეების“ და სხვა საკითხები.

ყველა შემოჩამოთვლილ და უამრავ სხვა საკითხზე ს. კაკაბაძემ უაღრესად საინტერესო და საყურადღებო დაკვირვებები მოგვცა, ხოლო რიგ შემთხვევაში საფუძვლიანი გამოკვლევების ჩატარა, არა ერთი მონოგრაფია გამოაქვეყნა, რომელთაც დღესაც ოდნავადაც არ დაუარსებავთ მნიშვნელობა. ამასთან, არა ერთი ორიგინალური კონცეფცია წამოაღწია საქართ

ველოს ისტორიის წინაფეოდალურ, ადრეფეოდალურ და განვითარებული ფეოდალური წყობილების რიგ საკვანძო საკითხებზე.

ს. კაკაბაძე, ერთ-ერთი პირველი, შეიკვამ, აგრეთვე, მოცუა გვიანი შუა საუკუნეების სახელდობრ XV-XVIII საუკუნეების ფეოდალური საქართველოს მწყობრი, თანმიმდევრული ისტორია. შეიძლება ითქვას, რომ ეს ცდა წარმატებით დამთავრდა და მისი „საქართველოს ისტორია (XV-XVIII სს.)“, რომელიც 1920 წელს გამოიცა, მკვლევარ-მეცნიერთა წრეში დღესაც პოპულარული გამოყენებას. ამ ნაშრომში მოცემულია და გაშუქებულია ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, სათავადო-სენიორიები და მისი ნიშნები, ქვეყნის მმართველობის სისტემა, კლასობრივი ბრძოლა, კულტურა და რაგი სხვა საკითხები. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თავის „საქართველოს ისტორია“-ში, გარდა იმისა, რომ ქრონოლოგიურად თანმიმდევრული მწყობრი სისტემათაა მოცემული ქვეყნის ისტორია, ძირითადად სწორად არის გაშუქებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის მთელი რიგი საკვანძო პრობლემები, სწორად არის ახსნილი ერთიანი საქართველოს დაცემის მიზეზები, რასაც ავტორი ქვეყნის პოლიტიკურ დაშლასა და ეკონომიკის დაკეზა-დაკეითებაში ხედავდა. თავისი დროისათვის ეს წიგნი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძნია იყო.

ცხადია, დღეს მარქსისტული მეთოდოლოგიით შეიარაღებული ქართული ისტორიოგრაფიული მეცნიერება საქართველოს ისტორიის მთელ რიგ დიდ და პატარა საკითხს, რომლებსაც ს. კაკაბაძე სწავლობდა, უფრო ღრმად და სხვაგვარად აშუქებს, მაგრამ ის, რაც ს. კაკაბაძემ შეძლო თავის დროზე გაეკეთებინა, უძველესად დიდი მნიშვნელობისა იყო და ერთ-ერთი საეტაპო საფეხური საქართველოს ისტორიის მთელი რიგი პრობლემების შემდგომი შესწავლის საქმეში.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ს. კაკაბაძეს ასევე ქართულ დიპლომატიკაში. საისტორიო მეცნიერების ამ ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად კვლევას მან დიდი ენერჯია შეაღია. ს. კაკაბაძემ ღირსებულად განაგრძო დ. ბაქრაძის, ალ. ცაგარელის, ალ. ხახანაშვილის, დ. ფურცელაძის, თ. ყორღანიას და ექთაუაშვილის მიერ დაწყებული დიდი პატრიოტული და საზვიალშეალო საქმე ძველი ქართული საზოგადოების, სიგელ-გუჯარების შესწავლისა და გამოცემის საქმეში. მისი დიდი დამსახურებაა, რომ დღეს ჩვენ ხელთ გვაქვს ათეულობით დაღუპული ძველი ქართული საზოგადოების პირები, რომლებიც მან გადაწერა და გამოსცა.

ცნობილია, რომ ისტორიოგრაფია (ისტორი-

ული მეცნიერება, ისტორიული გამოკვლევები) უკმალო უფრო მაკარ საფუძველზე მდებარეობს ისტორიულ დოკუმენტაციას. ენერჯიისა და მტომ განსაკუთრებით ეს უღადესი მნიშვნელობა, რომელიც დიპლომატიკის უმარავს საისტორიო მეცნიერებაში. XIX ს-ის 80-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი XX საუკუნის დასაწყისიდან აშკარად იგრძნობოდა, რომ ქართული ისტორიოგრაფია, თუ მას სურდა მსოფლიო საისტორიო მეცნიერების განვითარების დონეზე მდგარიყო, მარტო ნარატიული წყაროებით ვერ დაეკმაყოფილებოდა. ქართველმა ისტორიკოსებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ეს კარგად შეამჩნიეს. დაიწყო ფართო მუშაობა საისტორიო მეცნიერების ამ დარგში.

შეიძლება ითქვას, გრანდიოზული მუშაობა ჩატარა ამ მხრივ ს. კაკაბაძემ. უადრესად ფართო იყო მისი მოღვაწეობის სფერო დიპლომატიკაში. არ დაჩინილა საქართველოს ისტორიის თითქმის არც ერთი დარგი, რომ მას სათანადო უწყალური და პირველხარისხიანი ისტორიული დოკუმენტები არ მოეძებნოს და არ გამოეკვეყნებინოს. ამასთან, ძველი ქართული ისტორიული დოკუმენტების გამოცემის ქრონოლოგიური მანქნის ს. კაკაბაძისთვის ასევე უადრესად ფართო იყო — ძველი დროიანი (საიდანაც კი დოკუმენტაცია შემოგვრჩა) XIX საუკუნის ბატონყმური ხანის დასასრულამდე.

ს. კაკაბაძის გამოკვეყნებული დოკუმენტები შეეხებოდა ქართველ ფეოდალთა კლასის ისტორიას — თავდაზნარობის სამშალო, სამეურნეო, პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და კულტურულ ცხოვრებას, სათავადოებს, გლეხობის ყოფაცხოვრებას — სოციალურ-უფლებრივსა და ეკონომიკურ მდგომარეობას, კლასობრივ ბრძოლას, ქართული ეკლესიის სტრუქტურას, მის როლსა და ადგილს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მის მიერ გამოკვეყნებული დოკუმენტები ეტება აგრეთვე საქალაქო ცხოვრებას — ეკონომიკას, ხელოვნება-მრეწველობას, ასევე, ქვეყნის დემოგრაფიულ აღწერებს და უმარავ სხვა საკითხს.

უნდა აღინიშნოს, რომ, წინამორბედთაგან განსხვავებით, ს. კაკაბაძე დოკუმენტების მარტო პუბლიკაციით არ ემყოფილებოდა. მას მოცემული აქვს თავისი გამოკვეყნებული დოკუმენტაციის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილის შეცნაერული ანალიზი და მათი მნიშვნელობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ისტორიის შესწავლის საქმეში.

ისტორიული დოკუმენტების პუბლიკაცია ს. კაკაბაძემ დაიწყო XX საუკუნის 10-იანი წლებიდან. 1918 წელს გამოაქვეყნა „ისტორიული საბუთები“ 5 წიგნად. ეს არის ქართულ-კახეთის საეკლესიო საბუთები XV-XVIII საუკუნეებისა — მცხეთის, თბილისის, სიონის,

ქვათხევის, შოაღვიძის, მანგლისის, აწყურის, ლოდარქის, შუაშის, დავით-გარეჯის, ნინოწმინდის, ალავერდის მონასტრებისა, მანვე გამოსცა „ღვთაების გუჯარი“ 1722 წლისა (წ. 1).

1921 წელს ამას მოჰყვა მის მიერ „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთების“-ს გამოქვეყნება — XV-XVIII საუკუნეებისა და XIX ს. პირველი ათეული წლისა — 2 წიგნი, სადაც წარმოდგენილია ველათის, ბიჭვინთის, ნეკორწმინდის, ხონის, ქუთაისის, ცაგერის, მარტვილის მონასტრების სიგელ-გუჯრები.

1924-1925 წლებში 4 წიგნი გამოცემულ „საისტორიო მოამბეში“ ს. კაკაბაძე აქვეყნებს შთელ რიგ სხვადასხვა ხასიათის მნიშვნელოვან საერო და საეკლესიო საბუთებს XIII-XVIII საუკუნეებისას, ასევე ქ. თბილისის 1808 წლის აღწერას.

აღსანიშნავია, რომ „საისტორიო მოამბეში“ (წიგნი II, 1924 წ.) ს. კაკაბაძემ გამოაქვეყნა „სასისხლო“ სიგელებიც და მოგვცა მათი ფართო შეფასება-ანალიზი. ცნობილია თუ როგორი შეცნირებული კამათი გაიმართა „სასისხლო“ სიგელების ვარსებო. მკვლევართა ნაწილი ცდილობდა (დღესაც) ეს ისტორიული დოკუმენტები საერთოდ ნაუალებედ გამოეცხადებინა. დღეს დასტურდება, რომ მათი ერთობ უაღბლად მიჩნევა სწორი არ არის და ს. კაკაბაძის თვალსაზრისი „სასისხლო“ სიგელების შესახებ არსებითად მართებული ჩანს.

1928-1929 წლებში ს. კაკაბაძე კვლავ აქვეყნებს ისტორიულ დოკუმენტებს და მასალებს თავის „საისტორიო კრებულის“ 4 წიგნში. დოკუმენტები და მასალები სხვადასხვა ხასიათისა და მოიცავს პერიოდს XII საუკუნიდან დაწყებული XIX ს. პირველი ნახევრის დასასრულამდე. აქ წარმოდგენილია მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები და მასალები საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ისტორიის საკითხებზე, დოკუმენტები გიორგი სააკაძეზე, იეზუიტების ბარათაშვილებზე, საეკლესიო უმთავრობებზე და უამრავ სხვა საკითხზე.

ს. კაკაბაძე შემდგომ წლებშიც ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქართული საისტორიო მეცნიერების ამ ასპარეზზე. მის მიერ გამოქვეყნებული ისტორიული დოკუმენტების საბეჭდო-დებუთა უბრალო ჩამოთვლაზე კი ათეულობით ვერც დავს დასჭირდებოდა.

სამართლანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ისე როგორც მისი წინამორბედების, ასევე ს. კაკაბაძის მიერ გამოცემულმა დოკუმენტებმა უაღრესად დიდი როლი შეასრულა ისტორიკოსთა მეცნიერული დონის ამაღლებას და სხვადასხვა ხასიათის საფუძვლიანი ისტორიული გამოკვლევების შექმნის საქმეში. უპირველად დიდა მისი დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის, საერთოდ, და, კერძოდ, დიპლომატია-წარართმოდგენის დარგის გან-

ვითარებაში. ქართული მედიევისტიკის ფიქსირების ვერც ერთი მკვლევარი ვერც აუღლის ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული ქართული დოკუმენტურ ბაზას.

ს. კაკაბაძემ განსაკუთრებული დეაწლი დასდო ქართულ საარქივო საქმეს. მან დააარსა საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი და ხელმძღვანელობდა მას 1921-1926 წლებში, 1924-1924 წლებში კი სიძველეთა დაცვის ხელმძღვანელი იყო.

დიდა ს. კაკაბაძის დამსახურება ქართული ისტორიული დოკუმენტების არა მარტო მოძიება-გამოკვეთებისა და შეფასება-ანალიზის, არამედ მათი მოვლა-პატრონობისა და გადარჩენის საქმეშიც.

შეუძლებელია აუღვლებლად წააკითხო მისი მოხსენებითი ბარათი წარდგენილი საქართველოს განათლების სახალხო კომისიის სახელზე — ჩრდილოეთ კავკასიიდან არქივებისა და სამუზეუმო კოლექციების რევაკუაციის შესახებ 1928 წ. ამ წელს ს. კაკაბაძე საქართველოს მთავრობის მიერ გაგზავნილ იქნა ჩრდილოეთ კავკასიაში, იქ, პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს, გატანილი თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის ისტორიული საარქივო საქმეების (2008 ტომარა და 27 უთი) მოხაჭებნად და საქართველოში დასაბრუნებლად. ამ საარქივო დოკუმენტებს შორის იყო ათასობით ძველი ქართული სიგელ-გუჯარი. აღმოჩნდა, რომ გატანილი საარქივო საქმეების უდიდესი ნაწილი დედუბლიყო. ს. კაკაბაძის მტკად შეუპოვარა ძიებანი მათ აღმოსაჩენად ამოაგამოძგა. იმავე მზოლოდ 2 შთელი ტყავის სიგელი და საბუთების რამდენიმე ნაწილი. იტუ-ლი მოკედბოდა, როდესაც ამ ნაწილებს ვუ-უტრებდო, ნაშთს 3.000 ძვირფას სიგელ-გუჯ-რისას“-ო — წერს მოხსენებით ბარათში ს. კაკაბაძე („საისტორიო მოამბე“, წ. I, 1924 წ., გვ. 276-277). დიდი ღონისძიებების შემდეგ ს. კაკაბაძემ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოიტანა დაღუპვისაგან შემოსვითი ვადარჩე-ნილი ბათუმის არქივი, ასევე თბილისის და ქუთაისის არქივების რამდენიმე დოკუმენტი და სამუზეუმო კოლექციები (სურათები, წიგ-თები). რამდენიც თბილისში ჩააბარა ცენტრ-არქივსა და საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმს, რითაც საქვეყნო-პატრიოტული მისია პირნათლად შეასრულა.

დიდი წვლილი შეიტანა ს. კაკაბაძემ, აგრე-თვე, ქართული საკანონმდებლო ძეგლების პუ-ბლიკაციის საქმეში (შეფას კურთხევის წიხი, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“, კა-თლიკოსის სამართალი (1918) და სხვ.); გა-მოსცა ასევე აგიოგრაფიული ძეგლები — „თ-სტაი მიცხეთელის ცხოვრება“, „სურდელ მა-მთა ცხოვრებათა არქიტაქიები“ (1928), ძველი ქართული საერო მხატვრული ლტერატურის ძეგლები — „ვეფხისტყაოსანი“ (1918, 1927).

„თამარია“ (1918, 1987), „ახლდღისნი“ (1918, 1987), „აზიანდარქანია“ (1989).

ახლანდელია, რომ ს. კაკაბაძემ 1925 წელს გამოაქვეყნა ფეოდალური საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო — ფარსადან გორგჯანიძის „საქართველოს ისტორია“, რომელიც დღემდე რჩება ერთადერთ გამოცემად.

დიდი მნიშვნელობისაა მისი გამოკვლევები რაც სხვა სპეციალურ სისტორიულ დისციპლინებშიც: ნუმიზმატიკაში, პალეოგრაფიაში, ქრონოლოგიაში, მეტროლოგიაში და სხვ.

ასევე მნიშვნელოვანი შეცნირული შტუდიები ჩატარა ს. კაკაბაძემ ძველი საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლის ფარნავაზისა და მისი საგვარეულოს (ფარნავაზიანების) ისტორიული რეალის გარკვევის, „ქართლის ცხოვრების“ პირველი კრებულის, ანუ მისი ძველი ხართვის შედგენილობის თარიღის დადგენის (მისი სქემით V-VIII სს.), საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და ოფიციალურად აღიარების, ბასილ ზარზმელის თხზულების „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ დათარგმნების (მისი აზრით VII ს-ის ძველი) საქმეში, საქართველოში ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემატიკაში (ს. კაკაბაძის შეხედულებით ქართლი VI საუკუნეში ფეოდალიზაციის გზაზე, ფეოდალიზირებულია), დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსთა ვინაობის, თამარის მეფობის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს დაღებულთა აქანუების მიწეების გა-

რკვევისა და საქართველოს ისტორიის სხვა მრავალრიცხოვან საკანძო პრობლემურ და კონკრეტულ საკითხებზე.

სიკოცხლის ბოლო წლებში ს. კაკაბაძე კვლავ დიდი ენერჯითი მუშაობდა, გამოსცა და დაასრულა რამე მნიშვნელოვანი მონოგრაფიები: „ვახტანგ გორგასალი“ (1959), „შოთა რუსთაველი და მისი ვერხვითკოსანა“ (1966), „დიდგორის ომი“ (1982).

ისტორიული მეცნიერება, ისე როგორც მეცნიერების ყველა სხვა დარგი, განვითარებადი. ისტორიული მეცნიერების სფეროში მეტნაკლები შეცვლობისა და უზუსტობისაგან დაზღვეული არაიან უყოლია, დიდი ისტორიკოსებიც-კი, მათ შორის, ს. კაკაბაძე. მთავარი ისაა, რომ დიდი ისტორიკოსები უცვლელის თავისი ეპოქის შესაფერი დიდი მეცნიერული შექცევადრეობით გამოირჩევიან.

ამ შეუძლებელია გამოჩინალი ქართველი ისტორიკოსის, 800-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორის, პროფ. ს. კაკაბაძის უაღრესად ფართო და მრავალმხრივი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მთელი სისრულით წარმოჩენა. მას სპეციალური გამოკვლევა დასჭირდებოდა.

ფაქტია, ს. კაკაბაძემ ქართულ ისტორიოგრაფიის დიდი შემქმედრეობა დაუტოვა, რომლის ერთი ნაწილის კეთილსინდისიერად მიღება, ბოლო მეორე ნაწილის, ასევე, ობიექტური კეთილსინდისიერებით კრიტიკული ათვისება ჩვენს მეცნიერულ მოვალეობას შეადგენს.



## მაკიაველის «მთავარის» ირგვლივ

მაკიაველი აღორძინების ეპოქის ტიტანებს შორის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა. „მთავარს“ მაკიაველის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და „მსჯელობებთან“ ერთად წარმოდგენას გვიქმნის მის პოლიტიკურ შეხედულებებზე. ორიოდე სიტყვას მოვახსენებთ „მთავარის“ შექმნის ისტორიაზე. ჯერ კიდევ რევოლუციამდელი რუსი ისტორიკოსი ტ. გრანოვსკი შენიშნავდა აზრთა იმ სხვადასხვაობას, რომელსაც მაკიაველის ნაწარმოების შექმნის მოტივები იწვევდა. მაკიაველის შემოქმედების ერთ-ერთი ავტორიტეტული მკვლევარი რიკარდო რინდოლფი მაკიაველის თხზულების დაწერის მოტივად იტალიის რეალურ ვითარებას მიიჩნევს, სადაც ტირანულ ძალაუფლებას ვაბატონებული ადგილი ეკავა. ფ. მ. ბურლაკის სამართლიანი შენიშვნით კი საქმე არც მთლად ასე უნდა იყოს. ის ფაქტი, რომ იტალიაში უპირატესად ტირანია არსებობდა მაკიაველმა კარგად იცოდა მინამდვილედი „მთავარის“ წერის შეუდგებოდა. მისი აზრით, „მთავარი“ მაკიაველმა შექმნა რათა გაეუმჯობესებინა თავისი ურთიერთობა მედიჩებთან, რაც მაკიაველის აზრით, ზელს შეუწყობდა მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგრამ მაკიაველი შეცდა ვარაუდში. მედიჩებმა როდი დააფასეს მისი ერთგულება.

მაკიაველი აღორძინების ეპოქის დიდი პოლიტიკური მოაზროვნე იყო. აღნაირ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მან რევოლუციური გადატრიალება მოახდინა პოლიტიკური აზროვნების სფეროში, რაც იმაში გამოიხატება, რომ მაკიაველიმ გაათავისუფლა პოლიტიკური მეცნიერება რელიგიურ-ეთიკოლოგიური მსოფლმხედველობის გავლენისაგან. ამიტომ საყვებოთ ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენდნენ და დღესაც იჩენენ მაკიაველის პოლიტიკური მოძღვრებისადმი, მაკიაველის „მთავარის“ ქართულ ენაზე გამოცემის (თარგმანი, წინასიტყვაობა და კომენტარები ბაჩანა ბრეგვაძისა) შედეგად ქარ-

თველი საზოგადოება კიდევ უფრო აბლოს და ღრმად გაეცნო მაკიაველის პოლიტიკურ მრწამსს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მაკიაველის თხზულების ქართულ ენაზე გამოცემით კემშირიატად კარგი საქმე გაკეთდა სასურველი იქნება თუ ქართული მეოთხედი მიიღებს მაკიაველის „მსჯელობების“ ქართულ თარგმანსაც. ეს სრულყოფილ წარმოდგენას შეუქმნის ქართულ მეოთხედს მაკიაველის პოლიტიკურ ფილოსოფიაზე.

მაკიაველის თხზულებას წინ ერთვის ბაჩანა ბრეგვაძის საყვამოდ ერთ-ერთი წინასიტყვაობა, რამელიც თავისუფლად შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცალკე გამოკლევა მიძღვნილი მაკიაველის შემოქმედებებისადმი. ეს არის საყვამოდ სოლიდური წერილი მაკიაველზე, რომელიც ემყარება პირველწყაროებისა და საყვამოდ ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას. ყველაფერი ეს საშუალებას აძლევს ავტორს ღრმად ჩაწვდეს მაკიაველის მსოფლმხედველობის ნიუანსებს. ავტორის მსჯელობის მთავარ საგანს, რა თქმა უნდა, მაკიაველის პოლიტიკური შეხედულებები წარმოადგენს. მკვლევარი მაკიაველის პოლიტიკური შეხედულებების ცვლელა-ძიების დროს მიხედავს დადგენილ ტრადიციას, რომლის თანახმადაც მთავარი კამათი მაკიაველის ბიოგრაფებს შორის მიმდინარეობს საკითხზე — მონარქიის მომხრე იყო მაკიაველი თუ რესპუბლიკის? მკვლევარი მაკიაველის თხზულებების ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ მაკიაველი რესპუბლიკის მომხრე გახლდათ, მაკიაველის პოლიტიკური შეხედულებების გარკვევასათვის საყვამოდ არ ჩანს შემოვიტაროთ ანტითეზით — მონარქია თუ რესპუბლიკა?

ლიტერატურაში გავრცელებული ერთ-ერთი თვალსაზრისის თანახმად მაკიაველი დესპოტიზმის და ტირანიის მომხრე იყო. ამ მოსაზრების ერთ-ერთი თვალსაზრისი წარმომადგენელი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში აკად. ა. კ. ჩიველგოვი გახლდათ. მისი ღრმა ჩწმენით მთელი ცხოვრება მაკიაველი ოცნებობდა დიქტატორზე, რომელიც განახორციელებდა იტალიის ერთიანი გაერთიანების პატრიოტულ იდეას. ეს იმით აიხსნება, რომ ა. ჩიველგოვი საყვამოდ დიდ ყურადღებას უთმობს „მთავარს“ და ნაკლებ ყურადღებას აქცევს მაკიაველის სხვა



თხზულებებს, პირველ რიგში კი „მსჯელობებს“. ამიტომ ა. კ. ჩიველეგოვის თანხმად, მაკიაველი ტორანოს მომხრე გახლდათ. მაკიაველის პოლიტიკური შეხედულებების ასეთი ინტერპრეტაცია ძალზე საყაფოთი გახლავთ და საკუთებით სამართლიანად არ იქნა გაზიარებული მეცნიერთა დიდი ნაწილის მიერ, მათ შორის მაკიაველის „მოთავაზის“ ქართული თარგმანის ავტორის მიერაც.

ლიტერატურაში გავრცელებული შეოკრთვასაზრისის მიხედვით მაკიაველი რესპუბლიკის მომხრე გახლდათ (ვ. მაქსიმოვსკი). ეს მისაზრება არის გამოთქმული მაკიაველის „მოთავაზის“ ქართული გამოცემის წინასიტყვაობაშიც. მაკიაველის თხზულება „მსჯელობები“ საკუთებით აღასტურებს ამ შეხედულებას. ეს ნაშრომი მთლიანად რესპუბლიკური წყობას ეძღვნება, სადაც მმართველობის რესპუბლიკური ფორმისადმი მაკიაველის სიმპათიური დამოკიდებულება გამჟღავნებული. მაგრამ რა ეუყობ „მოთავაზს“ და მაკიაველის ჩანაწერებს „საფრანგეთის საქმელა აღწერა“, სადაც ის მალა შეფასებას აძლევს საფრანგეთის ერთიან ძლიერ, ცენტრალიზებულ სამეღმწიფოს? ამიტომ შეხედულება, რომ მაკიაველი იყო რესპუბლიკის მომხრე უფრო ღრმად ანალიზის შიითხვის. გაუმართლებლად უნდა მივიჩნიოთ საუბარი მაკიაველის „გარჩევაზე“, რომლის არსიც ამაში მდგომარეობს, რომ რესპუბლიკის მომხრე მაკიაველი ამავე დროს ტორანოს აპოლოგეტად გვევლინება. ამიტომ მაკიაველის არათანმიმდევრულობას სწამებენ და პოლიტიკური უბრინციობაში დებენ ბრალს. ამ მოსაზრების არგუმენტირებულ ლოგიკურ უარყოფის მკითხველი ნახავს მაკიაველის „მოთავაზის“ ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში. მიუხედავად ამისა ეს შესაძლო მოსაზრება, ვეჭვრობთ, ყველაზე ახლოს მივიდა ჰუმანიტარტებისთან, მაგრამ მისი სწორად აღსანი, როგორც ჩანს, ვერ შესძლო.

ამრიგად, მაკიაველის პოლიტიკური შეხედულებებისადმი მიძღვნილი ისტორიოგრაფია ძირითადად შემოიფარგლება ანტითეზით — მონარქია თუ რესპუბლიკა? მონარქიის მომხრე იყო მაკიაველი თუ რესპუბლიკის? როგორც სამართლიანად შეინშნავს ფ. მ. ბურლაკი — „ანტითეზა — მონარქია თუ რესპუბლიკა? არ ამოწურავს მაკიაველის პოლიტიკური სისტემის არსს და, ჩვენის აზრით, ძალზე ზღუდავს ფლორენციელის იდეური მეგვიედრობის, განსაკუთრებით ცუდაა ის, რომ ყველაფერი ეს სერიოზულ დამტკიცებას წარმოადგენს დავიანახობთ მის მიერ პირველად წამოყენებული მეცნიერული პრინციპების ჰუმანიტარტად ნოვატორული სტალი.

მაკიაველის პოლიტიკური შეხედულებების საფუძვლიანი და დამაყრებელი ანალიზი ჩვენის აზრით, მოკლებული აქვს ფ. მ. ბურლა-

კის თავის წიგნში „მაკიაველის გამოცანა და გაცვეთილება“. ჟურ კიდევ შეეცადა შეხედულებათ ავტორის თანამედროვე იტალიის ისტორიასთან მკიდრო კავშირში და მაშინ ეს წიგნი უფრო ვასაგები გახდება და თქვენს წინ გადაიშლება კონცეფცია, რომელშიც უხვად არის მიმომხვეული ჰუმანიტარტება“. ფ. მ. ბურლაკის მიანხია, რომ ჰეგელის ამ მოსაზრებაში დევს ძირითადი საყვედური მაკიაველის ბიოგრაფების დიდი ნაწილისადმი.

ერთი წუთით თვალი გადაავლოთ იტალიის ისტორიის XV საუკუნის მიწურულს და XVI საუკუნის დასაწყისში. ჟურ კიდევ თანამედროვეებმა შეინშნეს, რომ ფეოდალურად დაქუცი-მაცებული იტალია გეოგრაფიული ტერიტორიის უფრო იყო, ვიდრე სახელმწიფოებრივპოლიტიკური. 1494 წლის 3 მარტს მილანის მბრძანებელი ლუდოვიკო მორო ფლორენციის ელჩს მიმართავდა: „თქვენ სულ იმას ჩამჩინებთ — იტალია, იტალიაო, მაგრამ მე არასოდეს მინახავს იგი“. როგორცკი ანეინების ნახევარკუნძულზე შექმნილი ვითარებას გადავხედავთ თვალში უმაღლეს პოლიტიკური რეჟიმის სტრუქტურულ გვეცემა. ამ შეხედვებით მონარქიაც და რესპუბლიკაც, საერო და სასულიერო ხელისუფლებაც, ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ ავილოთ თუნდაც მაკიაველის მშობლიური ფლორენცია, სადაც თვით მის სიცოცხლეში არაერთხელ შეიცვალა პოლიტიკური რეჟიმი. მისი უმწველიყობა ლორენცო მედიჩის (1469-1492) მმართველობის პერიოდს ემთხვევა. მის მმართველობას იტალიელი ისტორიკოსები მალა შეფასებას აძლევენ, ხოლო თავად მას „ბრწყინვალე“ ეპითეტად აქობენ. იგი შემდეგ პიერო მედიჩის შესცვლა რომელიც, როგორც ერთმანვე აღნიშნავენ თანამედროვეები და ისტორიკოსები, უსუსური და უნიათო პიროვნება იყო. ამის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მივიდა რელიგიის მიმდევარი საფონაროლა, რომლისადმი მაკიაველის დამოკიდებულება ლიტერატურაში კამათს იწვევს და ცალკე საუბრის თემაა. მე-ე ფლორენცია რესპუბლიკად გამოცხადდა და მას სათავეში პიერო სოდერინი ჩადგა. შემდეგ ისევ მედიჩების დიქტატურა და ბოლოს ისევ რესპუბლიკა იქნა აღდგენილი. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ფაქტზე შეიძლება რაღაც გავლენა მოახდინა მაკიაველის პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე. ამავე დროს, მაკიაველი კარგად ხედავდა, რომ იტალიის საზღვრებს გარეთ თითქმის ყველგან — ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში, ავსტრიაში, თურქეთში, მონარქიული რეჟიმები ბატონობდა. რესპუბლიკური წყობა კი მტრად იშვიათი იყო და მხოლოდ ვერონის რამდენიმე ქალაქში არსებობდა. აქედან გამომდინარე ფ. მ. ბურლაკის მიანხია, რომ ყველაფრის დაყენა ანტითეზაზე — მონარქია თუ რესპუ-

ბლია — უბირველეს ყოვლისა, არისტორი-  
ულა აღორძინების ეპოქაში ისტორიისთვის  
მთავარი რესპუბლიკის პრობლემა როდესაც  
დადო. ამ ეპოქის ყველაზე მტკიცე ენა პრო-  
ბლემაში იყო: 1) სახელმწიფოს გაერთიანება,  
როგორც წესია, აბსოლუტიზმის საფუძველზე;  
2. საერო ხელისუფლებას განათვისუფლება  
რელიგიური, საეკლესიო მმართველობისაგან.

რომელი პოლიტიკური წყობაა მაკიაველის  
აზრით იტალიისათვის მისაღები? ამ საკითხზე  
მაკიაველის შეხედულებები წინააღმდეგობას  
ბოდიხ მოკლებული. არავითარ ექვს არ იწვევს,  
რომ მაკიაველი პატარა იტალიის სახელმწიფო-  
თა გაერთიანების მხურვალე მომხრეა. ამ სა-  
ნუგეარი მიზნის მისაღწევად მაკიაველის, რო-  
გორც ეტყობა, მიზანშეწონილად ერთობიარე-  
ული ძალაუფლება მოიხსნა. მისი ღრმა რწმენით  
საქართველო რეფორმატორი, რომელიც აღჭურ-  
ვილი იქნება ძირველი რეფორმების გატარების  
უფლებით. ამის შემდეგ, ბუნებრივია, ისმის  
კითხვა. რა იქნება შემდეგ? რა მოხდება იტა-  
ლიის ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების  
შერე? რომელი პოლიტიკური წყობა — მონა-  
რქია თუ რესპუბლიკა აღმოჩნდება უფრო  
მტკიცე? ფ. შ. ბურლაკის აზრით, მაკიაველი  
ამ უნებლიედ გაორებას განიცდის, რაც იმაში  
გამოიხატება, რომ მისი გრძობები რესპუბ-  
ლიკის მხარეზეა, ხოლო ჭეუბანგონება კი საფ-  
რანგეთის მსგავსი მონარქიის მხარეზე. მონა-  
რქიის, აბსოლუტიზმისადმი მხარდაჭერა მაკია-  
ველის პოლიტიკური შეხედულებების პროგრე-  
სილობაზე უნდა შეტყვევებდეს, ვინაიდან ამ-  
სოლუტური მონარქია ისტორიის იმ მონაკვე-  
თზე, როდესაც მაკიაველი მოღვაწეობდა ჭეშ-  
მარიტად პროგრესულ როლს ასრულებდა, რაც  
იმში მდგომარეობდა, რომ ბილი მთელი  
ფეოდალურ სუბპარტისმს და დაქვემდებარე-  
ლობას. მაკიაველის პოლიტიკა, რომ მონარქს ეყო-  
ფა ჭეუ და უარს განაცხადებს მემკვიდრეო-  
ბითი მონარქიის შექმნაზე და უზრუნველ-  
ყოფს გადასვლას მმართველობის დემოკრატი-  
ულ-რესპუბლიკურ ფორმებზე. მაკიაველი გა-  
ნათლებულ მონარქზე ოცნებობს და აგნათ-  
ლებული აბსოლუტიზმის იდეის ერთ-ერთ  
წინამორბედად გვევლინება. ისტორიამ კარგად  
დაგვიჩვენა, რომ მაკიაველი ამ შემთხვევაში  
ილუზიების ტყვეობაში იმყოფებოდა.

მაკიაველი „მსჯელობებში“ წერდა: „მე ისე  
როგორც ყველა, ვინც რესპუბლიკაზე წერდა  
შეინიშნა, რომ არსებობს მთავრობის სამი  
სახე, კერძოდ ეს მონარქია, არისტოკრატია, სა-  
ხალხო მმართველობა. ამ სამიდან კი, ვისაც  
განზრახული აქვს მთავრობის მმართველობა ქი-  
ლაქში, ერთ-ერთი უნდა აირჩიოს და ის აქ-  
ლევს უბირატისობას მმართველობის იმ ფო-  
რმას, რომელსაც უფრო მისაღებად მიიჩნევს.  
ზოგიერთები და ბევრის აზრით, უფრო ჭკვი-

ნები ფიქრობენ, რომ არსებობს მმართველ-  
ობის ექვსი ფორმა, რომელთაგანაც „სამი უფე-  
ლად მიუღებელია, ხოლო მეორე სამი კარგაა,  
მაგრამ მათი შენარჩუნება ძნელია, ამიტომ  
ისინი თავისთავად დაიშლებიან ხდებიან. კა-  
რგია ის სამი, რომელიც ჩვენ უკვე დავასახე-  
ლეთ... მონარქია ძალიან ადვილად გადაიზრ-  
დება ტირანიამში, არისტოკრატია ხშირად გა-  
დაიქვევა ხოლმე უმცირესობის (ოლიგარქიის)  
მმართველობად, სახალხო მმართველობა კი  
ანარქიად. ამრიგად, კანონმდებელი, რომელიც  
იჩრევს მმართველობის აღნიშნული ფორმები-  
დან ერთ-ერთს ამაყრებს მმართველობის რო-  
მელიც ფორმას დროებით, იმიტომ, რომ მას  
არ აქვს საშუალებები თავიდან აიცილოს კა-  
რგადიან ცუდ ფორმებზე გადასვლა, რადგან აქ  
კეთილი და ბოროტი ძალიან აბლეს დგანან  
ერთმანეთთან... ასეთია წრე რომელიც მოქ-  
რახობდა და ახლაც მოძრაობს ყველა რესპუბ-  
ლიკის მმართველობა, მაგრამ ისინი ძალიან  
იშვითადად უბრუნდებიან თავიანთ საწყის ფა-  
ზას, რადგან ისინი იშვითადად ინარჩუნებენ იმ-  
დენ სასიციცხლო ძალას, რომ დაღუპვას გა-  
დაუბრუნენ და რამდენჯერმე გაიარონ ეს წრე-  
ბეულებრივი ხდება ხოლმე, რომ რესპუბლიკა  
აღმოჩნდება მეზობელი სახელმწიფოების ნა-  
დავლი, რომელსაც უკეთესი მმართველობა  
აქვს, მაგრამ ვიფარაუდოთ, რომ ეს ასე არ  
მოხდა. ის აუცილებლად იტრიალებს ამ წრე-  
ში უსასრულო დროის განმავლობაში“. აქედან  
გამომდინარე ფ. შ. ბურლაკი, ვფიქრობთ,  
სამართლიანად ამტკიცებს, რომ „მაკიაველის  
წარმოდგენით ისტორიული პროცესი, კაცობ-  
რიობის განვითარება განსაკუთრებით კი პო-  
ლიტიკური ისტორია, არის წრებრუნება, პო-  
ლიტიკურ ფორმათა განუწყვეტელი ცვლა,  
რომელიც ბოლოსდაბოლოს აუცილებლად მი-  
გვიყვანს ძველ გზასთან. პოლიტიკური ფორ-  
მების ცვლის პროცესი მაკიაველის უსასრუ-  
ლოდ ეჩვენება. მისი აზრით, მმართველობის  
ყოველი ფორმა თავის თავში შეიცავს თავისი  
უარყოფის ჩანასახს. მუდმივი არაფერი არ  
არის. ყველაფერი ხელახლა მეორედება ხოლმე  
და უბრუნდება თავის დასაწყისს“. შეიძლება  
თქვას, რომ მაკიაველის ნააზრევში გვეხდება  
„სიკლური თეორიის“ სიმტკიცეები, ნიშნები.  
ამ თეორიის ერთ-ერთი სერიოზული მინუსი  
პროგრესის იდეის უარყოფა გახლავთ. სწო-  
რედ აქედან იღებს სათავეს მაკიაველის ის-  
ტორიული პესიმიზმი, თუცა ამას მაკიაველი  
სულაც არ მიაყვანს პოლიტიკურ პესიმიზმად.

მაკიაველის ეკუთვნის ორი მნიშვნელოვანი  
აზრი: 1) პოლიტიკური ხელისუფლების კანონ-  
ზომიერი ცვლა. 2) მმართველობის პოლიტი-  
კური ფორმების და მათი ცვლის სოციალურ-  
ფსიქოლოგიური დაბასიათება (მაკიაველი, რო-  
გორც ბურჯუაზიის იდეოლოგი, რა თქმა უნ-



და, შორსაა საკითხის კლასობრივი ანალიზისა-განი.

მონარქიის დაშლის ძირითად მიზეზად მკაცრების მიანიხიას ის ფაქტი, რომ მონარქია გახდა მეკვიდრეობითი და არა ამომრჩეველობითი, მისი აზრით სწორედ ამას მივყავართ ტირანიამდე. ეს იწვევს მონარქიის დამბობას და ახალი ძალაუფლების დამყარებას. მაკიაველის მიხედვით, რესპუბლიკა მანამდეა ძლიერი ვიდრე მას საფუძვლად მოქალაქეთა თანასწორობა უდევს, მაგრამ ადამიანების გადაჯაჭრების გამო, რომლებიც სათავეში უდგანან რესპუბლიკას და რომლებიც აღმოჩნდნენ პატივმოყვარეობისა და სიბატონის ტყვეობაში, ფეხქვეშ თელევენ დემოკრატიას. ასე დგება რესპუბლიკის აღსასრული.

მაკიაველის პოლიტიკური შეხედულებების ამოსავალი წერტილია კონკრეტული ისტორიული სიტუაცია, ვითარება; ისტორიის შესწავლამ დაარწმუნა მაკიაველი პოლიტიკური მმართველობის ფორმების ცვლადობაში. მათი ასეთი არასტაბილურობის გამო იგი ერთ რიგში განიხილავს მონარქიას, რესპუბლიკას, არისტოკრატიას, ოლიგარქიას და თვითველ მთავარს მიიხედავს როგორც კაცობრიობის განვითარების ისტორიულად კანონზომიერ აუცილებელ მოვლენას. რიშელი მთავანი უფრო მისაღებია ამის თქმა მაკიაველის უპირის იმიტომ, რომ ამას, მისი ღრმა რწმენით, კონკრეტული ისტორიული ვითარება განსაზღვრავს. ისტორიიდან იღებს, რომ ერთ შემთხვევაში შეიძლება მონარქია სჯობდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი რესპუბლიკა. ზოგჯერ სიმკაცრე სჯობს, ზოგჯერ ლმობიერება. „მანიახლმა სიმკაცრით დაიპყრო ესპანეთი, სციპიონმა კი ლმობიერებით“. მას ორივე მეთოდი მისაღებად იჩვენება, რადგან კონკრეტული ვითარებით არის განპირობებული.

ამრიგად, მაკიაველის პოლიტიკური ფილოსოფია იმაზე უფრო რთულაა ჩანს, ვიდრე ამის ანტითეზა მონარქია თუ რესპუბლიკა მოიქცეს. მაკიაველი მონარქიის მომხრეა და ამას სავსებით ადასტურებს მისი თხზულება „მთავარი“. ამავე დროს მაკიაველი არც რესპუბლიკურ მმართველობას უარყოფს, რაც კარგად ჩანს მისი ნაშრომიდან „მსჯელობები“, მაგრამ მაკიაველის ვერც არათანმიმდევრულობას დავწამებთ და ვერც პოლიტიკურ უპრინციპობას. პირიქით, იგი სავსებით თანამიმდევრულია და პრინციპულად იქცევა არავითარ „გაორთქმას“ მაკიაველის შეხედულებებისა ადგილი არ აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ მაკიაველი ძალზე ახლოს მივიდა „ეკლურ თეორიასთან“, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური ცხოვრება წარმოადგენს წრებრუნვას, ერთდამიმავე პოლიტიკური ფორმების უსასრულო ცვლას, რომლებიც ბოლოსდაბოლოს ისევე უბრუნდებიან ძველ გზას, თავის დასაწყისს. აქედან გამომდინარე მაკიაველის მონარქიაც და რესპუბლიკაც პოლიტიკური მმართველობის კანონზომიერ ფორმებთან მიანიხიას. სხვათა შორის, ამის კარგი მაგალითი თვითონ მაკიაველის მისი თანამედროვე ფლორენციის ისტორიის სახით ჰქონდა, როდესაც მედიჩების ტირანია და რესპუბლიკა მის თვალწინ რამდენჯერმე აღსდგა. მედიჩების ტირანია რესპუბლიკამ შესცვალა, რესპუბლიკა კვლავ მედიჩების ტირანიით შეიცვალა, ხოლო მათი დიქტატურა ისევე რესპუბლიკამ შესცვალა. შესაძლოა, ფლორენციის ისტორიამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა მაკიაველი თავისი მოსაზრებების სისწორეში და ზედიზე შეუწყო მის ჩამოყალიბებას.

მერაბ კალანდიაძე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პრისიპექტი, № 12.

ბილეთების: რედაქციის — 98-55-11, კ/მკ მდიანის — 98-55-12, განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 3. 10. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3. 11. 86 წ. ანაწყოების ზომა 21/4 № 12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ-სავაგომომცემლო თამაბი 16,58.

უც 10385. ტირაჟი 32.000. შუკ. 2273. საქართველოს კ ტ-ის გამოცემლობის სტამბა.

6109/206

ფანდ 80 333.



«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ